სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველი სხივი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურული წრის

ა ლ მ ა ნ ა ხ ი

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი - 1950

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობის მაგიერ..

პ ო ე ზ ი ა

ირაკლი არაბული ....

ეთერი ბასილაშვილი..

თენგიზ ბუაჩიძე..

გიორგი გელაშვილი..

აკაკი გეწაძე..

ნ. გურეშიძე..

ნოდარ დუმბაძე..

ზურაბ კაკაბაძე..

შოთა ლომსაძე..

ბაგრატ მაზანაშვილი..

ვალერიან საღლიანი..

არჩილ სულაკაური..

რ. ფეიქრიშვილი..

კარლო ქილარჯიანი..

ნოდარ შამანაძე..

გიორგი შახსევანიძე..

თ. ჩხენკელი..

ვახტანგ ძნელაძე..

ზურაბ ჭუმბურიძე..

არჩილ სულაკაური..

პ რ ო ზ ა

რევაზ ინანიშვილი ....

ქართლოს კასრაძე..

მაგალი თოდუა..

შალვა ჩიჩუა..

ვახტანგ კეკელიძე..

წინასიტყვაობის მაგიერ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა საქართველოს უდიდესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც ათასობით ახალგაზრდა იღებს უმაღლეს განათლებას და ემზადება ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის მოღვაწეთა მოწინავე რიგებში ჩასადგომად.

უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას, უნარსა და ნიჭს იჩენენ ლიტერატურული შემოქმედების დარგში. იმ მიზნით, რომ მათი შემოქმედებითი ზრდა და წრთობა მინდობილი არ იქნეს თვითდინებასა და მარტო საკუთარ ძალღონეზე, რომ ეს საიმედო ახალგაზრდობა უზრუნველყოფილი იყოს სწორი იდეურ-შემოქმედებითი ხელმძღვანელობით და დახმარებით,- უნივერსიტეტში დაარსებულ იქნა სტუდენტთა ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე. ამ წრეში სიტემატიურად კითხულობენ და განიხილავენ სტუდენტთა ლიტერატურულ ნაწარმოებებს და მსჯელობენ საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ შემოქმედებით საკითხებზე.

წინამდებარე ალმანახში მოთავსებულია ამ წრეში გაერთიანებული დამწყები პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებანი. ისინი ღრმად არიან გამსჭვალული საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით; მათი თემატიკა ძირითადად განისაზღვრება ჩვენი გმირული სინამდვილის მოვლენებით, ჩვენს სამშობლოში კომუნისტური საზოგადოების ძლევამოსილი მშენებლობის პროცესებით. თავისი იდეურ-თემატიკური შინაარსით ალმანახში მოთავსებული მასალა მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ახალგაზრდობის უსაზღვრო სიყვარულს და თავდადებულ ერთგულებას ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიის უძველესი იდეებისადმი, მშობლიური სტალინისადმი.

მხატვრული ოსტატობის მხრივ ალმანახში მოთავსებული მასალა, პირველ ყოვლისა, იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც იგი გვიჩვენებს ახალგაზრდა ავტორების უეჭველ ნიჭიერებას, მათს შეგნებულებასა და წრფელ მისწრაფებას- დაეუფლონ საბჭოთა მხატვრული მეტყველების თანამედროვე კულტურას, იხელმძღვანელონ სოციალისტური რეალიზმის მეთოდისაგან გამომდინარე მოთხოვნებით.

ბუნებრივია, რომ ალმანახის მონაწილე ახალგაზრდა ავტორების მიერ შემოქმედებითი ცხოვრების ამ დაწყებითს საფეხურზე დაწერილ ნაწარმოებებს ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებანი. ეს განსაკუთრებით შეეხება ალმანახში მოთავსებულ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებებს (პოემა, პროზა). გასაგებია, რომ ამ სფეროში მეტის სიცხადით იჩენს თავს დამწყებ ავტორთა შემოქმედებითი მოუმწიფებლობა.

ალმანახის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში სრულად არ არის წარმოდგენილი დრამატურგია და სალიტერატურო კრიტიკა. ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაკლოვანება თავიდან იქნება აცილებული ალმანახის შემდეგ ნომრებში.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს განაგრძოს ამ ალმანახის გამოცემა ნიჭიერი ახალგაზრდობის შემოქმედებითი მუშაობის წასახალისებლად და მათი შემდგომი წარმატებების გასაცნობად საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის.

პ ო ე ზ ი ა

ირაკლი არაბული

ალექსანდრე ჯაფარიძის ნათქვამი

მე ეს მხვდა წილად, რა ვქნა, არ ვჩივი,
მთებთან შიშით ხომ არ დავმხობილვარ,
ამიერიდან ჩემი არჩივი
უშბას უბეში წოლა ყოფილა.

არ მქონდა გული შიშს შენაჩვევი,
პირისპირ ვიდექ ქართან, უკუნთან,
თოვლში, ქარ-ბუქში მტკიცე მარჯვენით
ყინულებს ვჭრიდი, როგორც ჩუქურთმას.

თითქოს ვწვდებოდი ზეცას მეშვიდეს
და მაყრუებდა ქართა ზუზუნი,
ცხრა დღე და ღამე დელგმას ვეჭიდე,
ვიდექი, როგორც რკინის კუნძული.

თავს დამცქეროდა, შეეკრა შუბლი,
რისხვად გზავნიდა ჩემს თავზე ღრუბელს,
თითქოს მეძახდა მწვერვალი უშბის:
-გძლიე, ვაჟკაცო, ვერ დამეუფლე!

ვთქვი: ნუთუ მძლია მთათა სტიქიამ,
ნუთუ სამსხვერპლოდ უშბა მზვერავდა.
ბრძოლა არც ერთხელ არ წამიგია,
ჭიდილი მქონდა რამდენ მწვერვალთან.

მაინც არ გატყდა მკლავი და მუხლი,
ყინულის მკერდზე გზაწვრილს ვეძებდი.
ვუხმე ონიანს, მოვუხმე მუხინს,-
ვეღარ ვიხილე თვალით ვერცერთი.

ვგავდი მყინვარზე მიჭედილს ლურსმნით,
ვგრძნობდი სიცოცხლე დამრჩა მცირედი,-
ვეძახდი: სად ხართ, თქვენც ჩემზე უწინ
ეგებ ნაპრალებს შეეწირენით.

აქ მყინვარებმა ბინა მაჩუქეს,
სხვაგან სიკვდილი ჩემს გულს არც სურდა,
მთებთან დავიწყე მე სიჭაბუკე,
ჩემი სიცოცხლეც მთებთან დასრულდა.

ეთერი ბასილაიშვილი

ბ ე ლ ა დ ს

მღელვარე წელი სამოცდაათი
ათასწლეულებს სინათლეს ტყორცნის,-
საუკუნედ ღირს თითო საათი,
თითო საათიც შენი სიცოცხლის,

რადგან სიცოცხლეს მიეცი ფასი,
შენი გენია გვზრდის და გვალაღებს.
კაცთ მეგობრობის აავსე თასი
და გაუწოდე მსოფლიოს ხალხებს.

კრემლის შუქურა მზესაც ამეტებს,
გიზგიზებს ხალხთა სიკეთის კერა,
გაჰკვირვებიათ თითქოს პლანეტებს
ახალი მზე და ახალი ერა.

აღარ დარჩება არსად წყვდიადი
ელვის თვალებით რომ არ განგმირო,
ყველა ზღაპრულზე უფრო დიადო,
ყვალა ნამდვილზე ნამდვილო გმირო!

კვლავ ლაჟვარდებში დროშებს შევარხევთ,
გულანთებულნი შენი სიტყვებით.
აღთქმული ქვეყნის კარი შევაღეთ
და კომუნიზმის ბელადს მივყვებით.

საბჭოთა ზეცა კამკამებს ლურჯად,
იქნება ასე კამკამა მარად,
რადგან შენ დგახარ მშვიდობის ბურჯად,

რადგან შენა ხარ მშვიდობის ფარად!

მღელვარე წელი სამოცდაათი
ათასწლეულებს სინათლეს ტყორცნის,-
წლებად გადიქცეს თითო საათი,
თითო საათიც შენი სიცოცხლის!

პ უ შ კ ი ნ ს

,,სიცოცხლე დასრულდა, მძიმეა“
დაჭრილი პოეტის
უკანასკნელი სიტყვები

განა სიცოცხლე მართლა დასრულდა?
თრთოდნენ ბაგენი გათანგულები...
ერთმა ვერაგმა ტყვიამ ავსულთა
მილიონების დაჭრა გულები,
დაჭრა გულები,- ცრემლი დაცურდა,
ზეიმს იხდიდნენ მოსყიდულები.

განა სიცოცხლე მართლა დასრულდა?
ღამით დამარხეს იგი ჯალათთა.
ნუთუ ასრულდა, ვერაგს რაც სურდა?
- არა, ტყუილად იმუხანათა!
პოეზიის მზე ცაზე აცურდა.
და დილით ისევ გამოანათა.

სიცოცხლეს იწყებს იგი თავიდან,
დღეს უკვდავების წყარო დალია.
სახელი მისი სად არ წავიდა,
მისთვის არც ზღუდე გალავანია,
თავისუფლების მომღერალი და
თავისუფლების ფალავანია.

ჩემი ძიძა

არ ვიყავი მდიდარი და გვარიშვილი,
მაინც ყველას თანაბარად მიწამეს,
ჩვიდმეტი წლის,- განა ბავშვი, განა ჩვილი,-
არა სოფლად, ქალაქს გამაძიძავეს.

ამ თბილისმა რა თილისმა დამიმზადა,
ლამის ბავშვად გადავიქცე ქალაქში,
შემეშინდა დაკარგვის და ძიძის სახლთან
ძლივს გავუშვი მამას ხელი ქამარში.

ჩემი ძიძა მომეგება ვაკის უბნით,
გაზრდილებზე ფიქრით ღამენათევი,
მომაშუქა ჯადოსნური თეთრი შუბლით,
ვარაზის ხევს დააფრქვია ნათელი.

შევხედე და... შორი გზაა სახლამდისო,
იმ ერთ წუთში გულმა რა არ იფიქრა.
ჭადრის ჩრდილში მამამ მითხრა ნახვამდისო,
ცრემლიანი ძიძამ გულზე მიმიკრა.

ო, მის მკერდში სიბრძნის დიდი ხანძარია,
ყველას გულს, რომ ცოდნის ეშხით ადარებს,
ჩემი ძიძა მეცნიერთა ტაძარია,
დიდ სტალინის მზიურ სახელს ატარებს.

ის ბავშვური სინანულიც გაიცრიცა,
არც თუ ისე შორს ყოფილა გურია.
ძიძა მყავს და- უმაღლესი გვარის ძიძა,
ცოდნის წყაროს ვსვამ და კიდევ მწყურია.

ჩემი ბიძა საზრდოს არვის დაუზოგავს,
დაუყვავებს, იქნებ კიდეც გაუწყრეს;
სიმკაცრეში ოთარაანთ ქვრივს ჩამოგავს,
სიუხვეში თინათინსაც გაუსწრებს.

სვებედნიერ ქართვლის დედას სახელოვანს
უყვაოდეს მარად ცოდნის ნერგები,
რა მეღირსა: ბევრ მეცნიერს და ხელოვანს-
მის დაზრდილებს- ბიძიშვილად ვერგები.

საქართველოვ, შენ საქვეყნო მადლის მიწავ,
იამაყე მუდამ სიბრძნის ბარაქით,
შენს მზეს ვფიცავ, ჩემი ბიძის სახელს ვფიცავ,
არ დავკარგო მშობლური ამაგი.

,,ქალაბიჭა"

მახსოვს, წუხდი, ჩემო დედა,
გული სევდას მოგპარავდა:
ვაჟი აღარ დაგებედა,
ერთადერთი ქალი გყავდა.

იქნებ ახლა უალერსებ
ჩემი ფეხის დანაბიჯარს,
ვარსკვლავებთან ცაში ეძებ
მოუსვენარ ,,ქალაბიჭას“.

თვითმფრინავი მირწევს აკვანს,
წამს ბავშვობა დამეზმანა
და ერთმანეთს ჩაენასკვა

მოტორის და შენი ნანა...

ცამდე ცეცხლის ენებია,
კვამლი ადის ღრუბლის ძნებთან;
ქედს გადაღმა ჩვენებია,
მივისწრაფი დაჭრილ ძმებთან.

გზა მომიჭრა გუშინ ,,სვავმა“,
სასიკვდილო დავეც ზარი:
დაიქუხა ცეცხლის ზვავმა,
გადალეწა გარეწარი.

ვაჟკაცურად აღვიმართე,
დავკარ, განა გადამირჩა,
მეტსახელი გაგიმართლე,
რომ შემარქვი ,,ქალაბიჭა“.

,,გამჩენოდა ნეტავ ვაჟი“,
აღარ იტყვი, დედავ, ახლა,
მაჯობებდა? განა ცაში
ავიდოდა ჩემზე მაღლა?!

გაიმარჯვებს ჩვენი ხალხი,
ამოვიყრით მალე მტრის ჯავრს,
მომელოდე ომგადახდილს
შენს საყვარელ ,,ქალაბიჭას“.

ოცნებაო, გამიგონე!

ოცნებაო, გამიგონე,
იმ შენს ძალას შემავედრე,

წუთით მაინც წამიყოლე,
ჩემს ბავშვობას შემახვედრე.

თეთრი სკოლა მწვანე სერზე...
გუშინდელი ამბავია,-
პირველ კლასში პირველ მერხზე
დაწერილი დამრჩა ია.

მენატრება პატარები,
ჟრიამული მათი ხშირი,
მუდამ ჩანთით სატარები
ათი რკო და ათი ჩხირი.

ვიწრო შუკა- შესახვევი,
ალვის ხეთა მზისსაფარი,
ნაოცნები ყელსახვევი,
იისფერი წინსაფარი.

შორს წასულა სოფლის ბავშვი
მორცხვად დახრილ წამწამებით,
პეპლებს დასდევს ახლაც ბაღში
აწეწილი ნაწნავებით...

ოცნებაო გამიგონე,
იმ შენს ძალას შემავედრე,
წუთით მაინც წამიყოლე,
ჩემს ბავშვობას შემახვედრე.

თენგიზ ბუაჩიძე

გზაზე

სიცხე იყო. ალმაცერი ღობის ჩრდილი
ვიწრო ზოლად მიჰყვებოდა შარას მარცხნივ.
სოფლის გზაზე, ყავარჯნებზე დაყრდნობილი,
მხიარული მიდიოდა ჯარისკაცი.

გზიდან მარჯვნინ ირწეოდა პურის ყანა,
არხის წყალი აგრილებდა მოშრიალეს.
მზეს ჰაერში ღრუბელივით აეტანა
წყალნასვამი მსუყე მიწის ოხშივარი.

შედგა მგზავრი. გზის ნაპირზე ჩაუხვია,
გულმა მიწის იდუმალი იგრძნო ჟღერა,
ყური უგდო საიდუმლო არხის ჩხრიალს,
მძიმე ხელით ნედლ თავთავებს მოეფერა.

რუხ ფარაჯას თავთავები რაღაც კდემით
ჩაეხვივნენ, თითქოს უკან არ უშვებდნენ...
და პირველად ვერ დამალა თვალმა ცრემლი
ამდენი ხნის სისხლიანი ბრძოლის შემდეგ.

ყანის პირზე დაისვენა, გაიშალა,
მთელი ტანით ჩაეხვია ამ ცხელ მიწას
და იგრძნო, რომ მადლიანმა მიწის ძალამ
კუნთებს ღონე და ძარღვებს კი სისხლი მისცა...

ჩამოგრძელდა მზის ნაპირზე ღობის ჩრდილი,
შორს გამოჩნდა ნაცნობივით ძველი ცაცხვი...

სოფლის გზაზე, ყავარჯნებზე დაყრდნობილი,

მხიარული მიდიოდა ჯარისკაცი.

გიორგი გელაშვილი

ძლევა სიკვდილისა

ერთი გააფთრებული ბრძოლის დროს ასეთი სურათი ვნახე: ქართველ მებრძოლს მკლავებით ჩაებღუჯა ტყვიამფრქვევი, მიჰყრდნობოდა თხრილის ნაპირს და ასე ფეხზე მდგარს ჩასძინებოდა სიკვდილის ძილით. ტყვიას გული გაეგმირა მისთვის.

როცა ბრძოლის ზარით, ზათქით,
ზანზარებდა დედამიწა,
როცა მტერი ასჯერ ათი
მათ მაღლობსაც შემოერტყა,
ფოლადს ჰგავდა გული მათი,
ვერ აკრთობდათ ტყვიის სეტყვა,
ცხრა ვაჟკაცმა ცხრაჯერ ათი
მტრის გაჰყინა გულის ფეთქვა.

მკერდით შეჰკრეს რკინის რკალი,
შეუტიეს მტერს ძლიერად.
მომხდურთ სისხლით ბრძოლის ველი
შეიღება ალისფერად.
ვეფხვთ დააცვდათ კლანჭი, მაგრამ
გამარჯვება მტკიცედ სჯერათ.
რვამ დახუჭა ბოლოს თვალი,
რვამ შესწყვიტა გული ძგერა.

დარჩა ერთი შავგვრემანი,
დასჭრეს მძიმედ... შეტორტმანდა,

კვლავ გამაგრდა ფეხზე ძალით,
თვალებს მოხსნა ბნელი ფარდა,
მტერს ქართულად შეუძახა,-
ამირანის ხმასა ჰგავდა,
და სიკვდილის გამოფრქვევით
ტყვიამფრქვევი აკაკანდა.

მტერს კვლავ დასცა შიშის ზარი,
მაგრამ გულში მოხვდა ტყვია,
თხრილს მიეყრდნო ფეხზე მდგარი
და ტყვიამფრქვევს მოეხვია,
მოკვდა ბრძოლით უმაძღარი,
სიკვდილმაც ვერ წააქცია.

ასე სძლია მან სიკვდილი,
ძმებო, მე მის სახელს ვფიცავ,-
მიწაზე არ მიწოლილა,
თვით მის მკერდზე მიწვა მიწა.

აკაკი გეწაძე

პოლკის მედროშე

ცხრას ხიშტაღერილს შეება ერთი,
ცხრავე დაცხრილა ბიჭმა შავთვალამ,
თუმც შეეღება თვითონაც მკერდი
მთის წვერზე დროშა მაინც გაშალა.
ის მოიყვანეს არმიის შტაბთან
გულმკერდზე ხალათგადახეული,
მოჰყვა გოგონა სანიტრის ჩანთით
იდუმალ ცრემლით თვალთამღვრეული.
დაჭრილის მკერდი დიდხანს ღელავდა
და როს გვეგონა სული დალია...
უცებ კრემლიდან გვკითხა ბელადმა:
-პოლკის მედროშე ხომ ცოცხალია?
და ჭაბუკს ისევ გაეხსნა თვალი;
-ჩემი ამბავი ბელადმა გკითხათ?
მაშ გადაეცით, ცოცხალი არი,
და კიდეც სწამს, რომ იცოცხლებს დიდხანს.

ბელადს შევხვდები კიდევ

ზეცა ნაცრისფერი, თვეები თაკარა,
გული ხან გრიგალი და ხანაც მშვიდი.
მიწური ვიწრო და სანგარი პატარა,
სამშობლო დიდი და ფიქრები დიდი.

გარბოდნენ დღეები დასისხლულ შარაზე,
ნაღმები ბუგავდა მთაბარის მერდინს,
შაშხანით ვესტუმრე გერმანულ დარბაზებს

და რკინის კარები შევხსენი ბერლინს.
მოვბრუნდი, გამომყვა დიდება მრავალი,
მოვბრუნდი- არწივი ნაბრძოლი მეხთან
და დროშა ჯვრიანი, ბოროტად ნავალი,
ამაყად დავაგდე ბელადის ფეხთან...

ამ დღეებს მე ახლა ვიგონებ ყანაში,
შავ-ქოჩორს მისველებს ცვარნამი დილის
და ჭალას თვალუწვდენს, ცისფრად გადაშლილს,
ვთავაზობ თვალების ელვას და ღიმილს.

სიმინდის ჭალაა თუ ტევრი მუხნარის,
თუ ზღვაა, სად არის ხმელეთის კიდე.
ჰე, წადი ნიავო, და ყველას უთხარი
მე ბელადს მოსკოვში შევხვდები კიდევ.

მზემ დილის ნისლები მთებიდან აჰყარა
და ჩემი ოცნება კრემლისკენ მიჰქრის.
წყარო მაქვს პატარა, სოფელიც პატარა,
დიდი მაქვს სამშობლო, დიდი მაქვს ფიქრიც.

ბელადი რუკასთან

მივიდა, რუკას შეახო ხელი...
და ჰა, სიცოცხლე ყველგან სახლდება,
ქალაქად იქცა რუსთავის ველი,
უდაბნოები იქცა ბაღებად.
გადესიენ ხრიოკებს ტყენი
(ფეხის ადგმა ხომ სცოდნია ხესაც),
ცას აუწვდინეს ხელები ლხენით,
შეეპოტინენ თაკარა მზესაც.

ოქროცურვილი ველები ღელავს
და თავთავებში ვარსკვლავნი სხედან;
ღიმილი მოსდის ულვაშში ბელადს
და ეს ღიმილი მსოფლიოს სწვდება.
ქვეყნად აყვავდა სიცოცხლე დიდი,
ცაში მზე დნება სხივების ღვარად.
ცა არის მშვიდი, ბელადიც მშვიდი,
და გვსურს მშვიდობა სუფევდეს მარად.
მაგრამ თუ აშლის ქარიშხალს მხეცი
და კვამლში გახვევს მთებსა და ველებს,
ჩვენ დავუხვდებით ისეთი ცეცხლით,
ზედ ვარსკვლავები ითბობდნენ ხელებს.

ამბობს საქართველოს მიწა

ბაღების და ვარდნარების ღაღანი ვარ,
განა თოვლით, მზის ღიმილით დანათოვი,
ჩემს ტატნობზე რუსთაველი ახატია,
მისი ლექსი მზის სხივებით მონაქსოვი.
მე გულმკერდზე მახატია საქართველო,
ის კი არა ოდესღაც რომ ჯმუხა ტანით
დაეტოლა საცრისთვალა ამირანი;
-საქართველო ჯუღაშვილის მეაკვანე
და მსოფლიოს შუქუქრობი ჩირაღდანი
შემიმოსა მობიბინე ზურმუხტ-მდელომ
ბარი და მთა ერთ ფერხმულში გადაბმული.
მზე დამხედავს, ჩემი ეშხით მზეც ქართველობს,
თავს იწონებს ჩემზე ტრფობით გათანგული.
მხრებს გადავშლი, ხმას მივაწვდენ მთელ სამყაროს,
ამირანის ცეცხლი უდრეკ მკერდში დამრჩა,
მზემ იხაროს, კომუნიზმის მზემ იხაროს,

ეს გულმკერდი მისმა ეშხმა მომიფარჩა.
მე გულმკერდზე მახატია საქართველო,
ის კი არა ოდესღაც რომ ჯმუხა ტანით
დაეტოლა საცრისთვალა ამირანი,
-საქართველო, - ჯუღაშვილის გამომზრდელი.
და მსოფლიოს ჩაუქრობი- ჩირაღდანი.

მაყრობა

მოფრინდა მახარობელი, წინ წამოსული ნიავი:
-მოჰყავთ დედალი ხოხობი, ხოხობი ოქროს ფრთიანი.
-მოჰყავთო,- გაიხმაურა ღამენათევმა სოფელმა,
ხალხზე რაღა ვთქვა, გზისაკენ გადმოიწია ღობემაც.

შარაგზას ცეცხლი მოედვა, მზეს გზაც სჭირდება მზიანი,
ცხენების თქარუნს შემოჰყვა თვალები ნაპერწკლიანი.
შავთვალას ეშხი შემოჰყვა ტკბილი მაყრულის შემოსვლას
და ფეხზე მდგარი სოფელი თვალებში უცქერს დედოფალს.

მაშინ რა ვიყავ: ღობეზე ვერც კი ავცოცდი ყმაწვილი
და ღობის ძირში მოვძებნე გამოსაძვრომი ადგილი.
შველის პატარა ნუკრივით გამოვედევნე ცხენოსანს,
მაყარმა ხელი დამტაცა, დედოფლის ცხენზე შემომსვა.
დედოფლის წრფელი გულივით არვის სცოდნია გათბობა;
ჩამკოცნა, მერე დამლოცა: - მოესწრო ათას მაყრობას...

ახლა კი ღობე რა არი- გადავაბიჯე ბერლინსაც
და ის მაყრობაც სხვა არი, მე რომ მაყრობა მეღირსა:
რაიხსტაგიდან ლომგულებს დროშა მოგვქონდა მოსკოვთან,
დროშას მზის ფერი მოსწონდა, მზეს დროშის ფერი მოსწონდა.

მკერდი გაგვიხსანა მოსკოვმა, დიდებით შემოხატული,
და გამარჯვების მაყრებმა ისე დავსძახეთ მაყრული,-
გულს რაღა გააჩუმებდა, ქუდზე ვარსკვლავიც ამღერდა,
ცისა და მიწის სიცოცხლე, მზე იდგა კრემლის სარკმელთან-
და მაყრებს წითელ დროშისას მშობლიურ ღიმილს გვაფენდა.

მწყემსი

ღრუბელს შემოხვდა ღრუბელი, ესროლა ელვის ისარი,
დაადგა ცეცხლის უღელი, გაუპო გულის ფიცარი.
ღამეა. წყლები ბორგავენ, ჯახა- ჯუხით და გოდებით,
მდინარის ფსკერზე გორავენ წყალში დამხვრჩალი ლოდები.
როცა ცას ელვა დაუვლის- ცეცხლის ფრთიანი არწივი,
მდელოზე მოჩანს ცხვრის ფარა, წვიმით მატყლჩამოვარცხნილი
და შავკბილება კლდის კონცხზე კაცი გულდინჯად დამდგარა,
ხელში კომბალი უჭირავს, ნაბადქვეშ უჩანს მაზარა.
გახედავს ღრუბელთ ბრძოლას და მაგონდება სანგარი,
ალში ჩაწოლილ ბერლინშიც ქუხილი იყო ამგვარი...
მტერი ჩაქოლა. ღიმილით შემოუბრუნდა შარაგზას,
დაბრუნდა, დაეპატრონა ცხვარს,- კოლექტივის ბარაქას...
ხევმა ჩაყლაპა ღრუბლები, მთაზე ცისკარი ჩამოჯდა
და თაფლისთვალა შუქურას მზისთვალა დილა შემოჰყვა.
ბიჭმა გაიხსნა მაზარა, ფართედ გაშალა მხარმკლავი,
მკერდიდან ნატვრის თვალსავით გაბრწყინდა ოქროს ვარსკვლავი.
მერე გახედა მწვერვალებს და ასე დიდხანს უყურა,
თითქო ამ მაღალ მთებიდან მოჩანდა კრემლის შუქურა.

ნ. გურეშიძე

სტალინის სიტყვა

სამშობლოს ბედზე როცა ვღელავდით,
როცა გვიტევდა სისხლის მნატვრელი,
ჩვენ მოვისმინეთ სიტყვა ბელადის-
ხალხთა სურვილის გამომხატველი.
როცა დამარცხდა ხალხთ ჩაგვრის მდომი
და მოვიშორეთ უამინდობა,
როდესაც ბრძოლით მოვკალით ომი
და სანატრელი დადგა მშვიდობა,
სტალინმა თქვა, რომ ომის ქარ-სეტყვამ
მსოფლიოს თავზე გადაიარა.
ჩვენ გვწამს ბელადის ნათქვამი სიტყვა
რაგინდ ლესავდნენ მტრები იარაღს.
მსოფლიო მხსნელად უყურებს სტალინს,
როგორც სიხარულს, როგორც სიკეთეს,
ის უსმენს სტალინს და სჯერა ხვალის,
უყურებს სტალინს- ხედავს იმედებს.
გვწამს გამარჯვება დიდი მიზნისა
ო, ჩვენ მას ველით, ელის სამყარო;
დღე დიდებული კომუნიზმისა
ბელადმა თვითონ რომ მოგვახაროს.
მაგრამ ღმუიან მხეცნი საზარნი
დოლარის მკვიდრნი და მოახლენი,
რადგან მათ უნდათ ომის ხანძარით
კვლავ გადიბუგონ ჩვენი სახლები:
ო, მათ ახელებთ ფერიც წითელი
მათ დაუკარგავთ ალბათ გონება
ვერ ეღირსება უოლსტრიტელი
ხალხთა შემუსვრას და დამონებას.

ვეღარ შესცვლიან კვნესით და ოხვრით
აღორძინებას ჩვენი საქმისა,
რადგან ხმა გვესმის მშვიდობის მომხრის
და უდიდესი მთავარსარდლისა.

ბელადის ქანდაკება

სკოლისკენ როცა მოუხმობს ზარი,
როცა ქალაქი დილის მზით ელავს,-
ის შეჩერდება და ბაღში მდგარი
მზერას მიაპყრობს მშობლიურ ბელადს.
პატარას უნდა გულის გადაშლა,
ენის ტიტინით მოუთხროს უნდა:
-შენ შემოგხარით, მამავ, მარადჟამს,
შენი ერთგული ვიქნები მუდამ.
...დაზამთრდა, დაჰქრის ქარი სისინით
და ფართო ქუჩებს დათოვლილს ხვეტავს,
ბაღის კარებთან იდგნენ ისინი
და შვილი ასე შესთხოვდა დედას:
-დედა, ხომ ხედავ, მზეც კი არა ჩანს,
თოვლი სცვივა და არა დნებაო,
წამოვახუროთ ბელადს ფაჯარა,-
ზამთარია და შესცივდებაო!..

ექსკავატორი მტკვრის ახალი სანაპიროს მშენებლობაზე

მოღელავს მტკვარი, ტალღაზე ტალღას სცემს თავგამეტებით,
გაღმა- გამოღმა ნაპირზე შემოზღუდვია კედლები,
ერთი ნაპირი დაჰყურებს მწვანე ქოჩორა ბაღნარად,
ახლა მეორეს გახედავს, - მეორეს რიგიც დამდგარა.

გახედავს და ვერ ნახულობს ადგილს უწინდელს ნატბორევს,

ყოველდღე დაუღალავად ტრიალებს ექსკავატორი.

ასე ყოველდღე მანქანა, მიწის სათხრელდ მორთული,

ქვიშას დატკეპნის, დატორავს, დაეძგერება ხორთუმით.

ღორღსა და რიყეს მოხვეტავს, ხან აქეთ- იქით ტრიალებს,

ხანაც თავს ასწევს, შეხედავს მთებს თეთრ-თეთრ თავსაფრიანებს.

-ე რა ყოფილა, ღმერთმანი, ბელტებს ყლაპავს და არ ძღება.

ეჰე, გავცქერით, ვერ ვნახეთ მოსვენებული, დაღლილი,

წყალი კი ნეტა სად გაჰქრა, ნაპირზე ტბორად დაღვრილი...

მდინარე სიმღერ- სიმღერით როცა ჩაუვლის ჯებირებს,

არა სწუხს შევიწროვებას, რომ აღარ გავანებივრეთ...

ზვირთები ამას დარდობენ, - დენა რადა გვაქვს ჩქარიო,

ერთმანეთს სურვილს ანდობენ:- კარგად შევავლოთ თვალიო...

ასე ყოფილა, ჩვენ წავალთ, სხვა ტალღა ჩამოივლისო,

კარგად შევხედოთ თბილისსო,

ამ ულამაზესს თბილისსო!

...ნაპირზე მიწას მოხვეტავს და ისევ ავსებს ნატბორევს,

დაუღალავად ყოველდღე ტრიალებს ექსკავატორი.

და ხიდზე გამვლელ თბილისელს გული კვლავ აუმღერდება:

ჩვენი თბილისი შენდება,

ჩვენი თბილისი მშვენდება!

ნოდარ დუმბაძე

საქართველომ აამღერა - დაილოცოს!

როგორ მიყვარს ეს ქვეყანა-ტურფა ბაღი,
მისი ბარი, მისი მთა და იალაღი...
რამდენი მაქვს დასაწერი, სასიმღერო,
რა ჩააქრობს სიყვარულის ძლიერ კოცონს...
ჩემი დედა, ჩემი ტკბილი საქართველო
დაილოცოს!
როგორ მიყვარს მისი მზე და მისი დილა,
ცა, ფირუზის თაღებად რომ ჩამოთლილა...
სული ხარობს, გული მღერის, როგორც სტვირი,
ლექსს დავუწერ, რომ გულმკერდი დაუკოცნოს,
რომ დიდების ის აკვანი- გორის ძირი
დაულოცოს
როგორ მიყვარს ეს ლომგულთა საბუდარი...
ჩემო ჩანგო, ვაჟკაცური დაუკარი,
და თუ ვინმემ ვერ გაიგოს ეს სიმღერა
და ეს ჩემი სიყვარული გაიოცოს,
უთხარი, რომ საქართველომ ამამღერა-
დაილოცოს!

სადაც ბელადის აკვანი იდგა

ყური დაუგდეთ მტკვარს მოდუდუნეს,-
ქართველი ლაშქრულს როგორ მღეროდა,
როგორ რაზავდნენ ციხის ურდულებს,
რომ გორი ხანძარს გადარჩენოდა.
მტრები ლეწავდნენ ციხის ქონგურებს.
ენატრებოდა მახვილს ქარქაში,
ლარებს აწყვეტდნენ ქართულ ჩონგურებს,

შხამს აწვეთებდნენ იავნანაში.

მიწაო წმინდავ, ცაო ნათელო!
სიკვდილის ჟამსაც ჩვენო ხსენებავ,
ნუთუ შეეძლოთ მათ საქართველოს
გადაშენება?!

მათ ვერ აღგავეს მიწის პირიდან
ჩვენი ქვეყანა გმირთა მშობელი,
სადაც პატარა გორის ძირიდან
მზე ამოვიდა მანათობელი.

სადაც ბელადის იდგა აკვანი,
სად უმღეროდნენ არწივს ნანინას,
არწივს, რომელმაც ძლევის ალამი
მყინვარზე მაღლა აგვატანინა.

მიწაო წმინდავ! ცაო ნათელო!
სიკვდილის ჟამსაც ჩვენო ხსენებავ,
ნუთუ შეეძლოთ მათ საქართველოს
გადაშენება?!

გზა დაგვილოცე მომავლისა

ვნახე სიცოცხლის უნაპირო ზღვა ბობოქარი
ფოლადის კვამლით მტკვრის ნაპირი დანაბურები
ვნახე რუსთავი, მოვისმინე სწორუპოვარი
ჰანგი ბელადზე ამღერებულ სალამურების.

ვნახე დაზგასთან კუნთმაგარი კომკავშირელი
ახლად ტანაყრილ მუხასავით აღერებული,

ვნახე რუსთავი და დაზგების სრბოლა ფიცხელი,
ახალგაზრდობა უკვდავებად ამღერებული.

ვნახე დიადი კაცის მალა, კაცის მარჯვენა
როცა სიცოცხლის სამჭედლოში ჭედდა დიდებას.
ახალ რუსთავში გამოწრთობილ ახალ სატევარს
ჟანგი არასდროს მოეკიდება.

ფოლადის ვაჟი შეეძინა მამულს ნაომარს,
ახალ რუსთავის საყვირები ავახმიანოთ,
გზა მომავლისა დაგვილოცე ახალგაზრდობას
შენ - ჭეშმარიტო ადამიანო!

გვიამბობს გორი

მოსულან ღელვით ქართლის კიდეზე
და ვერ გამძღარან მისი ყურებით,
უნდათ იხილონ გორის ციხეზე
შენი ბავშვობის ნაფეხურები.

გორი გვიამბობს შენზე ბალადას:
,,აჰყვებოდაო ზილიკს მოლიანს
და მზგავსად თავის მამა-პაპათა
ბავშვსაც ისარი გაუსროლია“.

,,როდესაც ისრის ისწავლა სროლა,
ცად ასულ ტალღის მიჰყვა დინებას
სწორუპოვარი იცოდა ბრძოლა
და შერკინება“.

,,პირმშო გოლიათ მამა-პაპათა

თავისუფლების მზეს უმღეროდა
და უკვდავებს მზემ გაანათა
საქართველოდან“.

ო, ეს არ არის ციხის ზღაპარი,
ძირს მტკვარი ტალღათ ტალღას მიაპობს,
ციხე მედგარი და ძვალმაგარი
მისი გაზრდილის ყმობას გვიამბობს.

აღმოსავლეთით დაიწვა ბინდი
არარა დაქრის ნიავის გარდა-
სდგას გორის ციხე ისეთი მშვიდი,
ვით შენ იდექი მოსკოვის კართან.

სტუდენტობის სიმღერა

მოვდივართ ახალგაზრდობა
ურყევი, დაუღალავი,
მზემდის ავზიდეთ ამაყი
დიდი სტალინის ალამი.
ბელადის დიდი სახელით,
მისი მზის შუქით გამთბარო,
მშობელ დედაზე უტკბესო,
მეცნიერების ტაძარო,
შრომაში, მტერთან ბრძოლაში
მოგვიხვეჭია დიდება.
მოვდივართ, მოგვაქვს ღიმილი,
სიცოცხლე, ჭეშმარიტება.
ბელადის დიდი სახელით,
მისი მზის შუქით გამთბარო,
მშობელ დედაზე უტკბესო,
მეცნიერების ტაძარო!

მოვდივართ, ვიპყრობთ უმაღლეს

მეცნიერების მწვერვალებს,

ახალგაზრდობის ალამი

ცაზე მნათობად ელვრებს.

ბელადის დიდი სახელით,

მისი მზის შუქით გამთბარო,

მშობელ დედაზე უტკბესო,

მეცნიერების ტაძარო!

ზურაბ კაკაბაძე

*** * * ***

ვიცი, - დაჰკრავდნენ ვეფხის ტორივით,
დაიმსხვრეოდა მტრის მუზარადი...-
სისხლით მორწყული და ნატბორევი
ბებერი მიწა ვნახე მარაბდის.
ვიცი, - სიკვდილის რისხვა მოვიდა
და იყო მიწა, როგორც საკაცე...
როგორც ლეგენდა, გვესმის შორიდან
პატარა კახი და სააკაძე.
ვიცი, - დაჰკრავდნენ ვეფხის ტორივით,
ხმლებით დალეწდნენ ბორკილის ფოლადს,
დაიხრჩვებოდნენ სისხლის მორევში
და სიკვდილიდან დგებოდნენ ბოლოს.
თუ ქართველი ხარ, უნდა გახსოვდეს,
რომ საქართველოს, ოქროსთმებიანს,
აკლდა სიმშვიდე და არასოდეს
გმირის სახელი არ დაჰკლებია.
მაგრამ დღეს, როცა ქვაზე დაკრული
ზღვა ჩაქუჩების ხმა გამაგონეს,
მაინც არასდროს ასე ზღაპრული,
ვთქვი, არ ყოფილა კაცის ძალღონე.
რუხი უდაბნო მწვანით დაფარეს,
სადაც კი მოხვდა მზრუნველი ხელი,
და გეგონება მართლა ზღაპარი
მკერდდაცვარული სამგორის ველი.

კოლმეურნე

ღიმილის შუქი უნათებს თვალებს,
სახეზე დაჰკრავს სპილენძის ფერი;

ოჯახში სტოვებს სითბოს და ალერსს,

ჩაუვლის სოფელს მზრუნველი მზერით,

ყანის მიჯნისთვის არ იცის მტრობა,

არ ეტანება არავის ლუკმას;

სიმღერით მიდის გლეხკაცი შრომად

და სიმღერითვე ბრუნდება უკან.

დაოქროვილი მინდვრის მნახველი

არ არის უქმი და ბედოვლათი;

ყანას არ ქვია მისი სახელი,

მაინც მისია სოფლის დოვლათი.

არ იხსენიებს მოძმეს აუგად,

მისთვის უცხოა მოშურნის სენი;

დიდი ერთობის დღე რომ დაუდგა,

უარჰყო სიტყვა: ჩემი და შენი.

ვეფხის ძალღონეს შრომაში დაცდის,

ახალი სოფლის ახალი კაცი,

კაცი აწყმოსი და მომავლისა.

ქართველ ქალს

შენი სახელი უხსოვარ დროდან

რამდენი ლექსის სიმღერით უთქვამთ...

შენ სილამაზე ძველთაგან მოგდგამს

და სიყვარულის ფიცხელი სუნთქვა.

დარბაისელის სახელი მოგცეს

და გაიოცეს შენი თავაზი...-

შენ სილამაზე ძველთაგან მოგდევს

თამარ დედოფლის და ჭავჭავაძის.

მაგრამ სხვა არი შენში ახალი,

როცა გაირღვა წარსულის რკალი,

დგახარ ამაყი და ქედმაღალი,

შენ - ვაჟკაცივით მშრომელი ქალი.

დასტოვე დარდის ყრუ სიმძიმილი-
-დედაკაცური ყისმათი ძველი-
და შენს თვალებში გაჩნდა ღიმილი,
ახალი დროის პირველი ძღვენი.
არ გერიდება და აღარ მორცხვობ,
რომ გაუსწორო ცხოვრებას თვალი...
ფიქრობ, მოქმედებ, ნამდვილად ცოცხლობ,
შენ- ვაჟკაცივით მშრომელი ქალი.
მოვდივრ შენთან, შორიდან გიცან,
ფურცლებ გაშლილი ვარდის სადარი,
და ეგონებით ღიმილი მზისა
შენ, ნარინჯების ტევრში ჩამდგარი.

შოთა ლომსაძე

თავფარავნელ ჭაბუკს

მოვდივარ თრილეთს და გზებზე გეძებ
ჯავახეთიდან გაჩენილ ცეცხლით.
ბევრი რამ მითხრეს შენს მწარე ბედზე...
ძმაო, გამხდარხარ სიბნელის მსხვერპლი.

მთაში დამიხვდნენ მწყემსები დღესაც,
მწვანე იალაღს გადაჰყვა ცხვარი,
სტვირმა თითებში დაიწყო კვნესა
და გამაგონა ამბავი მწარე.

მე იმ ლერწამში შენი ხმა ვიცან,
გამოვიქეც და საშველად მოველ...
გულის ნაღველი გავუქრე სტვირსა
და სულ ახალი სიმღერა ვპოვე.

და ეს სიმღერა მხარეა ჩემი,
შემოხატული არწივის ფრთებით,
ვდგევარ ნათელში, ვერ მითქვამს ენით,
და ყვავილების სურნელით ვტკბები.

შენ კელაპტარი ჩაგიქრეს მაშინ,
შესძახე ცას და ღრუბელი გაჩნდა.
და დარჩი უგზო ბობოქარ გზაში,
მწუხარე იყო ყოველი განცდა.

სატრფო კანკალით გელოდა გაღმა,
შენ მიელტვოდი ბნელაში მიზანს,
მერე იგრძენი მკლავებში დაღლა
და მოგენატრა ღიმილი ცისა...

სადა ხარ ახლა, განახა ნეტავ:
ცეცხლის მტრედები ჰკენკავენ ღამეს
გაკელაპტრებულ სამშობლოს ვხედავ
და მზიურობას ვულოცავ ხრამჰესს.

მე ამ მხარეში სიმღერა მიყვარს,
მინდა, ჭაბუკო, მიზანი გიქო-
და შენ თუ სატრფოს სანთელი იყავ,
ეს ლექსიც შენი სანთელი იყოს.

მოლოდინი

გათენებამ მოაწია, არ იძინებ,
ფთილებს ართავ და ხელტარი ჯამში ცეკვავს,
ბუხრის პირას დაგწოლია ფიქრი მძიმე.
ჩანს ნაცარში ნაღვერდალი მოციმციმე,
და შენს სარკმელს წამოუსხამს შავი თექა.

ჩქარ სირბილში დავაჭკაცდა თითისტარიც,
ხელში იღებ მოლამაზო ჩხირებს წმინდას,
ვერ გაიგე? გათენების იყო ზარი.
მოლოდინში დაგწოლია ფიქრი მწარე,
ციმციმებენ ჩხირები და ქსოვენ წინდას.

შენ ფიქრივით დააჭრელე თეთრი წინდა,
შენს საფიქრელს დაუმზადე ჩასაცმელი.
მოჰქსოვე და შეავედრე სული წმინდა,
რა იცოდი, რომ მის თავზე ცეცხლი წვიმდა
და მიწაზე დაადინა სისხლი ცხელი.

შორს დაეცა, შენ არ იცი, ფთილებს ართავ,

და ნაცარში ნაღვერდალი ნელა ქრება.
მთის ფერდობზე შემახილი ისმის ქართა.
შვილის სახეს ზმანებაში ტკბილად ქარგავ,
ყურს უგდებ და იმისი ხმა გენატრება.

გათენების ზარი იყო. არ იძინებ,
ხელტარი კვლავ აჩქარებით ჯამში ცეკვავს.
ბუხრის პირას დაგწოლია ფიქრი მძიმე...
მოლოდინი, მკრთალ სხივივით მოციმციმე,
არ გცილდება ოცნებაში გართულ დედას.

მამიდას

რომელიც თორთუმში ცხოვრობდა და 1918 წ.
ოსმალეთის საზღვრებში მოექცა

ჩემო მამიდავ, იქნებ ახლა
თორთუმის მაღალ სერზე გველოდე,
გვერდში პატარა შვილები გახლავს
და იმზირებით საქართველოსკენ.
მანდ მომხდურებმა ფეხქვეშ გაგთელეს,
აქ გეგულება სულის მოკეთე,
შვილებს უამბობ, თუ საქართველოს
ჩვენი სამხრეთი როგორ მოჰკვეთეს...
ასე იხსენებ ალბათ ყველაფერს...
გრძნობ უბედობას გულის ტკივილით,
და პატარები ისე ღელავენ,
რომ ებჯინებათ ყელში ტირილი,
და შურისგება იპყრობთ უშრეტი,
თითქოს ეს გრძნობაც კიდევ არ კმარა;
შებრუნდებიან და წვრილ მუშტებით
ემუქრებიან პირქუშ ანკარას.
ჩემო მამიდავ, არა გხვდა წილად,

რომ ჩვენი ბედი გწვეოდა, მაგრამ
გჯეროდეს ჩვენ არ დაგტოვებთ მწირად
და როს გამოხსნის საათი დაჰკრავს,
მშობლიურ სამხრეთს დავიცავ სისხლით,
თუ მოგვისევენ უნდობელ ასკერთ.
ფეხზე ამდგარი სახალხო რისხვა
ნიაღვარივით დაიძვრის მათკენ.
ჩამოვარდება ნახევარმთვარე,
ხალხთა მონობის ნიშნად რომ მოჩანს,
და ჩაბნელებულ ანკარის თავზეც
აფრიალდება დიდების დროშა.

მესხეთს ვაშენებ

ჩვენშიც მოფრინდა უკვე მერცხალი,
გზა დამილოცე შენი სულისა.
მთიდან ძახილი ისმის მეცხვარის,
მოჰქრის ნიავი გაზაფხულისა.
მთაში ამღერდა უკვე გავაზი,
შენც მოიღერე ყელი ლამაზი,
ამოყვანილი ბროლის სურისა.
გამოაჩინე ცრემლი ალმასი,
ვაზივით წრფელი სიხარულისა.
გზა დამილოცე, მესხეთს ვაშენებ,
თვალთა ნათელი შემომაშველე,
მე ვარ სიმღერა სიყვარულისა,
და სიყვარული თვითონ მამშვენებს
ამღერებული შენი გულისა.
ბაღში გაშლილი უკვე ყაყაჩო,
მხარი მომაბი, ჰეი, ძმაკაცო;
უნდა დავბაროთ ძველი ზვარები,
ფუძედ ვაქციოთ ნაფუძარები,

ავაღუღუნოთ მიწა მესხური,
წინაპართაგან ხოტბა-შესხმული,
და სიამაყე ჩვენი სულისა.
გამატეხინე პური გლეხური,
კაცის და მიწის სიყვარულისა.
მხარი მომაბი, დავრგათ ვენახი,
მამაპაპის ძვლებს ხელი შევახოთ,
ვნახოთ ნამტვრევი ღვინის ჭურისა;
და ახალ ხმაზე ისე შევძახოთ
ჩვენი სიმღერა სიხარულისა,
რომ გავაგონოთ თვითონ საფლავშიც
ეს უძლეველი ჩვენი დაფდაფი.
გაზაფხულია, დაჰქრის ნიავი,
დამლოცე, აღარ დამაგვიანო
ომიდან შრომის ფრონტზე მივდივარ
და გულში ტრფობის ცეცხლი მინთია.
ჩვენ თვით მიწასაც ვერ დავეხსნებით,
თუ არ აყვავდა მთელი მესხეთი;
თუ არ იგრგვინა გმირთა მხარიდან
და არ წამოდგა მკვიდრი ხალიბთა,
თუ არ გაჭედა რკინა ახალი,
უძეველი და შეულახავი;
რომ ქვეყნის მომხდურს ისე ვმუსრავდეთ,
ვერ ბრუნდებოდეს უკან ვერცერთი.
კიდევ მოველით ახალ რუსთაველს,
უშრეტელია მიწა მესხეთის.
მე სულ სხვანაირ მესხეთს ვაშენებ;
მას ვერ ედრება ძველი მესხეთი.
იმ ძველ დიდებას დღეს თუ ვახსენებ
და სიყვარულის მზეს ვესესხები,
მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ლტოლვა

მოისწრაფოდა დღეის დღემდინა,
და ბედნიერი სწორედ მიტომ ვარ,
გულზე ნათელი მიტომ მედინა,
რომ წილად მერგო ეს დიდი ვალი,
ამოძრავება ახალ ცხოვრების,
მე ქედუდრეკად გავჭედე რვალი
და საფრთხეს თვალი გავუსწორევი.
ვანგრევ მიწურებს და თვით მიწაზე
დამდაბლებულებს ისე ვამაღლებ.
მე სიმღერებით გამოვიცვალე
და ჩვენი ტკბილი ყოფა მალაღებს.
ასე ვაბრუნებ ცხოვრების ბორბალს
და გამარჯვების ბრწყინავს ისარი.
ვაშენებ მესხეთს, სიმხნევე მომდგამს,
კრემლიდან მომდის მზე და მიზანი.
გაზაფხულია და ისმის მთიდან
ტკბილი ღუღუნი სალამურისა.
მივდივარ ბაღში, სიმღერა მინდა...
ზეცით ჟუჟუნა წვიმა მასველებს,
ყურში ჩამესმის ხმა ბულბულისა...
ქალო ლამაზო, მესხეთს ვაშენებ,
გზა დამილოცე, შენი სულისა!

ბაგრატ მაზანაშვილი

სიმღერა ხრამის ელვაზე

,,იდგნენ და ელოდნენ"...

ვ ა ჟ ა

ბედენის ტყეში ძველთაგან
ლანდებსა ჰქონდათ ღრეობა.
ბედენის მთასთან მგელივით
ღმუოდა ხრამის ხეობა,
ბედენის მთასთან წყვდიადმა
მზეს შეურცხვინა მზეობა.

აქ ბეშტაშენის კონცხიდან
ისმოდა გრგვინვა ნადირთა,
ხრამებში გადაჩეხილთა
მრავალი დედა ატირდა,
მუდამ გოდება ისმოდა
შმაგი მდინარის ნაპირთა.

წალკელი ხალხის კვნესაზე
ფრთაცივი ქარი მღეროდა.
ცაზე ვარსკვლავი არ ჩანდა,
ირგვლივ ბნელოდა, ბნელოდა,
ხალხი ელოდა სინათლეს,
ხრამიც სინათლეს ელოდა.

დასრულდა მათი ლოდინი,
ღამე დაეცა მოღლილი.
შუქი აენთო კაშკაშა,
მზემ გაუცინა თრიალეთს.
დღეს ხრამზე დიდი ბელადის
სიბრძნის ნათელი ციალებს.

ვალერიან საღლიანი

ალექსანდრე ჯაფარიძის თქმული

გაუხვრეტია ლურჯი გუმბათი
და თეთრი შუბლით ზეცას შეჰხარის,
დგას თოვლიანი უშბა, გულბათი[1],
ელვადაკრული და ნამეხარი.

შემოღამდება, შუქს ველი მთვარის,
შხელდის[2] მწვერვალსაც ჩაეძინება,
ღრუბლების ტევრში შრიალებს ქარი
და ფიფქებს მათოვს ბროლის მძივებად.

კლდეზე გაკრული ნისლი ფრიალებს.
ჩასძინებიათ მთებს დათოვლილებს,
და მყინვარებში მოხეტიალე
დალი გრძნეული მიმღერის ,,ლილეს“.

შემაჟრიალებს სიმღერა მისი,
დასისხლულ მხრებზე მახვევს დალალებს,
მთხოვს: დავივიწყო ჩემი თბილისი
და ისევ მთებთან ბრძოლას მავალებს.

ის ჩემთან მოდის აქ ყოველ დილით,
დასაღუპავად არ გამიმეტა,
მიმქრალ თვალებზე ცრემლების ღილი
დაჰკიდებია მარგალიტებად.

მრისხანე უშბამ მიგულა ტოლად,
სამარადისოდ მიმიღო, მიძმო,

[1] - მწვერვალია
[2] - მწვერვალი

ვით შევურიგდე, მწყურიან ბრძოლა,
კიდევ მრავალი მწვერვალი მიხმობს.

ქარი წიოდა, თოვლიან ხრამებს
ვეჭიდებოდი მხრებდასეტყვილი.
მეხთა ჭიდილში ცხრა დღე და ღამე
კლდეზე ვეკიდე, როგორც ბეთქილი.

ნისლი შორდება შხარას თოვლიანს,
წუთით ჩადგება ქართა ქუხილი,
ვხედავ ყინულზე სძინავს ონიანს
და ნაპრალებში ბორგავს მუხინი.

წამოდგებიან ჯანღიდან მთები,
ცას გლეტჩერების გუგუნი ბზარავს,
ლეწავს გრიგალი სიკვდილის ფრთებით
მარადიული ყინულის კარავს.

მდინარე დოლრასთან

სძინავთ ნისლებში უშბის მყინვარებს,
კავკასიონი თეთრად ირთვება,
გაცოფებული დოლრა მძვინვარებს
და კლდეზე ქშენით მოეზვირთება.
ქვიშის[1] მთებიდან გიჟი მდინარე
ბეჩოს[2] ხეობას სტუმრად სწვევია,
შავ ტალღებიდან ქვები გმინავენ
და ასაკლებად ხევს მოსევიან.
მე არ მსმენია სიმღერა ჯერ აქ,
დღეს აქაც არის შრომა მედგარი,
ჯავრით შეჰყურებს ამართულ წერაქვს

[1] - მთის სახელია.
[2] - სოფელია სვანეთში.

წყალი გიჟი და დაუდეგარი.
ტალღა ხმაურით ტალღას აწყდება,
მთებს ეზიდება შრომა გმირული,
არის სიმღერა და აღტაცება,
გუგუნებს ჰანგი კომკავშირული.
აქ დაიდგმება ფოლადის ბურჯი,
ცა მავთულებით დაისერება,
გულმკერდს გაიხსნის მდინარე ურჩი
და მთებში წავა ალის ჩქერებად.
აიშლებიან ჩიტები ტყეში,
მთების ქარავანს შესძრვს ლაღუმი,
კლდეში ჩაკეტილ ტალღების თქეშით
გაიმართება სხივთა აღლუმი.
უშბა თეთრდება, არყის ხეები
თოვლის ფიფქების თავშალს ისხამენ,
ილეწებიან სალი კლდეები
და ხევში გმინავს დოლრა მრისხანე.
ბრაზმორეული მდინარე ხვნეშის,
შრომის ყიჟინით ხმაურობს ჭალა,
ჩემი სვანეთის თოვლიან მთებშიც
ჰქუხს სტალინური ხუთწლედის ძალა...

ჭიანური

ცას შესტიროდა მტვრიან კარვებთან,
სდუმდნენ კოშკები ფიფქებიანი,
და ჩემს წინაპრებს დარდს უქარვებდა
შენი ,,ლილეო“ იმედიანი.

ფრთების ფარფატით გაფრინდნენ წლები,
უკვე ასრულდა, რაც შენ ინატრე,
და ინდუსტრიის ცეცხლის მტრედებით

ანთებულ ჭერქვეშ დაიბინადრე.

შავი ნაბადი გადიძრო მთამა,
ძველი ცხოვრება გაჰყვა ნამქერებს,
სამუშაოდან მოსული მამა
ახალი დროის ჰანგზე გამღერებს.

მწყემსის კარავი დააგდე მთაში,
დაგვიწყებია ბეთქილის ლექსი,
და, ჭიანურო, შენს სიმღერაში
შრომის დიდების ღაღადი მესმის.

არჩილ სულაკაური

დიდი ბელადისადმი

ქართველმა ხალხმა ერთი ლამაზი, ერთი უკვდავი სიმღერა იცის:
ჭაღარააო თუმცა მყინვარი, მაგრამ ვინ თქვაო სიბერე მისი.

მამავ, ძვირფასო ადამიანო, შენი ჭაღარა ჩვენ შევიცანით,
როგორც ნათელი მარადისობის, როგორც სითეთრე მაღალ მთისანი.

ნათელო კაცო, შენი სიცოცხლე მარადიული აზრის გზნებაა,
სამოცდაათი წელი კი არა, სამოცდაათი გამარჯვებაა!

შენი სიცოცხლე და შენი გული ხალხის სუნთქვა და ხალხის გულია,
შენი სიცოცხლე ამ ძველისძველი მიწის პირველი გაზაფხულია!

რომ დაეზამთრა ეს გაზაფხული, რომ დაეთრგუნათ აზრი მაღალი
სამოცდაათჯერ დაგესხა მტერი, სამოცდაათჯერ დაეც მახვილი!

ნათელო კაცო, შენი სიცოცხლე მარადიული აზრის გზნებაა,
სამოცდაათი წელი კი არა, სამოცდაათი გამარჯვებაა!

რუსეთის ყანავ ბარაქიანო, გაუკაფავო ქართლის ვენახო,
მისი დიადი გამარჯვებები სამოცდაათჯერ კიდევ გვენახოს!

ქართველმა ხალხმა ერთი ლამაზი, ერთი უკვდავი სიმღერა იცის
ჭაღარააო თუმცა მყინვარი, მაგრამ ვინ თქვაო სიბერე მისი.

ჩემ ტოლ ამერიკელს

ორთავეს ერთად გველოდა მიწა,
ჩვენი დედებიც ერთად შფოთავდნენ
და ერთ დღეს გავჩნდით,- ნათელი მზისა
ჩვენ მოგვეახლა ერთ დღეს ორთავეს.

გველოდა ბედი ხალისით სავსე,

აღტაცებების გზები მრავალი;
მაინც რად არი სხვადსხვა ასე
ჩვენი წარსული და მომავალი?!
შენ თითქოს მკვიდრი არა ხარ მიწის,
გაქვს დაღრუბლული სამყარო მკაცრი.
რა იქნა შენი მაღალი ნიჭი,
რა იქნა შენი ნათელი აზრი?
შენ ქვეყანაზე არა ხარ თითქოს,
სად ხარ, გიხილო მთელი სისრულით!
არ მინდა, შენი სიცოცხლე იყოს
ასე უღმერთო და დანისლული!

ალბათ დადიხარ სადმე ქალაქში
და გენატრება სითბო, თბილი მზე,
შენ გაგათბობენ რუხი ფარაჯით,
რომ გაგიყვანონ ომის ბილიკზე
და დაცემული უმზეო ყოფით
ჩაიქნევ ხელს და იმედის ძებნით,
ჩაქცეულ მკერდზე მიკრული თოფით
წამოხვალ ჩემკენ სიკვდილის გზებით.
ვერც კი იაზრებ, რომ გავჩნდით ერთ დღეს
და ერთნაირი გველოდა ბედი.
თუ მაინც შევხვდით გზა-გზა თუ ტყე-ტყე,
რომ დავუცხრილოთ ერთმანეთს მკერდი,-

იცოდე, მოხვალ აქამდე თვითონ,
ო, მე კი შენი სიცოცხლე მსურდა.
რა ვქნა, გავჭედავ მხურვალე ლითონს
ჩემივე ტოლის საბრალო გულთან.
უთუოდ დაგცემ, დაცემის წინა
ნუ იტყვი, თითქოს ყველგან ბედია.

მე გამარჯვება მასწავლა იმან,

ვინც გამარჯვების შემოქმედია.

ჩვენ ერთ დღეს გავჩნდით და ჩემზე მალე

შენ დაგიხუჭავს სიკვდილი თვალებს.

თვით აირჩიე ეს გზები მრუდე,

თორემ მე შენი სიცოცხლე მსურდა.

შენ თითქოს მკვიდრი არა ხარ მიწის,

გაქვს დაღრუბლული სამყარო მკაცრი.

რა იქნა შენი მაღალი ნიჭი,

რა იქნა შენი ნათელი აზრი?!

მათი ყურები ისმენენ დუმილს,

შენ კი გაქვს სიტყვა და ხმა ძლიერი,

მუხლს დაცემული და ასე ჩუმი

თითქოს სავსე ხარ სიცარიელით.

ო, დაჩოქილი რატომ ხარ მუხლზე,

რად გიჩნს ქვეყანა მრუმე ფერებად?

მე ვიცი, ძალგიძს წამოდგე უცებ,

რომ მოიპოვო ბედნიერება.

ჩამომეცალე ნათელი გზიდან

და მეგობრობის გულწრფელი ღელვით

ოკეანეთა გადაღმა მხრიდან,

გამომიწოდე უშიშრად ხელი,

მომეცი შენი წრფელი მარჯვენა

ოკეანეთა გადაღმა მხრიდან

და ჩვენი მოდგმის გადასარჩენად

ასევე მდგარნი გადვიქცეთ ხიდად!

გზა ქალაქისაკენ

ფიქრებში ბევრჯერ გადამიხრია
მაღალი ზეცა და მაღალი მზე,
მე დამინახავს და მიფიქრია,
რომ სხვაა ახლა გზა ქალაქისკენ.
ყოფილა ჟამი, ყოფილა თურმე
გამათხოვრების ბოროტი გზები,
ვით ორღობეში ნაგაზი ურემს,
კაცს ბედისწერა მისდევდა ყეფით.
სტოვებდნენ სოფელს ერთი იმედით,
რომ სხვაგან სადმე ეშოვათ ლუკმა,
ქალაქის გზებზე, დაძონძილები,
ბნელ ჩრდილებივით ეყარნენ უქმად...
სივრცე, როდესაც გზები მიჰქრიან,
სიცოცხლეს დიდი სუნთქვით აგივსებს.
შენ დაგინახავს და გიფიქრია,
რომ სხვაა ახლა გზა ქალაქისკენ.
დასტოვებ სოფელს დოვლათით ავსილს,
მოხვალ და მოგაქვს ახალი ძალა,
თმის ბეწვებამდე ჯანსაღი კაცი
ნათელ თვალებით შესცინებ ქალაქს.
არა გაქვს მწუხრით ნაბინდი სახე,
არა გაქვს გულში დარდის ნასახი,
აქ მოგიყვანა საქვეყნო საქმემ,
შენ წამოჰყევი ქვეყნის დაძახილს.
ასე იცოდი: დიდ დაძახილზე
კაცი ყოველთვის ფეხზე იდექი.
შენ გიფიქრია: გზა ქალაქისკენ-
გზა არის ჩვენი ქვეყნის დიდების.
მოდიხარ, მოგაქვს ახალი აზრი,
მოდიხარ, მოგაქვს ახალი ძალა,

თმის ზეწვებამდე ჯანსაღი კაცი
ეწვევი რუსთავს- ფოლადის ქალაქს.

დ ე დ ა

მოველ, ალერსი რომ კვლავ მეგემა,
და შენს ბაგეზე დამხვდა ზაფხული,
ძველი ოცნება შემომეგება
შენს ღრმა თვალებში შემონახული.

ალბათ იგონებ, თუ წლების იქით
როგორ გამზარდეთ შენ და თბილისმა
და ცრემლნარევი თვალებით გიკვირს
დავაჟკაცება შენი შვილისა.

დედა, რა მალე გავიდა წლები,
შენ თმებზე თოვლი გადაგეყარა.
მახსოვს, ხელებში ამიტაცებდი,
რომ დამენახა შენგნით ქვეყანა.

მაჩვენე მიწა ათას ფერითა,
მიწა მხიბლავდა ფეროვანებით.
ქვეყანას ვჭვრეტდი შენი ხელიდან,
ქვეყანას ვჭვრეტდი შენი თვალებით!

მე რაღაც დიადს ვგრძნობდი მაშინვე,
ახლა გავაღე ფართო კარები,-
დიდი სიცოცხლე აღმოვაჩინე,
მიდი, შეხედე ჩემი თვალებით!

განთიადივით ნათელო დედავ,
წლებს ეღიმებათ დათოვლილ თმაში.

ვხედავ, უამრავ ვარსკვლავებს ვხედავ
შენს ღრმა თვალებში, როგორც ორ ტბაში.

„მეათე კლასში"

შუბლზე ტკივილის უხმო ნახაზით,
აზრდაკარგული და ფერმიხდილი,
სადღაც ოთახში თეთრი საკაცით
შეიტანეს და დაგეს სიფრთხილით.
ეხეთქებოდა მინებზე ქარი
და გუგუნებდა, როგორც ღუმელი,
ფრთხილად დახურეს ოთახის კარი
და დაამწყვდიეს თეთრი დუმილი.
როცა მოთავდა ტანჯვა და შფოთვა,
გზადაკარგული დაბრუნდა ფიქრი,
შეხედა თეთრად შეღებილ ოთახს
და გაიხედა ფანჯრების იქით.
მან სასწაული იხილა თვალით:
გედივით ჩანდა მთაწმინდა ნისლში,
რაღაც საოცრად ათრთოლდა ტანი
და ცივ ძარღვებში გაუთბა სისხლი.
სულ წინათ, მგონი, დიდიხნის წინათ,
ასე ტკბებოდა მისი ნახვითა
და მგონი იყო სულ პაწაწინაც,
როცა უმზერდა ამ ოთახიდან.
ოთახში მაშინ მერხები იდგა,
კედელზე დაფა ეკიდა დიდი.
ასე უმზერდა მთაწმინდას დიდხანს
და წიგნს ფურცლავდა მელნიან თითით.

მოწყალების და

არ ასდიოდა სიცოცხლის ორთქლი
გულშემზარავად დახსნილ იარებს.
დაჭრილ მეომარს უმზერდნენ შფოთვით,
ეგონათ შველა დააგვიანეს.
გატყდა ჭურჭელი მტკიცე ნებისა,
გულს შემოაწვათ წუხილი მძიმე,
მაგრამ პატარა მოწყალების და
არა ჰკარგავდა არაფრით იმედს.
ფიქრობდა: მასში სიცოცხლის დიდი,
დიდი სიცოცხლის მძლავრი ფრთებია,
ვაჟკაცები და გმირები სიკვდილს
ასე ადვილად არ ნებდებიან.
უვლუდა, ყოველ ღამეს უთევდა...
და წამომდგარმა ვაჟკაცმა ბლოს
უთხრა: სიცოცხლის მოსაბრუნებლად
შენი თვალები კმაროდა მხოლოდ.
მაისს მოჰქონდა სუნთქვა მთებისა,
სიყვარულივით მზემაც იალა.
რისთვის განკურნა მოწყალების დამ,
თუ გაუჩენდა ახალ იარას?
მაისს მოჰქონდა სუნთქვა მთებისა,
სიცოცხლესავით ენთო მზის სხივი,
და უმოწყალო მოწყალების დამ
ის მიაცილა ჭიშკრამდის ღიმით.

რ. ფეიქრიშვილი

ბექა ოპიზარს

ყოფილხარ თურმე ალვების ტოლი
და სასახელოდ ჰყოლიხარ დედას,
ფეხქვეშ გეფინა ვარდების ბოლი,
უკან ყვავილთა ქარი მოგდევდა.

არა გწამდა რა სამშობლოს იქით,
მიწა იწვოდა მწვანე ფარჩებად,
იყავ მოსილი ნათელი ფიქრით
და ღმერთსაც შურდა შენი მარჯვენა.

დაღლიდი ოქროს, შენ რა დაგღლიდა,
თავს ნათლის სვეტად გადგა თამარი,
და მის თვალებშიც თურმე გიხატავს
ქართული ზეცის მშვიდი თავანი.

და კლდის ტინებზე ხანჯალალესილს
ნახევარმთვარეს გესროდა მტერი,
იცოდნენ, რომ შენს ნათელ თვალებში
ოქროდ დნებოდა ყვავილთა მტვერიც.

ალამაზებდი სამშობლოს ასე,
ოქრო ცვიოდა თოვლის ფანტელად,
შენი ნაჭედი მზე იყო ცაზე,
მზე თავდახრილი იდგა ხატებთან.

ყოფილხარ... ნეტა, ახლა სადა ხარ,
რომ შენ ბელადის შუქი გაჩვენა,
აბა, ენახათ მაშინ ეგ ძალა,
აბა, ენახათ შენი მარჯვენა!

ო, სად ხარ, სად ხარ, ნეტა ეხლა და,
შენ თუ სახელი მართლა გინდოდა,
ბელადი ცაზე უნდა გეხატა,
რომ ასულიყავ ცამდი თითონაც.

გზა მშვიდობისა

აქ დაუსვიათ ხალიბელთ პალო,
აქ სისხლში გიხნავს, სისხლში გითესავს,
ზეგთარგაუხდელს შეგიბამს კალო,
ყალყზე შემომდგარ ვეფხვთა ნათესავს;

სისხლსა და ოფლში გიწრთვია ხმალი,
ჯავშნის ჯახანი გსმენია ნანად,
ხეკორძულაში შეგისვამს წყალი,
წყალი- დედის რძის მირონისთანა.

ომში ცვდებოდა მერნის ნალები,
ქარი კონავდა ისრების თავთავს,
შენი ნაზარი,
შენი ნახმლევი
ცხრათავა დევის ნამუხლარს გავდა.

მარჯვენა გქონდა, სიცოცხლედ ღირდა,
გული გქონდა და ადნობდა რკინას,
ლხინიც გიყვარდა ქვევრების პირას,
შენი ,,ურმული“ სიცოცხლედ ღირდა,
შენი ,,დავლურიც“ სიცოცხლედ ღირდა.

სამგორის მიწას გიგავდა მკერდი,
მიწას- შურთხების თვალებით ნამზერს,
ვეფხვი ვეფხვების პოემას წერდი
ცეცხლმოკიდებულ ვეფხვების ტყავზე.

ტივებად წლები მტკვარს მიჰყვებოდა,
ჟანგს არ იდებდა სისხლით ნაშენი,
შენი გული და მარჯვენა შენი.

მოხველ მშვიდობით, ნამეხარს გავხარ,
გუთანს და უროს ჩაავლე ხელი,
და ხარაჩოზე ამაყად დგახარ
ამირანივით გაშლილი მხრებით.

აქ მიგიღია ქართული მადლი,
აქ სისხლში გიხნავს, სისხლში გითესავს,
გზა მშვიდობისა, გფენოდეს ვარდი
ყალყზე შემომდგარ ვეფხვთა ნათესავს!

გახსოვს?!

გახსოვს აქ მწვანე, მწვანე თაველი,
რაღაც უცნაურ სხივით ნაბური,
შენ უშორესი გქონდა თვალები,
მე სიყვარული მქონდა ზღაპრული.

გახსოვს, მზის სხივებს ვუშვერდი კალთას
და ამ სხივებით გივსებდი თვალებს,
ბაზალეთის ტბა ზეცაში ჩანდა,
ოქროს აკვანი გვეგონა მთვარე.

და მერე ამ გულს ოცნებად დარჩა,
რომ ღამეს შენი თმის ფერი მოჰყვა,
მოვდივარ მოლზე, მიღიმის ახლაც
ჩემი ბავშვობის დამწვარი ლოყა.

ნეტა თუ გახსოვს მწვანე თაველი,
რაღაც უცნაურ შუქით ნაბური,
შენ უშორესი შეგრჩა თვალები,
მე სიყვარული შემრჩა ზღაპრული.

კარლო ქილარჯიანი

გახსენება

ახლაც ცივა და მაშინდებურად
ოთახში თოვლი შემიტანია,
კედელზე ღამის ლანდებს შევყურებ
და იქ ჩემს თვალწინ შენი ტანია.

მეომრებს გზაში მოგვისწრო ღამემ
და გავხდით შენი ბინის მთხოვარი.
ისე თეთრი და სათნო იყავი,
ვით მუზარადზე დანათოვარი.

შეცივებულებს ცეცხლთან გვათბობდი,
შენ გეუცხოვა ჩემი სიშავე,
მე საქართველოს ამბით გართობდი,
თბილისი თვალწინ გადაგიშალე.

შენ მთელი ღამე მიმზერდი ლხენით
და მეც შენს გარდა არას ვხედავდი,
ზღვის ნაპირივით გიხურდა ხელი
და მიკარებას ვერ გიბედავდი.

ჩუმ სიმძიმილით გამომესალმე,
ღაწვი დაჰფარა წამწამის წიწვმა,
და მე შენს გამოც, შენი კვნესა-მე,
შევიტკბე შენი მშობელი მიწა.

ახლაც ცივა და მაშინდებურად
ოთახში თოვლი შემიტანია,
კედელზე ღამის ლანდებს შევყურებ
და იქ ჩემს თვალწინ შენი ტანია.

ნოდარ შამანაძე

ფიცი კომკავშირს

ეს ბილეთი, მკერდთან რომ მაქვს, ჩემი გულის ნაწილი,
რომ ბრწყინვალებს ჩაუქრობად ზედ სახე მთის არწივის,
იცით, ძმებო, რას მავალებს? იცით, რას მომიწოდებს?
-ხალხისათვის სამსახური ლენინივით ვიცოდე.

და ეს დიდი დავალება გულში ცეცხლად ანთია,
შრომა- გარჯით ვეგებები ყოველ ახალ განთიადს.
მსურს რომ საქმე გავაკეთო ყველას გასაკვირველი,
ვასახელო კომკავშირი, ჩემი დედა პირველი.

... შორს მხეცი რომ იღრინება თავის შავი ფიქრებით,
მის პასუხად უფრო გამრჯე, უფრო მტკიცე ვიქნები,
თუ ეცდება ჩემს სამშობლოს მგლურად გაჰკრას კბილები,
მშობელ მხარეს ოლეგივით მსხვერპლად შევეწირები.

გიორგი შახსევანიძე

თავისუფლების მეგლი ამერიკაში

ის იყო თქვენი ქვეყნის მეუფე,
თქვენ კი მორჩილნი იყავით მისი.
თვალები გაჰყვნენ ცრემლიან ღრუბელს,
რომ დაენახათ მზე მარადისი.

იყო წუხილი მზისა და მიწის,
გაშლილ იალქნებს მისდევდით ერთად,
ბევრმა თქვენგანმა გასტეხა ფიცი
დაკარგულ ბედის მაძიებელთა.

რა იყო სევდა დაღლილ მგზავრების,-
ის მხოლოდ ერთმა იცოდა მაშინ,
რომ თქვენ ხართ მათი შთამომავლები,
ვინც მზეს და მიწას ეძებდა ზღვაში.

რომ გაექცნენ ციხეს და ტანჯვას
და დაეძებდნენ უდარდელობას,
სწყევლიდნენ მიწას, უკან რომ დარჩა,
როგორც სევდა და როგორც მკვლელობა.

მაგრამ წავიდნენ ის წლები, თვალებს
რომ ამძიმებდა ფიქრებით მუდამ;
და თქვენს შორეულ სივრცეს და მხარეს
მისი სახელი ყოველთვის სძულდა,

ვინც ჩამოასხეს თქვენმა ხელებმა,
უკანასკნელი, როგორც ღვთაება,
მაგრამ მოგწყინდათ მისი ხსენებაც
და გაიელვეს ბნელში დანებმა.

ის მიატოვეთ ჩუმი დაცინვით,
და იგი გახდა თქვენივე მონა,
თქვენთვის იბრძოდა უცხო კაცივით,
ვით შერცხვენილი ზანგის გოგონა.

მასაც წაართვით მაღალი ნიჭი,
ყალბად შექმნილი დიდების ძალა,
და გამოაგდეთ, ვით ქუჩის ბიჭი,
ვით უფლისწული და მაწანწალა.

მის ქვეშ შეირყა სამყაროს ძირი
და სასიკვდილოდ აძლევთ იარაღს,
მცირეზე მცირე იყო მანძილი,
სადაც იშვა და გამოიარა.

სადღაც დავარდნილ ღამეებს მიჰყვა,
მაგრამ მან შური ვეღარ იძია,
კვლავ ნაპირებზე გამოირიყა
და თქვენს მკლავებზე ჩამოიძინა.

გსურთ მისი ყალბი დასახელებით
შორი ქვეყნების გახდეთ მპყრობელი,
და გაქროლებულ ოქროს ცხენების
გწვავთ სურვილები ჩაუქრობელი.

მაგრამ ის თქვენგან უკვე წავიდა,
სახენაცემი, ვით ღამის ქურდი,
როგორც კოლუმბის იალქანიდან
გადაფრენილი მტრედების გუნდი.

პატარძეული

მტერმა რომ გადინადირა
ველები ალაზნიანი,
მზის პატარძალი გატირა,
მთვარესთან დანაზიარი.

სატრფო მოგიკლეს ტაშისკარს,
მტრისგან შეიქმენ ძლეული.
ობოლი პატარძალი ხარ-
სოფელი პატარძეული.

შეგხვდები ღამენათევარს
მე სიყვარულით უჩვევით,
ზედ დავაკვდები სატევარს
სისხლით მოსვრილი ტუჩებით...

ალვანის პირას დაეცა,
გული ბრძოლებში ნაცადი,
ბაკურის ციხე დალეწა,
ქარს გაატანა ნაცარი.

მარჯვენა მხარი შემახმა,
სიცოცხლე აღარ მაცალეს,
დედაჩემი ხომ შენა ხარ,
უდაბნოში რომ გაწამეს.

ქართველი დედა შენა ხარ,-
გიხმობ, გეძახი შორიდან,
ო, ერთხელ მაინც მენახა
მზის მოქნეული ტორი და...

ცეცხლი ნახშირის თვალების,
ჯვარისწერა და მაყარი,
როცა ყმაწვილი ქალები,
მხრებზე თმა-გადანაყარნი,

მოგსდევდნენ მთების პატარძალს,
ჩემს დედას ალვისტანიანს...
მე სიყვარული იმ დღეთა
საფლავში ჩამიტანია.

გიხმობ გომბორის მთებიდან
შვილი, მიწაში წოლილი,
სიკვდილი მიწას ვაჩუქე
მტრებისგან გამოყოლილი.

თავს გიხრი, დავბრუნებულვარ...
შენს სახეს ველარ ვხედავდე?
შენს მიწას კვლავინდებურად
კოცნას რომ გავუბედავდე...

რადაც შენ გადქცეულხარ,
რა იქნა შენი სხეული?
გიკითხე:-ეხლა ყოფილხარ
სოფელი პატარძეული.

თ. ჩხენკელი

რომ გაეზარდა დიდი ზელადი

ამ მიწას ჰქვია ქართული მიწა
ამ წყალს მტკვარი და ამ ციხეს გორი,
ლეწდნენ ათას წელს და ვერ მილეწეს
ვერ მიულეწეს გული და თორი.

ამ ვენახს ჰქვია ქართლის ვენახი
ჰკაფეს და მაინც ღერო მოისხა...
დაჰკრავს ნიავი, მტევნებს შეარხევს,
მოიტანს სურნელს წარსულ დროისას-

აქ გაახილა თვალები, მზესაც
აქ შეუმართა მზერა ორბული,
მერე მთასავით აიჭრა ზეცად
და დაამდაბლა ხალხის ორგული.

აი, ამ ველზე დარბოდა იგი
ამ წყაროს წყალი პეშვით შეუსვამს-
იგია- ვისი საქმე და ფიქრი
მთელს ქვეყანაზე ბოროტს შემუსრავს.
დიაღ- ამ მიწას ქართული ჰქვია-

ამ წყალს მტკვარი და ამ ციხეს გორი
და ამ მიწაზე აიდგა ფეხი
ზელადმა, - ვინაც დუშმანის თორი
დალეწა დიდი სიმართლის მეხით.

აი, ამ ქოხთან- ადრე თუ გვიან,
წელს თუ გაისად,
დღესა თუ ხვალე

გამარჯვებული მშრომელი მოვა
ყველა ქვეყნის და ყველა ხალხისა
მოვა და ამ ქოხს მიაპყრობს თვალებს...

დონელ კაზაკს

შენ დონის ნაპირას დაგერქვა კაზაკი,
ფერავდი ხმალს- ვერცხლით შეჭედილს,
გყავდა ცოლშვილი, დედაც... სხვა გზა კი
შენ აღარ გქონდა და არც ეძებდი.

დონის ნაპირებმა სულიც გაალურჯეს,
შენც დონის სიგრძეზე სჭიმავდი გარმონს-
იმ ძველ სიყვარულზე, წარსულ სიყვარულზე
და უვრცეს სტეპების გამო.

მერე ცა დაფარეს ღრუბლებმა შავად,
შენ კი გეძახოდა მაღალი კრემლი,
და როცა დარეკა ბრძოლების ჟამმა,
გაშლილ ველებიდან წამოგყვა ცრემლი.

იდექი ტალღებით დარწეულ გემბანზე,
დონის სიგანეზე სჭიმავდი გარმონს-
იმ კარგ ცხოვრებაზე, ლამაზ ცხოვრებაზე
და ისევ სტეპების გამო.

იცოდი ბრძოლის მკერდით გატანა
და როცა მიხველ დონის ნაპირთან-
ბიჭებმა ნახეს, გულად ატამანს
ცრემლები როგორ დადინდა.

არც სახლი, არც კარი, არც ლამაზი ცოლი-
აეკლოთ და გადაებუგათ...
ისინი გეძახდნენ-გეარა ბრძოლით,
დონისპირს გაზრდილო ბერმუხავ-

და ისევ ზვირთებმა სული გაალურჯეს,
დონის მთელ სიგძეზე სჭიმავდი გარმონს-
დიად სამშობლოზე, უკვდავ სიყვარულზე
და ბოლოს სტეპების გამოც.

ოცნება ლტოლვილ ქალზე

ერთმანეთს შევხვდით მყუდრო ბინაზე
ორმოცდაორის მძიმე ზამთარში.
მე ეხლა მიკვირს, ასეთი ნაზი
იმ ქარიშხალში როგორ გადარჩი.

გეხვია შალი ნისლივით სველი,
თვალებშიც ნისლი გერია თითქო.
მე ჩამოგართვი პატარა ხელი
და რა დიადი ვიგრძენი სითბო.

მე გაგიღიმე სახეგადაშლით
და შენ აცრემლდი სამაგიეროდ...
(გეცვა ჩექმა და ქმრის ფარაჯაში
თავს გრძნობდი თითქო უფრო ძლიერად).

არ გახსოვს მერე? გასროლილ ტყვიას
ჰგავდა სიცოცხლის ყოველი წამი,
შენ ბრუნდებოდი ქარხნიდან გვიან
და ჩუმად რატომ სტეხავდი ღამეს?

გვიამბე მერე დაღლილი სახით,
გაბზარულ ხმაში ჩაჟანგულ რისხვით:
დაღუპულ ქმრის და გადამწვარ სახლის,
და ვრცელ მამულზე გაწოლილ ნისლის.

ასე გავიდა ორმოცდასამი...
ახალი წელი იწყებდა კიაფს,
ვგრძნობდით ორივე: ყოველი წამი
ჰგავდა მტრისაკენ გასლოლილ ტყვიას.

შენ შეითვისე იერი ჩვენი-
(ბელადის მხარეს მადლობას უთვლი)
და მომილოცე ქართული ენით
მაისი ცხრაას ორმოცდახუთის.

ეხლა ვიგონებ: როგორ გადარჩი,
როგორ შეგიტკბო ქართველთ ოჯახმა
(გეცვა ჩექმა და ქმრის ფარაჯაში
თავს გრძნობდი ალბათ უფრო ყოჩაღად).

ეხლა შენ ხარობ მშობლიურ სივრცით,
იგონებ მზეს და ჩვენებურ ჭალას,
და გულით დაგაქვს ქართული მიწის
ზღვა სიყვარული, სითბო და ძალა.

ვახტანგ ძნელაძე

დავით გურამიშვილს

1948 წლის 30 ივლისს, უკრაინის ქ. მირგოროდში დავით გურამიშვილის საფლავს ქართველმა მწერლებმა გადაყარეს ქართული მიწა წაღებული ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან.

წილად არ გხვდა მშვიდ ცხოვრებას მიჰყოლოდი,
ბრძენ მელექსეს უშფოთველად გეშრომა,
საუკუნო ბინად გერგო მირგოროდი,
არ გეღირსა თვალზე ცრემლის შეშრობა!

მტრის ტყვია და განსაცდელი გდევდა ფლიდი,
ფიცხელ ომში არვინ გცნობდა ჯაბანად,
უკრაინას შენ მეორე დედად თვლიდი,
მან ხომ მშობლის კალთა გადაგაფარა!

ქართლის ჭირით სამშობლოდან გატყორცნილო,
გიმგზავრია ფიქრით თბილის-მცხეთამდი,
გმირი ხალხის მეოცნებე, სათნო შვილო,
ზუბოვკაშიც საგურამოს ხედავდი!

უმზეობამ, უძეობამ გაგამწარა,
ლექსი იყო შენი დარდის გამგები,
ხალხს არ ჰქონდა ვარდიანი გზა და შარა,
გულს დაკოდილს- სიხარულის ჰანგები.

დრო გავიდა, მეამბოხე ქარიშხალმა
მოსპო კვნესა მესტვირეთა, კობზართა,
უკრაინა სიმღერებად აიშალა
და ქართლშიაც გაზაფხული მობრძანდა.

მზემ გაათბო ხუნდშეხსნილი კაცის გული,
შენ საფლავზეც მზეა, განა ჯანღია!
გიხაროდეს, გულზე მიწა მთაწმინდური,
ქართლის მიწა, მგოსანთ მიწა გაყრია!

ის შენ სიტყვის ოსტატებმა მოგიტანეს
უანგარო სიყვარულის საწმინდარად,
რომ ბრძოლებით და ტყვეობით მოღლილ ქართველს
მარადიულ ძილს გიტკბობდეს მთაწმინდა.

თეთრი სახლი

თეთრი სახლი, შავი ფიქრით
ღამის თეთრად გამთევარი,
თეთრი სახლი- აღმართული
სისხლიანი სატევარი,

ვაშინგტონის თეთრი სახლი
განა მართლა თეთრი არი?!
სიკვდილივით შავბნელია,
სიკვდილივით კეთრიანი.

შავი კანის დამშანთველი,
შავი აზრის შემოქმედი,
არ ანებებს ადამიანს,
რომ თავისი სჭედოს ბედი.

თეთრი სახლი, ოდესღაც რომ
ხანძრის კვამლით გადირუჯა,
დგას, ურცხვი და უტიფარი,
ატომური წარღვნის ბურჯად.

სახლს, რომელსაც სურს რომ იყოს
სიღატაკე ხალხის ხვედრი,
სახლს,- მსოფლიო გლოვის მდომელს,
რატომ უნდა ერქვას თეთრი?!

ზურაბ ჭუმბურიძე

„ვეფხის-ტყაოსანი“ ბელადის მაგიდაზე

შვიდასი წლის ნამქუხარევს
ჭაღარაც არ გარევია:
რა უჭკნობი პწკარებია,
რა გრძნობათა ღვარებია.

რა წიგნია მადლიანი,-
გადაშლი და გაგიტაცებს...
ერთი წიგნი, აზრით სავსე,
ძევს ბელადის მაგიდაზე:

ზოგჯერ გაშლის ამ წიგნის იგი
და ხელახლა გადიკითხავს,
ყურს დაუგდებს მგოსნის სიტყვას,
თვალს ადევნებს პწკარებს დიდხანს.

სიყვარულის უკვდავ ამბავს
მოუყვება შოთა ლხენით,
და საუბრობს ბრძენთან ბრძენი
ულამაზეს ქართულ ენით.

გაათავებს, გაიხედავს-
გაკრთომია ფერი ღამეს,
ფანჯარასთან განთიადი
ცისფერ თვალებს ახამხამებს.

აგონდება,- სტრიქონებზე
სალოკ თითს რომ ადევნებდა,
წიგნის კითხვით ქართლელებთან

ღამეებს რომ ათენებდა.

გულით როგორ ატარებდა
ნესტან-ქალის დახსნის იმედს,-
გაიხსენებს და ბელადი
ულვაშებში ჩაიღიმებს.

რუსთველის ძეგლი თბილისში

როცა თბილისი ღამის ბინდს გაშლის,
ცა იმოსება ძვირფასი სტავრით,
რუსთველის პროსპექტს გავყვები მაშინ,
რუსთველის ძეგლთან შევდგები მგზავრი:

მოისმის მტკვარის ტალღების ტაში,
შარიშურობენ ირგვლივ ფოთლები,
და ამწვანებულ ბუჩქების ტბაში
დგას შოთა, დინჯი და უშფოთველი.

მე აქ უწინაც მინახავს იგი,
როს თბილისის ცას ნისლი ებურა,
როს კავკასიის მწვერვალთა იქით
მტერს ვეკვეთენით ვეფხისებურად;

როს ცაც შფოთავდა, მიწაც შფოთავდა,
მტრის ქვემეხები ქუხდნენ ქლუხორთან,-
მაშინ მრისხანედ იდგა შოთა და
მტრის შესამუსრად გმირებს უხმობდა.

შოთას არ სურდა, მისი სამარე,
გმირთა სავანე რომ შეებილწათ,
რომ შეებღალათ მისი თამარი

და მარად თბილი ქართული მიწა...

და მაშინ იყო,- დიდი ქართველი
მთებზე გადმოდგა გმირი ბერია,
და მაშინ იყო,- მტერი გავთელეთ,
შავი ურჩხული მოვიგერიეთ.

გადარჩა ქართლი, გადარჩა შოთა,
გადარჩა ქოხში ბრძენის აკვანი...
შემდეგ მიწყნარდა ომი და შფოთვა,
სისხლში ჩაიხრჩო მტერი მზაკვარი.

ისევ აყვავდნენ ყაყაჩოები,
ფერი გაუკრთა შავ-ბნელ უკუნეთს,
ისევ მინდვრად თუ ხარაჩოებზე
შრომის დიადი ჰანგი გუგუნებს.

ახლა მშვიდად დგას რუსთველი ისევ,
დგას და გულდინჯად გასცქერის ქალაქს...
და მე, იდუმალ, შოთას ხმას ვისმენ:
-ბოროტსა სძლია კეთილმა ძალამ!

შვიდი ჭადარი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წინ დგას შვიდი დიდი ჭადარი.

შვიდი ამაყი ჭადარი, მკლავით მკლავს გადაჭდობილი,
მეცნიერების ტაძრის წინ დგას როგორც შვიდი ძმობილი.

მე მიყვარს მათი შრიალი, მათთან ფიქრების განდობა,
ისინი ლხენით უცქერენ ჩვენს წარმტაც ახალგაზრდობას.

მახსოვს,-მოვედი და კართან გულის ფანცქალით შევდექი,
ხელთ ატესტატი მეჭირა- ათი წლის შრომის შედეგი,

მეჭირა ლურჯი ფურცელი - ჩემი სიმწიფის დასტური,
დამშრიალებდნენ ჭადრები, ხელი- ხელ გადალასტულნი,

ნანიავები ტოტები ჩემი გულივით ტოკავდა,
მათი ფოთლების შრიალი დედის დალოცვას მოჰგავდა...

მას შემდეგ მიყვარს ისინი ფართოდ გაშლილი ხელებით,-
შვიდი ჭარმაგი ჭანდარი,- შვიდი ძმა, გურჯანელები.

არჩილ სულაკაური

ლ ა შ ა

პოემა

იდგა ზაფხულის საღამო წყნარი,
მთვარის ნათელი ეფინა ქუჩებს,
როცა ჭაბუკი, მაღლი ტანის,
ძველ შენობასთან შეჩერდა უცებ.
ისე შეაღო ჭიშკარი რკინის,
არ გაუღია, იტყოდი, დღემდე.
თითქოს კედლიდან მოცლილი კირი
პირველად ნახა ბავშვობის შემდეგ.
მზერა ეზოში მიმოატარა,
ნაძვები ცისკენ იშვერდნენ თითებს.
იფიქრა: ჩემი ეზო პატარა
მთელი მსოფლიოს ვარსკვლავებს იტევს.
იგი ოთახში შევიდა მყისვე,
გარეთ ყოფნის დროს შეცივდა თითქოს,
მაგრამ შემცირდა ოთახში სივრცე
და შეეზიზღა დახშული სითბო.
მან გამოაღო ფანჯარა უმალ,
ხელის ფათურით სინათლე ჩართო,
რბილ სავარძელზე ჩამოჯდა ჩუმად,
ნახა, ბარათი დაეგდოთ კართან.
ის არ ელოდა რატომღაც წერილს,
აიღო, გახსნა, როგორც საუნჯე.
გადაიკითხა ბარათი ვრცელი,
მეტყველნი თვალნი წამით დამუნჯდნენ.
მან გაშტერებით პოვა წერტილი
სარკმელის მიღმა, სივრცეში სადღაც.
გულიდან მოწყდა რაღაც წვეთივით,
თვალწინ ნაცნობი გოგონა დადგა.

გულს უკაწრავდა როგორც ეკალი
ფიქრი, და მაინც არას ამბობდა,
და მოგონება- თითქოს ერქანი
ძაფისგან- თავის დახსნას ლამობდა.
იტყოდი, იდგა მაღლობზე ბავშვი,
მოუსვენარი პატარა ერქვა
და საოცარი სიფრთხილით ქარში
ეზიდებოდა თავისკენ ერქანს.
,,აჰა, დღეები როგორ გარბიან,
ვერც კი მოასწრებ თითზე ჩამოთვლას.
მე ეხლაც გხედავ მოკლე კაბიანს
და იმ თვალების სხივით ჩამოთბა.
თითქოს ზღაპრული კარი მეღება,
ქარი იყო და მერე მიჩუმდა;
თითქოს გაირბენ ეხლაც დერეფანს,
რომ დამეწიო ფეხმარდ ბიჭუნას.
მთელი ბავშვობა წყაროდ იდინე
ანდა უწმინდეს ჩანჩქერად, მეგი,
მე ვიცი, მაშინ რატომ იტირე,
როს დედოფალას მოვწყვიტე ფეხი.
ო, იმ ცრემლებმა გული მომზანეს,
ბავშვის ცელქობა ერთ წუთს წარხოცეს;
მე დავიხარე და დედოფალას,
რომ არ გეტირა, პირზე ვაკოცე.
რატომ იტირე პატარამ მაშინ,
მე მინდა ეხლა რომ გეჩურჩულო:
შენ ,,დედა“ იყავ და მე კი ,,ბავშვი“
დაგისახიჩრე, როგორც ურჯულომ.
შემოიტოვა ხსოვნამ ის სახე,
თუმცა ბავშვობა უკვე შორს არი.
ის იყო ლტოლვა დედობისაკენ,

იყო დედობა გასაოცარი!
ის სახე მუდამ ხსოვნაში დამაქვს...
მაგრამ დამწიფდა თეთრი კვირტები.
დედობის დროა!- დარეკა ჟამმა
და საქორწინო კაბით ირთვები!..“
სწრაფად გაჰფანტა ფიქრების გროვა,
სხვა იგრძნო გულმა, სხვა ნახა თვალმა.
-ო, განა ეხლა ქორწილის დროა?!-
მაგრამ გუშინწინ დრო იყო ალბათ.
მაღლა აზიდა მძიმე ქუთუთო
და შეისუნთქა ჰაერი გრილი.
,,-გინახულებდი, მეგი, უთუოდ,
რომ არ ვტოვებდე ხვალ დილით თბილისს“.

იხმაურდა და გაჩუმდა ქუჩა
გაოცებული ბავშვის სიჩუმით.
მტკვარი ღამეში ელავდა ლურჯად-
თბილისის ძველისძველი მიჯნური.
ლაშა უმზერდა ბალღების რონინს,
უსმენდა ზვირთთა შრიალს ხიდიდან.
არ ახსოვს, ხიდთან როდის მივიდა.
მტკვარი კეცავდა ტალღებს ფურცლებად,
ის დააშტერდა მდინარეს ახლად
და პაპიროსის ნამწვავმა უცებ
გაიელვა და ტალღებში ჩაქრა.
აგრე იელვა წეღან ოთახში
ერთმა სახემ და ნისლმა დაფარა;
რაღაც დიადი გაჩნდა ცოტა ხნით,
არ დაუნახავს დიდი პატარად.
ის იყო მართლა დიდი ბავშვობა,
არც სიზმარი, არც შრიალი ფიჭვის:

სკოლის ეზოში რომ თამაშობდა
უსათნოესი გოგო და ბიჭი.
რომ ვკითხო ეხლა მესამე კლასის
მერხს- მათ სამყაროს, მეტყოდა ალბათ,
მეტყოდა ორი ლამაზი ბავშვის
მეგობრობის და სწავლის ამბავს.
რომ ვკითხო მერე მეოთხე კლასის
მერხს- მათ სამყაროს, მეტყოდა ალბათ,
მეტყოდა ორი ლამაზი ბავშვის
მეგობრობის და სწავლის ამბავს.
მერე მეხუთე, მეექვსე კლასი
ახალ სიმაღლედ როგორ დგებოდა.
შემდეგ მეტყოდნენ, ნათელი აზრი
მათ გონებაში ვით მწიფდებოდა.
ქარმა მორიყა ღრუბლების ლექი,
გადაუარა მდინარეს ჩრდილმა,
,,- ო, საოცარი გოგონა მეგი,
მე შენი სახე ბრძოლაში მიმაქვს.
მე ხვალ უთუოდ დავტოვებ თბილისს,
ელვარე მზე რომ სხივებით ფარავს.
გავყვები ომის უმკაცრეს ბილიკს
იქ, სადაც წავა ერთივით ყველა.
დაგიცავ ეხლაც, ვით ბავშვობის დროს
გიცავდი, მეგი, მე ხის მახვილით
და თუ სიკვდილმა სადმე მომისწრო,
მას დავაჩოქებ შენი სახელით“.
თითქოს დაეშვა ფიქრებით ხიდთან
და გასაფრენი ფრთები დაკეცა.
არ დაუნახავს პატარა დიდად,
არც ცუდი კარგად, თუ უკარგესად.
იგი მთელ ღამეს მარტო ვიდოდა,

განთიადს შეხვდა სანაპიროდან.
თითებს ახებდა ყველაფერს თითქმის,
რომ ეგრძნო სითბო ყოველი ნივთის...

* * *

რუსეთის ვრცელი სტეპები, აჰა,
და პურეულის ოქრო-ყანები.
მან ეს ქვეყანა პირველად ნახა,
პირველად გახსნა დიდი კარები.
მატარებლიდან თვალებით ხარბით
უმზერს რუსეთის მიწას უდიდესს,
მაგრამ ველები საით გარბიან,
ორთქმავალი კი საით უთითებს?!
როგორც ისარი, გაჭრილა იგი,
რომ ჩამოტოვოს მინდვრები უკან.
ვაგონში მძიმედ ირხევა ფიქრი,
ზურგს უკან ვიღაც გარმონზე უკრავს...
იხედებოდა სარკმლიდან დიდხანს,
სურათი სურათს ცვლიდა ზედაზედ
და ნაღვლიანად მღეროდა ვიღაც
განშორებაზე, ომზე, დედაზე.
ო, მართლა, დედა...
ეს მოხდა წინათ,
ის გზები უკვე თოვლმა დათოვა,
სულ ერთი ციდა, სულ პაწაწინა,
ძვირფასმა დედამ რომ მიატოვა.
იგი წავიდა გულხელდაკრეფით
და მერე აღარ მოსულა უკან.
ოჯახში იყო სითბო ნაკლები?
ოჯახში იკლო სიცოცხლის შუქმა?
თითქმის არსდროს მას არ უგრძვნია,
ო, იქნებ მამამ არ აგრძნობინა.

განვლო დუმილმა და მძიმე წამმა,
მოგონებებმა ფიქრი აშალეს.
ომმა მოსკოვში მოუსწრო მამას
და ალბათ როგორ დარდობს ლაშაზე.
მას დედის სახე მოუნდა ისევ,
-მეჩვენე დედა!- ამბობს ტკივილით.
გაშტერებულმა გახედა სივრცეს
და აეფარა მამა ღიმილით...

მატარებელი ქშენით გარბოდა
თვალგაუწვდენელ ფართო მინდვრებზე,
და ჩრდილოეთის ზეცა ამბობდა-
მზე თითებივით სხივებს იმტვრევსო...
დადუმდა ყველა, არღვევდა დუმილს
მატარებლის ხმაური მხოლოდ
და ლაშა გრძნობდა, ეს ხალხი ჩუმი
ერთი აზრით და სიცოცხლით ცხოვრობს.
ერთი აქვთ გული, ერთი აქვთ რისხვა,
იტყვი: ბევრია და მაინც ერთი.
გრძნობდა, მებრძოლთა ცხოვრების დიდ ზღვას
მისი სიცოცხლეც მდინარედ ერთვის.
ეშელონი კი მიდის და მიდის,
გზას დასასრული თითქოს და არ აქვს,
ვიღაც ჩოფურა შემოდის რიდით,
და დასაწოლად დაეძებს ალაგს.
დაცურავს მძიმედ თამბაქოს ბოლი.
მათ უკვე ძინავთ, დაცხრა ვნებები.
მაგრამ გზას კიდევ არა აქვს ბოლო
და მიჰქრის, მიჰქრის მატარებელი

2

ტყისმცველის ქოხი!- თითქოს სოკოა,
ასე პატარა და წითელქუდა.
ტყისმცველის იყო ქერა გოგონა,
წყალს რომ აწვდიდა მებრძოლებს მუდამ.
ლაშას უყვარდა სიცოცხლით სავსე
ლამაზი სახლი კარვების ბოლოს.
ტყისმცველის ქოხი, პატარა ასე,
რომ აგონებდა ასანთის კოლოფს.
ერთხელ მივიდა, გოგო ველობზე
მოვარდისფერო ჩრდილივით იწვა.
შედგა, ფრინველნი ტყეში მღეროდნენ,
უეცრად ფეხქვეშ შეერყა მიწა.
ცისფერთვალებამ წმინდა ღიმილით
თითქოს გაუღო სიზმრის კარები.
ტყიდან ისმოდა ჟივილ-ხივილი
ფრინველთ სიამის თუ ნეტარების.
ამ სიახლოვით სულმა იმზევა,
მაინც ვერარა უთხრა როგორღაც
და მთელი ღამე ეო სიზმრებად
ცისფერთვალება რუსი გოგონა...

მოვიდა ფრთხილად საღამო გრილი,
ველებში გეზი დაჰკარგა გზებმა.
ლაშამ შესძახა:
- სად მიხვალ გრინინ?
-ქოხისკენ! - თვალით ანიშნა გლებმა.
მაღალი რუსი წავიდა რხევით,
ლაშა გულაღმა წამოწვა მოლზე,
ბალახებს სრესდა მთრთოლვარე ხელით,
ფიქრებს აწვენდა თამბაქოს ბოლზე.

ვერცხლი მთვარისგან ჩამონათალი
ცვიოდა სუფთა და გამჭვირვალი.
მას შეეკუმშა გული მართლი,
დარდის დამდნობი და გამწირველი.
ვიღაც ქენჯნიდა სინდისს, უდავოდ,
იცოდა, მაგრამ მაინც ძებნიდა.
ეს ვისი სახე დამიბრუნდაო
აწ განვლილი და შორი გზებიდან?
გაირღვა ქარით ნისლის ჩარსავი,
ილტვოდა ფიქრი ყალყზე დამდგარი.
მეგი უყვარდა მხოლოდ დასავით,
თუ სიყვარული იყო სხვაგვარი?
მას გახსენება არა, არ სურდა.
ადგა, შეხედა ღამეს: შავია.
იგრძნო ტკივილით- თავის წარსულთან
და თავის გულთან დამნაშავეა...

მან მძიმე ხელი იგრძნო ბეჭებზე,
მობრუნდა, ჰკითხა: - გრინინ, შენა ხარ?
მისი თვალები უცებ შეჩერდნენ,
სურდათ მეგობრის სახე ენახათ.
გლებმა კი ძმურად და მეგობრულად
მას შეანათა ღიმილი თვალთა.
გრინინის ფართო სახე ჩოფურა
ბეღურა ჩიტის დაკენკილს ჰგავდა.
ამგვარი სახით მისცა ბარათი,
იქნებ ღიმილში საყვედურს ფარავს:
,,თუ კი გიყვარდა, რად მიმალავდი,
მეგობარი ვარ შენი, თუ არა?“
ლაშა დაიბნა, მოესმა ნათლად:
,,მე ხომ შენ ერთგულ მეგობრად გთვლიდი?“

დამძიმდა ხელი, ქაღალდის ნაცვლად
თითქოს ეჭირა რაიმე ტვირთი.
ლაშას სიტყვებში ოდნავ ისმოდა,
ასეთი გრძნობა რომ გაუქარდა,
დანამდვილებით მან არ იცოდა:
უყვარდა იგი, თუ არ უყვარდა,
ნამდვილი იყო ეს სიყვარული,
თუ დაესიზმრა ან მოეჩვენა.
იგი ეგონა, რაღაც ქართული,
სულ მცირე დროით გულს რომ ეჩვევა.
ქაღალდი მაინც ხელს აწუხებდა,
ფრთოდა და გულით გახსნას ელოდა.
ლაშა ნელნელა კარებს უღებდა,
რომ ბარათს სული ამოფრენოდა.
წაიკითხა და ლაშა უცებად
მთელი სხეულით ჟრჟოლას დანებდა.
უთხრეს ქაღალდის მკრთალმა ტუჩებმა.-
ტრფობას ელისო ცისფერ თვალება...
გლები უმზერდა ღიმილმოსილი,
ლაშას კი ფიქრი დამძიმებია.
,,ო, ეხლა განა დროა ქორწილის“,-
ამ სიტყვებს გულში ჩასძინებიათ.
და ეხლა, როგორც მძიმე საყვედურს,
ეღვიძებათ და ფეხზე დგებიან,
სულის გვირაბში მას ღრმად ჩახედულს
ოდესღაც თქმული გახსენებია.
გლებმა მსუბუქად ასწია ლოდი,
მეგობარს მძიმედ რომ აწვა გულზე:
-ეჰ, სიყვარული ყოველთვის მოდის,
დროს არ აირჩევს, გაჩნდება უცებ!..

თბილი ოჯახის კარი გაიღო
და სამი ვაჟი დადგა კარებთან.
ტყის მცველის ქოხი მცირე არ იყო
ისე, როგორაც ჩანდა გარედან.
კრძალვით წამოდგა მოხუცი რუსი
და გაოცება თვალებს ენიშნა:
სისხლი ათრთოლდა ტყისმცველის გულში
მისი ასულის გამოჩენისას.
ცისფერთვალება შეხვდა ალერსით,
მოხუცის გულიც გამოჩნდა ღია
და გაიელვა ჩამქრალ თვალებში,
რომ ეს დღე მისთვის ძვირფასი დღეა.
სტუმრები ისხდნენ სუფრის გარშემო,
ყველამ მონახა თავის ალაგი.
ერთმა დაიწყო:
,,- ბაბუაჩემო,
მოვსულვარ შენთან გულით ალალით...“
უამბო...
იწყო ძლიერად ცემა
მოხუცის გულმა. მდუმარედ დარჩა.
თვალებში თავი იჩინა ცრემლმა,
სტუმრებს შეხედა და იქვე დაშრა.
შემოიტანეს სითბო, სიცოცხლე
და ამას არქმევს სტუმრობას დიადს.
ნეტავი ეხლა ყველამ იცოდეს,
რომ ეს დღე მისთვის ძვირფასი დღეა.
ლაშა ამაოდ მთელ დღეს შიშობდა,
მკაცრი ეგონა მოხუცი ძალზე.
ასე დაიწყო მათი ნიშნობა,
სიცოცხლითა და ხალისით სავსე.
არ დალეულა სიტყვის მარაგი

და მყუდროებაც მღერით დალეწეს
და მოელვარე თეთრი არაყი
ცეცხლს უკიდებდა მებრძოლთ თვალებზე.
ფრონტზე ამბები როგორ არისო,
ეკითხებოდა ტყისმცველი რეპინს,
მაგრამ უმძიმდა ეთქვა მაიორს,
რომ მოიწევდნენ აქეთკენ მტრები.

მებრძოლნი სუფრას უსხდნენ ძმებივით,
სიყვარულით და სიამით მთვრალნი.
შუაღამისას ადგა რეპინი,
წამოო, გრინინს ანიშნა თვალით.
მოხუცმაც წამსვე მონახა ჯუბა,
რომ მოეხადა მასპინძლის ვალი.
და ქოხში დარჩა გაშლილი სუფრა
და დარჩა მარტო ვაჟი და ქალი.
უცხო დუმილი სუფევდა ირგვლივ,
ქალი ფანჯრიდან უმზერდა ღამეს,
ლაშა ფიქრობდა და მაინც ფიქრი
არა ჰყოფნიდა, რომ ეთქვა რამე.
ცისფერთვალება იქნებ ნაღვლობდა?
სინანულია იქნებ ეს ბნელი?
ფეხაკრეფილი მიუახლოვდა,
წელზე მოხვია მთრთოლვარე ხელი.
და ივნისივით მხურვალე ტანი
მობრუნდა, როგორც დღე ბედნიერი.
არც ცეცხლი იყო თვალებში მქრალი,
არც სინანულის ჰქონდა იერი.

ზაფხულის დღეებს დაეტყოთ მალე,
შემოდგომისკენ როგორ მიჰქროდნენ.

არ იცინოდნენ ფოთლები მწვანედ,
ჩამოცვენილნი ქარებს მიჰკვროდნენ.
მაგრამ სხვა იყო ფიქრი საზარი:
შემცირდა სივრცე, მოირწყა სისხლით,
და დანთებული დიდი ხანძარი
დაიძრა ქვეყნის გულისკენ რისხვით.
რკინის ქუსლებით მიწას თელავდნენ,
მკაცრი დღეები დღეებს მიება.
მოვიდა მწარე ბოღმა ყელამდე
და ყალყზე დადგა შურისძიება.
ო, მათი გული როგორ ელოდა,
ამ მოლოდინმა ფიქრი გაცრიცა.
უმძიმდათ მებრძოლთ უბრძოლველობა
და დადგა ჟამი მათი წასვლისა.
ერთ დღეს ველობზე კარვები გაქრა,
წვიმდა; იტყოდი: დაადნო წვიმამ.
მათ დროშასავით ეჭირათ მაღლა
ამაყი სულის ელვა და ბრწყინვა.
ფიქრები იქცნენ ერთიან აზრად,
გულში მშფოთვარე ამინდი იდგა.
ცისფერთვალებას ცრემლებმა აღძრა
გამოთხოვების მდუმარე სიტყვა.
წავიდნენ ომის გზებზე გადასვლად.
ტყისპირად, როგორც პატარა სოკო,
დარჩა ქოხი და...
                                მერე გზადაგზა
მას აფიქრებდა ლურჯთვალა გოგო.

3

,,- სადა ხარ, გრინინ?!“
,,- ძმობილო, აქ ვარ!“

მებრძოლნი სივრცეს თვალებით ნთქავდნენ.
გასკდა ყუმბარა და მიწა აჰყვა
ძლიერი ცეცხლის ფეთქებას ცამდე.
სწრაფად მოსდევდა ჭურვები ჭურვებს,
რომ აღეგავა მიწით სოფელი.
ეჰა, სიკვდილი ყოფილა თურმე
ომის დროს მეტად დაუნდობელი.
ათასი მკერდი აღუდგა სიკვდილს,
სულში ჩახედა ცივმა თვალებმა.
მაგრამ გაისმა ძახილი დიდი:
-უკან!-
ეს იყო სარდლის ბრძანება.
-უკან!
საჭირო ეხლა ასეა,
თქვენმა სიცოცხლემ არ დაიღამოს.
მტერი პირამდე ძალით სავსეა,
-უკან!-
ეს ძალა რომ დაიღვაროს!

სივრცეს ნისლივით კვამლი ეხვია,
იზიდებოდა ზმორებით ზევით.
მებრძოლებს უკან რომ დაეხიათ,
გზას არ აძლევდა მტრის ტყვიამფრქვევი.
მან მეომრები დასცა ზედიზედ,
ვინაც წამოდგა- უმალვე მოსრა.
ლაშა გაცოცდა ტყვიამფრქვევისკენ,
მივიდა ახლოს, ყუმბარა სტყორცნა.
აფეთქებულმა ძლიერმა ალმა
სახეზე გესლის ცვარი ასხურა
და იგრძნო მწვავე ტკივილი თვალმა,
წამწამთა ფრთები წამსვე დახურა.

თითქოს თვალები აევსო სილით.
მუხლმოკვეთილი დაეცა მიწას...
მაგრამ მტრის ძარღვში გაცივდა სისხლი.
ლაშამ გააკრა სიკვდილის ფიცარს.
სივრცეს ნისლივით კვამლი ეხვია,
იზიდებოდა ზმორებით ზევით.
მებრძოლთ შეეძლოთ, რომ დაეხიათ:-
გზას არ ღობავდა მტრის ტყვიამფრქვევი.
ვიდოდნენ უკან სწრაფად, რიგდარიგ,
გრგვინვით ცვიოდა ჭურვი ულევი,
და ჰორიზონტზე ფერით მიმკვდარით
ზეცა ესვენა გულწასულივით.
მიმკრთალი ფერით ზეცა ესვენა,
კვამლმა ღამისებრ დღე გადაბინდა.
მათ დაინახეს, თუ მოეჩვენთ,
რომ აფეთქებამ ლაშა დაფლითა?..

წყვდიად ღამეში შეინძრა ვიღაც,
წამოიწია, როგორც ზღვის ტალღა.
ხელებით თითქოს იხსნიდა ნიღაბს,
მაგრამ თვალებმა ვერარა ნახა.
ფიქრობდა: ალბათ ღამეა ბნელი,
ბნელია ისე, რომ ვერას ვხედავ.
მოაფათურა მიწაზე ხელი
და გაცივებულს შეეხო ცხედარს.
შეკრთა, აღეძრა შიში უნებურ,
თმები აშალეს მწარე ფიქრებმა;
სინამდვილეა, თუ ცთუნებაა,
ასეთი ღამე როგორ იქნება?
ლაშას თვალები ეწვოდა ძლიერ,
მოისვა ხელი, დაახამხამა,

მაგრამ სიბნელემ ისევე სძლია,
ჩახედა შიგნით და ჩააღამა.
დაძრწოდა ქარი როგორც დევნილი,
ნათელს ეძებდა ჩამქრალი ხელვა.
ის იყო მარტო, ხელგაწვდენილი,
უნდო სიბნელეს მისდევდა ფრთხილად.
ცხედარს წამოჰკრა ფეხი, დაეცა,
როგორ დაემსხვრა გული ქვიტკირის.
სხეულზე ცივი ოფლი დაესხა
და აქვითინდა ბავშვის ქვითინით.
რაღა ქნას ეხლა, ჩამქრალ თვალებით
საით წავიდეს, გზა საით არი?
აზიდა ტანი, ადგა წვალებით,
დადგა და მაინც შეირყა ქარით.
აიღო გეზი, მიენდო ღამეს
და ეს არ იყო ლოტლვა ძლიერი,
ის მიდიოდა, მისდევდა ბრმა ბედს
საოცრად ცივი და ცარიელი.
უცებ შეჩერდა, წუთით დაფიქრდა
და გულზე იგრძნო სიმძიმე დიდი.
ო, ბრმა თვალებმა სული დაბინდა
და მიაყენა მარადი ჩრდილი.
იჭვი მოვიდა მეორე გზიდან
და დაანახვა თავი უმწეო.
ამაო არი სიცოცხლის ზიდვა,
როდესაც გიდგას სული უმზეო.
მოწყდა, დაეშვა მოტეხილ ფრთისებრ,
ღია თვალებზე მოაწვა ღამე
და საშინელი დუმილი ისევ
უხმოდ ითვლიდა მიმავალ წამებს.
ფიქრები ქროდნენ უმალეს ქროლვით

და შრიალებდნენ ათას ფოთლებად.
გული ოდესღაც მნათობის ტოლი,
გახდა თავთუხის მარცვლის ოდენა.
თითქოს შემცირდა, დაბინდულ ხილვით
როცა დაეცა ძირს მოცელილი.
რომ მოენახა ნაჭუჭი თხილის,
შიგ იპოვიდა ბინას მწერივით...
ხმა შემოესმა უცებ:
,,- ამაღლდი,
შენა ხარ ნებადაულეწავი!
ამაღლდი, შენ გაქვს გული ამაყი,
უბრწყინვალესი სული მზესავით“.
ამ დაცემის და ამ ავდრობის დროს
საიდან ისმის ნეტავ ძახილი?
,,ო, თუ სიკვდილმა სადმე მომისწრო,
მას დავაჩოქებ შენი სახელით!“
იღვიძებს ხსოვნა, მიიწევს მაღლა
გული ამაყი, გული მგრძნობელი.
ნუთუ მეგის ხმა მოესმა ახლა
ასე ძვირფასი და მახლობელი?
ძლიერი იყო მისი ძახილი,
რომ გადიარა მილეულ სულზე.
ლაშაში გაჩნდა ჩანასახივით
გრძნობა და გაზრდა დაიწყო უცებ.
აგრე გათავდა დიდი ავდარი,
გულმა ახალი გზები მოძებნა
და იზრდებოდა, როგორც ზღაპარში,
ვით სასწაული და საოცრება.
ის ფეხზე იდგა სიმაღლით მთელით
ისევე, როგორც დგებოდა წინათ.
გულში ქარებით ამდგარი მტვერი

თითქოს უეცრად დალექა წვიმამ.
ერთია სწრაფვა და იგიც მზეა,
ფერი მზისა და ლაჟვარდის ფერი,
რომ ეს ფერები იხილოს მზერამ,
მისი სიცოცხლე აივსოს მზერით.
რომ მოიპოვოს შუქი და ბრწყინვა,
რომ მოიპოვოს სინათლე დიდი,
რომ დაუღამოს თვალები იმას,
ვინც დააფარა თვალებზე ბინდი!

ლაშამ დაფკარგა ნამდვილი გეზი,
სად წასულიყო, გზა არ იცოდა
პატარა რუკა ეჭირა ხელში,
ატრიალა და გადაისროლა.
გაუბედავად გადადგა ბიჯი,
საითაც გულმა ურჩია მისმა.
გადადგა ერთიც და ისევ იჭვი
გადაეღობა გაბედულ მიზანს.
მაგრამ გაშეშდა უეცრად იგი,
მთელი სხეულით მობრუნდა უკან,
ჩაიჩოქა და ფათურით ირგვლივ
ძებნა დაუწყო დაგდებულ რუკას.
რომ ვერ ეპოვა, მოჰკლავდა ფიქრი.
მონახა, მისცა სამყოფი თბილი.
მისთვის უვარგის ქაღალდით იგი
მტერს გაუხსნიდა ძნელსაკვლევ ბილიკს.

გრძნობდა, სხეული რომ ეთენთება
და დაავიწყდა სიბრმავე თვისი.
ლაშა ფიქრობდა: აღარ თენდება?
საშინელია ღამე და ნისლი.

დილა კი იყო უკვე მოსული
და ნათელს ჰქონდა გამდგარი ფესვი.
ის კი წყვდიადი ბნელით მოცული
გზას განაგრძობდა არჩეულ გეზით.
იგრძნო დაღლა და წყურვილი მძლავრი
და სმენას წყაროს ჩხრიალი სურდა,
და უსინათლო ობოლი მგზავრი
თავს აჯერებდა, რომ არ წყუროდა.
ხეს დაეჯახა ბრმად მიმავალი,
დაბარბაცდა და უქცია გვერდი.
ველად მაღალი და რტომრავალი
ნაძვის ხე იდგა სულ ერთადერთი.
ის კი ადგამდა ნაბიჯს სიფრთხილით,
ელანდებოდა ხეთა რიგები.
შუბლგახეთქილი, ღონემიხდილი,
ვიდოდა. არც გზა, არც ბილიკები.

გაწვიმდა. თითქოს ლაშას სახეზე
შხეფი ასხურეს სოველი ტოტით,
მაგრამ ეს წვიმა როგორ აქეზებს,
ვით აუტეხა წყურვილის შფოთი.
ეხლა წყურვილი დამალოს როგორ,
როდესაც ძლიერ, ძლიერ გაწვიმდა!
მას გაახსენდა ლურჯთვალა გოგო,
ჭის გვერდით მდგარი წყალს რომ აწვდიდა.
მაგრამ ეს წვიმა ახველებს ბაგეს,
სჯობდა, წვეთები პეშვით ენახა.
სველია თმები, სველია სახე,
წყურვილს კი, რა ვქნა, მაინც ვერა კლავს.
ის გამწარებით წოვდა სველ ტუჩებს,
იქნებ დამშვიდდეს როგორმე სული.

მაგრამ, ძვირფასო, ვით დააყუჩებს
სველი ტუჩები ატეხილ წყურვილს?
სადაა წყალი, თუნდ ერთი პეშვი?
არ არი არსად, დაწყნარდეს უნდა,
უნდა წავიდეს არჩეულ გეზით...
და ლაშა თავის გზას დაუბრუნდა.
,,-რინინ, სიკვდილის გესლი მომესხა
და რად დამტოვე შენი ძმობილი?“
ასე ფიქრობდა, მაგრამ მოესმა
შორით გუგუნი ავტომობილის.
და აზრმა სითბო გულს მიახურა,
ნამდვილად მისი ხმა გაიგონა.
ლაშა გაყუჩდა და მიაყურა,
მიხვდა, მანქანამ რომ ჩაიქროლა.

დაკარგულ ბედზე აღარ ნაღვლობდა,
ლაშა გაექცა ამ გულის ტკივილს.
,,-უთუოდ გზაა აქვე მახლობლად,
მანქანა უგზოდ აქ როგორ ივლის?“
ცა ჩამოდაბლდა, ციოდა, წვიმდა
და ამძიმებდა ჩექმებს ტალახი.
მხოლოდ მიზანი წმიდათა წმიდა
არის სიცოცხლის დიდი მარაგით;
და ამ სიცოცხლით პირამდე სავსეს
წამოეწია მანქანა გზაზე.
ქუხილი ჰგავდა ჭექა თოფისას.
ცა გუგუნებდა:
-გზა მშვიდობისა!

4

ლაშა საწოლზე იწვა გულაღმა,

თქვა: ,,ფრთებს ფიქრები მძიმედ იშლიან“.
მას ხომ თბილისი არ დაუნახავს
და მაინც იცის, რომ თბილისშია.
გული კი დარჩა ისევ ნაკაწრი
და დაუვლიდა ტკივილი ქროლვით.
აქ მოიყვანეს თეთრი საკაცით,
არც ჩაუხედავთ თვალებში მგონი,
ხან აფიქრებდა განწყობა მცხრალი,
ხან საშინელი წუხილი, შფოთვა.
ზოგჯერ ვიღაცას წყუროდა წყალი
და აწუხებდა მეზობლის ბოდვა.
გაუელვებდა დროდადრო აზრი,
რომ სჯობს უჩინრად, უხმოდ დარჩენა.
დროდადრო სახეს ანთებდა ბრაზი,
რომ მას ოთახში ვერვინ ამჩნევდა.
ძნელია მართლა ასეთი განცდა,
თითქოს ცხოვრება სურდათ უმისოდ,
მაგრამ აქ ზევრჯერ მოსულან მასთან
და აჩუმებდათ ხედვა უმიზნო.

,,-რა დროა ახლა?“
,,-უკვე შებინდდა.
ლაშა, დრო რატომ გაწუხებს ასე?“
მასთან მივიდა მოწყალების და
და მოკრძალებით ჩამოჯდა სკამზე.
მიმოუსწორა ფრთხილად ბალიში,
მხურვალე შუბლზე დაადო ნები.
ბრმა უხილველად გრძნობდა ქალიშვილს
სავსეს სინაზით და სათნოებით.
როცა მათ შორის ჩადგა დუმილი,
ფიქრობდა: ,,ალბათ შავი თმები აქვს;

მხრებზე დაყრილი აბრეშუმივით
ნებივრობენ და ყელზე თბებიან.
ალბათ თვალები ექნება ნუკრის,
წამწამები რომ ჩრდილში ინახავს.
სანდომიანი ღიმილის შუქით.
ღმერთმანი, იგი სადღაც მინახავს“.
სურდა გაეღო ხსოვნის კარები,
შეაღო კიდეც ეჭვნების რეკით
და გაიღიმა მან მწუხარებით,
რომ აღადგინა ხსოვნაში მეგი.

თვალუსინათლო გადიქცა აზრად,
ბევრია ფიქრი ასეთ ყოფაში,
და უხედველად ამჩნევდა ლაშა-
სხვა ცხოვრებაა ამ შენობაში.
მრუმე ღამეში ხშირად ესმოდა,
რომ ოთახებში სუნთქვაა დიდი;
ო, თავგანწირვით როგორ ებრძოდა
ღონემიხდილი სიცოცხლე სიკვდილს.
დაჭრილთა კვნესა, შფოთვა, ჩურჩული,
მისი თვალებით ავსილი ღამით...
და ემსხვრეოდა გრძნობის ჭურჭელი
და ეღვრებოდა სხეულში შხამი...
სწრაფვა ძლიერი ჰქონდა წინათვე,
მაგრამ უტევდა ეხლა სისინით.
თვალებმა უნდა ნახოს სინათლე,
თვალებმა უნდა ნახოს მზის სხივი.
მასში სახლობდა ძლიერი კაცი
სიცოცხლისათვის, მზისთვის შექმნილი
და აგიჟებდა, აღრჩობდა ბრაზი,
რომ უჩვეულოდ სდუმდა ექიმი.

ლაშას სჯეროდა, დღესა თუ ხვალე
ის იხილავდა სინათლეს დიადს.
დღესვე მიეცით თვალები თვალებს,
ხვალე შორსაა, ხვალეა გვიან!

,,- რა დროა ახლა?“
,,-უკვე შებინდდა.
ლაშა, დრო რატომ გაწუხებს ასე?“
მასთან მივიდა მოწყალების და
და მოკრძალებით ჩამოჯდა სკამზე.
შეატყო, უცემს ძლიერად მკერდი
და დაუკარგავს სიმშვიდე სრული.
დაბრმავებული დაბინდულ ხედვით
მას უმჟღავნებდა უდიდეს სურვილს,
უდიდეს სწრაფვას სინათლისაკენ,
და ეს სწრაფვაა სიცოცხლის აზრი.
ბრმას ესახება ბნელში მზის სახე
და წამწამებზე მზის სხივი აზის.
დანაცრებული, ჩამქრალი მზერა
მომავლის რწმენით გულს ეფოთლება,
მაგრამ ხანდახან წუხილი სერავს,
და ეკარგება ლაშას მოთმენა.
მოწყალების დამ აშლილი თმები
გადაუწია შუბლიდან ლაშას.
ის ქალიშვილის გულწრფელი ნებით
ეფერებოდა ბრმის იმედს ნაზად.
ბრმას მიმზიდველი ნიავის ქროლვა
შთამაგონებლად ესმა მაღლიდან:
ცირა საუბრად ვარდების გროვად
ლაშას მშფოთვარე ნუგეშს აყრიდა.
დღეები, როგორც მორჩილნი ქალნი,

ზამთრის გაყინულ ნებას მინებდნენ
და განწირული თებერვლის ქარი
ტოტებს ფხაჭნიდა ფანჯრის მინებზე.
ლაშა გაზაფხულს ელოდა თრთოლვით...
და ცირამ უთხრა: წუხელ ღამითა,
აქ სტუმარივით მოვიდა თოვლი
და სტუმარივით მალე წავიდა;
რომ გარეთ მაინც საშინლად ცივა
და ყინვა არის ზამთრის ვნებაში...
და მკლავგაყრილი დაჰყავდა ცირას
შუშაბანდიდან გრძელ დერეფანში.

ცივი ზამთარი წავიდა მალე,
როგორც ბებერი, ავი, ბოროტი.
რომ ვერ უღებდნენ სინათლის კარებს,
მას ვერ უკლავდა მაინც მოლოდინს.
მაგრამ ხანდახან გულდაზაფრული
ვეღარ უძლებდა შემხუთველ ოთახს.
არც ზამთარია, არც გაზაფხული,
სული, თბილისის, მარტივით შფოთავს.
აღმოხდებოდა:
,,-მზეო სადა ხარ!
ნუთუ, სხივმნათო, დაბრმავდი თვითაც?!“
ამ დროს დგებოდა ცირა მხარდამხარ
მისი წუხილის, ტკივილის ზიდვად.
მოთმენას ფენდა უხილავ სხივზე,
ხატავდა აპრილს ათას ფერებად...
და მკლავგაყრილნი სერავდნენ ისევ
შუშაბანდიან სუფთა დერეფანს.

ქარმა ღრუბლები დაჰყო ნაჭრებად,

მიმოისროლა სულ თითი-თითოდ,
და შენობებმა დახსნეს ფანჯრები,
რომ შემოეშვათ აპრილის სითბო.
ვით მშობლიური თბილი ნაპირი
ნაგრიგალევ და დაღლილ გემიდან,
ოდნავ შეფოთლილ ტოტთა რხევითა.
ცა იყო პერანგგადახეული,
ოთახებიდან ჩანდა აპრილი
მოზღვავდა სუნთქვა გაზაფხულისა.
ლაშა სარკმელთან თვალახვეული
იდგა, უსმენდა თავის გულის ხმას.
ყველაფერია სინათლის მეტი
და იგიც მხოლოდ მზის სხივს ინატრებს.
მაგრამ დღეს უნდა გადაწყდეს ბედი,
დღეს ლაშა ალბათ ნახავს სინათლეს.
როგორ იქნება თვალი დაბინდდეს,
როცა კვირტებში აპრილი ფეთქავს?
და ლამის გული მზესთან გაფრინდეს,
სული წაიღოს სინათლის ღმერთთან.

ის მიიყვანეს თავის საწოლთან,
დასვეს და სახვევს დაუწყეს მოხსნა.
ლაშა კანკალით წელში გასწორდა,
უხმოდ ელოდა სინათლის მოსვლას.
ღრმადა სუნთქავდა თვალდახუჭული,
ძლიერ უთრთოდა თვალთა ქუთუთო.
გაახილეო, - უთხრეს ჩურჩულით,
გახსნას? სინათლეს ნახავს უთუოდ?
-ვხედავ!-კივილი ამოსკდა ბაგეს,
თვალებმა შუქი დალიეს ხარბად.
მას შეუხვიეს უმალვე სახე,

თვალებს სინათლე მოსწყვიტეს სწრაფად.
უნდოდა ეთქვა პირმომცინარეს,
რომ არ ჩამქრალა მისი ვარსკვლავი...
და სიხარულის დიდი მდინარე
სწრაფად ავსებდა სხეულს ტბასავით.

ის მთელი ღამე ელოდა აისს,
საწოლი ჰგავდა ტანჯვის სარეცელს.
დასძინებოდა როგორმე მაინც
და არ ეფიქრა ნათელ თვალებზე.
ღაშას შესძულდა ღამის სახელი
გადაიყოლა სიბნელემ ლამის...
და აიწია ფრთხილად სახვევი
და ცალი თვალით შეხედა ღამეს.
ბნელოდა ირგვლივ. სიბნელემ თათი
ხავერდოვანი დაადო თვალზე.
მან მოიგლიჯა სახიდან ბანდი
და შეაშტერდა სიბნელეს ასე.
სადღაც ღამეში ფანჯრების მიღმა
ძლივს გამოკრთოდა სინათლე ლურჯი.
მას ეწეოდა ფანჯრისკენ ვიღაც,
თითქოს მიჰყავდა უცნობი ქუჩით.
ო, რა სიჩუმე სუფევდა გარეთ
და გული როგორ ზარივით რეკდა,
როდესაც ახლად ახელილ თვალებს
თბილისის ბნელი თვალები შეხვდა.
ახსოვს ნათელი მზერა თბილისის,
ეხლა კი შავი ნისლი ეხვევა.
ნუთუ თვალები გახსნა იმისთვის,
მის ბრმა თვალებში რომ ჩაეხედა?
გულს დაწოლილი დარდი ემძიმა,

დიდი ტკივილი ვერავის უთხრა.
დაჭრილებს იქვე მშვიდად ეძინათ,
ისმოდა მხოლოდ მათი ღრმა სუნთქვა.
მან თბილისს ერთხელ კიდევ გახედა
და ვერსად ამჩნევს ღიმილს წინანდელს.
იგი სულ მალე წავა აქედან,
რომ დაუბრუნოს ქალაქს სინათლე.

როცა სარკმელი შეაღო დილამ
თავის მომხიბვლელ გრძელი თითებით,
ლაშას თვალებზე შეეხო ფრთხილად
და მიასხურა სხივი რიდებით.
იგი კი იდგა სარკმელთან ყუჩად,
იყო და მაინც თითქოს არ იყო.
უმზერდა სახლებს, უმზერდა ქუჩას,
დილაადრიან რომ ამდგარიყო.
ზომიერება, დინება ნელი,
მას რომ ახსოვდა, არ ჩანდა არსად.
ძლიერად ცემდა ქალაქის ნერვი
მშფოთვარე კაცის ნერვების მსგავსად.
ძველი ცხოვრების გამქრალა კვალი,
ძველი სიმშვიდის წაშლილა ხაზი.
რაღაც უჩვევი და რისხვის გვარი
ქუჩაში თითქმის გარბოდა კაცი.
ლაშა კვლავ იდგა სარკმელთან ყუჩად,
კვლავ აპირებდა ფიქრების გაშლას.
ამ დროს დასერა ხმაურმა ქუჩა
ორმა პატარა, ლამაზმა ბავშვმა.
ისინი მეტად პატარა ჩანდნენ,
თითქოს მიწიდან ამოსულები.
ძლივსღა ზიდავდნენ გოლიათ ჩანთებს

ბეღურებივით აბუზულები.
ლაშა შეირხა, როგორც ალვის ხე,
ელდა გაევლო გულში დენივით.
იხედებოდა ჰოსპიტალისკენ
პატარა ბიჭი ხელგაწვდენილი.
ფიქრები ფიქრებს აღარ აცლიდნენ
და გაურბოდნენ ჩვეულ ფენობას,
მან იცნო ეზო და აკაცია,
რომ დარაჯობდა სკოლის შენობას.
ო, ლაშას თვალებს ახსოვთ, იციან...
და შეშლილივით კარებს ეკვეთა.
ვიღაც საწოლზე წამოიწია
და მოჩვენებას შიშით შეხედა.

ჰა, დერეფანი გრძელი და სუფთა,
დავიწყებია მას ჟრიამული.
მკაცრი დუმილი მივიდა სულთან,
როგორც ტკივილი და სინანული.
მიადგა ოთახს ფიქრით ავსილი
და მოგონებამ გაფანტა ნისლი,
აქ იყო მისი მესამე კლასი,
აქ იდგა მერხი- სამყარო მისი.
გზას განაგრძობდა მწუხარე აზრით,
კვლავ მოგონებამ გაჰფანტა ნისლი,
აქ იყო მისი მეოთხე კლასი
აქ იდგა მერხი- სამყარო მისი.
და აგრე გაჰყვა უგრძეს დერეფანს,
დაშტერებული სუფთა იატაკს...
ო, ის დღეები ნათელ ფერებად
ალბათ შერჩება ხსოვნას ნიადაგ.
აჰა, ის ეზო, პატარა ეზო,

ოდესღაც დიდი, სივრცით ულევით.
ეხლა რატომღაც სულ უმიზეზოდ
პაწაწინაა ხელის გულივით.
იგონებს იგი როგორც გუშინდელს,-
მოგონებებში ოცნება დაშვრეს!-
აგერ ის კიბე, რითაც უშლიდნენ
თავანზე ასვლას პატარა ბავშვებს.
ან რომ უსპობდა სიმშვიდეს ათასს,
რომ აჩნდებოდა სურვილს სერივით,-
ის საოცნებო სარდაფი, სადაც
განძს დაეძებდნენ ტომ სოერივით.
ლაშა ხაზავდა მინას თითებით,
ფიქრობდა, სხვაა ეხლა წუთები:
ეზო სავსეა უცხო ნივთებით,
საბარგულებით, მტვრიან ყუთებით.
იგი ფიქრებით აივსო ასე,
დაბრუნდა უკან გულთან ნაბრძოლი,
შეაღო თავის ,,მეათე კლსი“,
მონახა თავის თეთრი საწოლი;
აღმოხდა სიტყვა გაუბედავი,
გულში უთქმელად რომ თამაშობდა:
,,-მეგი, სადა ხარ ეხლა ნეტავი,
მო, გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობა!“

მზე იყო მაღლა, უზომოდ მაღლა,
უსაზღვროება სწყუროდა სივრცეს.
მას უთხრეს: როცა აქედან გახვალ,
არ მოიხედო- წადიო ისე.
თავისი ბარგი ეჭირა მცირე
და დაჭმუჭნული ფარაჯა რუხი.
თეთრი ხალათით მისდევდა ცირა

განათებული ღიმილის შუქით.
ფანჯრებიდან კი ათასი თვალით
მებრძოლნი ღვრიდნენ ნაღვლიან ხედვას.
ლაშა აპრილის სურნელით მთვრალი
ჰოსპიტლის რკინის ჭიშკართან შედგა.
მაგრამ საუბრის წყნარი შრიალი
უცებ დაეცა გაწყვეტილ ძაფად,
იდგა მანქანა წითელჯვრიანი
და გადმოჰყავდათ დაჭრილი სწრაფად.
აღდგა ხსოვნაში მკაცრი სურათი,
მრისხანე სახე დიდი ბრძოლების.
ლაშას ტკივილი მისწვდა გულამდის
და დააჩნია მწვავე ზოლები.
იგი სულ მალე წავა აქედან,
წავა, იბრძოლებს გრინინის გვერდით.
მოხუჭა თვალი, სივრცეს გახედა,
ძლიერმა სუნთქვამ აზიდა მკერდი.

დაემშვიდობა ღიმილით ცირა,
წამით ვაჟკაცის მკლავებს დანებდა.
მაგრამ ცრემლებით რად გაუცინა
ვარდისტუჩებამ და მწყერთვალებამ?
ლაშამ უეცრად გაავლო ზღვარი:
მეგი სხვაა და ცირა სხვა არი.
მეგი ზღვა არი დიდი და წყნარი,
ცირა მღელვარე დიდი ზღვა არი.
გრძნობა გამოჩნდა, როგორც მირაჟი,
პატარასავით დაიბნა კაცი.
ბრმამ რომ იხილა ერთხელ ცირაში,
ის გრძნობა ეხლა გაშიშვლდა თვალწინ.
ფიქრს კი ძვირფასი სახე მოჰქონდა

და შეანათა ლურჯმა თვალებმა.
რომ არ უყვარდეს ერთი გოგონა,
უთუოდ ცირას შეიყვარებდა.
იგი შორსაა, ტყის პირად, მარტო,
სადაც ქოხია სავსე ხალისით,
ის ალბათ ლაშას ელის და დარდობს
და არაფერი დღემდე არ იცის.
დღეცა და ღამეც იზრდება ათად
და ტკივილივით ედება გულზე,
მაინც ღიმილით მიირბენს ჭასთან,
შორით მომავალ ბილიკებს უმზერს...
ძლიერი ცეცხლი დაენთო გულში
და უგრილებდა სიო ქროლვითა.
ლაშა წავიდა იმავე ქუჩით
რომ ბრუნდებოდა ერთ დროს სკოლიდან.
მუქი ეჩვენა ქალაქი უფრო,
ძარღვში დუღილი დაიწყო სისხლმა.
თბილისს მშფოთვარე დუმილი უფლობს,
თითქოს აპირებს გადიქცეს რისხვად.

5

დაიღრიალა კლდეებში თერგმა,
გავარდა ტალღა და დაიმუხლა.
დიდმა მყინვარმა მუშტივით შეკრა,
შავი ღრუბელი და დაიმუქრა.
მოედო ცეცხლი სახეზე გზნებით,
მოედო რისხვა წითელი ფერის,
მაღალი შუბლი ასწია ზევით
და ნისლებიდან გახედა ბერლინს.
უდიდეს სურვილს ფრთებმა მფრინავმა
ქალაქში ფეხი შეადგმევინა

და რაც ვერა თქვა თვითონ მყინვარმა,
გამძვინვარებულ თერგს ათქმევინა.

ლაშა კლდეებში ბრძოლას ელოდა,
უთრთოდა გული ფიქრით შებურვილს.
ამ მთების უკან საქართველოა
და წინ მტერია გააფთრებული.
მღვრიე ბურუსებს არღვევდა ხედვა,
რომ დაენახა ძვირფასი მიწა.
ვით წაქცეული ჩრდილები ხეთა,
ფიქრი თბილისის გულმკერდზე იწვა.
ამბობდა:
,,- ქვეყნად ვის შეუძლია
ყველა განცდილი გამოთქვას ენით.
თბილისს ცხოვრება ვით შეუცვლია,
ვაჰ, როგორ სცვლიან სახეებს დღენი!
ხსოვნის გარეშე რამდენნი დარჩნენ
და რამდენია მოსაგონარი.“
ის იგონებდა დახურულ ფანჯრებს,
მინებს, დასერილს თეთრი ზონარით.
ის იგონებდა, ბრმად ქცეულ სახლებს
რომ აწვებოდა თვალებზე ბინდი,
თავშესაფარად გადათხრილ ბაღებს,
რომ დაჰკარგოდა სიმშვიდე დიდი.
ის იგონებდა თბილისის მკვიდრთა
თვალებდანისლულ სახეებს უჩვევს.
გამზირზე, ბაღში, თეატრთა, ხიდთან
რომ წაუშლია ღიმილი ტუჩებს.
მაგრამ არ იყო ოდესღაც ასე,
მაშინ ცხოვრებას სხვა ფერი ჰქონდა,
სიცოცხლე იყო სიამით სავსე,

არ იყო მწუხრი, არ იყო შფოთვა.

,,- ფრთაშავო, შენ ვინ დაგალეწვინებს

დიდ სიყვარულით აგებულ ტაძარს?!

გული გვაქვს- მამულს თავი შევწიროთ,

ძალა გვაქვს- მკლავი ვიქციოთ ნაცრად!“

დიდი ზელადი მხედრებს უხმობდა,

უკვდავებისას აცმევდა პერანგს.

და მტერს ებრძოდა ლაშა ქლუხორთან,-

კავკასიიდან სდევნიდა ვერაგს...

მკაცრმა ბრძოლებმა დალიეს დრონი,

დღეებმა მტერზე ხმალი იშიშვლა.

ლაშამ მტკვარივით გაცურა დონი,

ნაპირს მიასკდა გმირთა ყიჟინა...

ზელადის ხმა და ვაშა ძლიერი

დასავლით ქროდა ჩქარი ნაბიჯით.

ლაშამ აღმდგარი ნახა კიევი,-

თბილისის ძველი ძმათ შენაფიცი...

აფართოებდნენ შეკუმშულ სივრცეს,

ბრძოლით გადავლეს ათსი მხარე.

ლაშამ გაზომა უსაზღვრო სიგრძე,

ბოლოს მიადგა ბერლინის კარებს.

ეს მოხდა ერთხელ, ოდერის აქეთ,

როდესაც ზეცა ოდნავ შეფითრდა.

იცნო გრინინის ჩოფურა სახე,

ის უცინოდა მოწყალების დას.

გადაეხვივნენ ერთმანეთს ძმები,
თითქოს მაგარი თოკებით შეკრეს.
ახტაცებისგან ტიროდა გლები,
ვით იფიქრებდა მეგობრის შეყრას.
ლაშამ დაუშვა დაბლა ხელები,
ვით დალეწილი ქარით ტოტები,
აკვამლებული ჩანდა ველები,
ცივად, მკვდარივით იწვა ოდერი.
დასხდნენ, უამბეს ერთმანეთს ამბავი,
უთვალავ სახეს ჩამოხსნეს რიდე,
თქვეს, ვით გადმოვლეს ბრძოლით მთა-ბარი,
როგორ მოადგნენ ოდერის კიდეს.
მაგრამ გრინინის სახე ნათელი
უცებ შესცვალა ფერმკრთალმა მწუხრმა.
შეეტყო: თვალნი ღამე ნათევი
არ დაღალულან და მხოლოდ სწუხან.
მან გაიხსენა ტყისმცველის ქოხი,
ასე პატარა და წითელქუდა.
რატომ წარმოთქვა სახელი ოხვრით
მისი, ვინც ღიმილს მოჰგვრიდა მუდამ?
თურმე ლურჯთვალამ არ გასცა მამა,
ტყისმცველი ტყეში ებრძოდა მხეცებს.
ასულს უწია სასტიკმა ჟამმა,
ბოროტმა ხელმა დაჰკიდა ხეზე.
ძვირფას მიწაზე იდგნენ ფეხები
და უმალესად მოსწყვიტეს ოდეს,
ისევ მიწისთვის სურდათ შეხება
და დაკიდულნი ჰაერში თრთოდნენ.
ო, საოცნებო პატრა ქალი
ღიმილით შეხვდა სიკვდილს და მრუმეს,
და ატეხილი დეკემბრის ქარი

მომტყდარ ტოტივით არხევდა თურმე...
ლაშას თვალები აევსო ცრემლით
და წამწამებმა მოჰკვეთა წვეთი.
ფიქრმა გაცურა მანძილი ვრცელი
და მეგობარი დაჰკარგა გვერდით.
ტყისპირად იწვა საფლავი მშვიდად.
ფეხებადგმულნი აპრილის მზეში
ზედ ყვავილები სიცოცხლეს შლიდა
და გაზაფხული მოჰქონდათ პეშვით.
დახატულივით წაშლილი ქოხი,
მის ნანგრევებთან დადის ზებერი
და ელანდება, ბეჭებში მოხრილს,
ჭაბუკი ვინმე შურისმგებელი...

გაზრდილი კვამლი ჩანდა მთებივით,
ოდერს მოჰქონდა ღრუბელი მკაცრი.
,,- ლაშა, ძვირფასო, გახსოვს რეპინი,
გასაოცარად კეთილი კაცი?“
ლაშა წამოდგა გაფითრებული,
თვალწინ დაუდგა სახე მზიანი,-
რამ დაავიწყოს დაფიქრებული
და კაცთმოყვარე ადამიანი?
ო, მეგობრები წუხდნენ რარიგად,
ისევ გაშალეს დუმილის აფრა.
ბრძოლების შემდეგ წავლენ სტალინგრადს
და ყვავილებით მორთავენ საფლავს.

იძირებოდა ღრუბლებში მთვარე,
ღამე ბერლინის ქუჩებში მოკვდა.
სახლთა ჩალეწილ სისხლიან თვალებს
ცეცხლის ენები ძაღლივით ლოკდა.

ლაშა გარბოდა უგრძესი ქუჩით,
გლები მისდევდა გვერდით, მხარდამხარ.
მათ შეამჩნიეს, აჩრდილი მუნჯი
რომ შეიფარა ბნელმა სარდაფმა.
ჩაჰყვნენ, ჩავიდნენ სარდაფში ფრთხილად
დაკვირვებული კაცის იერით.
ნახევარბნელში იპოვა ხილვამ
მყუდროება და სიცარიელე.
თვალები მაინც აჩრდილს ძებნიდა,
ბნელში ნადირის ხედვა ინატრეს.
შენიშნეს მუნჯი გაოცებითა
ჭერზე ხაზივით ვიწრო სინათლე.
ჩანაფიქრების წინ წუთით შედგნენ,
თითქოს მიაგნეს მეძებრის ყნოსვით,
მაღალი კიბე მიადგეს კედელს
და როგორც კლდეზე, ავიდნენ ცოცვით.
გრინინმა ჭერზე ააღო კარი,
ძლიერი შუქი დაეცა სარდაფს.
ორივე ერთად ნაბიჯით ჩქარით
მაღლა სართულზე არბოდნენ სადღაც.
მოულოდნელად მიადგნენ ოთახს,
შეაღეს კარი, შეჩერდნენ უმალ.
ბავშვი გაფითრდა, ქალი კი თრთოდა
და მაინც იდგა ორივე ჩუმად.
ოთახში ფეხი შედგეს მხედრებმა,
აღიქვეს შიში, დუმილი, მწუხრი
და იგრძნეს იყო დიდი ვედრება:
ქერათმიანი დაეცა მუხლით.
გლები ფიქრობდა, რომ შეაშფოთეს
ოჯახი მყუდრო და სათნო ძალზე.
გაბრუნდა, სანამ ცრემს შეიშრობდნენ

გაფართოებულ, შიშნასვამ თვალზე.
ლაშა კი იდგა მდუმარე, მკაცრი,
გლები მეგობარს ელოდა კართან;
იქნებ შენიშნა გუმანით, აზრით
მათში სხვა რამე ცრემლების გარდა?
მაგრამ გაბრუნდა...
                    დაჰყვნენ სირბილით
დარკალულ კიბეს მძიმე ქუსლებით.
ათბობდათ თავის გულის სირბილე
და აფიქრებდათ ლანდი უცები.
როგორ საოცრად გაქრა უმალვე,
ადამიანი სარდაფმა ჩანთქა.
ბნელმა კედლებმა ვით დაუმალეს,
რომ ნაკვალევიც აღარსად ჩანდა?
ლაშა კიბეზე წამით შეჩერდა.
ეჭვმა გააღო თვალი კვირტივით
და ლურსმანივით ხედვა შეჭედა,
სადაც დატოვა ხვეწნა, ქვითინი.
ლაშაში ხსოვნამ აანთო სხივი,
ზიზღით ავსებდა გულს, როგორც აუზს.
ცისფერთვალებას ძვირფასი მძივი
ყელზე ეკიდა გერმანელ ფრაუს.
მხედრები ჩუმად მიადგნენ ოთახს,
მოულოდნელად შეაღეს კარი.
იქ უკვე სამი არსება თრთოდა:
პატარა ბავშვი, კაცი და ქალი.
ო, კაცი იდგა მათხოვრის სახით,
თითქოს გამვლელებს წყალობას სთხოვდა,
ბავშვი კი როგორც ფინია ძაღლი,
შემკრთალი, მამას მიუახლოვდა.
ლაშა მივიდა გულმშვიდად კაცთან,

უთხრა ჩურჩულით:

,,- გული გაქვთ ჩვილი,

მაგრამ თუ გახსოვთ, ტყისპირად, ჭასთან

თქვენ ჩამოაღრჩვეთ ტყისმცველის შვილი“.

გერმანელს ტუჩზე შეახმა ფითრი,

მაინც დამალეს თვალებმა სისხლი

და თან ცბიერი აღეძრა ფიქრი,

რომ გაადიდოს ცრემლების რიცხვი.

ის მიდიოდა აყრილი ქუჩით,

ქალაქის მკვიდრი არ ჩანდა არსად.

და იყო ბნელი სატახტო მუნჯი

დარბეული და ქცეული ნაცრად.

ჩვენ დავამუნჯეთ ბნელი სატახტო,

ბოროტმა სიტყვამ აღარ იელვოს;

ეს იყო დიდი ვალის გადახდა,

ეს იყო დიდი სამაგიერო!

და გადადგმული ყოველი ბიჯი

მოწამე გახდა ბერლინის მწუხრის:

ხედავდა სახლებს გაფანტულს შიშით,

ზარდაცემულს და დაჩოქილს მუხლით

გაიელვებდა თვალები ხშირად,

გამარჯვებულის ღიმილთან ერთად,

რომ წაქცეული თბილისის ხილვას

სჯობს დაჩოქილი ბერლინის ჭვრეტა.

ბერლინის ღამემ უხილავ ფუნჯით

ცაზე წაშალა ვარსკვლავთა წყება.

ის მიდოდა აყრილი ქუჩით,

ის მოიყვანა აქ მკაცრმა გზებმა.

ის მოიყვანა აქ მკაცრმა გზებმა

შურისძიების დიდი მარაგით

და დაცხრა მისი დიადი ვნება,
როდესაც დასცეს ბნელი ქალაქი.
მისი ქუჩები თითქოს შიშობდნენ,
სულის შებერვით მთვარეს აქრობდნენ...
მაგრამ მან იგრძნო დიდი სიშორე,
სიშორე იყო თუ სიახლოვე-
ეფერებოდა ფიქრებს მოსავად,
მშობლიურ ქართა ფრთებით დაქროლეს.
ო, რამდენადაც იგი შორსაა,
იმდენად გული გრძნობს სიახლოვეს.
მღვრიე ბურუსებს არღვევდა ხედვა,
რომ დაენახა სამშობლო მიწა;
ვით წაქცეული ჩრდილები ხეთა,
ფიქრი თბილისის გულმკერდზე იწვა.
სახლების იქით ჩააქრეს მთვარე
და ვარსკვლავებიც წაშალეს ფუნჯით.
მას ადარდებდა სამშობლო მხარე
და მიდიოდა აყრილი ქუჩით.

6

როგორც პატარა გულწრფელმა ბავშვმა,
მან აღტაცება იცოდა სრული.
ეხეტებოდა მთელი დღე ლაშა,
თბილისის ჭვრეტით იკლავდა წყურვილს.
უმზერდა ქალაქს გორებზე შეხრილს,
რომ დაფრქვეოდა ნათელი მზისა.
მან დღეს პირველად შემოდგა ფეხი
და სიხარულით დაკოცნა მიწა.
და სიყვარული მკერდს მიღვარული
თან გაატანა მშობლიურ ნიავს,
ამ აღტაცებით და სიხარულით

დაღლაში გრძნობდა სიამეს დიადს.

ლაშა ოთახში დუმილს არღვევდა
და ეს სიცოცხლის იყო ნიშანი.
იქ მაგიდაზე იდგა ნახევრად
დაულეველი წყალი ფინჯანით.
ჩამომჯდარიყო ნიჟარა თეთრი
გალაქტიონის გადაშლილ წიგნზე
და დაკეცილი ბარათი ერთი
იქვე ზომავდა პატარა სივრცეს.
მაღალი ვაზა ლაჟვარდის ფერი
კვლავ ინახავდა გადამხმარ იებს.
ყველაფერს აწვა მსუბუქი მტვერი,
თითქოს აძლევდა სიძველის იერს.
ლაშაც ყველაფერს ავლებდა თითებს,
უთრთოდა გული სითბოს მფრქვეველი.
ეს გული რამდენ სიყვარულს იტევს
და რამდენია დაუტეველი?
მაგრამ ფიქრები საით გაჭრილან,
საით მიფრენენ თვალებთან ერთად?
ის იჯდა ტახტზე, ღია ფანჯრიდან
მთელი მსოფლიოს ვარსკვლავებს ჭვრეტდა.
ის განა წუხდა, განა დარდობდა?
სევდას რა უნდა მის მაღალ სულთან.
განვლილი გზები შორს რომ დატოვა,
ჯერ თვალებს მათი ალერსი სურდა.
მან მოიგონა ლურჯი ტყისპირი
და გვირილების თეთრი ხალები.
ასული, ვისაც ჰქონდა ცისფერი,
მართლა ცისფერი, წმინდა თვალები.
მივიდა მზეში, დასიცხულს წყალი

არ მიაწოდა არავინ ჭიდან.
იყო საფლავი პატარა, წყნარი,
ცისფერთვალებას ეძინა მშვიდად.
ფიქრმა ძვირფასი სახე მოძებნა,
თმებში ჩაუწნა ვარდი და დაფნა.
ოჯახზე მათი კარგი ოცნება
მტირალ ქალივით დაემხო საფლავს.
მას გაახსენდა დღე ბედნიერი,
ტყისმცველის ქოხში მივიდნენ ოდეს.
ვინ იფიქრებდა, ქარი ძლიერი
რომ დაუმტვრევდა ოცნებას ტოტებს?..
მთაწმინდა ღამეს შუბლზე იხვევდა,
მაინც სინათლე იყო ფენილი.
მთვარემ სარკმელში შემოიხედა
ცნობისმოყვარე მეზობელივით.
ლაშა ადგა და დაეყრდნო რაფას,
თავის ქუჩაზე უმზერდა ქალაქს
და იმ ღელვაში აღიქვა სწრაფად
დიდი სიცოცხლის ახალი ძალა.
დღისითაც ამან დაწმინდა ფიქრი,
ღამითაც მეტყველ სახეს შესცინა.
იყო, რისთვისაც იბრძოდა იგი
და სიყვარული რასაც შესწირა!
გულის სიღრმეში შეიგრძნო სითბო,
სულში ჩახედა ნათელმა სვეტმა.
ამ ჯადოსნური ქალაქის სიტკბო
უტკბილესია ყველაზე მეტად.

იგი ოთახში შეჩერდა წუთით,
თვალები ფანჯრის მიღმა ცურავდნენ.
მონახა ძველი მტვრიანი ყუთი,

გახსნა, დაუწყო ძებნა სურათებს.

დადგა წამები დუმილის, თრობის...

მოგონებები უხმოდ დგებოდნენ

და სახეები ბავშვობის დროის

სურათებიდან იღიმებოდნენ.

მოჩანდა ტყეში გამდგარი ბექი,

გოგო ჩრდილავდა მშვენიერ მაღლობს.

ვით უხაროდა პატარა მეგის

მზე და ზაფხული მზეთამზის ახლოს.

უხმოდ მივიდა ლაშა კარამდის,

იგრძნო, ოთახში არ იყო მარტო:

დახედა წიგნს და მეგის ბარათი

იქვე ზომავდა პატარა ფართობს.

შუაღამემდე ის ყუთთან დარჩა,

ფიქრებს არ ჰქონდა მაინც სასრული,

მაგრამ საოცრად უმზერდა ლაშას

ძველ სურათიდან უცხო ასული.

თითქოს უნახავს იგი წინათაც,

ეხლა სხვანაირ თვალებით უმზერს.

ლაშას თვალებში სხივი ბრწყინავდა,

უცხო ქალმა რომ აანთო უცებ.

მას უცნაური კლავდა წყურვილი,

მოგონებების წავიდა რიგი.

მისთვის უჩვევი გაჩნდა სურვილი,

სურდა გაეგო ვინ არის იგი.

გაფრინდა სიტყვა ქარზე უმალი:

,,-ვაი ამდენხანს რარიგ ვნაღვლობდი“.

დედაა,- მიხვდა შვილის გუმანით,

დედაა,- მიხვდა შვილის ალღოთი.

ის დედის სურათს უმზერდა დიდხანს,

სიცარიელე შეევსო გულთან

და ბაგეებზე ათრთოლდა სიტყვა:
,,-რად მიმალავდნენ შენ სახეს მუდამ?
რად იყო მამა ასეთი ჩუმი,
რომ ლაპარაკშიც დუმილი სდევდა?
აი როგორი ყოფილხარ თურმე
და არ ვიცოდი ამ დრომდე, დედა.
რის ღიმილია შენს ღრმა თვალებში?
პირმშოს ღიმილით რა გსურს უჩვენო?..
დედა, არ მახსოვს შენი ალერსი,
დედა, მე დღემდე მოველ უშენოდ.
ძვირფას თვალებში ჩახედვას ვბედავ,
შემხედე ჭაბუკს მთასავით შემდგარს!
შენ ხომ სიკვდილი მაჩვენე, დედა,
მაინც სიცოცხლე ვისწავლე შენგან.
დამბადე, მტერთა ძლევა მომეცი
და ფერმკრთალ სახეს გიკოცნი ეხლა.
შენ ხარ ყველაზე უახლოესი
და უშორესიც ყველაზე შენ ხარ.
ძვირფას თვალებში ჩახედვას ვბედავ,
მწუხარე ღიმით მოსილი ნუ ხარ,
შენს წმინდა საფლავს ვიცავდი, დედა,
გამარჯვებული დავბრუნდი უკან!"

ის აღტაცების დღეებს დანებდა
და დიდ სიხარულს გრძნობდა შორიდან.
შვიდი ფურცელი მოწყდა კალენდარს
და მერვე დილას მამა მოვიდა.
იცოდა, მამას არ აკლდა სითბო,
როგორც უღრუბლო ზაფხულის დარსა
და შეხვედრისას დაიბნა თითქოს
და აღტაცება მასშივე დარჩა.

ო, მამაც მუდამ ამ დღეს ნატრობდა
და გაუმრთელდა გული ნაკაწრი.
საოცარია: ბავშვი დატოვა
და ეხლა მის წინ დგას მამაკაცი.
გულში დიადი სუნთქვა შეფრინდა,
მათ შორის იდგნენ დღენი ურიცხვნი
და მაინც შეხვდნენ ჩვეულებრივად,
ვერ გამოხატეს სიხარულიც კი...
ბოლოს დაირღვა სიჩუმე მკაცრი,
ლაშას ბაგიდან მოსწყდა გულისთქმა.
ჩუმი და მაინც გულთბილი კაცი
მალავდა ცრემლებს სიხარულისას.
ზღვა აღტაცება იყო გაშლილი
და აღიმართა ფიქრი მთებივით.
ომგადახდილი მამა და შვილი
ისხდნენ ნამდვილი მეგობრებივით.
ცრემლი დაწურა მამის თვალებმა,
გაოცება კი ბოლომდე დარჩა,-
ამ დღეს პირველად უზიარებდა
მამას საკუთარ გულისთქმას ლაშა.
გატარებული უძილო ღამე
იყო უამრავ ამბის მთხრობელი.
გაშალა გული და გახდა მამა
უფრო ძვირფასი და მახლობელი...
ღამე სარკმლის მინებზე დადნა
და მოსაუბრე საოცარ გზებით
დადუმდა, მამის თვალებში ჩანდა
ომის საზარი და მკაცრი გზები...

ცა ელვრებოდა მთაწმინდას ლურჯად,
მზე ელვარებდა უზომოდ დიდი.

ლაშა მისდევდა შუადღის ქუჩას,
იყო თბილისის ნამდვილი მკვიდრი.
,,- მეგი კვლავ ალბათ ამ სახლში ცხოვრობს,
ამ ქუჩით ბევრჯერ მივლია წინათ.
და ეხლა მისთვის გავივლი მხოლოდ,
რომ ჰოსპიტალში ვესტუმრო ცირას“.
ფოთლის შრიალი ქარმა მოდენა-
სიცოცხლის სუნთქვა მის წინ დაღვაროს.
აჰა, შენობა, ცერისოდენას
სადაც აჩვენეს მთელი სამყარო.
ეს მოხდა წინათ, მაღალმა მამამ
ხელჩაკიდული რომ მიიყვანა.
მის ცხოვერბაში ახალმა ჟამმა
ახალი კვირტი ამოიყარა.
გაბრუნდა უკან მაღალი ტანი,
პატარა დარჩა კედლების შიგნით.
აქ აუხილეს ბავშვური თვალი,
აქ შეაყვარეს სწავლა და წიგნი.
მერე რიგდარიგ წლები წლებს მიჰყვნენ,
გრიგალში ხედვა სიბნელედ იქცა.
მას აუხილეს თვალები იქვე
და ხელმეორედ აჩვენეს მიწა.
ძვირფას ოცნების ლაღი შრიალით
ლაშა საყვარელ კარებთან გაჩნდა.
უცებ მოესმა ზარის წკრიალი
და ჟრიამული, კისკისი ბავშვთა.
გაიღო კარი დიდი შენობის,
მას რომ ყოველთვის უყვარდა ეგზომ.
ბავშვები რბოდნენ როგორც შველები,
ბავშვურ სიცოცხლით ავსებდნენ ეზოს.
ჩირაღდანივით აინთო ფიქრი,

ერთმა გოგნამ თვალში შესცინა.
იყო, რისთვისაც იბრძოდა იგი
და სიყვარული რასაც შესწირა!..

მუქი ჩრდილები გაზრდილან ბაღში,
ლაშას ნაცნობი გზა მოაგონდა.
მაგრამ მის თვალწინ წაიქცა ბავშვი,
მსუბუქი ხტუნვით ბურთი გაგორდა.
წამოაყენა ბიჭუნა რიდით,
უმალვე გაჩნდა შემკრთალი დედა;
ვერ მიხვდა, იყო მადლობა დიდი,
თუ გაოცება შეიშრო ხედვამ?.
სასწაულია ეს, თუ შეხვედრა?
ქალმა შეჰყვირა, ლაშა შეფითრდა.
(გაჩუმდა ბავშვი, უხმოდ შეხედა
დედას ცრემლნარევ გაკვირვებითა).
დიდი ხნის ნატვრა ასრულდა ასე
შეხვდა, შეფითრდა, შეეკრა სუნთქვა.
მერე დუმილით ჩამოსხდნენ სკამზე,
ბავშვი ხმაურით ბურთს გამოუდგა.
ფიქრობდა: ,,რა შორს ვიყავ, ვიბრძოდი,
აი კვლავ შევხვდი და ვსხედვართ ერთად.
მეგი სულ სხვაა, მე რომ ვიცნობდი,
სულ სხვაა, მეგი, რომელსაც ვხედავ.
მე მაინც ყველგან მისკენ ვიწევდი,
მასში ბავშვობის სახეს ვხედავდი.
რომ დამხვედროდა ისევ ისეთი,
უთვალავ სათქმელს გავუბედავდი“...
,,-ვხედავ, საოცრად როგორ ამაღლდი,
ძვირფასო, გამჩნევ დედობის იერს.
შენ ჭეშმარიტად გახდი ამაყი,

როცა პატარას სიცოცხლე მიეც!“
მეტყველი მზერა შორს თამაშობდა,
სადაც მერცხლები გაბმულან მზეში.
,,- როგორც მიყვარდა შენი ბავშვობა,
მე შევიყვარებ დედობას შენში!“
ბაღს დაეხურა ცის ლურჯი ქუდი,
ნიავი ქროდა, მგონი არც ქროდა.
ბურთს დაედევნა ბავშვების გუნდი
და ერთ-ერთს მეგის თვალები ჰქონდა.
პატარა ბიჭმა აუნთო ფიქრი,
ნაცნობ თვალებით როცა შესცინა.
იყო, რისთვისაც იბრძოდა იგი
და სიყვარული რასაც შესწირა!

დღეები დღეებს მისდევდნენ სწრაფად
და ლაშა მათთან ფეხდაფეხ მიდის.
მას ეუბნება სულ ახალ ამბავს
უნივერსიტეტის შენობა დიდი.
მარის ქუჩაზე ჩაივლის ხშირად,
თვალებში უმზერს მზეს ფერებაშლილს
და მკლავგაყრილი დაჰყვება ცირა,
როგორც ჰოსპიტლის გრძელ დერეფანში.
მას აგონდება განვლილი ჟამი,
ხსოვნაში მკაცრი დღეები ბოლავს...
მაგრამ მის თვალწინ შებოჭეს ხრამი,
ცეცხლში აწრთობენ რუსთავის ფოლადს.
ჩირაღდანივით ანთია ფიქრი,
დიდმა ცხოვრებამ თვალში შესცინა.
არის, რისთვისაც იბრძოდა იგი
და სიყვარული რასაც შესწირა!

პროზა

რევაზ ინანიშვილი

სახსოვარი

იმ დილით წვიმდა, ატალახდა. შეუძლებელი იყო მუშაობა ცის ქვეშ, და გადავწყვიტე მენახა ინაური- ჩემი ყოფილი მასწავლებელი. აი, უკვე მესამე თვე მიდიოდა, რაც ის ლოგინად იყო ჩავარდნილი და მხოლოდ ორჯერ მომეცა საშუალება შემევლო მასთან, გამემხნევებინა ავადმყოფობით გაწამებული. ყოველთვის კი თვალწინ მედგა ეს ტანმომცრო მოხუცი, მისი უკანგადაყრილი, თოვლივით სპეტაკი თმა, გამხდარი პირისახე და შუქიანი თვალები. ან როგორ უნდა დამვიწყებოდა ჩვენი გულთბილი შეხვედრები!.. რა ვუყოთ, რომ გრიგოლი ჩემზე სამჯერ უფრო მეტი ხნის იყო და ასჯერ უფრო მეტის მცოდნე. განა წლოვანება მართლა დიდ როლს თამაშობს მეგობრობაში? არა. ხუთი წლის მანძილზე მასწავლიდა რუსულ ენას და პირველად მან ჩამინთო სიყვარულის ცეცხლი ამ დიდი ერის დიდებული ლიტერატურისადმი. ვინ დასთვლის რამდენი წარმტაცი ეპიზოდი უამბია პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის და მაქსიმ გორკის ცხოვრებიდან. და უამბია როგორ?!.. ლაპარაკობდა დინჯად, ოდნავ წამწამებდაწეული, ღიმმორევით, საოცრად მუსიკალური ხმით. პირდაპირ მკერდიდან ამოჰქონდა სიტყვები. ამ სიტყვებს სდიოდა საოცარი სურნელი- ხან რუსეთის თვალუწვდენი სტეპის, ხან ციმბირის ტყის, ხან სამხრეთის უდაბნოსი და ხანაც ჩვენი მიწის.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მას ნახავდით საკუთარ ბაღჩაში. ძველის-ძველ, სპილოსძვლის ბალთიან ქამარში ჩარჭობილი ჰქონდა მაკრატელი, ან პატარა ხერხი. ყოველ ხეს შეჰღიმებდა, ხმელ წკირებს წააჭრიდა, ფოთლებსაც კი არ დასტოვებდა გაშანშლულს, მოწიწებით ჰკრეფდა და აქუჩებდა ერთად.

შუადღისით ეწვეოდა თითა ყურძნის ხეივანს. აქ ედგა მაგიდა. მაგიდაზე წყობისად ელაგა წიგნები, რვეულები, სამელნე და დოქი. წიგნს იკავებდა თვალების სიმაღლეზე. უყვარდა ფიქრი.

შევაჭრიალებდი თუ არა ბაღჩის ცისფერ კარს, ის უკვე ფეხზე იყო, მომეგებე-ბოდა, საამური სიცილით ჩამომართმევდა ხელს და შემომთავაზებდა სკამს.

მისი პირველი კითხვა ყოველთვის ერთი იყო:

-მოიტანე რამე? ხოო? აბა, მოვისმინოთ...

სიმხნევეს მმატებდა მისი ყოველი სიტყვა. გაბედულად ვიწყებდი კითხვას. ის მისმენდა, მისმენდა ღიმილით. დასასრულს მზერას შევაპარებდი, და თუ ადგებოდა,- თავისუფლად ვსუნთქავდი, მიხაროდა.

-კარგია, კარგი. - გაივლიდა ორიოდე ნაბიჯს. - მაგრამ უფრო მეტი სინათლე, უფრო მეტი ცეცხლი! აბა, მიიხედ- მოიხედე. ასე ნათლად ჩანს შენს ნახატში მიწა, ხეები, ცისთაღი და მზე? ჩანს? ნუ დაამახინჯებ სიცოცხლეს! ის ისეთი კარგია, ისეთი სრულყოფილი, რომ არავის ვაპატიებთ მის შელახვას, არავის.

ჩვენს წინ გადაშლილიყო ჩრდილოეთის ტყიანი მთები, აღმოსავლეთის უტყეო ზეგნები, დასავლეთის ნოყიერი ხეობა და აზღვავებული ბაღ- ბოსტნები. ორივეს გვიყვარდა მზე და სუფთა ჰაერი. ორივეს გვიყვარდა მიწა, მისი შემმკობი- ადამიანი. ვერ ვძღებოდით მათი ქება- დიდებით...

და ერთხელ ვკითხე:

-პატივცემულო გრიგოლ, არასოდეს დაგიწერიათ ლექსი?

მან გაიღიმა, თითისწვერებით დაარაკუნა მაგიდაზე და მოწყენით თქვა:

-არა, არასოდეს.

მთელი რაიონი იცნობდა როგორც გამოჩენილ პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს და დაუღალავ მშრომელს.

...და აი, ეს კაცი როგორღაც მოსხლტა სახლის სახურავზე მიყუდებულ კიბიდან. დაენარცხა ქვებს. გადარჩა. მაგრამ ხერხემალი დაეჩეჩქვა, რაღაც ჩასწყდა. დიდხანს მკურნალობდნენ. დაიღალა, ითხოვა საკუთარ ბინაში გადაყვანა და აქ, თაბაშირში ჩაკრული, დნებოდა, ილეოდა.

* * *

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა, - ომის დამთავრების მესამე დღეს.

...ჩვენიდან კარგა მანძილია ინაურთა ბინამდე. საკმაოდ დამასველა წვიმამ.

ეზოში რომ შევედი- შევჩერდი.

წვიმის წვეთები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ ხეებს. გამოკოკრილ ვარდებს ძილმორეულ მოხუცებივით ჩაექინდრათ თავები. ორი მერცხალი ჩამომჯდარიყო

კიბის სახურავის ქვეშ, თოკზე, რომ დამინახეს, კისრები დაიგრძელეს, ერთმა ცერადაც გამომხედა. ესენი ჩემი ნაცნობი მერცხლები იყვნენ. მე მინდოდა მივსალმებოდი ჩვეულებრივ, მხიარული ძახილით:

-გამარჯობათ, ეი თქვენ, ღაბუებო.

და ვიცი- არც ისინი დამიგვიანებდნენ პასუხს. აფრინდებოდნენ, ჟიკჟიკით გადამივლიდნენ თავზე, გაიხარებდნენ, მაგრამ...

-რამ დაგაღონათ, ღაბუებო? განა ასე დაგღალათ გუშინწინდელმა სიხარულმა? რატომ არაფერს მეუბნებით?

მხოლოდ მხრები შეატოკეს და ერთხელ ამოხდათ:

-ჟიკ!

არაჩვეულებრივი სიდინჯით მომიახლოვდა ჯავრია. მხოლოდ ერთხელ შემომხედა თავის ჭკვიანი თვალებით და თავი ჩაღუნა, აიბუზა.

-ცუდად თუა საქმე. - გავიფიქრე და ჩქარი, მაგრამ უხმო ნაბიჯით ავიარე კიბე. კარებში ვიღაც შემეფეთა. შევდექით. ძლივს მივხვდი, რომ ჩემს წინ იდგა გრიგოლის მეუღლე, კეთილი ანა. გამოცვლილიყო, მე მას ვხვდებოდი მუდამ ფაქიზად გადავარცხნილ თმებიანს. ახლა თავშალი ეხვია და ამიტომ თუ გამიჭირდა ცნობა.

-მობრძანდით. - შემიპატიჟა შინ. თან თავშალს ისწორებდა.

-ხომ კარგად არის?

-კარგად, თუმცა... ხო, კარგად გახლავთ. იცით? ჩემი ქალიშვილი ჩამოვიდა... დღეს რატომღაც ღელავდა... ძლივს ჩაეძინა. მაპატიეთ, რომ ვერ ვაღვიძებ. ცოტახანს მოითმინეთ და... აი, აქ დაბრძანდით.

მე შევედი ცისფერი ყვავილებით მოჩითულ ოთახში.

ფანჯარასთან, საიდანაც მოჩანს მდინარე და ხუჭუჭტყიანი მთები, იდგა რკინის საწოლი. საწოლს ეფარა ოქროსფერი საბანი. ქათქათა ბალიშზე იწვა ისსპეტაკთმიანი, საოცრად პატარა.

სახეზე დავაცქერდი, გული გადამიქანდა.

მისი კანი მომეჩვენა გამჭვირვალედ. შიგ ჩახლართულიყო უამრავი ლურჯ-წითელი ძაფი. ნუთუ ძარღვები იყო ეს?

..ის იყო დავაპირე დაჯდომა, რომ შუშაბანდიდან მომესმა ჩურჩული. მივხვდი, ვინც უნდა ყოფილიყო. ფეხაკრეფით გავედი.

ჩვენ შევხვდით ღიმილით, მაგრამ არა ისეთით, როგორიც გვეკუთვნოდა იმ დღეს. ერთმანეთს მივულოცეთ გამარჯვება. მე გამოვკითხე მგზავრობის შესახებ, მოსკოვის ამბებზე. ვუამბე აქაური და დავაიმედე მამის ამტანიანობაში.

-მე მაინც მეშინია. მამა მოქანცულია, ნერვები დაუსუსტდა, ღელავს... ექიმებიც ამაოდ ცდილობენ.

ანა როგორღაც დაბნეული დადის ოთახიდან ოთახში. ელენე თვალს ადევნებს დედას.

...მოისმა სუსტი ხველება და კვნესა.

-გაიღვიძა.

ჩვენ შევედით ფეხაკრეფით მასთან. მომხედა, მიცნო, გამიღიმა. მეც გავუღიმე და, თითქოს თვალები ეტკინაო- დახუჭა. ხელი კი გამომიწოდა, ნოტიო და ცხელი მარჯვენა ხელი. და როგორც კი შევეხე, ისევ გაახილა თვალები, დაჟინებით მიმზერდა ერთ წუთს. მანიშნა დავმჯდარიყავ.

დავჯექი.

მან გაზეთი გაშალა, გულზე დაიდვა, ზედ ხელები დაიწყო, გაირინდა.

-როგორა ხარ, მამიკო?- მოეფერა ელენე.

გრიგოლი სდუმდა. მისი სანთლისფერი სახე, დატეტკილი ტუჩები, სიფრიფანა ცხვირი და აწითლებული ღაწვისთავები რაღაც ქარ-ცეცხლს მალავდნენ.

-ნახე?- ახიხინდა ბოლოს. თავი ოდნავ ასწია. ყურთბალიში შეაშველა ელენემ.

-რაზე ბრძანებთ?

იგი თითქოს გაოცდა.

-რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, რომ დღეს გვიხარია... რომ მე... მეც მიხარია. მაგრამ... იცი? - ხმა თითქმის ჩაუწყდა, დამფრთხალივით აფახურებდა წამწამებს და წვალობდა.

-მოიწიე ჩემსკენ!..

მან თვალი მოავლო ოთახს, ხმას უფრო დაუწია. ძლივს ვარჩევდი სიტყვებს.

-მე მისი მრცხვენია... მე...მოისმინე რა სთქვა?

მე მინდა მეკითხა, თუ ვისზე ჰქონდა ლაპარაკი, მაგრამ აღარ დამაცალა.

-„მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო.'' გესმის? თანა-მემამულენი, მისი თანამემამულენი- ჩვენც ხომ ვართ- მე, შენ... ხომ ასეა?... უნდა ისე გვიყვარდეს სამშობლო, როგორც მას, რომ მის თანამემამულედ აღიარო თავი.

სიყვარული კი მარტო სიტყვა როდია. იზრუნე მისთვის- აი, სიყვარული, დაეხმარე მას- აი, სიყვარული! მე კი... ცოტა, ძალიან ცოტა გავაკეთე.

-თქვენ...

-არა, არა, მოიცა.- ჩამომართვა სიტყვა.- შენ გინდა სთქვა, თითქოს მე გამეკეთებინოს ბევრი რამ, მაგრამ განსაჯე... ჩვენა და ის... ჩვენ კი სიამაყით დავატარებთ მისი თანამემამულის, მისი ძმის და თანამებრძოლის სახელს.

იგი ანთებული თვალებით შეჰყურებდა ბელადის სურათს, აჩქარებით სუნთქავდა. მძიმე- მძიმედ განაგრძო:

-დიდი, დიდი დამსახურებაა საჭირო, რომ მის შემოხედვაზე თვალები არ დახარო.

შევშინდი. ეს რაღაც ახალი რამ იყო ჩემთვის. დამსახურებული პედაგოგი, დაუღალავი მოღვაწე ჩიოდა თავისი ღვაწლის სიმცირეზე. და მე? მე რა უნდა მექნა? სიწითლემ დამირბინა სახეზე. მან ეს შეამჩნია.

-შენ ახალგაზრდა ხარ,- მომმართა თითქოს სხვათა შორის,- შენს წინ ვრცელი გზაა, გაიარე თამამად. ნუ იქნები ზარმაცი, სიზარმაცეა ყოველგვარი ბოროტების სათავე. იშრომე, იშრომე ისე, როგორც ბელადი მიგვითითებს. გჯეროდეს გაიმარჯვებ.

* * *

მთელი ორი საათის განმავლობაში ვისმენდი მის გულწრფელ ღაღადისს შრომასა, სულგრძელობასა და პატიოსნებაზე. ბოლოს მოიწყინა.

-ცუდად ხომ არა ხარ, მამიკო?- ჰკითხავდა ელენე.

-არა.

ის იწვა უძრავად, თვალებგაშტერებული.

ამოიოხრა, ხელი ხელში წამავლო, ძირს დამწია და ცრემნარევ კილოზე ჩამჩურჩულა ყურში:

-ხომ გახსოვს, როგორ გიყვარდა სიცოცხლე. ამ სიბერის დროს... საცინელია... უფრო შემიყვარდა. აი, ახლა რომ შემეძლოს წამოდგომა!.. ზაფხული მოდის... დიდი ზაფხული.

მკლავები დაიფარა თვალებზე.

სწორედ ამ დროს დაიგრგვინა და წამოვიდა მსხვი- მსხვილი წვიმა.

გრიგოლი მოელოდა რაღაცას.

ეს იყო თურმე ეული გრგვინვა.

*   *   *

მეორე დღეს სხვაგან მომიხდა გამგზავრება. რომ დავბრუნდი- გრიგოლი აღარ იყო.

მე ავედი სასაფლაოზე, სოფლის განაპირას, ქარ-წვიმისაგან გადარეცხილ ზეგანზე.

მზიანი დღე იყო. თითქმის საურმეზე გადმოსულიყვნენ ენძელები. ბალახიც ამოსულიყო. ბოჩოლები ნებივრობდნენ მზეში და იცოხნებოდნენ ზარმაცად.

გრიგოლის საფლავს შემოხვეოდა ბავშვების გუნდი. იქვე იდგა მაღალი ქალი, მათი მასწავლებელი. გულმოდგინედ ფუსფუსებდნენ, რაღაცას საქმიანობდნენ.

მე ჩამოვჯექი მოშორებით და ვუცდიდი, რომ წასულიყვნენ ისინი. კარგა ხანს ვიცადე. ბოლოს წავიდნენ. ხმაურით ჩაეფინენ ფერდობს. მიაქნევდნენ წკეპლებს და ეხლებოდნენ ერთმანეთს. მესმოდა მასწავლებლის ხვეწნანარევი ხმა.

...გაშტერებული დავცქეროდი საფლავს. მიწაყრილი, ორი ტინის ქვა, გვირგვინების ნაშთი, ხავსი და ენძელები. ეს უკანასკნელნი ჩაურგავთ იმ პატარა ბავშვებს, წეღან რომ იყვნენ აქ. ფხვიერ მიწაზე აღბეჭდილია მათი წვრილი და სათუთი თითების კვალი.

საზარელია ფიქრი იმაზე, რომ საყვარელი ადამიანის ნათელ შუბლს აყრია მიწა, კიდევ უფრო საზარელია გახსენება იმ ადამიანის თვალების, ღიმილის და... ბოლოს ისევ მიწის, ცივი და ნესტიანი მიწის, მკვდარი მიწის.

რამ ამომიყვანა აქ?

-მშვიდობით, პატიოსანო კაცო!

ამ სიტყვებმა?

არ ვიცი.

აბუზული და ძალმილეული მივყვებოდი ფერდობს. ის კი აქ დარჩა სამუდამოდ, ბნელში, სიცივეში...

,,სავსებით დავშორდით... არაფერი არ დამიტოვა სახსოვრად?“

რა დამიტოვა?

მისი არც ფანქარი მაქვს, არც რვეული, არც დანა, არც... არაფერი.

-ეხ...

მინდოდა ჩამესუნთქა მძლავრად, თავი ავწიე... ღრუბლის საბურველი ჩამოეცალა მზეს.

სიხარული.

სიხარული ამ დროს?

-მან ხომ მზე დამიტოვა... მან ხომ ეს შემკობილი მიწა დამიტოვა, მან ხომ მათი სიყვარული დამიტოვა.

ამაზე მეტი სახსოვარი?

რას მეტყვით, ენძელებო?

ქართლოს კასრაძე

მზის ამოსვლამდე

ორივე მძიმე ნაბიჯით მიარღვევდა გზას მუხლებამდე თოვლში. წინ წასული მერაბი მალ-მალე შედგებოდა ხოლმე და ზურგსუკან გადახედავდა ამხანაგს.

მძიმე ზურგჩანთა თავისუფლად ეკიდა მხრებზე. წელზე მსხვილი თოკი ჰქონდა შემოხვეული, ხოლო მხარიღლივ სათადარიგო ზონარი გადაეხვია.

მერაბის მძიმე, ბრგე სხეული გარკვევით მოჩანდა თოვლზე. ათიოდ მეტრის დაშორებით, მოღლილი ნაბიჯებით მიჰყვებოდა კოხტა გოგონა, რომელიც მთავარი თოკით იყო დაკავშირებული ჭაბუკთან.

...და განა მარტო თოკით?

სვანეთის უღრუბლო ცა იისფრად ლივლივებდა.

შორს, მარცხნივ, უკვე მოჩანდა სვანეთის თეთრნაბდიანი მწვერვალები: უშბა, შტალვერი, სვეტღარი, ლაილა... ხოლო უფრო შორს, ჩამავალი მზის სხივებში, ბრწყინავდა თეთნულდი.

-მერაბ!

-ცოტაც, ცოტაც და დავისვენებთ!..

ახლა უკან არც კი მოუხედავს მერაბს, ისე მიემართებოდა წინ, ყინულოვან ფერდობზე.

-მერაბ!

კვლავ გაისმა ღონეგამოლეულ გოგონას ხმა.

ჭაბუკი ახლა კი შედგა და გაღიმებული სახით მობრუნდა.

-დაიღალე, თინა?

გოგონამ ღრმად ამოისუნთქა და ოფლისაგან დაცვარული შუბლი მაჯით მოიწმინდა. მერაბი შეჩერდა.

-ხედავ თინა? მზე ჩადის!.. მზის ჩასვლამდე უნდა მივაღწიოთ ტენის პლატომდე. იქ ვახტანგია... იგი უკვე კარავსაც გაშლიდა და ალბათ, სულმოუთქმელად გველოდება. ხვალ დილით მწვერვალზე ვიქნებით... იქ შევხვდებით მზის ამოსვლას. იცი, თინა, ვერ წარმოიდგენ, როგორ მიზიდავს მწვერვალი!

-ბევრი უნდა ვიაროთ კიდევ?

-არა! სადაცაა გავცდებით ყინულს და მერე ახლოს ვიქნებით კარავთან. დროა ლაპარაკი შევწყვიტოთ და გზას გავუდგეთ, თორემ აქ შემოგვაღამდება.

მერაბი გავიდა გასარკულ, მომწვანო ყინულზე... წერაყინით მოსინჯა ფეხის მოსაკიდებელი ალაგი და ჯვარი გადახაზა. ეს ნიშნავდა, რომ წინ თხელი თოვლით გასიპული, დახურული ნაპრალი იყო.

მერაბმა გადააბიჯა სახიფათო ადგილს და ცივი ჰაერი ღრმად ჩაისინთქა.

გამაგრებული თოვლი ხრაშუნობდა ფეხქვეშ.

ორივე აჰყვნენ ვეებერთელა ხევზე გაწოლილ ყინულოვან კლდეებს...

...გულმკერდჩამოღადრული მწვერვალი გადმოჰყურებდა დაუპატიჟებელ სტუმრებს...

ირგვლივ ჟრუანტელის მომგვრელი მყუდროება იყო გამეფებული- თითქოს ბუნებაც განცვიფრებული იყო დათოვლილი მწვერვალის სიჩუმითა და სიდიადით.

თინა კვლავ შეჩერდა, წელში მოიხარა და წრიაპების თასმები შეისწორა ფეხზე.

-მერაბ!.. სული მეხუთება ისე მომწყურდა წყალი!..

-წყალი?..

მერაბმა მოიხსნა ზურგჩანთა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა, საშინელი სისწრაფით დაენარცხა მკვრივ ყინულზე და თითქოს მოწყდაო ადგილიდან, გაფრინდა სადღაც დაბლა.

თოკმა გაჰკრა თინასაც და პირქვე დასცა!

თინამ შემაძრწუნებელი ხმით შეჰკივლა. მკერდზე გამობმულმა თოკმა ერთხანს თრევით გაიტაცა, მაგრამ თინამ წერაყინით შეიჩერა უფსკრულის პირას.

სიჩუმე ჩამოვარდა.

-მერაბ!.. თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა გოგონამ.

შეშინებულმა კისერი წაიგრძელა და ფრთხილად გადაიხედა კლდიდან.

თინამ ჰაერში დაკიდებული მერაბი დაინახა.

ვაჟის ბაგეებიდან ბღუჯა-ბღუჯა ორთქლი იფანტებოდა ჰაერში, თუთუნის კვამლივით.

თინა უმოძრაოდ იწვა ყინულზე.

...შორს, სადღაც, უშბასა და შტალვერს შუა, მზე ჩადიოდა...

თინა გალურჯებული ხელებით უღონოდ ებღაუჭებოდა თოკს, რომელსაც ჩაეკვეთა ყინული და ღრმად იჯდა შიგ.

მერაბმა თოკი ჩაბღუჯა და განიზრახა მაღლა ამოსვლა. სამჯერ აცოცდა შუამდე, მაგრამ სველ თოკზე ხელები დაუსხლტა. მკერდთან პატარა მარყუჟი გამონასკვნა და ფრთხილად, ფეხსაცმლის წვერით მოსინჯა ყინულის ძველი კედელი.

ფეხის ტერფი დაუსხლტა კლდიდან.

თოკმა შემოატრიალა მერაბი და ჰაერში დაკიდებული იმავე საზარელ, უმწეო მდგომარეობაში დატოვა.

თინა სასომიხდილი დაჰყურებდა ვაჟკაცის სახეს, -შავ დიდრონ თვალებს, რომლებშიც იმედის სხივი მაინც ენთო.

მერაბმა მეორედ სცადა ბედი, მაგრამ მისი მოძრაობა იმდენად უიმედო იყო რომ საშინელება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აიზიდა მეგობრების თავზე.

თინა თვალს არიდებდა უფსკრულს... ეშინოდა ჩაეხედა იქ, სადაც თეთრპირ-დაღებული უფსკრული იცინოდა მეჩხერი კბილებით. ეს იყო სიცილი სიკვდილის და არარაობისა.

ჰაერში დაკიდებულმა იგრძნო, რომ საჭირო იყო გოგონას გამხნევება.

-თინა!.. არ შეშინდე, გესმის!

-არა, მე არ მეშინია! არ შეგიძლია კლდეში საფეხურების გამოკვერთა?

-წერაყინი გამივარდა ხელიდან, მაგრამ არაფერია...

ამ სიტყვებმა მთლად მოადუნა გოგონას სხეული; საშინელი ტკივილი იგრძნო მხრებში... მერაბი ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძობდა.

-თბილისში რომ ჩახვალ, ჩემს მოხუცებულ დედას ფრთხილად გაუნდე ყველაფერი. თინა, უკვე ღამდება, -არაფერი გამოდის... თუ ღამე მანდ დარჩი, შენც გაიყინები და მეც ... გესმის, თინა? ხვალ დილამდე უნდა დაიპყრო მწვერვალი, მზის ამოსვლამდე... გადაჭერი თოკი... და წადი... ვახტანგთან.

თინა ყურს არ უგდებდა მერაბს. მან გაიფიქრა, თავისკენ მოეზიდა თოკი, მაგრამ... თოკი ღრმად იყო ჩამჯდარი უზარმაზარ ყინულის კლდეში და ოდნავი შენძრევითაც ყინული გაჰკვეთდა.

ქარი ჩადგა, მაგრამ საშინლად, საშინლად ყინავდა.

თინა ტანში შემაზრზენ, ბასრ ტკივილებს განიცდიდა.

... ყინვა კი თანდათან ძლიერდებოდა.

თინას სავსე, თბილი მკერდი, ნელ-ნელა ეყინებოდა მშრალ, მწველ ყინულზე, ხოლო მხარ-იღლივ გადახვეული თოკი ისე საშინლად ეწეოდა და უჭერდა მის ზურგსა და მკერდს, რომ სუნთქვა ეკვროდა.

მზე ჩაესვენა.

დაბინდდა... იისფერი ჩამოწვა სითეთრეში.

-თინა! შეისმინე რასაც გეუბნები...

თინამ ვეღარ შეიმაგრა ქვითინი:

-მერაბ, როგორ მიგატოვო, ბიჭო!!! არ შემიძლია... არა, რა!..

-არა უშავს, თინა! ორის სიკვდილს ერთის სიკვდილი ჯობია... მწვერვალზე მაინც ადით... უჩემოდ დაესწარით მზის ამოსვლას.

-არა, თუ სიკვდილია, მეც შენთან ერთად დავიღუპო!!!

წამოზარდნა. წყვდიადში ვეღარ ხედავდნენ ერთმანეთის სახეებს. ირიბად წამოსული თოვლის ფიფქები უხმაუროდ ეფინებოდნენ გოგონას სველ ზურგზე.

-მერაბ!.. დაიყვირე, მერაბ, იქნება ვახტანგმა გაიგონოს...

სიჩუმე ჩამოწვა.

უეცრად მერაბმა შეჰყვირა.

მან დაიყვირა განწირული ხმით, ხმით, - რომელსაც მთებმა ყრუ გამოძახილით და ხარხარით უპასუხეს.

...გამოძახილი შორს, სადღაც, ყინულოვან მთებს იქით გადაიჩეხა და ხელმეორედ გაიხმაურა.

გავიდა საშინელი, მძიმე წუთი. ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. თინამ ყინვისგან დამსკდარი, მოკრუნჩხული თითებით თავისკენ მოზიდა თოკი...

თოკი გაქვავებული იყო.

-მერაბ!.. თოკი ჩაიყინა კლდეში!..

-რაო, თინა?

-თოკი ჩაყინულა კლდეში!!! გადარჩი, გესმის, მერაბ, გენაცვალე, გადარჩი...

გოგონამ გაყვითლებული თითებით ძლივს მონახა მკერდთან ფიფქებით დასველებული ალპური თოკი და დანა გადაუსვა.

შეყინული, გაქვავებული თოკი არც კი შერხეულა.

დიდხანს ჭრიდა თოკს დასუსტებული, უღონო თითებით და როდესაც ბოლომდე გადაჭრა, ნამტირალევმა, ცახცახით წამოწია მუხლებზე...

თოკი უწინდებურად ეგდო მის წინ...

თინა განთავისუფლდა და არაადამიანური აღტაცება იგრძნო;

-მერაბ...

-თინა, მეც შემიბრალე... აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი... თინა თოვლზე დაეცა.

-მერაბ!..მე შევასრულე შენი თხოვნა, გესმის, მერაბ... თოკი დაყინულია კლდეში!.. ახლა კი წავალ ვახტანგთან...

თინამ სწრაფად შეიხსნა ზურგჩანთა და შეშლილივით მოწყდა ადგილიდან.

იგი მიდიოდა ქარის წინააღმდეგ...

ახვეტილ ნამქერს ქარი პირისახეზე აწნავდა...

თმები გაბურძგვნოდა და ფაფუკი, წითელი ლოყები საშინლად ეწოდა.

ოთხჯერ დაუსხლტა ფეხი დაქანებულ ყინულზე...

ოთხჯერვე წამოდგა და დაჟინებით განაგრძო გზა.

ასე იარა ერთ საათს...

... გამოიდარა.

ქარი ჩადგა.

თოვლის კორიანტელი სუსტად-ღა ტრიალებდა გადათეთრებულ ფერდობზე.

სახე ეწვოდა მძაფრი ყინვისაგან...

და როდესაც თოვლის კორიანტელმა თვალები აუჭრელა და წამწამები ფიფქებით ამოევსო, რამოდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა ბრმა ინსტიქტით, რაღაცას ფეხი გაჰკრა და პირქვე დაეცა.

. . . .

*   *   *

ის, რასაც ფეხი გაჰკრა, კარვის თოკი იყო, გაბმული კარვის კუთხესა და პალოს შუა.

კარვიდან ძახილი მოისმა.

შემდეგ თინას დაღლილ სმენას ჩაწვდა ნაცნობი ადამიანის ხმა.

ვიღაც თბილი ქსოვილით უწმენდდა სახეს, შეყინულ თმებს, წამწამებს...

თინამ დაღლილი თვალები აახილა:

-ვახტანგ... მერაბი... ნაპრალში... ჰკიდია... გაყინულ თოკზე... მე... შენთან გამომგზავნა...

წაიჩურჩულა მან დასიებული ტუჩებით და გრძნობა დაკარგა.

ვახტანგმა კარვიდან გამოათრია საძილე ტომარა, შემდეგ თოვლში ამოთხრილ ორმოდან ამოიღო კონსერვის კოლოფი და თერმოსიდან ცხელი ჩაი დაასხა თუნუქის ჭიქაში.

-აბა, თინა, გათბი; გამხნევდი... უარესიც მომხდარა... ძალღონე მოიკრიბე... ხომ გიყვარს მერაბი? უშენოდ ვერ მივაგნებ; აბა!

თინა აცახცახებული წამოჯდა საძილე ტომარაზე...

ქვედა ყბა უკანკალებდა სიცივისაგან.

ვახტანგი შეიარაღდა საიერიშო კომბინიზონით, წერაყინით, თოკებით და წრიაპებით...

თინამ ათრთოლებული, სისხლიანი ტუჩებით მოსვა ცხელი ჩაი და შეეცადა ჩაეყლაპა ფორთოხლის ნაჭერი.

ვახტანგმა ხეთათმანები ჩააცვა თინას ხელებზე, წერაყინი მოიმარჯვა და ისე დაიქუხა, რომ მთებმა გამოძახილით უპასუხეს...

-აბა, წავედით!!!

....

....

გაყინულ თოკებზე უმოძრაოდ ეკიდა მერაბი.

სავსებით გამოიდარა... მერაბის გაბრუებულ აზროვნებას აეკვიატა უცნაური აზრი: - მას რომელიღაც ჯიბეში ლიქიორის პატარა ბოთლი აქვს...

აქვს... უსათუოდ აქვს...

წამოსვლის წინ მოსვა კიდეც იმ პატარა ბოთლიდან...

აქვე აქვს, შარვლის მარჯვენა ჯიბეში...

გასიებული, გაქვავებული თითები ფანქრებივით ჩაძვრნენ სველ ჯიბეში... ამაოდ.

არა! მარჯვენა ჯიბეში სათვალეები აქვს მერაბს, ლიქიორის ბოთლი კი შარვლის მარცხენა ჯიბეშია.

მაგრამ... როგორ სტეხს მერაბს მარცხენა ხელი!.. მას მაჯა ეღრძო, როცა დაეცა ყინულზე.

არა უშავს, მოახერხებს, -ამოიღოს პატარა ბოთლი...

შიგ ცეცხლოვანი სითხეა, ლიქიორი!..

ლიქიორი გაათბობს სხეულს, და სიკვდილს გადაურჩება.

მარცხენა ხელის მტევანი ობობასავით იგრიხება და იკლაკნება ტკივილისაგან. მარცხენა ჯიბეში..

არა, ლიქიორის ბოთლი შარვლის ჯიბეში არ აქვს. ლიქიორის ბოთლი არ წაუღია თან.

სამწუხაროა...

აქ კი ისეთი ქარი ქრის, რომ ზურგზე ყინულის ქერქი გადაეკრა და ძვლები გაუქვავდა.

ტკივილს სუსტად გრძნობს იღლიებში.

ააააააა!.. გაახსენდა მერაბს...

მან ხომ უბეში ჩაიგდო ბოთლი...

ორივე ხელი ფრთხილად მოაფათურა მუცელთან... ისევ ამაოდ...

ნეტავ არ დაეკარგა მერაბს ზურგჩანთა...

რა თქმა უნდა, ზურგჩანთას გაჰყვა ბოთლიც, მაცოცხლებელი სანოვაგეც...

იღლიები სტკივა მერაბს...

მალე ირიჟრაჟებს...

საკუთარი თავი შეეზიზღა, როდესაც წარმოიდგინა, თუ როგორ ეკიდა ჰაერში, უმოძრაო ჩვარივით...

რა უმწეო მდგომარეობაა...

აი, რას ჰქვია ბეწვზე დაკიდება!

ფეხქვეშ ნისლი თანდათან აიკრიფა.

ეს საშინელებაა: - მალე გარკვევით გამოჩნდება მთელი უფსკრული...

დაბლა სიკვდილია, ხოლო სიცოცხლე ზევით დარჩა.

სიცოცხლეს და სიკვდილს შუა ჰკიდია მერაბი.

გაყინულ თოკზე... გაყინულ თოკზე!.

მხოლოდ ეს თოკი აკავშირებს მერაბს სიცოცხლესთან...

იღლიები სტკივა მერაბს... დედა!.. სადაა მისი დედა?..აგერ, აგერ... იღლიებში საშინლად უჭერს თოკი მერაბს...

-ეს რაღა ჭირია? - ამბობს დედა.

ჭირია, ჭირი... დედა, უთხარი მამას, მიშველოს!

მამამ სათვალეები შუბლზე აიწია:

,,ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა!..“

რა არის ეს?

მამაა თუ არა?...

არა, ეს მამა არ არის!...

ეს არის კლდე.

ლიქიორის ბოთლი რომელიღაც ჯიბეში აქვს მერაბს და ვერ უპოვნია...

რა კარგია, რომ ამ მდგომარეობაში მერაბია და არა თინა.

ეს იმ მხრივაა კარგი, რომ თინა ვერ გაუძლებდა ასეთ საზარელ წუთებს.

არ უნდა მერაბს, რომ დაბლა ჩაიხედოს, მაგრამ თვალს მაინც ქურდულად გააპარებს ხოლმე, ხანდახან...

ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია უფსკრულს...

არასოდეს არ უგრძვნიოა შიში არცერთ ფრონტზე, ახლა კი მუხლები უთრთის...

ეს, ალბათ, ყინვისაგან... მაგრამ ნამდვილად ასეა?

ქურდულად ზომავს უფსკრულის სიღრმეს...

ლენინგრადის ფრონტიდან შტეტინამდე სდიეს მტერს მერაბმა და ვახტანგმა. არასოდეს არ განუცდიათ შიში სიკვდილის წინაშე, მაგრამ აქ... მერაბმა შიშით ახედა თოკს, რომელიც ოდნავ მოსჩანდა რიჟრაჟის ფერმკრთალ შუქზე.

-მალე გათენდება! - გაუელვა თავში მერაბს, -თუ მზის ამოსვლამდე ვერ მოასწრო ვახტანგმა, მზე გაადნობს ყინულის კედელს და მაშინ... თოკიც დასხლტება...

მზის ამოსვლამდე უნდა მოუსწრონ მას, მზის ამოსვლამდე!

მერაბი კვლავ ფიქრებში ჩაიძირა. ,,ჭირსა შიგან გამაგრება“... გაახსენდა, თბილისის ცირკში, კაშკაშა ჭაღზე რომ დაეკიდებოდა ხოლმე აკრობატი და ვარჯიშს ასრულებდა.

რა კარგი იყო იმ აკრობატის ყურება ქვევიდან!... რა ძნელი ყოფილა გაძლება დაკიდულ მდგომარეობაში!

,,ჭირსა შიგან გამაგრება!...“ იღლიები სტკივა მერაბს.

თენდება... აშკარად თენდება... ხერხემალზე ცივმა ოფლმა დაასხა. ყვავების გუნდმა ყრანტალით გადაუფრინა თავზე... მათი ნაცრისფერი ფრთები ზანტად ირხეოდა გაყინულ ჰაერში.

-მთის ყვავები... ნუთუ მათი კერძი უნდა გავხდე?

მთის ყვავებმა გერმანული ,,იუნკერსები" გაახსენა მერაბს. მაშინ მერაბი რიგასთან იბრძოდა, ვახტანგთან ერთად... მოტრასირე ტყვიით დაიჭრა ვახტანგი ბარძაყში, მაგრამ მერაბმა გადაარჩინა სიკვდილს; ჭრილობა მაგრად გადაუხვია და სანიტარულ ნაწილში ზურგზე მოკიდებული მიიყვანა.

ახლა კი - ვახტანგი გადაარჩენს ალბად.

კარგად ინათა. ბურუსი მთლიანად გაიფანტა... აღმოსავლეთით ცა ოდნავ შეწითლდა და მერაბი შიშით შეჰყურებდა მზის ამოსვლას... როგორ ნატრობდა მზის ამოსვლას მერაბი გუშინ, თვალის დასატკბობად! ახლა კი ყოველგვარ ამინდს არჩევს, ოღონდ მზემა ამოსვლა დააგვიანოს...

სულ ერთი საათით... ერთი საათით მაინც...

მხოლოდ მზის ამოსვლამდე იცოცხლებს მერაბი...

მზე წითლად ამოდიოდა.

ციცაბოვან ნაპრალის კიდეზე ჯიხვი გადმომდგარიყო და მშვენიერების ქანდაკად აზიდული, გახევებული გაჰყურებდა მზის ამოსვლას... სივრცეში, ლაჟვარდოვან ღრუბლებთან, ფრთებგაშლილი არწივი ლაღად ტრიალებდა...

მზე ამოცურდა და თითქოს აატირა მთელი მოჯადოებული ბუნება...

,,ჭირსა შიგან გამაგრება..."

ვერ მოასწრეს მერაბთან მზის ამოსვლამდე; ვერ მოასწრეს!

აი, როგორი ყოფილა სიკვდილი! გაუელვა თავში და რომ მეორედ აღარ ეფიქრა ამაზე, სიმღერა დაიწყო.

იგი მღეროდა ჩახლეჩილი, ხრინწიანი ხმით...

ყინულის კლდეზე ცრემლები დაცურდნენ...

შეყინული თოკი შეირხა... და შეტოკდა! შეირხა... და შეტოკდა!.. შემდეგ კიდევ... კიდევ... მერაბმა დაინახა, როგორ დნებოდა ყინული... სადღაც, ზედ თავთან გაისროლეს...

მერაბმა შეჰყვირა და გრძნობა დაკარგა.

. . . .

როდესაც მერაბი გონს მოვიდა, იგრძნო, რომ ტანის ნაკვთები საშინლად უხურდა. ვიღაც უზელდა ტანს ცხელი, მწველი თოვლით, უხეხავდა ზურგს, მკლავებს, ფეხებს...

საშინლად სტეხდა კისერი, მაგრამ მოახერხა, მოებრუნებინა სახე... მისი თვალები ვახტანგის თვალებს შეხვდნენ, მერაბს სახე ოდნავ გაუნათდა და გაეღიმა. ეს იყო გადარჩენილი სიცოცხლის ღიმილი.

. . . .

მზე შუბისტარზე იყო ამოსული, როდესაც გამყინვარებულ, უზარ-მაზარი მთის მწვერვალზე სამი მთამსვლელი იდგა.

ისინი აღტაცებით გაჰყურებდნენ მზეს... აკამკამებულ ლაჟვარდში, გამყინვარებული, დათოვლილი მწვერვალი ყრუდ ზუზუნებდა და ეს ხმა მოისმოდა, როგორც ბუნების დიადი სიმფონია.

უსაზღვრო, აკვამლებულ, ჰაეროვან ოკეანეში სამივე მთამსვლელი გრძნობდა დაუძლეველ სიხარულსა და აღტაცებას.

გაფითრებული მერაბი ცალი ხელით წერაყინს იქნევდა ჰაერში.

საბჭოთა მთამსვლელებმა მზის ამოსვლამდე გადაარჩინეს სიცოცხლე. მათ დაიპყრეს მწვერვალიც.

სამი მთამსვლელი გაჰყურებდა მზის ამოსვლას, სამი კომკავშირელი, როგორც სამი მზე, ერთი მხრიდან ამოსული.

მაგალი თოდუა

იდუმალი წარწერა

194... წლის მაისის თვეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ერთი ამბავი დატრიალდა. მცხეთის არქეოლოგიურმა ექპედიციამ ერთ-ერთი სამარხიდან მარმარილოს ქვისგან გამოკვეთილი ქალის ქანდაკება ამოიტანა. ქალის ფიგურა თითქმის მთელი იყო. მხოლოდ მარცხენა თვალი ჰქონდა დაზიანებული. მშვილდივით გადაჭიმული წარბიდან ღაწვის თავამდე მძიმე იარა აჩნდა. მეტად წარმტაცი გამოსვლოდა ხელოვანს ეს მომხიბვლელი ქმნილება. ჯერ კიდევ ნორჩი უნდა ყოფილიყო. ვარდის ფურცელივით თხელი და ვიწრო ბაგეები ჰქონდა. თავი დაბლა დაეხარა და შუკვრელი თმა გულზე გადმოსცვენოდა. ოდნავ მწუხარე იხედებოდა, თითქოს ჟამთა სიავის მიერ თვალზე მიყენებული ჭრილობის ტკივილს თვითონ განიცდიდა.

თითქოს ცოცხალი ადამიანი ამოეყვანათ საფლავიდან, ისე გაიხარა ექსპედიაციამ. ქანდაკება მრავალმხრივ იყო საინტერესო. იგი ქართლის უძველეს ხანას უნდა კუთვნებოდა.

ბევრი მოსაზრება ქანდაკების თბილისში ჩამოტანამდე გამოითქვა სამარხის თავზე.

თბილისში უფო გაერკვიენ მეცნიერები: ხომ შეიძლებოდა იგი ქართველის ნახელავი ყოფილიყო?

დაეჭვდნენ.

საქვეყნოდ ცნობილ ანტიკურ სტილზე არ იყო ქანდაკება ჩამოკვეთილი. ქალიც ქართველს ჰგავდა: ეტყობოდა მის ჯილაგს არწივის ცხვირი უნდა ჰქონებოდა ბრდღვიალა თვალები.

ზოგმა ავტორიტეტულმა ხელოვნებათ მცოდნემ მწარედ ჩაიქნია ხელი: ხომ შეიძლებოდა ქართველი ლამაზი ბერძენ ხელოვანს აექანდაკებინაო?

ისტორიისთვის ესეც ბევრ რამეს ნიშნავდა, მაგრამ გულის მტკივებელი მაინც სხვა იყო: უგულვებელყოფილი ხომ არ რჩებოდა ქართული ხელოვნება? ეს აწვალებდა ბევრ ქართველ სიძველეთმცოდნეს და ხელოვანს.

ქვას წარწერა აღმოაჩნდა. იგი ორენოვანი უნდა ყოფილიყო. ერთი ბერძნულად იცნეს, ხოლო მეორეს ვერაფერი გაუგეს- უცნაური იყო. ეს უცნაური წარწერა მთლიანად იყო შემონახული, ხოლო ბერძნული სამიღა სიტყვა შემორჩენოდა

ქიმმომტვრეულ ქვას: „აი ეს არის იათამზე“... ასე იწყებოდა და ასე წყდებოდა ბერძნული წარწერა.

ჯერი ენათმეცნიერებზე მიდგა. ამიტომ იყო აკადემიაში ერთი ამბავი.

არმაზელი ქალი მეცნიერებათა აკადემიაშიც გამოჩნდა. იდგა ეს ლამაზი გოგონა მეცნიერების სამუშაო კაბინეტში, თითქოს დამუნჯებული იყო და აქ მოესწავლებინათ ენის ასადგმელად, ამეტყველებას თხოულობდა. მეცნიერებიც ისე შუჰყურებდნენ მას, როგორც ექიმები უნუგეშოდ დაავადებულ პაციენტს.

საქმე ძალიან დამაფიქრებელი იყო. შინ გვიან დაბრუნებულ ხელოვნებათმცოდნეებს უფრო და უფრო კარგად ჩამოსხმული მცხეთელი ქალის ქანდაკებანი მიჰქონდათ, ხოლო ენათმეცნიერებს უფრო ზუსტად გადაღებული წარწერის ფოტოპირები.

ვერ გაირკვა და ვერა, რა შრიფტთან ჰქონდათ საქმე: სემიტური იყო იგი, ქართული თუ სხვა რამე.

პროფესორი ციხისთავი ძალიან დააფიქრა ამან. მოხუცი მთელი დღეები ჩაკეტილი იყო. ხან მას ურეკავდნენ, ხან ის ურეკავდა. ქვის აღმოჩენის მეათე დღეს მან მოხსენება წარუდგინა აკადემიას. პროფესორი ამტკიცებდა, რომ წარწერა არამეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მის ძალიან თავისებურ კალიგრაფიასთან უნდა გვქონოდა საქმე. ის შეეცადა მოეხაზა რამდენიმე ასო. როგორც ირკვეოდა, მან დაძებნა სიტყვა იათამზე, მაგრამ ეს იყო და ეს.

ციხისთავმა ნაღვლიანი სახით გადახედა აუდიტორიას და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

-ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს არამეულის სპეციალისტები. მე მხოლოდ სანსკრიტი და ავესტას ენა ვიცი და ორიოდე სხვა არიული ენა. ჩვენ ვზრდით ახალ კადრებს სემიტოლოგიაში, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი ბევრს ვერაფერს დაგვეხმარებიან, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია წარწერაზე იმუშაოს ჩვენში ყოველმა რიგითმა მეცნიერმა, რომელსაც სემიტურ ენაზე უმუშავნია ოდესმე. გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია წარწერა დაეგზავნოს კავშირის ყველა დიდ მეცნიერს. ყოველშემთხვევისათვის, პროფესორი ორლოვი უნდა ჩაებას ამ საქმეში.

ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა პროფესორმა ციხისთავმა. ის კიდევ იდგა კათედრაზე და ფიქრებს მისცემოდა. მერე ქაღალდები წამოკრიფა და მძიმედ ჩამოვიდა კათედრიდან.

მეცნიერები ნელ-ნელა დაიშალნენ.

ყველას ჩაჯდომოდა ტვინში ერთი სიტყვა: იათამზე. რას ამბობდა არმაზის ბილინგვა? ორ ენაზე ლაპარაკობდა და ერთიც არ იყო გასაგები.

ალბათ ისე შორიდან იძახოდა იგი.

*   *   *

ივნისში გამოცდები და ზაფხულის სიცხე ერთად შემოდის უნივერსიტეტის კარებში.

უნივერსიტეტის ჩვეულებრივი ცხოვრება ამ დროს დარღვეულია. სტუდენტები ღელავენ, კამათობენ, ვიღაცას დაეძებენ. არის მოლოცვები. არის გამოცდებიდან გამოსული ჩაჭრილი გოგონების ცრემლი და ტირილი.

დერეფნებში რექტორი დადის. ისიც ღელავს.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი რევაზ იაშვილი უკანასკნელი გამოცდიდან ავადმყოფი გამოიყვანეს. ეს მესამე დღე იყო შეუძლოდ იგი, მაგრამ დღეს გამოცდა ჰქონდა და ამიტომ ჩასაწოლად ვერ მოიცალა.

კიბეზე ამხანაგები ჩამოჰყვნენ. ფაკულტეტის დეკანი წამოეწია.

-შენ გაცივდებოდი, სიცხე გექნება ახლა. - უთხრა დეკანმა. ცალი ხელით მის შუბლს შეეხო, ცალითაც მაჯა დაუჭირა.

-ცოტა, ალბათ, პატივცემულო დეკანო. არაფერია.

-ოო, სიცხე გქონია. უსათუოდ უნდა ჩაწვე, რევაზ.- ეს უთხრა და თვალებში ჩახედა.

-რევაზი ამღვრეულ თვალებს ხუჭავდა და შუბლს იკრავდა. დეკანს ეს არ მოეწონა. ისევ გააფრთხილა, ერთი-ორი დღე ჩაწოლილიყო. მერე ჩამოართვა ხელი და უკანვე გაბრუნდა.

-რევაზ ხვალ არ გნახო უნივერსიტეტში- გულმა არ მოუთმინა და ისევ მოაძახა დეკანმა- ნანული, წაყევი შენც, გეთაყვა. ოთახში ერთი არეულობა ექნებათ. წაჰყვები?

მართლაც ძალიან ცუდათ იყო რევაზი: თავი საშინლად ტკიოდა, სახე ეწოდა სიცხის ალმურისაგან, მუხლები ეკეცებოდა. უნივერსიტეტის ჭიშკრამდე მივიდნენ, რევაზი მობრუნდა და უკან მოიხედა. ერთხანს უყურა სინათლით აბრიალებულ ლამაზ შენობას.

-რა იყო რევაზ, რამე დაგრჩა? - შეეკითხა ნანული. რევაზს უნდოდა ეთქვა: რა გულის დამწყვეტია აქედან წასვლაო, მაგრამ უთხრა:

-რა კარგი იყო აქ, ნანული.

ქუჩაში გავიდნენ.

-ნანული, ახლა მე შენ ვერ გაგაცილებ, მე კი შენი გაყოლა არ დამჭირდება. წავალ ჩემით.

ნანულიმ არ დაუჯერა.

-როგორ წახვალ- ეუბნებოდა იგი და თანაც ტრამვაის ვაგონთა გასაჩერებელ ადგილამდე მიჰყავდა- ამ სიგრძე კაცი სადმე გაიშლები და გზას გააკავებ ამაღამ.

რევაზი სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობდა. ბინაში ორნი იდგნენ: რევაზი და სამხატვრო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი შალვა დვალი. რევაზს არც დაუკაკუნებია, ისე შევიდა ოთახში. მხატვარი დივანზე იწვა. არც განძრეულა რევაზის შემოსვლაზე. გულიანად აბოლებდა ჩიბუხს. ოთახში თუთუნის ბოლი იდგა.

რევაზმა არც დაუცადა ნანულის შემოსვლას. ტახტზე დავარდა.

-შემოდი, ნანული! ბიჭო, შემოიყვანე კაცი!

შალვა წამოხტა და რა ოდნავ გამოღებულ კარებში ნანული დაინახა, დაიბნა.

ცოტახანს იყო ერთგვარი უხერხულობა, რომელიც მართლაც უნდა მომხდარიყო, თუ გავითვალისწინებთ იმა, რომ რევაზი უნდა დაწოლილიყო სტუმარი ქალის თანდასწრებით.

ნანული ჩქარობდა: ახლავე ექიმს უნდა დავუძახოთ და, რევაზის ლოგინთან მჯდარი, ხან შალვას ჩახედავდა თვალებში, ხანაც რევაზისკენ იყურებოდა.

შალვა ფეხზე იდგა. უაზროდ მიმოდიოდა ოთახში. ხან რას ეცემოდა, ხან რას. მეგობრის ავადმყოფობაზე მწუხარება და ნანულის მოსვლით გამოწვეული უხერხულობა ერთმანეთში აერია.

ექიმმა გასინჯა რევაზი. ხვალ უსათუოდ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთო- და ნანულის შეხედა, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო მისი განზრახვა.

-უსათუოდ, უსათუოდ-კვერი დაუკრა ნანულიმაც. რევაზს არ ესიამოვნა ეს. გული გაეთანაღრა. კედლისკენ მიბრუნდა და შალვას უთხრა: ჰე, ბიჭო, უთხარი რამეო.

შალვა მაგიდასთან მივიდა, სადაც ექიმი ქალი და ნანული რეცეპტის წერაში იყვნენ გართული და მოკრძალებით წაიდუდუნა:

-ქალბატონო, ოფლს დავადენ, მაგარი კაცია, ხვალ კარგად იქნება.

ექიმს პასუხი არ გაუცია, წერას მორჩა, ხელში ქაღალდი მისცა და იმ სიმკაცრით, რომელიც საყვარელ ადამიანთა ტონს თან ახლავს ზოგჯერ, უთხრა: ჩიბუხი გადააგდეთ და ეს წამლები მოიტანეთო.

ხუთი წუთის შემდეგ ოთახში აღარავინ იყო. ნანულიმ დაარიგა რევაზი: საგნები ჩაბარებული გაქვს, იწექი და თავს გაუფრთხილდიო.

-ბილინგვა, ნანული?

-რევაზ, გადავდოთ ეგ საქმე.

-სანამდე გადავდოთ, სანამ სხვა ვინმე გაგვიშიფრავდეს?

-სანამ კარგად არ ვიქნებით, რეზო. რეზო, იცი, რომ...

-კარგი, კარგი, ჰო.

ნანული რომ წავიდა, რევაზი ადგა, სინათლე ჩააქრო, პერანგი გაიხადა და ტიტველ დივანზე გაწვა. ეამა სიგრილე. სახე მკლავებში ჩაიმალა.

* * *

მოხსენების წაკითხვიდან ერთი თვის შემდეგ პროფესორი ციხისთავი ისევ ბილინგვის წარწერას უჯდა. ღელავდა მოხუცი. ახლა იგი თითქმის უაზროდ იჯდა მაგიდასთან. თავში ფიქრები ვერ დაილაგა.

-ხომ არ დავიღალე? უთუოდ მოვხუცდი.

ადგა, ფანჯარა გამოაღო. მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული. დიდხანს იდგა ფანჯარასთან ჩაფიქრებული. თითქოს პირველად ხედავსო, გარინდებული შეჰყურებდა ჰორიზონტიდან ქვეყნის მნათობის ამობრძანების დიდებულ სურათს.

ზურგს უკან ლაპარაკი შემოესმა. ნანული იყო.

წინათ ნანულის კარებთან მიეგებებოდა პროფესორი, ხელებსა და შუბლს დაუკოცნიდა, წამოიყვანდა და მის წინ რბილ სავარძელში ჩასვამდა. ახლა კი არ შეგებებია. კარებთან მომდგარ ნანულის თვალები გაუსწორა და რა იცნო, ერთი ღა სიტყვა ესროლა:

-მოდი.

მოხუცმა წინ მიუყარა ნანულის რაღაც ქაღალდები. საქმეებს აცნობდა. სათვალეებს იხსნიდა და ისევ იკეთებდა. ძალიან ნერვიულობდა პროფესორი. დიდხანს ელაპარაკა, მერე დაჩუმდა, სათვალეები მაგიდაზე დააგდო და ღია ფანჯრისკენ დაიწყო ყურება.

ფანჯარას მერცხლები ეფეთებოდნენ. ერთხანს სარკმელთან შეჭუჭკდნენ, იჟღივლეს და მერე ისრებივით გაქრნენ. დუმილი დადგა.

ჯიბის საათი იდვა მაგიდაზე და მისი ტაკა- ტუკი ისმოდა.

-მეც ასე ვფიქრობდი ამას. არამეულია წარწერა. პროფესორი ორლოვი პატიოსანი კაცია და მართალსაც მწერს. გაუძნელდებოდა მას ეს ამბები. ხედავ რაშია საქმე? მან წაკითხვაც ვერ შეძლო. რომ წაეკითხა, უსათუოდ გაშიფრავდა, წაკითხვაა ახლა მთავარი. ესაა ძნელი საქმე. ძნელი ესეცაა: ვინ იცის, რა დიალექტზეა დაწერილი. კიდევ მეტი, რა ენაზე. იქნებ ისეთი ენაა, რომლის არსებობაც არ დასიზმრებია ჯერ მეცნიერებას. ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდე მათი პალეოგრაფია. ვინაა ჩვენში ასეთი ფენომენი!

უკანასკნელი ფრაზა შეკითხვა არ იყო. პროფესორმა სათვალეები ისევ მოიხსნა და ფანჯრისკენ პირმოქცეულმა ისევ განიმეორა იგი. ნანული ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა თავის საყვარელ მასწავლებელს. მან ერთბაშად შენიშნა, რომ ეს ერთი თვეა ძალიან გამოცვლილა პროფესორი, მოთენთილა მოხუცი.

-სემიტური ენები ჩვენში ხომ არავინ იცის, პატივცემულო გიორგი, რევაზის გარდა. - თვალი არ მოუშორებია, ისე უთხრა.

პროფესორი ადგა და ფანჯრისკენ წავიდა. ორივე ხელებით ფანჯარა მიხურა.

-სწორედ იმ რევაზმა უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი. - ეს თქვა პროფესორმა და თვალებში ჩახედა ნანულის, თითქოს ამბობდა: რა ვქნათ აბაო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

-პატივცემულო გიორგი, რევაზს ახლა ხომ მუშაობაც არ შეუძლია... და გაუკვირდა ნანულის, როგორ იმეტებდა ასეთი კეთილი და მზრუნველი კაცი თავის უსაყვარლეს სტუდენტს, როცა იგი ერთი თვეა ლოგინად იყო ჩავარდნილი.

-ესეც არ იყოს, იგი ხომ ახლა სწავლობს ირანულ ენებს. სანსკრიტი ცოტა იცის.

-რა იცი, რომ წარწერა არიულია?

და ამ შეკითხვას მწარე ღიმილი მოაყოლა მოხუცმა პროფესორმა.

*   *   *

აკადემიკოსი გიორგი ციხისთავი ინდურ- ირანულ ენათა კათედრას განაგებდა სახელმწიფო უნივერსიტეტში. როგორც დიდი მცოდნე, ის ერკვეოდა სემიტურ ენებშიაც. ამ ენერგიულმა და დაუზარელმა მოხუცმა ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი გამოზარდა. მათგან ზოგი ირანის ლიტერატურის მცოდნე იყო, ზოგი სანსკრიტის,

ზოგიც აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტი გახდა. პროფესორი ციხისთავის სპეციალობას კი მის მოწაფეთა შორის ბედი არ სწყალობდა. ამიტომ ყოველთვის შესაფერ ღონეს ხმარობდა პროფესორი, რომ ვინმესთვის შეეყვარებინა ინდურ-ირანული ენათმეცნიერება. პროფესორის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რა ნანულიმ ასეთი სურვილი განაცხადა. მაშინვე სახელმძღვანელოები გამოუძებნა და სამიოდე ირანული ენის ანბანი დააწყებინა. მაშინ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არც არსებობდა საქართველოში და ციხისთავს დიდი ბრძოლა და ჯაფა დასჭირდა, რათა ერთადერთი სტუდენტი, ნანული, დეკანატს ეცნო, როგორც აღმოსავლურ ენათა და ლიტერატურის განყოფილება.

პროფესორი ნანულის სამეცადინოდ შინ იბარებდა. ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ ნანული ახლო ცხოვრობდა მასთან. შემდეგ და შემდეგ ისინი დამეგობრდნენ. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ციხისთავებს ერთადერთი ქალიშვილი გარდაცვლილი ჰყავდათ. შემდეგ, როცა ნანულის მამა სამამულო ომში დაიღუპა, პროფესორს ისღა აკლდა, რომ ამ კარგი ბავშვისათვის, როგორც ის ნანულის ეძახდა, მამობა გაეწია და მართლაც ასე იყო. ისინი ძალიან დაახლოვდნენ და იმდენად, რომ ნანულის პროფესორი ეპყრობოდა ისე, როგორც საკუთარ შვილს: კაბინეტს ალაგებინებდა, ყურს უწევდა და სასეირნოდ თუ თეატრებში მასთან ერთად დაჰყავდა. ზოგჯერ მთელი კვირა რჩებოდა ნანული ციხისთავებთან, დეიდა მარიამის ავადმყოფობის დროს.

ასე გავიდა ერთი წელი. ნანული დაძაბულად მუშაობდა ირანულზე. ის უკვე მესამე კურსზე იყო. გაზაფხულზე ციხისთავმა იგი თავის მეგობარ პროფესორთან, ორლოვთან, გააგზავნა შუა აზიაში, ერთერთი ირანული დიალექტის შესასწავლად.

რას იზამს იდეა! ნანული, თბილისში ულამაზესი გოგონა, უძნელეს საქმეს ჰკიდებდა ხელს. ვისაც რუსთაველის გამზირზე ხშირად უვლია, მას შემჩნეული ეყოლება ერთი ლამაზი გოგონა, რომელიც მთავრობის სასახლის გვერდით ჩამოივლიდა დაღმართზე. შაქრისფერი ღაწვები ჰქონდა და თაფლისფერი თვალები. წითელი მოსასხამი ემოსა და გულზე წიგნები ჰქონდა მიხუტებული. მაშინ იგი ტყიდან ჩამოსულ შველს ჰგავდა. შველივით მარტო ჩამოდიოდა და შველივით აქეთ იქით იყურებოდა გამზირის გადასასვლელზე. ეს ნანული იყო.

პროფესორს დეპეშა მოუვიდა ბუხარადან: ნანულის ვერ აეტანა შუააზიის ცხელი ჰავა და ავად გამხდარიყო.

დედა მარიამი შიშმა აიტანა. ბავშვს იმ სიცხიან ქვეყანაში დამიღუპავო და ქმარი სახლში არ დააყენა.

ერთ დღეს პროფესორი ნანულის ჩამოსაყვანად გაემგზავრა. ნანული გაშავგრემანებული და გამხდარი დაუხვდა.

ორივემ იტირეს.

პროფესორ ორლოვის ბინაში ნანულიმ და ორლოვმა მას გააცვნეს ახალგაზრდა ქართველი ჯარისკაცი, სერჟანტ რევაზ იაშვილი, რომელიც, ფრონტიდან დაბრუნებული, შუააზიაში მოხვედრილიყო და საკმაოდ შეესწავლა არბაული ენა. ორლოვისგან დაფარულად დაასკვნეს: როგორც კი დემობილიზაცია შეეხებოდა იაშვილს, ის არ დააყოვნებდა შუააზიაში და თბილისში განაგრძობდა სწავლას. ამან მეტად გაამხიარულა ციხისთავი, მეგობარ პროფესორს გამოემშვიდობა, თხოვა თვალყური ედევნებინა იაშვილის მუშაობისთვის, წამოიღო აღმოსავლური წიგნები და ნანულიც წამოიყვანა.

*   *   *

სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთერთი ულამაზესი შენობაა თბილისში. ომის დროს მისი თეთრად მოქათქათე კედლები თალხი ფერებით შენიღბეს.

ახლა ისევ ათეთრებდნენ მას.

აზოში ახალგაზრდობაა.

წარამარა ჩერდებიან მის ჭიშკართან ტრამვაის ვაგონები, ტაქსები და ავტომანქანები.

მძიმედ გაიღება რკინის ვეება ჭიშკარი.

უნივერსიტეტში ტრადიცია არსებობს: ეზოში რომ შედიან, ქუდი ხელით მიაქვთ, ისე უახლოვდებიან ამ ტაძარს. ეს ადმინისტრაციული წესი კი არ არის, არამედ თაყვანისცემისა და მოწიწების სპეტაკი გრძნობაა.

გუმბათზე გლობუსი დგას. ეს ნიშნავს: აქ შეიძლება გაიცნო ქვეყნიერება.

ტრამვაის ვაგონებით გავლილი მგზავრები თვალს ვერ აშორებდნენ ამ შენობას. ზოგს აქ აუსხამს ფრთები. ზოგი ვერ ღირსებია იქ აღზრდილიყო. ორივე გულის დამწყვეტია.

ბევრი ასეთი ფაქტიც ვიცი: ვაკესაკენ წამოსული ყოფილი სტუდენტები აქ ჩამოხდებიან და დიდხანს რჩებიან მის კარმიდამოში.

რევაზ იაშვილის საუბარმა რექტორთან ნახევარ საათს გასტანა. გადაწყდა: რევაზი ჩააბარებდა რამდენიმე საგანს და მას მესამე კურსზე დასვამდნენ აღმოსავლურ განყოფილებაზე.

ეს რომ დაასკვნეს, რექტორმა გაიღიმა. პაპიროსს მოუკიდა.

-მაშ, ასე. ორი კაცი ხართ. ბინა სად გექნებათ?- ეს თქვა და რევაზის ორდენებს შეხედა.

-არ ვიცი, პატივცემულო რექტორო,- თქვა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა- თქვენ ხომ გაქვთ საერთო საცხოვრებელი?

-გვაქვს, მაგრამ ახლა იქნება იქ ადგილი? არ ვიცი, მართალი გითხრათ.

ყურმილი აიღო და ვიღაცას დაურეკა.

-ადგილი აღმოჩნდა, მაგრამ იქ ვიღაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ყოფილა. გინდათ? - ყურმილი არ დაუდვია, ისე ჰკითხა რექტორმა.

-ვინ უნდა იყოს პატივცემულო...

რექტორი შეეკითხა.

-დვალი ყოფილა ვინმე.

-მინდა, პატივცემულო რექტორო, ჩემი ძველი მეგობარია. ერთად ვიბრძოდით. უყურეთ, ჩამოსულა... შალვა...

რექტორმა ყურმილი დასდო.

-მაშ ჩინებულია, ნახვამდის.

* * *

დიდხანს იგონებდნენ მეგობრები სამამულო ომის ამბებს. გამოიკითხეს, თუ დაცილების შემდეგ სად იყვნენ და როგორ. ძრწოლვით მოუთხრო რევაზმა, თუ ერთხელ როგორ მოვიდა იგი გონს და მის თავთან წამომდგარი გერმანელები ნახა. მის წინ ვიღაც პირუტყვის გამომეტყველების მქონე კაცი იდგა და იღიმებოდა. ცხვირპირში ლეწა გერმანელს.

ლაიპციგი. საკონცენტრაციო ბანაკი. გაქცევა...

უამბო რევაზმა შალვას, თუ როგორ ჩაფლეს ცოცხლად მიწაში სამუელ აჯიაშვილი, რა გაიგეს, რომ ის ებრაელი იყო. უამბო, თუ როგორ გამორბოდა ჩვენებისაკენ ათი დღე და ათი ღამე და ამ ხნის განმავლობაში ათი ლუკმაც არ უჭამია...

მათ ბინაში მყუდროება სუფევდა.

დღეები გადიოდა.

რევაზი წიგნებს უჯდა და ლექსიკონებში იქექებოდა. შალვა ტილოებს არ შორდებოდა.

ზოგჯერ პროფესორი ციხისთავი მოდიოდა რევაზთან. სტუდენტები საამისოდ განსაკუთრებულად მოემზადებოდნენ. მაგრამ უეცარი სტუმრობაც იცოდა პროფესორმა.

ხდებოდა ისიც, რომ პროფესორს კიდევაც შეაგვიანდებოდა მათთან.

ეს მაშინ, როცა იგი რაიმე საქმიანი საუბრით გაერთობოდა ახალგაზრდებთან. თვითონაც ახალგაზრდული ტემპერამენტი ჰქონდა ამ სერიოზულ და დადინჯებულ მოხუცს. იგი მხოლოდ თავის სამუშაო ოთახში იყო მძიმე ხასიათისა.

პროფესორი ყოველ მოსვლაზე რევაზს რაიმე წიგნს დაუტოვებდა და წავიდოდა. ამ წიგნებს სათუთად ეპყრობოდა რევაზი. ყოველთვის აფრთხილებდა შალვას: შენი ჭირიმე, ეს წმინდა ნაწილები არ შემიბღალოო. იმიტომ, რომ შალვა ხელობით თხუპნია იყო და ერთი ნივთიც არ ჰქონდა მოუსვრელი.

ერთხელ ამის თაობაზე მეგობრებს ერთმანეთთან შელაპარაკებაც მოუხდათ. შალვას ყურანის ლითონის ყდაზე საღებავი გაეხსნა. ყურანი კი პროფესორისა იყო.

გახელდა რევაზი. საღებავები გადაუქცია. ყვირილი მორთო ამ მშვიდმა კაცმა. ბიჭები და გოგონები სიცილს ვერ იკავებდნენ.

* * *

თავისებური კაცი იყო შალვა დვალი. რევაზივით მაღალი ტანისა იყო, მაგრამ უფრო სქელი. ქერა იყო, ხუჭუჭთმიანი. ყოველთვის უქუდოდ დადიოდა. ომის შემდეგ ცალი ფეხით კოჭლობდა. ამიტომაც ძალიან ხშირად ნახავდით მას ტრამვაის გასაჩერებელ ადგილებზე. მშვიდი ახალგაზრდა იყო. მიამიტური სახე და ბავშვივით ფუნჩულა ლოყები ჰქონდა. ახლოს თუ არ იცნობდით, არც დაიჯერებდით, რომ ის ხელოვანი იყო, ამავე დროს პოეზიის დიდი მოყვარული, ჰაინე და ბაირონი რომ ორიგინალებში ჰქონდა წაკითხული.

მთელი კვირა დღე იგი სტუდენტთა ქალაქის ეზოს არ გამოცდებოდა. შესანიშნავად იცოდა საოჯახო საქმიანობა (ამით იგი განსხვავდებოდა თავის მეგობრებისგან). ხან რეცხავდა, ხან გვიდა, მეზობელ ბიჭებს ნავთქურას შეუკეთებდა. ხან მერცხლის შემოგუება უნდოდა კორპუსში (სტუდენტთა საცხოვრებელში ეს ძნელი საქმე გამოდგა და ამაში დამარცხდა). თავისუფალ დროს მეზობელ

კორპუსებში დაეხეტებოდა. ძალიან თავდაბალი იყო, მაგრამ ზოგჯერ გამოჯავრებაც უყვარდა. ამხანაგი ქალების ფანჯრებთან იქამდე დადგებოდა, სანამ ფანჯარას არ მოუხურავდნენ.

ყველა იცნობდა სტუდენტთა ქალაქში, ყველასთან შინაური იყო. ყველას უყვარდა.

ეს ადვილად არ ჰქონდა მას დამსახურებული. დღეში ორი- სამი პორტრეტი უნდა დაეწერა.

სამხატვრო აკადემიაში შალვა უყვარდათ. მის ტილოს მაღალი შეფასება მისცა არჩილმა, ნანულის უფროსმა ძმამ, და ეს სხვებმაც გაიზიარეს. ერთი შეხედვით ტილო თითქმის უბრალო იყო. ეს იყო მისი მეგობრის, რევაზის პორტრეტი. რევაზი წიგნებით სავსე მაგიდასთან იჯდა და ჩაფიქრებული გამოიყურებოდა. სამხედრო ხალათი ეცვა, მკერდზე გვარდიელის ნიშნით. მხრებზე ხალათის გახუნებული ადგილები მოწმობდა, რომ ამ კაცს ეს-ეს იყო სამხრეები მოეხსნა. ფერმკრთალი გამოყურებოდა რევაზი, ფიქრებს მისცემოდა, გამარჯვების რწმენისა და შრომის სიძნელის დაღი აჯდა მის სახეს ერთდროულად. ეს ტილო სათანადოდ შეაფასეს. მან სახელი მოუხვეჭა შალვას პოპულარულ მხატვრებშიც კი. სურათი დიდხანს იყო გამოფენილი.

* * *

რევაზის ავადმყოფობა გართულდა. მან გადაიტანა ანთება, მაგრამ გვერდებში წყალი ჩაუდგა და მდგომარეობა ძალიან სერიოზული გახდა. ექიმებს მით უფრო ეშინოდათ, რომ როგორც ირკვეოდა, იაშვილს ომიდან საღი ფილტვები არ ჩამოჰყოლია. იგი სტუდენტთა საავადმყოფოში იწვა ჯერჯერობით.

დანაღვლიანებული იყო პროფესორი ციხისთავი. ახლა ის გრძნობდა, რომ ამაში რევაზზე ნაკლები დანაშაული მას არ მიუძღოდა. როგორც ექიმები ამბობდნენ, იაშვილი მას შემდეგ, რაც მან რაღაც წარწერაზე დაიწყო მუშაობა, წიგნებს არ მოსცილებია და ექიმებს არ უჯეროდა. წიგნებს თურმე ავადმყოფების სასთუმალს ქვეშ ინახავდა და ისე მუშაობდა. ერთ დღეს კიდეც გაპარულიყო საავადმყოფოდან და საჯარო ბიბლიოთეკაში გული წასვლოდა. მხოლოდ პროფესორ ციხისთავის გაწყრომის შემდეგ მიატოვა მან მუშაობა, მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო. ავადმყოფობა ჭირვეულობდა, სიცხე არ უკლებდა.

-რევაზ, პროფესორი მოდის. - წამოიძახა ფანჯარასთან მისულმა ავადმყოფმა და პალატის მილაგებას შეუდგა. რევაზის წიგნი, რომელსაც იგი კითხულობდა, გადამალა.

ძალიან დასუსტებულიყო რევაზი, პირისახე გაფერმკრთალებოდა. როცა მასთან შემოსული პროფესორი ნახა, გაიღიმა და თვალები დახარა. მერე ორივე ხელით საწოლს დააწვა და წამოდგომა მოინდომა.

პროფესორმა გააჩერა და სასთუმალთან მიუჯდა, ლოყაზე ალერსით უბწკინა.

-ბიჭო, რა გააჭირე საქმე, როდემდის უნდა იზარმაცო?

-მე არ ვზარმაცობ, პროფესორო, მაგრამ თქვენ მიშლით. იმან, რომ მარტო ,,პროფესორო" უთხრა და არა ,,პატივცემულო გიორგი", მოხუცს გული ატკინა: გამბრაზებიაო ბავშვი.

დაუყვავა:

-რატომ, ჭირიმე?- და ნიკაპზე ხელი აუსვა.

-სიცხე მე მხოლოდ საღამოს საათებში მაქვს, საღამოს ხუთიდან შვიდამდე. სხვა დროს ჩემი ტვინი ნორმალურ მდგომარეობაშია. რატომ არ შემიძლია მე ვიმუშაო, რატომ მიკრძალავთ ამას?

-ყური დამიგდე, რევაზ, შენი ავადმყოფობა დიდხანს არ გაგრძელდება. შენ რა გენაღვლება. აი ჩვენც ვმუშაობთ. თუ წარწერაში რაიმე არეულია, ამას ჩვენ მოვუვლით...

-თუ სემიტურია, სხვა ვინმე მეცნიერი, არა? მაპატიეთ პატივცემულო გიორგი.

პროფესორი დაიბნა. ირგვლივ ხალხს გადახედა. ნაღვლიანი თვალები შეჰყურებდნენ სტუდენტსა და პროფესორს, ერთხანს სდუმდა პალატა.

-ნინა ლევანოვნა, რამდენ ხანში ჩაგვაბარებთ ამ ბიჭს?

-არ გვიჯერის, ძალიან თავისნებაა. რომ დაგვიჯერებდეს ერთ თვეში ფეხზე იქნება.

-ძალიან შეყვარებულია, ბატონო, ჩვენი რევაზი იათამზეზე, ლამაზია ის წყეული?-გაიხუმრა ვიღაც ავადმყოფმა სტუდენტმა.

ყველამ გაიცინა, რევაზის გარდა.

ნანული გამხიარულდა. გახარებული იყო შალვაც.

იმ დღეს პროფესორმა ციხისთავმა უხალისოდ წაიკითხა მოხსენება აკადემიაში და მოწყენილი დაბრუნდა შინ.

-ბიჭო, რატომ ხარ მოწყენილი, როგორაა ბავშვი?- დეიდა მარიამი ერთადერთი ადამიანი იყო ქვეყანაზე, რომელიც ასე მიმართავდა პროფესორ ციხისთავს.

-კარგად არისო- იტყუა პროფესორმა.

-დაღუპე, ჩემო კარგო, შენ ის ბავშვი, დაღუპე. არც ნანული არის კარგად. საწყალი გოგონა, მთელ თბილისში ულამაზესი იყო.

-მერე და, ახლა არ არის ჩემი ნანული ლამაზი თუ?

-როგორ არ არის, მაგრამ სილამაზეს ბილინგვა კი არ უნდა, ჩემო კარგო.

-ქალო, რა შენი საქმეა ბილინგვაზე ლაპარაკი! უნდა ვიმუშაოთ, აბა როგორ?

უნდოდა მოფერებოდა მეუღლეს, მაგრამ მოეშვა, თავის კაბინეტში ჩაიკეტა.

* * *

შალვა დაფიქრებული მიდიოდა არჩილის სახლისკენ. თავისი უკანასკნელი ნამუშევარი მიჰქონდა. ეს იყო ,,გოგონა ყვავილებში“. ფეხშიშველი გოგონა მინდვრად გასულიყო და ყაყაჩოებს კრეფდა დაჩოქილი. გოგონაში ნანულის იცნობდით. შალვას არ უცდია ნანული დაეხატა, არც ეგონა, რომ ნანულის ჰგავდა ის. ამხანაგებს აჩვენა და ნანულიაო უთხრეს. ვიცბი გუჯეჯიანმა კიდეც შეაქო შალვა: რა კარგად მიგიმგვანებიაო. მე თქვენი საქმე ვერ გავიგეო, ბოლოს და ბოლოს მითხარით: შენ გიყვარს ეს ქალი, თუ რევაზს უყვარსო. ეს ამხანაგებში წამოროშა ვიცბი გუჯეჯიანმა. შალვა ადგა და ნუანსები შეუცვალა სურათს.

-რას იტყვის ახლა რევაზი, ეს რომ გაიგოსო?

-რატომ არ შეიძლება შენს წარსულს გაუსწორდე? მით უმეტეს, რევაზი შეიძლება უკანასკნელ დღეებს ითვლიდეს. სამი დღეა ეს ფიქრები ტრიალებს შალვას გულში, როგორც ქურაში გავარვარებული რკინა.

გუშინ ხომ მაინც...

გუშინ შალვასთან რაღაც წიგნების წასაღებად მოვიდა პროფესორი ციხისთავი. მან მოიხსნა სათვალეები და რევაზის ბიბლიოთეკაში დიდხანს ეძებდა წიგნს, წიგნის დაძებნაში შალვაც დაეხმარა. როცა ჰაფეზის დივანი გადაშალეს, ნანულის სურათი იპოვეს შიგ.

პროფესორმა წაუყრუა ეს.

შალვამაც.

მაგრამ ყველაფერი გასაგები გახდა.

იქნებ, ის სურათი შემთხვევით დარჩა წიგნში. წიგნი კი ნანულისა იყო. იქნებ ისე, მეგობრულად აჩუქა ნანულიმ რევაზს ის სურათი. იქნებ აწერია კიდეც ასე უბრალოდ: ,,სახსოვრად“... და რაღაც სხვა ასეთი, მერე ხომ შალვა არ მისულა იმ სურათთან...

გუშინწინ რევაზთან იყო შალვა. მძიმე ავადმყოფის თავთან ექიმები და მნახველები სდუმდნენ. კედლისკენ პირმიქცეულმა სიცხიანმა რევაზმა შალვას ჰკითხა: მართლა ნანულის სურათი დახატეო?

შალვას მაშინ ეგონა: მნახველთათვის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება უნდაო და ამიტომ მითხრაო. ახლა კი...

შედგა, მოუნდა გამობრუნებულიყო, წასულიყო საავადმყოფოში, ჩახვეოდა თავის მეგობარს და ეთხოვა: ეპატიებინა დანაშაული.

დიდხანს იდგა შუა გამზირზე. ვიღაც შოფერი აგინებდა მანქანიდან.

უკან გამობრუნდა.

ასანთი არ აღმოაჩნდა და ვიღაცას თხოვა მოეკიდებინა ჩიბუხისათვის.

საღამო შემოპარულიყო ქალაქში, ხალხი სეირნობდა. სიცხე ჩარჩენილიყო მოედანში და ასფალტს რწყავდნენ.

რესტორანში ჩავიდა და ღვინო მოითხოვა. მის გარდა არავინ იყო რესტორანში. ოფიციანტს ღვინო მიაწოდა და შეეხვეწა მასთან დაელია.

დათვრა.

ფული არ გადაახდევინა თანამესუფრემ.

-მაშ, ეს სურათი თქვენთვის მიჩუქნიაო- უთხრა და ტილო გაუშალა.

შეზარხოშებული ოფიციანტი ცას ეწია სიხარულით.

ის სურათი ახლაც ჰკიდია იქ. ბევრმა არ იცის, რომ იგი შალვას ნახატია:

მინდვრად გასულა ფეხშიშველა ნანული და ყაყჩოებს ჰკრეფს.

* * *

რევაზი პროფესორ ციხისთავის ბინისკენ მიდიოდა. დილა იყო, თბილისის მცხუნვარე მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული და ამიტომ გრილოდა.

ახლებურად ეჩვენა რევაზს ეს ლამაზი ქუჩა. აკაციები უფრო გაგანიერებულან. ქვაფენილი აუყრიათ და სფალტი მოუსხამთ. აწი დამშვიდდება პროფესორი. ყოველთვის, როცა შინ ვინმე სტუმარი მიჰყავდა, ჩიოდა: ამ ქვაფენილის აყრას არ

ეშველა არაფერი. ოთხთვალების ბრაგუნი ხელს მიშლის მუშაობაში და ფანჯრები ვერ გამიღიაო.

ეს თვენახევარია რევაზი პროფესორის ბინაში არ ყოფილა. როგორ გაუხარდება პროფესორს ეს ამბავი: საავადმყოფოდან რომ გამოვიდა და ბილინგვაც გაშიფრული რომ მოუტანა. ნანულის ფართოდ გახელილი თვალები წარმოუდგა რევაზს. ნანული, ალბათ, იტირებს მეტი სიხარულისგან. იქნება ერთი გაწამაწია. აკადემიაში მოწვევა, მილოცვები. დღეს დედაც უნდა ჩამოვიდეს სოფლიდან. ეს კარგია. დედას გაჰყვება სოფელში და ამ ზაფხულს დაისვენებს. იქნება გამოკეთდეს.

პროფესორი მეორე სართულზე ცხოვრობდა. ფანჯრებს ახედა, ღია იყო, მაგრამ არავინ არ ჩაანდა.

კიბეს აჰყვა, ძლივს მოათავა ერთი კიბე, დაღლა იგრძნო, მოაჯირს დაეყრდნო. როგორ დავსუსტებულვარო, მწარედ გაიფიქრა.

მაღლიდან ხმაური მოესმა. აიხედა. კარებთან პროფესორი და ნანული იდგნენ. ნანული პროფესორს საყელოს უსწორებდა. ეტყობოდა სადღაც მიდიოდნენ.

პროფესორმა თვალი ჰკიდა კიბეზე ამომავალ კაცს.

-ბოშო, გამიშვი, რეზო მოდის. - წამოიძახა მოხუცმა, ნანულის თავი წაართვა და კიბეზე დაეშვა.

მკლავში ხელი დაავლო და მაღლა ამოიყვანა.

ნანული ერთ ადგილას იდგა. თითები ერთმანეთში გადაეხლართა და იღიმებოდა, ასე გამოხატავდა იგი უდიდეს სიხარულს.

გამოწვდილი ხელი ის-ის იყო უნდა ჩამოერთვა რევაზისთვის, რომ პროფესორმა კარები ფართოდ გააღო და შეუძახა:

-კიდევ არ მისალმებიხართ ერთმანეთსო?

მისალმება დააცალა, შემდეგ ორივეს მკლავი გაუყარა და გაბრწყინვებული თვალებით შინ შეიყვანა.

პროფესორი მთელი გულით ზეიმობდა. მართალია, ექიმებს ეეჭვებოდათ რევაზის გამორჩენა, მაგრამ ეს მოხუცს არ აშინებდა. რევაზს იგი მასთან წაიყვანდა აბასთუმანში და ერთი სამი თვე მისი მეთვალყურეობით დაასვენებდა. ეს, ალბათ, საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ რევაზი გამოჯანსაღებულიყო. აბა, ფილტვებშელახული კაცი რამდენია ქვეყნად და ყველა ხომ არ მომკვდარაო. ასე

ფიქრობდა პროფესორი, მაგრამ ამისათვის დაუყოვნებლად თბილისიდან გასვლა კი აუცილებელი იყო.

საამისოდ კიდეც გააფრთხილა დეიდა მარიამი და ნანული: თუ ის ბავშვი არ მოვატყუეთ, რომ ბილინგვა მე მაქვს ამოკითხული, არ დამიჯერებს და არ წამომყვებაო.

ეს ნანულიმაც სიხარულით მოიწონა და სამთავემ ასე დაასკვნეს.

ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ პროფესორი მეორე ოთახში გავიდა. რევაზს ვერ გადაეწყვიტა: ნანულისთვის ხომ არ ეთქვა პირველად ეს. ისევ გადაიფიქრა. გადასწყვიტა პროფესორის შემოსვლამდე დაეცადა. მდუმარედ იჯდა რევაზი სიხარულის მომგვრელი წუთების წინ.

ნანული ცეცხლოვან თვალებს არ აშორებდა. ერთი ორჯერ რაღაცა შეეკითხა.

საწყალის თვალებით შეჰყურებს გოგონა ყმაწვილს.

რევაზს პირისახე დათხელებია, ულვაშები მოუპარსავს. შავ ბუდეებში ჩამჯდარი თვალები საშინლად უბრწყინავს. გამოხედვაც ისეთი აქვს, ცრემლმორეული გეგონება.

თეთრი კოსტიუმი აცვია რევაზს, წინათ რომ უხდებოდა. ახლა იგი ნათხოვარს ჰგავს საოცრად გამხდარი რევაზის ტანზე.

სიბრალული, დიდი სიბრალული იგრძნო ქალმა ყმაწვილისადმი, თავდახრილი რომ იჯდა და ასანთის კოლოფს რომ ათამაშებდა გამხმარი თითებით.

პროფესორი შემოვიდა.

-რევაზ, გითხრა ნანულიმ?

-რა, პატივცემულო გიორგი?

-რომ მე იათამზე გავიცანი.

-არა, არ უთქვამს.

რევაზს გული გადაუბრუნდა მკერდში. პროფესორი მშვიდად მიუჯდა მაგიდას.

-რა გამოვიდა, პატივცემულო გიორგი?

მაგრამ მოხუცი მშვიდად განაგრძობდა:

-არც დიდი ჯაფა დამჭირვებია. მართლაც არამეული გამოდგა. რევაზს თავბრუ დაესხა. ნანულისკენ გაიხედა, მაგრამ იგი იქ არ იყო.

-რა გამოვიდა, ტექსტს ვერ მეტყვით?

ცეცხლის თვალები შეჰყურებენ პროფესორს.

-მემანქანეს გადავეცი, მგონი იათამზე ყოფილა მართლაც, ქართლის დედოფალი, ბევრი ვერაფერი საინტერესო. მგონი პროფესორ ორლოვსაც გაუშიფრავს. ამ დღეებში ალბათ- და აქ ხელებით სახე დაისრისა პროფესორმა და დაამთქნარა- მისი წერილიც მომივა. სხვა, შენ რასა იქ? ახლა არ დავისვენოთ? ცოტას მდინარე წყალიც შედგება, შე კაცო. ნანული და დეიდა მარიამი ზღვაზე გავუშვათ. არჩილიც მათთან მიდის. მე და შენ აბასთუმანში წავიდეთ. მოვითქვათ სული ცოტა. ასეთ სიცხეში მუშაობა შეუძლებელია. ნანული, საუზმე რამე არა აქვს, თუ იცი, იმ დედაბერს?- ხმამაღლა მიაძახა ნანულის და მერე ისევ რევაზს მოუბრუნდა- ახლა შენთან მოვდიოდითო.

პროფესორი გავიდა.

რევაზი განადგურებული იყო.

პროფესორი ამბობდა: დედოფალიაო. უსათუოდ შეცდა სადმე პროფესორი. რთული იყო კონტექსტი და მიტომ. ეზოსმოძღვარ ბადრი არმაზელის ასული არისო, - ეუბნებოდა რევაზს ბილინგვა, პროფესორმა კი უთხრა, - დედოფალი ყოფილაო. დედოფალი რომ ყოფილიყო, ეზოსმოძღვარი რად იქნებოდა ნახსენები წარწერაში? სანდო იბერიელმა მივამსგავსეო- ამბობდა ქვის ოსტატი. ნუთუ ამან მაინც არ ააღელვა პროფესორი.

რევაზმა გადასწყვიტა: როგორც კი შემოვიდოდა პროფესორი, ეთხოვა- ეჩვენებინა ტექსტი. დაერწმუნებინა მაინც პროფესორს რევაზი თავის შეცდომაში და მისთვის გული საგულეს ჩაეყენებია. მთავარი ეს იყო, მალე შემოსულიყო პროფესორი. მაგრამ პროფესორი არ შემოდიოდა.

რევაზმა ვერ მოისვენა. მარტო იყო ვეებერთელა ოთახში. მიმოიხედა, თითქოს პირველად ყოფილიყო აქ.

ოთახის ორი კედელი, მარცხენა და მარჯვენა, არ ჩანდა, წიგნებით იყო დაფარული. გეგონებოდათ, ჭერი პირდაპირ კედელთან დალაგებულ წიგნებზე დაუმაგრებიათო. წიგნების თაროები იატაკიდან ჭერამდე ადიოდნენ. კუთხეში მაღალი კიბე იდგა წიგნების თაროებზე ასასვლელად.

თავისი თავი ეპატარავება რევაზს.

მძიმე მყუდროება იდგა ოთახში. ვეებერთელა მაგიდაზე თავი დაეხარა ელექტროლამპას.

საკუთარი უზადრუკობა იგრძნო ახალგაზრდა კაცმა მეცნიერი მოხუცის ამ სამყოფელში. თავს ისე გრძნობდა, როგორც მდევის გამოქვაბულში გამოკეტილი ზღაპრული მონადირე.

-ალბათ ამ წიგნებმა გაანდვეს პროფესორს ბილინგვის საიდუმლო ენა.

და რევაზი გრძნობდა, თითქოს ეს წიგნები ცოცხალი არსებანი იყვნენ და ეღიმებოდათ რევაზის უსუსურობაზე.

ალბათ, პროფესორიც ამიტომ არ ეუბნებოდა რევაზს ბილინგვაზე არაფერს, რომ მისთვის ჯერ ადრეა ასეთი საქმე. ალბათ იმიტომ სდუმს პროფესორი, რომ არ უნდა რევაზს ეს აგრძნობინოს.

ახლაც ალბათ ამიტომ გავიდა მეორე ოთახში. უცხოობა შეიგრძნო პროფესორის ბინაში.

-მართალი იქნება- ნაღვლიანად ჩაილაპარაკა რევაზმა. - აკი ხომ მასაც ეეჭვება ბევრი რამ თავის წაკითხვაში.

ტანზე ოფლი მოასკდა, სული შეეხუთა.

ფანჯარასთან მივიდა. მზეს შეხედა. ჯანღი დაყრილიყო მის ამოსავალზე, მზე მახვილივით სერავდა ღრუბელს და გზას იკაფავდა.

ნანული შემოვიდა. პროფესორიც შემოყვა მას.

ბუზღუნებდა.

-სად წავიდა ასე უთენია ის ქალი? შენ ხომ არ შემოგხვედრია, ბიჭო, გზაზე?

-პატივცემულო გიორგი, მე აბასთუმანში ვერ წავალ. თქვენ წადით. აბასთუმანში კი არა, ზღვაზე წადით. თქვენ ხომ ზღვაზე დადიხართ. მე არ ვიცი რას ვიქმ. დღეს დედას მოველი სოფლიდან და მგონი, მას გავყვე. იქ უფრო კარგად დავისვენებ. ჰაერი კარგია, მყუდროება იქნება.

ჩაიზე არ დაიცადა. დედა ჩამოვიდოდაო. დღეს ისევ გინახულებთ, დედას შეგახვედრებთ და ერთად გადავწყვიტოთ ეგ საქმე.

რევაზი შინ მიბრუნდა. თუმცა ახლა მას არ უნდოდა შინ მისულიყო.

ახლა მას არ უხაროდა დედის ჩამოსვლა. ორში ერთი მოხდებოდა: ან აბასთუმანში უნდა წასულიყო პროფესორთან ერთად, ან არა და, დედას უნდა გაჰყოლოდა სოფელში. პროფესორი და დედა საერთო ენას გამონახავდნენ.

ყველაფერი გათავებულია. ამაოდ შესჭიდებია რევაზი თილისმურ წარწერას. ასე ადვილი არ ყოფილა ენის ადგმა დამუნჯებული ისტორიისა, გატაცება და

თავდადება საკმარისი არ ყოფილა, რომ გაამდიდრო მეცნიერება. რევაზს სიყრმითვე ქართლის ცხოვრება იტაცებდა. მუდამ ბრაზობდა, რომ მატიანეები ენაძუნწობდნენ, მუდამ სწუხდა, რომ გონებანათელი მეცნიერებიც მხოლოდ ვარაუდს იძლეოდნენ ქართლის წარსულის ზოგ საკითხზე. ახსოვს რევაზს, როგორ განიცადა ჯერ კიდევ ბავშვმა საბა ორბელიანის ჩივილი: სხვა ენები მე არ ვიცოდიო. რევაზს დღემდე არ ასვენებს ჯავახიშვილის მიერ გულის ტკივილით წარმოთქმული სიტყვები: ვერ დავაზუსტეო ეს საკითხი.

რა იქნებოდა მისცემოდა რევაზს შესაძლებლობა: ერთი ფურცელი დაემატებინა საქართველოს მატიანისთვის.

რა იქნებოდა, რგებოდა მას ეს ბედნიერება!

რა კარგი იქნებოდა!

ბედნიერება იქნებოდა ეს იმითაც, რომ ბილინგვის გაშიფრვა სახელსაც მოუხვეჭდა მას. გაათამამებდა ეს ახალგაზრდა მეცნიერს. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შეძლებდა რევაზი გამოტყდომოდა პროფესორს: მე და ნანულის ერთმანეთი გვიყვარს და უნდა გვაპატიოთო. შემდეგ ასე წავიდა საქმე. დაავადმყოფდა რევაზი. ექიმებმა ფილტვები დაუწუნეს. რევაზს მხოლოდ სიკვდილზე შეეძლო ფიქრი, მაგრამ ის მაინც არ გატყდა. დიდი სიცარული ჩარჩა მას გულში. მისი ოცდაოთხი წლის სიცოცხლე ამაოდ არ ფუჭდებოდა, რადგან საქართველოს ისტორიას ორი საუკუნის სიცოცხლეს შემატებდა რევაზი. ახლა ესეც გაუცრუვდა. თავიც დაიღუპა და მეცნიერებასაც ვერაფერი არგო.

ფეხით მიდიოდა რევაზი.

ქუჩაში ცხელოდა. მთლად ოფლში გასვრილიყო. ფიჯაკი გაიხადა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ქუჩის მზიან მხარეზე უვლია. მზე, თითქოს, დაბლა მიიწევდა. ქუჩის თავზე იდგა და ქალაქში თაკარას ატრიალებდა.

ასე ცხელოდა მაშინ ბუხარაში. რევაზი და არაბი აჰმედი ბუხარას ვიწრო ქუჩით მიდოდნენ ცხენებით. მტვერში და ოფლში იყვნენ ასვრილი. ვიწრო მოედანზე აქლემებისა და სახედრების ქარავანი შემდგარიყო და გასასვლელი გადაეღობა. გზა ვერ იშოვნეს და ფარდებით დაფარული ჩაიხანისკენ გასწიეს სულის მოსათქმელად. ჯერ მორთხმულნი არ იყვნენ, რომ აჰმედმა რევაზს იდაყვი წაჰკრა და ვიღაცაზე ანიშნა. ირანელებში ორი ქალი იჯდა. ერთ-ერთი მათგანი ირანულად

ელაპარაკებოდა მათ. ერთი პროფესორი ორლოვის ქალი გამოდგა, მეორე-ნანული. ასე შეხვდა პირველ სიყვარულს რევაზი დასიცხულ ბუხარაში.

უნივერსიტეტსის ჭიშკრამდე მისულიყო. ცარიელი იყო მისი ეზო.

ბინაში დედა არ დაუხვდა. შალვა ეს-ეს იყო დაბრუნებულიყო სადგურიდან. დღეს არ ჩამოვიდოდა ალბათ.

-გამეხარდა, შალიკო, რომ დედა არ ჩამოვიდა დღეს.

-რატომ, ბიჭო?

-იცი, შალვა, პროფესორ ციხისთავს გაუშიფრავს წარწერა. ამბობდა რევაზი და თანაც პორთფელში ქაღალდებს ილაგებდა.

-ისე წაუკითხავს, როგორც შენ, რევაზ?

-პროფესორი ან მე მატყუებს, ან მეცნიერებას, შალვა. შალვა, მე უკანასკნელ წვრილმანამდე ჩავყევი მას და დაჯერებული ვარ, რომ სხვაფერ არ უნდა გამოსულიყო. სხვანაირი წაკითხვა არ შეიძლებოდა.

-იქნებ ცდება შენი პროფესორი?

ნახევრად ჩაცმული სამუშაო ხალათი შალვამ ისევ გაიხადა.

-ყოველ შემთხვევაში დღეს ისევ უნდა გავსინჯო მთელი შემი მუშაობა. ახლავე საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა წავიდე.

-მე ახლა დავრეკე პროფესორის ბინაში. შენ მინდოდი. პროფესორი დღეს რაღაც საქმეებს შერჩება და ამიტომაც ხვალამდე ვერ მოხერხდება, მგონი, თქვენი წასვლა აბასთუმანში. ეცადე, მთელი დღე შენს ხელთაა.

-ეს ძალიან კარგია. შენი საღამო ამაღამ არის?

-ამაღამ. გამოივლიდი?

-ალბათ ვერა, შალვა. ხომ ხედავ ჩემს საქმეებს.

იმ ღამეს ახალგაზრდა მხატვართა საღამო იყო ხელოვნების სასახლეში. შალვაზე ილაპარაკებდა არჩილი.

დამწუხრებული შალვა ჯერ კიდევ კარებთან იდგა, რომ რევაზი მობრუნდა.

-ამაღამ ნანულიც იქ იქნება. არამცდა არამც არ წამოგცდეს, რომ მე ბილინგვა წავიკითხე. თუ ჩემზე რამე გკითხონ, უთხარი, რომ მე ხვალ უსათუოდ აბასთუმანში მივდივარ.

შალვამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

ათასი აზრები ირეოდნენ რევაზის თავში. ტექსტის ყოველი სიტყვა ხელმეორედ გადასინჯა შედარებით ლექსიკონებში. ისევ გადათვალა ბიბლიის არამეული, თალმუდის არამეული, ებრაული, ფინიკიური.

ყველაფერი რევაზის გაგებას ასაბუთებდა.

ღამის ათ საათამდე იმუშავა.

საშინლად დაიღალა.

რუსთაველის გამზირით წამოვიდა.

წვიმა ყოფილიყო და გადაეკარა.

ნუთუ მაინც პროფესორი ციხისთავია მართალი? არამც და არამც! ხვალ უსათუოდ მოვა პროფესორთან და ეტყვის, რომ მან გადასინჯოს ისევ თავისი მუშაობა წარწერაზე. მას შეცდომით აქვს წაკითხული ეპიტაფია.

ეს რა უტიფრული რამ გაიფიქრა? ვინ არის საქართველოში ისეთი, რომელიც ამას გაუბედავს პროფესორ ციხისთავს? ესეც არ იყოს, დღემდე რაში შემცდარა იგი, რომ ამაში შემცდარიყო? რევაზ იაშვილმა გაშიფრა და პროფესორმა ციხისთავმა ვერა?

შედგა რევაზი, მოუსვენრად შედგა. რაღაც მოუნდა. თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა. ერთმა ყმაწვილმა ჩაიარა. მხიარული სახე ჰქონდა, პაპიროსს აბოლებდა.

-ძმობას, მომაწევინე თუთუნი!- თითქმის შეეხვეწა რევაზი.

ყმაწვილი ფიცხლავ მოტრიალდა და პორტსიგარი მიაწოდა. თავის სიცოცხლეში პირველად სწევდა პაპიროსს. თრო იგრძნო, თავი შეუქანდა. ფორტფელი გულში ჩაიხუტა და გამზირს გაჰყვა.

განათებული იყო გამზირი. ნაწვიმარ ასფალტზე მანქანების შუქი ოქროს წყალს ასხამდა.

წინ ახალგაზრდობის ჟრიამული მოესმა. მდუმარე და თავჩაქინდრულმა ჩაუარა ჯგუფს.

ზურგს უკან დაუძახეს. შალვას ხმა იცნო. არჩილიც აქ იყო, ნანულიც.

ისინი ახალგაზრდებს ჩამორჩნენ და რევაზს მოუბრუნდნენ. რევაზს ყველაფერი სიზმარი ეგონა. არჩილი რევაზს შეეხვეწა: ერთი საათით სახლში ავიაროთო.

არჩილს უხაროდა: შინ სტუმრები ჰყავდა და რევაზს და შალვასაც წაიყვანდა. შალვას სთხოვა: ღვინო მაშოვნინე სადმე, შემოაკლდებოდათო.

ნანული და რევაზი მარტო დარჩნენ.

მთავრობის სასახლის აღმართზე აუხვიეს.

ნანულიმ რევაზს მკლავი გაუყარა.

ერთხანს მდუმარედ იარეს.

-ხვალ როგორ იზამ, რევაზ?

თითქოს შუშის გული ჰქონდა რევაზს და შეუმტვრიესო.

-რას, ნანული?

-არ გაჰყვები პროფესორს აბასთუმანში?

-ნანული, შენც ხომ ხარ ამ საქმის კურსში, როგორ გგონია, არის იგი ზუსტად წაკითხული? - და ქალს ჩახედა თვალებში.

-იმიტომ კი არ გეუბნები, ნანული, რომ, მე ციხისთავის დიდ ცოდნაში ეჭვი მეპარებოდეს, ამიტომ კი არა. აქ ზოგჯერ დიდ ცოდნას არა აქვს უპირატესობა...

-რა იყო, რევაზ, იმ ბილინგვაში ისეთი, რომ პროფესორს გაძნელებოდა მისი გაშიფრვა? შენ მე სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. მითხარი, ხვალ მიდიხარ პროფესორთან ერთად?

-არა, ნანული, არ მივდივარ.

-მაშ, დედასთან წახვალ სოფელში?

-არც სოფელში. თბილისში დავრჩები.

ქალი შეკრთა, თითქოს საშინელი რამ ამბავი გაუმხილესო.

-რეზო, თბილისში მეტისმეტი სიცხეა. ავადმყოფს კი არა ჯანმრთელ კაცს ვნებს. რას უნდა გაუჩერდე ამ ზაფხულს აქ? თავი რატომ უნდა დაიღუპო?-ეს თქვა და წინ გადაუდგა ბიჭს.

-მუშაობაა საჭირო, ნანული?

-რა მუშაობა?

-თუ არ დავრჩი და არ ვიმუშავე საყვარელ ადამიანს ცილი უნდა დავსწამო. ბილინგვაზე უნდა ვიმუშაო, ნანული. მეც ერთ-ერთი კაცი ვარ საქართველოში სემიტური ენების მცოდნე. ხუთი წელია მას ვსწავლობ. უნდა შემძლებოდა წინადადების წაკითხვა და თარგმნა. ვერ შევძელი თურმე. სხვა რომ წაიკითხა, მერე მაინც ვისწავლი.

ქალი ვაჟს მიეკრა.

-მაგრამ საამისოდ ხომ ჯანმრთელი უნდა იყო, რევაზ? რეზო, შენს დაღუპვას მე... მე ვერ შევურიგდები- აქ ქალს ცრემლი მოერია. - რევაზ, დედაშენის ცოდვაში ნუ ჩავარდები, ერთადერთი შვილის შემყურე ქალია.

ქალს თვალთაგან ცრემლი მოსკდა.

-ნინა ლევანოვნასა და პროფესორს გამუდმებული ჩურჩული და საიდუმლო საუბრები აქვთ ერთმანეთთან. ისინი რაღაცას მეც მიმალავენ.

ნანული გულამოსკვნით აგრძელებდა:

-მე არაფრის არ შემეშინდებოდა, შენ რომ დამჯერი ყოფილიყავი.

-მე დამჯერი ვარ, ნანული, მითხარი, რა დაგიჯერო?- ეს უთხრა და ქალის პატარა თავი მკერდზე ფრთხილად მიიკრა.

-მე ვიცი, თქვენ რა გიჭირთ, ნანული. დამნაშავე ვარ, ჯანმრთელობა გავინადგურე. მაგრამ რა მექნა? მე ასე მჯერა, ნანული, რომ შესვენება არ შეუძლია იმ კაცს, რომელსაც შრომა ევალება. შეხედე აგერ- და მათ წინ ამართულ ცეკას შენობაზე მიუთითა- ხედავ იმ ფანჯარას?

შენობის რამდნიმე ფანჯარა განათებული იყო. ნანულიმ ცრემლიანი თვალებით შეხედა მას და ნამტირალევი ხმით ჰკითხა რევაზს: - რა იყო მერეო.

-იქ არ ისევენებენ, ნანული, იქ მუშაობენ, ახლა ივლისის შუა ღამეა და მათ არ სძინავთ. მე ხშირად ვაკვირდები ამ ფანჯრებს. რამდენჯერაც აქ გამივლია, ყოველთვის ასე განათებული მინახავს. შრომის სიყვარული და საქმის ერთგულება ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ, ნანული. ყველგან ასე უნდა იყოს, დაუღლელი მუშაობაა საჭირო. გადამეტებული ჯაფის გარეშე არც ერთი დიდი საქმე არ გაკეთებულა და არც ერთი ძვირფასი წიგნი არ დაწერილა.

ქალი დადუმდა.

აღმართი მოთავდა. ნანულიმ განათებული ფანჯრებისკენ ისევ მიიხედა. ღია ფანჯარას კაცის სილუეტი მოადგა. დინჯი მოძრაობით მეორე სარკმელიც გამოაღო. სათვალეები მოიხსნა და წმენდა დაუწყო. ერთხანს ქალაქს გამოჰყურებდა ჩაფიქრებული, მერე ისევ მიბრუნდა. ეტყობოდა ვიღაცას ესაუბრებოდა.

ნანულიმ ხელმეორედ შეიმშრალა თვალები, ვაჟის მკლავი მაგრად მიიკრა.

მდუმარედ წავიდნენ. ცარიელი იყო ქუჩა, მთელი უბანი. მათი ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ.

ზურგს უკან ხმაური მოესმათ. არჩილი და შალვა წამოწეოდნენ.

არჩილის სტუმრები ჯერ კიდევ სუფრას უსხდნენ. ნანულიმ რევაზი გააცნო სტუმრებს. რევაზს ღვინო მიაწოდეს.

შალვა გვიან შემოვიდა. ეს შეამჩნია რევაზმა, რევაზმა ისიც შეამჩნია, რომ მისი ქუდი და პორთფელი მეორე ოთახში გაიტანეს.

ვერ მოისვენა. სუფრაზე რაღაც საკითხზე კამათობდნენ. ვიღაც ლამაზი გოგონა იჯდა რევაზის პირისპირ და რევაზს რაღაცას ეკითხებოდა.

რევაზს არავისი არაფერი ესმოდა.

შალვას შეხედა. შალვა ძალიან მხიარულობდა.

რევაზი მიუხვდა, თუ რა საქმე მოუწყო შალვამ მას. წამოდგა, ბოდიში მოიხადა: ამ წუთში გეახლებითო. ნანულის ოთახში შევიდა. ნახა, რომ ნანულის რევაზის პორთფელიდან ქაღალდები ამოეყარა და გაფაციცებით კითხულობდა. კარებთან მდგარი რევაზი რომ ნახა, ცრემლიანი მზერა მიაპყრო მას.

-მაპატიე, ნანული.

ეს თქვა რევაზმა და მისკენ წამოსულ ნანულის ჩაეხვია.

* * *

ძალიან გვიან დაბრუნდნენ მეგობრები სტუდენტთა ქალაქში. დაწვნენ.

საიდანღაც დიდხანს ისმოდა მოქეიფეთა ხმაური და სიმღერა. ღია ფანჯრიდან ფერმკრთალი ალიონი იყურებოდა. ძლივს ბჟუტავდნენ პატარა ვარსკვლავები.

ორივე მეგობარი ღრმა ფიქრებს წაეღო.

შალვა მოსწევდა პაპიროსს და ოთახში ერთი წამით სინათლე გაიელვებდა.

რევაზს ერთხანს ხველება აუძალდა.

აკაციის ტოტები ეხებოდნენ ფანჯრის მინას. ოთახში მათი შრიალის რბილი ხმა შემოდიოდა.

-შალვა, არ გეძინება?

-ჰო, რაღაც არ მეძინება.

საათის ფეთქვაღა ისმოდა მხოლოდ.

-იცი, შალვა, რა გითხრა?

-ყველაფერი ვიცი, რევაზ, არაფერი არ მითხრა.

სდუმდნენ მეგობრები, მაგრამ ფიქრების ღრიანცელი იდგა და ეს ფიქრები ნიავს გატანებული თუთუნის ბოლივით დადიოდნენ ოთახში.

*   *   *

მეორე დღეს რევაზმა დედის წერილი მიიღო. ავად გამხდარიყო და ვეღარ წამოსულიყო. შვილს თხოვდა: სწავლა დასრულებული გაქვს და შენი თავი აწი მაინც მაღირსეო, ცუდ სიზმრებს ვსინჯავო. შალვას შეეხვეწე, ისიც წამოგყვეს და იმ ბავშვის საფლავზე ქვა დამიდგითო.

მარტო შალვა წავიდა რევაზის დედასთან სოფელში, მარტო იმიტომ, რომ რევაზმა უთხრა შალვას: მე პროფესორთან უნდა წავიდეო აბასთუმანში. დედა არ შემიშინოო.

რევაზმა პროფესორს დაურეკა: დედასთან მივდივარ ერთი კვირით და ამიტომ ახლავე ვერ წამოვალო თქვენთან, ავად ყოფილა და უნდა ვინახულოო. ბოდიშს უხდიდა, რომ პირადად ვერ გამოეთხოვა. მატარებელზე მაგვიანდებაო. პირობას აძლევდა, რომ ერთი კვირის შემდეგ უსათუოდ ჩავიდოდა აბასთუმანში და მასთან ერთად დაისვენებდა.

პროფესორი აბასთუმანში წავიდა.

ნანული დეიდა მარიამსა და არჩილს გაჰყვა ზღვაზე.

ივლისი მიილია.

რევაზი მარტო დარჩა თბილისში.

*   *   *

რევაზმა კიდევ შესძლო რამოდენიმე დღე ემუშავა. ჩქარობდა: პროფესორსა და ნანულის პირობა მისცა: ერთ კვირაში წავიდოდა აბასთუმანში.

ახლა იგი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. მხოლოდ აქ თუ იშოვებოდა საჭირო ლიტერატურა. ეს იმითაც იყო კარგი, რომ აქ ნაცნობს არ ხვდებოდა. თითქმის ყველა გასული იყო ქალაქიდან. ბოლო ხანებში ნაცნობებს ვერ იტანდა რევაზი.

-ჰაუ, როგორ გამხდარხარო.

-როგორ დასუსტებულხარო.

-რომელ კურორტზე უნდა წახვიდეო?

-ტუბდისპანსერში იყავით?

ეუბნებოდნენ ისინი და ამან თავი მოაბეზრა. რამდენიმე უცნობი მეცნიერმუშაკი შემორჩენოდა სამკითხველოს. ისინი, რასაკვირველია, არც აწუხებდნენ მას.

რევაზს ახლა დეიდა ელენეც არ ეკარებოდა (დეიდა ელენე ბიბლიოთეკარი იყო). ამ მსუქან ქალს უკვე ეშინოდა რევაზთან გამოსაუბრებისაც კი. მეორე თანამშრომელი, პატარა გოგონა, რომელიც პირადად არც იცნობდა რევაზს, ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ამ ჩონჩხად ქცეულ კაცს, რომელიც დეიდა ელენეს თქმით, წიგნების კითხვამ ,,დააჩიხოტკა" და აწი არაფერი არ ეშველებოდა.

რევაზმა უკანასკნელად აკრიფა თავის ქაღალდები. მეტი მუშაობა მას არ შეეძლო და არც იყო საჭირო.

მტყუანი იყო პროფესორი ციხისთავი!.

გვიან დაბრუნდა ბინაში. ძლივს მოვიდა. პორტფელი მაგიდაზე დააგდო და თვითონაც ზედ დაეშვა. თავი ემძიმებოდა.

-საინტერესოა, მაქვს თუ არა სიცხე?

თერმომეტრი ვერც მოირგო გამხმარ მკლავსა და გვერდს შუა. ამოიღო და იატაკზე დაანარცხა.

ამაღამ არ მოვკვდეო.

ოთახი დაალაგა, წიგნები დააწყო, მაგიდის საათი მომართა და მუშაობა დააწყებინა.

კალენდარს შეხედა და გაოცდა: პირველ აგვისტოს უჩვენებდა.

მოხია ერთი ფურცელი, მეორე, მესამე...

-ვინ იცის რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შალვა წავიდა? ალბათ, ბევრი მოვხიე, რამდენია დღეს რიცხვი?

განახევრებული იყო კალენდარი.

-რამდენი ფურცელი იქნება ამ კალენდარში დარჩენილი?

-ადამიანის სიცოცხლეს ჰგავდა კალენდრის სიცოცხლეც.

-როგორ? მაშ, ყოველი წასული დღე კალენდრის ფურცელია მხოლოდ, სხვა არაფერი?

-კაცმა რომ თქვას, ეს ცუდი ანალოგიაა. თუ გინდ გამოგონებაც არაა ჭკვიანური. კალენდარს ფურცელი კი არ უნდა მოხიო, არამე, პირიქით, ერთი ფურცლით უნდა დაიწყო და თითო თითოდ უნდა უმატო. აი მაშინ იქნება

კალენდარი ზუსტი. მაშინ იქნება მისი შეჩერებაც უბედურება. ვინ იცის ვინ რამდენ ფურცელს იშოვიდა? არა, უსათუოდ უნდა დასტოვო კაცმა ამ ქვეყნად რამე, რომ შენი წარსული დღეები კალენდარის მოხეულ ფურცელივით არ დაგეკარგოს. ოცდაერთი წლის მომკვდარა იათამზე და რომ მისთვის ხელოვანს მარმარილოს ძეგლი არ დაედგა, სად იქნებოდა მისი ხსენება ახლა? რევაზ იაშვილი კი არა, ეშმაკიც ვერ გაშიფრავდა მისი ოდესმე ამ ქვეყნად არსებობის იდუმალ წარწერას. ოცდაერთი წლის მოკვდა რევაზის და თათულიც, სიკვდილის წინ დაუბარებია: ,,ღმერთმა თუ რეზიკო ცოცხალი დაგიბრუნათ, დაძმობის ნიშნად საფლავზე ქვა დამადგასო“.

ორი წერილის წერა მოასწრო: ერთი დედასთან, მეორე პროფესორთან.

პროფესორს სწერდა:

,,...უნდა გავკადნიერდე, საყვარელო მასწავლებელო, და უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ვერ დაგიზუსტებიათ ბილინგვის ტექსტი. დედოფალი კი არ ყოფილა იათამზე, არამედ ეზოსმოძღვრის ასული. ქანდაკება ბერძენს კი არა, სანდო იბერიელს გაურანდავს, ქართველ კაცს (და აქ მოჰქონდა მთელი ტექსტი ეპიტაფიისა)... მე არ ვიცი, რას გაარკვევს ეს, რა შედეგი მოჰყვება ყველაფერს ამას. ალბათ, ჩვენი ისტორიკოსები ამით შეძლებენ ცოცხალი წარმოდგენა იქონიონ ქრისტეს შემდეგი რამდენიმე საუკუნის ქართულ ყოფაზე, სახელმწიფო წყობაზე და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, იმ დროის ქართულ ხელოვნებაზე. ალბათ, ჩვენი ლინგვისტები ამით მიაგნებენ ქართული პალეოგრაფიის განვითარების გზებს... მე ჩემი ვალი მოვიხადე...“

წერილის ბოლოს ისევ ბოდიშს უხდიდა პროფესორს, რომ ასე კადნიერდებოდა. რაღაც ნანულიზედაც იყო მინაწერი, მაგრამ იგი ისევ წაეშალა.

ძლივს მოასწრო წერილის დალუქვა. შემდეგ ოთახში ჭერიდან დღის სინათლე შემოიჭრა და ორი ასული ჩამოფრინდა. ორივე ანათებდა და რევაზი მორწმუნე რომ ყოფილიყო, ანგელოზებად მიიღებდა. ერთი რევაზის ფერხთით დადგა, ხოლო მეორე მის სასთუმალთან მივიდა. რევაზმა ახედა და თავისი და იცნო. ატირდა რევაზი და უთხრა: მაპატიე, დაო, რომ შენი განშორების დღეს ვერ მოვედიო შენთან. დილეგში ვიყავი დამწყვდეული და ქედზე ჯაჭვი მედვაო. დამ ცრემლი შეუმშრალა რევაზს და თვალებში აკოცა. მერე დაიძახა: იათამზე, მოდი აქაო. იათამზე მოვიდა და ცრემლების-მფრქვევი თვალებით დახედა რევაზს. რევაზმა ხელები მისკენ წაიღო. უნდოდა გამოსაუბრებოდა მას. რა შეეხო, ნახა, რომ არმაზელ ქალწულის ნაცვლად

მის წინ ნანული იდგა და სტიროდა. რევაზმა თხოვა ორივეს: ცუდად ვარ და ეს ღამე გამითიეთო.

*   *   *

მესამე დღეს შალვა ჩამოვიდა თბილისში. რევაზი ბინაში არ დაუხვდა.

-გუშინწინ მე და მისმა დეიდამ საავადმყოფოში დავაწვინეთო- უთხრა კომენდატმა.

შალვა ათასფუთიანი ტანით წავიდა საავადმყოფოში. დიდხანს უცადა ექიმს.

ექიმი შემოვიდა. შალვას შეხედა იმ გამომეტყველებით, რომელზედაც ვერ იტყვით: გამწყრალია თუ სერიოზული.

ექიმი დაჯდა.

-თქვენ რა გნებავთ?

თითქოს პასუხი არც ეინტერესებოდა, მაგიდაზე რაღაც ქაღალდებს ალაგებდა.

-მე, იაშვილის... იაშვილი თქვენთან იწვა?

-ჩვენთან წევს. რა ხართ თქვენ მისი, ძმა? - უთხრა და შალვას ახედა.

-მეგობარი გახლავართ - და ანთებული თვალებით ჩააფრინდა შალვა ექიმს.

-კარგადაა იაშვილი.

კიდევ რაღაცას ეუბნებოდა ექიმი, მაგრამ შალვას არც გაუგონია, ექიმს მივარდა და ორივე ხელი მკლავში ჩაავლო.

ექიმმა გაიღიმა:

-არ მოკვდება!

შალვა ჩიჩუა

ღელვა

ორი თავი რომანიდან

„ასს“

ფრონტის ხაზიდან სამოცი- სამოცდაათი კილომეტრით დაშორებულ ხუტორ ბიკოვოს მახლობლად, აღმოსავლეთით, ბორცვიან მდებარეობას ვიწრო, სწორი ზოლი ჰკვეთდა, ჩრდილოეთისაკენ მიმართული. ესკადრილიის მეთაურმა, კაპიტანმა, ბოიკომ სწორედ ეს ადგილი აირჩია დასაბანაკებლად.

ხუტორი ბიკოვო, გენერალმაიორ კოროტჩენკოს დივიზიის დროებითი სადგური იყო. გარდა ამისა, ხუტორში სამხედრო საწყობები იყო მოთავსებული. დივიზია აქ იყრიდა თავს მარშიდან და ელოდებოდა ფრონტის სარდლობის ბრძანებას ნიკოპოლზე გასალაშქრებლად. კაპიტან ბოიკოს ესკადრილიაც მათ დასაცავად გადმოიყვანეს აქ.

ვიწრო ზოლი სასწრაფოდ გასწმინდეს თოვლისაგან, მიწურები აღადგინეს, ბანაკზე ხელოვნური ბილიკები გაატარეს, თვით ვიწრო ზოლი, ასაფრენი მოედნის მოვალეობის ამსრულებელი, ნახატი გზით გაჰკვეთეს. ასე რომ ათას ხუთასი ორიათასი მეტრის სიმაღლიდან ეს ადგილი სრულიად არ მოგაგონებდათ აეროდრომს. სჩანდა მხოლოდ ბორცვიანი სტეპი, რომელზედაც ხუტორიდან ბილიკები გამოდიოდნენ. ნახერხით მოხატული ხეებიც ნამდვილ ხეებსავით აღმართულიყვნენ.

ორიოდე საათის შემდეგ თვითმფრინავებმაც იწყეს მოფრენა. ისინი დრო გამოშვებით მოფრინავდნენ, წყვილებად. კაპიტანი, ალმით ხელში, თვით იდგა აეროდრომზე. თვითმფრინავები სამხრეთით მოათავსა, ბორცვებს შეაფარა.

ახლა აეროდრომი უკვე მზად იყო.

საღამოს ოთხ საათამდე მოწინააღმდეგის ავიაცია არ გამოჩენილა, სრული სიწყნარე სუფევდა.

მფრინავები მიწურში ისხდნენ და მკრთალ სინათლეზე ჭადრაკს თამაშობდნენ, ზოგიც ქაღალდს. მიწურის ერთ კუთხეში ლეიტენანტი მიტკა გორბაჩი გარმონს ამღერებდა, თვითონაც მღეროდა. მფრინავზე და ცისფერთვალებაზე.

დრამატიული ვაჟკაცური ტენორით, მაგრამ ხმადაბლა იწყებდა იგი. ექთანი ნატაშა ტერტიშნაია ნარნარი ხმით მიჰყვებოდა.

ხავერდოვან ბასს აყოლებდა ლეიტენანტი ბალახნიჩოვი. მღეროდნენ მფრინავები. სიმღერა მიწურს გარეთ არც კი გამოდიოდა, მაგრამ მომღერალთა გონების თვალი ძლიერ შორს იყო ახლა მიმართული, მიწურის კედლებს იქით. სიმღერის ,,ცისფერთვალება“ ყოველ მათგანს კონკრეტულ სახედ ევლინებოდა. ზოგი მღეროდა ,,ცისფერთვალებას“ და ამ დროს კი შორს, შორს... შავთვალას ელოლიავებოდა.

ნატაშა მღეროდა, მისი სიმღერა უფრო ლოცვას გავდა, პავლიკისათვის ლოცვას. ფართო ცისფერი თვალები მიწურის კედლებს უცქერდნენ. თითქოს მის განჭვრეტას ლამობდნენ და მას იქით პავლიკის დანახვას, რომელიც წავიდა და წაიღო ნატაშას გულიც.

ეს იყო ორი დღის წინათ. პავლიკი ბრძოლიდან აღარ დაბრუნებულა. დაღუპულად მიაჩნდათ იგი, დარდობდნენ, მაგრამ ნატაშას გასაგონად ამბობდნენ, - დაბრუნდებაო. ნატაშაც მოელოდა. არ სჯეროდა, რომ მისი პავლიკი დაიღუპებოდა. ვერ წარმოედგინა, ბრგე, სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცი უსიცოცხლო გვამად. არადა არა...

სიმღერა გრძელდებოდა. ახალი სახეები შემოჰყავდა მიწურში ამ სიმღერებს. თვთმფინავებს ხედავდა გონების თვალი, ერთმანეთს გრიგალივით დადევნებულებს.

ახლა ერთად იწყებდნენ გორბაჩი და ნატაშა. სიმღერა უფრო და უფრო ძლიერდებოდა, აღტკინებაში გადადიოდა. აქ იყო ბოიკოს ესკადრილის ყველა მფრინავი, მეორე რგოლის პილოტებს გარდა. ისინი თვითმფრინავების კაბინებში ისხდნენ, პირველმზადების მდგომარეობაში პროპელერები ნელნელა ბრუნავდნენ. დანარჩენ თვითმფრინავებთან მექანიკოსები ტრიალებდნენ, მოტორებს ათბობდნენ, ამოწმებდნენ ელერონებს, სიმაღლისა და მობრუნების საჭეებს, ბენზინავზების შეერთებას კარბურატორებთან, პროპელერის დამაგრებას, ზეთსალექარებს და ყოველი ქანჩის მოჭერის ნორმალურობას.

თვითმფრინავთან, რომელსაც მობრუნების საჭე ნომერი ჩვიდმეტი ეწერა, ხელებდაკაპიწებული ვასო იდგა, ზეთსაწურებს რეცხავდა ბენზინში.

-აბა როგორ არის ქართველების თვითმფრინავი? -მოესმა მას.

მოიხედა, მის წინ ესკადრილის ინჟინერი იდგა. მყისვე გასწორდა, - ყველაფერი რიგზეა ამხანაგო ინჟინერკაპიტანო!

-კარგია, შეამოწმეთ. ხომ არაფერი გინდათ?

-ჯერჯერობით არაფერი, ამხანაგო ინჟინერკაპიტანო!

-განაგრძე, გააგრძე - სთქვა ინჟინერმა და მოტორის შემოწმებას შეუდგა. მერე კაბინაში ჩაძვრა, ზეთის ხელსაწყოს დახედა, ოცდათხუთმეტს უჩვენებდა, ნორმალური იყო. საჭეებიც შეამოწმა. ამოძვრა კაბინიდან და ისევ ვასოსთან მივიდა. ვასოს გაერეცხა უკანასკნელი ზეთსაწური და ახლა თავის ადგილას ათავსებდა. ხან ქანჩსახრახნით, ხან ბრტყელტუჩათი ცდილობდა როგორმე მოეთავსებინა. არ ჩადიოდა ზეთსაწური, ხანაც ქანჩსახრახნი უსხლტებოდა პირწაყინულ ლითონზე. თითები ეყინებოდა, ფრჩხილები გათეთრებოდა, სახე წამოჭარხლოდა, ოფლში იწურებოდა. მერე ისევ უკან ამოიღო ზათსაწური, ხეხვა დაუწყო ზუმფარით.

-აბა კარგად გავხეხოთ!- მიეშველა ინჟინერი. მერე ერთმანეთს მიეშველნენ და ზეთსაწური თავის ადგილას მოათავსეს. ინჟინერი ახლა სხვა თვითმფრინავისკენ წავიდა. ვასომ ჩვარი აიღო და თვითმფრინავის ქვეშ შეძვრა. ფრთის ახლოს ვედრო იდგა, იგიც ქვეშ შეათრია. ზურგზე წამოწოლილმა გამალებით დაუწყო წმენდა თვითმფრინავის მუცელს. მას არ შეუმჩნევია როგორ გარბოდნენ მფრინავები თვითმფრინავებისაკენ.

რევაზმაც მოირბინა.

-გამო, გამო ვასო! - დაუყვირა მან. თვით კი ელვის სისწრაფით კაბინაში ჩაეშვა. როცა ვასო უკვე გამოსული დაინახა, სტარტერს ფეხი დააჭირა, გამშვები მაგნეტო დაატრიალა.

მოტორი უკვე მუშაობდა.

კაპიტანი ბოიკო, ერთი წუთით, კვლავ მიწურში იდგა. გონებაში სასწრაფოდ შედგენილ გეგმას ახლა ბრძანების სახით გადასცემდა რგოლის მეთაურებს.

როცა სამეთვალყურო პუნქტიდან შტაბის უფროსმა რადიოთი ცნობა მიიღო; რომ ფრონტის ხაზს გამოსცდა მტრის მოპიკირე ბომბდამშენის - ,,იუნკერ 88-ის'' გაძლიერებული ესკადრილია, ბოიკოს პირველი ბრძანება იყო: ,,რგოლის მეთაურები

ჩემთან, დანარჩენები თვითმფრინავებთან”. მთავარ ჯგუფს- პირველი, მეორე და მეოთხე რგოლის შემადგენლობით წავუძღვები მე, მესამე რგოლი მარქაფში, სამასი მეტრით ზევით. ლეიტენანტო ბონდარევ! ორი თვითმფრინავი განუწყვეტლივ უთვალთვალებს ბრძოლას კრიტიკულ მომენტამდე, ორი შეგიძლიათ გამოჭრილებს ან გაბრუნებულებს დაადევნოთ. პირველად მეოთხე რგოლი გაფრინდება, შემდეგ მეხუთე, მესამე და პირველი. მეორე რგოლი დარჩება ადგილზე.

-ადგილებზე! - გასცა ბრძანება მან.

რგოლის მეთაურები სწრაფად გატრიალდნენ, მათთან ერთად გამოვიდა მიწურიდან ბოიკოც. სირბილით გაეშურნენ თავიანთ თვითმფრინავებისაკენ.

ლეიტენანტი ბონდარევი ჩაფხუტს იკრავდა, თან გარბოდა. ალექსეი სოკოლთან მიირბინა, თვითმფრინავის ფრთაზე შეხტა. ხმამაღლა ყვიროდა, რომ გაეგონა მოტორის ხმაურში ალექსეის მისი ნათქვამი. ალექსეიმ მცირე ბრუნვაზე გადაიყვანა პროპელერი.

-თქვენი წყვილი იქნება მდევრად, ჯერ ჩემთან ერთად, ოდნავ ჩრდილოეთით აიღებ სიმაღლეს, შემდეგ ელოდეთ ჩემს ბრძანებას!

-არის ამხანაგო ლეიტენანტო! - მიუგო სოკოლმა.

მეოთხე რგოლის პირველი თვითმფრინავის პროპელერი უკვე ზუზუნით მიაპობდა ჰაერს, ვიწრო ზოლში იკრებდა სიჩქარეს. ჩქარა მიწას ასცილდა, ხუთიოდე წამს ისევ დაბლა მიდიოდა. მერე უცებ მარცხენა ფრთა დახარა, ჰკრა კამარა და თერთმეტი წამის შემდეგ საბრძოლო მობრუნება რვაასი- ცხრაასი მეტრის სიმაღლეზე დაამთავრა. სხვებიც მას მიჰყვნენ რიგრიგობით.

სტარტზე შტაბის უფროსი იდგა. აი, უკანასკნელი თვითმფრინავიც გააცილა და თვალი შეავლო მათ უკვე ჰაერში მწყობრად მფრენთ. ჯერ თვალს არ მიფარვოდა ესკადრილა, როცა საბჭოთა თვითმფრინავების გუგუნთან ერთად ,,დაიმლერ ბენცის”[1] შორეული წყვეტილი ზმუილიც მოისმა.

კაპიტანი ბოიკო სიმაღლის აღების მომენტშივე ანგარიშობდა სად უნდა შეხვედროდა მტერს: ,, სანამ სამეთვალყურო პუნქტიდან ცნობა მოვიდა, ერთი ორი წუთი გავიდა. ჩვენს აფრენას სამი- ოთხი წუთი დასჭირდა, სულ საშუალოდ ექვსი წუთი. ფრონტის ხაზიდან ბიკოვომდე სამოცდაათი კილომეტრია. ,,იუნკერს - 88-ის“ სიჩქარე ოთხასი კილომეტრია. ბიკოვომდე მათ თორმეტი წუთი დასჭირდებათ. ახლა

[1] ,,დაიმლერ ბენც“ - გერმანული მოტორია.

მათ დაახლოებით გამოვლილი აქვთ ოცდათხუთმეტი კილომეტრი, დარჩა ამდენივე. ისინი შეეცდებიან მზის მხრიდან შემოვლას. ეს გაადიდებს მანძილს. დავუშვათ დარჩა ორმოცდაათი კილომეტრი. დაახლოვებით სამი წუთის შემდეგ შევხვდებით ერთმანეთს. სამ წუთში ჩვენ გავივლით ოცდახუთ კილომტრს ბიკოვოდან.

არვარგა! საშიშია“!

აირი მიუმატა, სიჩქარის ხელსაწყო თითქმის მაქსიმალურს აჩვენებდა. კურსიც შესცვალა, მზისაკენ მიუხვია.

თითქოს ბოიკოს ხელმავე მიუმატაო აირი ყველა თვითმფრინავში- მანძილი მათ შორის ოდნავადაც არ გადიდებულა. თითქო მავთულებით არიანო ერთმანეთზე მიმაგრებულნი, ისევე მწყობრად განაგრძობდნენ ფრენას, როგორადაც მოსცილდნენ ბოიკოვოს.

ლეიტენანტი ბონდარევი თავისი რგოლით ისევ სიმაღლის აღებას განაგრძობდა. აი, მან დაახლოვებით განსაზღვრა, რომ სამასი მეტრით მაღლა არიან ძირითად ჯგუფზე და თვითმფრინავი ჰორიზონტალურ ფრენაზე გადაიყვანა. უკვე საჭირო სიმაღლეზე იყვნენ. ერთი კილომეტრით ჩამორჩებოდნენ ძირითად ჯგუფს. რგოლი ორად იყო გაყოფილი. ლეიტენანტი ბონდარევი მისი მეწყვილით ძირითადი ჯგუფიდან სამხრეთით მიფრინავდა, ჩრდილოეთით კი ალექსეი სოკოლი და რევაზი.

მთავარი ჯგუფის მარჯვენა ფრთაზე ლეიტენანტ ბალახნიჩოვის რგოლი მიფრინავდა. ქერა, დევივით ვაჟკაცი დინჯად იჯდა კაბინაში მას სრულიად არ ეტყობოდა ია აღელვება ან აღტყინება, მოსალოდნელი ბრძოლის წინ რომ იპყრობს მფრინავს. უკვე მტრის თხუთმეტი თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებული, ,,ჰაერის მგელს“ ეძახდნენ. ბიკოვოდან გამოსვლისთანავე ჩაფხუტყურში მას ბოიკოს ხმა შეესმა: - ,,ბალახნიჩოვ! დაწინაურდი შენი რგოლით! გააჩაღე ბრძოლა გამანადგურებლებთან. თქვენი ამოცანა: უზრუნველყოთ ჩვენი თავისუფალი მოქმედება. აბა შენებურად, კოლია!“

ბოიკომ ოდნავ შეამცირა სიჩქარე, რომ წინ წასვლის საშუალება მიეცა ბალახნიჩოვის რგოლისათვის. ბალახნიჩოვმა მაქსიმალური სიჩქარე განავითარა.

ცა ტყვიისფერი იყო. იშვიათად, მონაცრისფრო ქულა ღრუბლების ნაგლეჯები მოსჩანდნენ, გაშეშებულნი. სამხრეთიდან მზის სხივები აფერადებდნენ მათ. თუ არ მოტორთა მწყობრი ხმაური, სრული სიჩუმე იქნებოდა. ცას არსად ეტყობოდა ქუხილისათვის მზადება! ,,კუდში ქარი ქროდა“ მცირედი. მფრინავები ბრძოლის

მოლოდინის ღელვას და ბრძოლის ჟინს შეეპყროთ. ისინი არც კი შეიცნობდნენ მოტორთა ჩვეულ გუგუნს, მათი თვალები სივრცეში დაეძებდნენ სილუეტებს მოწინააღმდეგის თვითმფრინავებისა.

და აი... შორს, შორს... ოდნავ მარცხნივ წერტილები გამოჩნდნენ. ისინი სწრაფად იზრდებოდნენ. ჩქარა აშკარად გასარჩევ ბრტყელცხვირა მოტორებიან სილუეტებად გაიზარდნენ.

მათ ზემოთ, ოდნავ დაშორებით, თვითმფრინავების ჯგუფი ირაოზე გამოსულ ქორებივით დანავარდობდნენ... ეს, ბალახნიჩოვის რგოლი ეკვეთა მტრის მობადრაგე გამანადგურებლებს...

ბომბდამშენები, დაიმედებულნი, რომ თავდასხმა მცირე ძალით მოხდა და ბრძოლა გამანადგურებლებმა მიიღეს, ისევ წინ განაგრძობდნენ ფრენას. მაგრამ მათ ჩქარა შეამჩნიეს ბოიკოს ძირითადი ჯგუფი და უცბათ კურსი შეცვალეს, დასავლეთისაკენ იბრუნეს პირი...

გვიანღა იყო, კარგად მოწყობილ ხაფანგში იყვნენ მომწყვდეულნი- მათ უკვე სამასი მეტრის მანძილზე მისდევდათ ბოიკოს ჩქარი გამანადგურებლები. მანძილი თანდათან მოკლდებოდა: სამასი, ორს ორმოცდაათი, ორასი მეტრუ და... რვა მფრინავის ცერი ინსტიქტურად შეეხო გაშეტებს, მაგრამ ამავე დროს ჩაფხუტყურებში გაისმა ბოიკოს ბრძანება:- არცერთი გასროლა უჩემოდ!

უკვე პიკეში მიჰქროდნენ. ბოიკომ მხოლოდ ორმოცდაათი მეტრის მანძილიდან გახსნა ცეცხლი და იმ წამსვე მტრის ბომბდამშენები ცეცხლის წვიმაში გაეხვივნენ. მათ ზედ თავზე გაუქროლეს ,,იაკებმა“ და საბრძოლო მობრუნებით ისევ მაღლა მოექცნენ, კვლავ ეკვეთნენ. მტრის ბომბდამშენების ტურელებიდან გაცხარებით ისროდნენ. მათი მწკრივი პირველი შეტევისთანავე დაიშალა. ახლა თითო-თითოდ იცავდნენ თავს. და ცდილობდნენ როგორმე გასულიყვნენ ბრძოლიდან, თავი დაეღწიათ. უმეტესობა უწესრიგოთ ყრიდა ბომბებს, რომ შემსუბუქებულიყო.

თოვლიანი ველი აფეთქებებმა მოიცვა, ზრიალებდა მიწა. ახლა იგი ისე ერთიან სითეთრედ აღარ მოსჩანდა, როგორც ნახევარი წუთის წინათ. მასზე უზარმაზარი შავი ორმოები ამოთხრილიყვნენ.

გაჩაღდა ბრძოლა.

განუწყვეტლივ გაისმოდა ტყვიამფრქვევების კრრრრ... კრრ... და ზარბაზნების გრიალი.

ერთი ,,იუნკერსი“ უცბათ მოწყდა, წრიული სრბოლით, შავ კვამლში გახვეული დაექანა.

ლეიტენანტი ბონდარევი მაღლიდან პატრულობდა ბრძოლას იგი განუწყვეტლივ ათვალიერებდა ყოველ მხარეს, რომ მოწინააღმდეგის მაშველი ძალის გამოჩენის შემთხვევაში არ მიეცა მისთვის ბრძოლაში ჩარევის საშუალება. გულდინჯად უთვალთვალებდა.

რევაზ სირაძე კი ღელავდა, გული ბრძოლისაკენ უწევდა. ერთ წამს სურვილი იპყრობდა დაშვებულიყო დაბლა, ხელები თავისთავად აბრუნებდნენ საჭეებს, მაგრამ იმ წამსვე აგონდებოდა, რომ ნაბრძანები ჰქონდათ ლოდინი განკარგულებამდე, ასეთია მარქაფის მოვალეობა.

მაგრამ აი, ანაზდად მტრის ორი ბომბდამშენი გამოეყო ბრძოლას, პიკეში დაეშვა და ბიკოვოს მიმართულებით ისწრაფვის. მათ უნდა ეკვეთოს რევაზი და სწორედ ამ დროს გაისმა ბონდარევის ხმაც:

-ალიოშა! რევაზ! მარცხნივ, ქვევით ორი ბომბდამშენი... იმოქმედეთ სწრაფად.

მტრის ბომბდამშენებმა ისარგებლეს პიკეში აღებული სიჩქარით და მანძილის უპირატესობით. ახლა მთელი სიჩქარით მიფრინავდნენ ბიკოვოს მიმართულებით. ალექსეი და რევაზი დაედევნენ მათ. მანძილი თანდათან მოკლდებოდა მათ შორის. ახლა უკვე შეიძლებოდა მანევრითი შეტევა, მაგრამ სულ ახლოს გამოჩნდა ბიკოვოც, დაყოვნება შეუძლებელი იყო. არ მოერიდნენ მტრის ტურელების ჯვარედინ ცეცხლს, პირდაპირ ეკვეთნენ. ექვსივე საცეცხლე წერტილიდან დაუშინეს. ერთი ,,იუნკერსი“ ფრთაზე დაიხარა, თეთრი ზოლი გამოუშვა. მერე უფრო სწრაფად დაქანდა, ახლა უკვე შავ კვამლს უშვებდა, თითქოს ვულკანის მიერ ამოსროლილს, ალაგ- ალაგ ცეცხლის ენებმა იელვეს, მეტეორივით გახაზა ჰაერი. მოწყვეტით დაეშვა, მიწას დაენარცხა. მეორე სწრაფად მიბრუნდა დასავლეთისაკენ. რევაზი და ალექსეი მას გამოედევნენ. ალექსის თვითმფრინავმა სიჩქარეს უკლო და იწყო ნელნელ დაბლა დაშვება. მოჰხედა რევაზმა, ალექსეი ჩამორჩენილიყო. ჩქარა იგი თვალთაგან მიეფარა.

რევაზი მარტო განაგრძობდა დევნას, მანძილი არ მოკლდებოდა აირი მოსინჯა, სახელური ბოლომდე იყო მიყვანილი, მაქსიმალურ სიჩქარეს მაინც აღარ ანვითარებდა თვითმფრინავი. ერთხანს კიდევ განაგრძობდა დევნას, მაგრამ მალე

დაჰკარგა ,,იუნკერსი“ და უკანვე გამობრუნდა, მთავარი საჰაერო ბრძოლისაკენ აიღო მიმართულება. თვითმფრინავი მარცხნივ იხრებოდა, რევაზს მარჯვნივ უხდებოდა საჭის დაჭერა. მარცხენა ფრთა მცირედ დაზიანებულაო ფიქრობდა, თან ირგვლივ ათვალიერებდა სივრცეს, მოულოდნელად არ დამესხან თავსო. რატომღაც მარჯვნივ განმარტოვებულ ქულა ღრუბელს მიაქცია ყურადღება. ანაზდად, თითქო ორბი ჩამოეშვაო ბუდიდან, ღრუბლიდან ,,მესერშმიდტი“ გამოიჭრა, პირდაპირ რევაზზე მოდიოდა იგი.

რევაზმა მყისვე მოიფიქრა, მარჯვენა ვირაჟში შეიყვანა თვითმფრინავი. ,,მესერშმიდტიც“ მაშინვე გაჰყვა ვირაჟში. ,,იაკი“ მცირედ დაზიანებული იყო, სიჩქარე ნაკლები ჰქონდა. შედარებით მცირე რადიუსი გამოსდიოდა ვირაჟისა, მოკლე წრით მიდიოდა. ორი სამი წრის შემდეგ, ალბათ, კუდში მოექცეოდა ,,მესერს“. გერმანელმა ჩქარა აუღო ალღო. ვირაჟიდან პიკეში შეიყვანა მანქანა. უნდოდა გაეტყუებინა რევაზი და მერე საბრძოლო მობრუნებით სიმაღლე მოეგო. რევაზი კუდში როდი გაჰყვა, ერთხანს მიჰყვა, მერე მოწყვეტით გამოიყვანა თვითმფრინავი პიკედან. თვალებში წითელ- მწვანე რგოლები ალივლივდნენ, იმდენად დიდი იყო გადატვირთვა, მაგრამ ეს ერთი წამით, ახლა იგი გარკვევით ხედავდა, როგორ ისარივით მიემართებოდა ,,მესსერი“ ცისკენ. რევაზის ანგარიში გამართლდა, ,,მესსერის“ მიმართულება სწორედ ,,იაკის“ სამიზნოსაკენ იყო. რევაზმა ტყვიამფრქვევის ცეცხლის გრძელი რიგი გაუხსნა. ფაშისტი დიდი ოსტატი გამოდგა. მან ხვიურთა სერია გააკეთა, ცეცხლი შეიცილა. მერე უნასივით მოუბრუნდა და ჯიქურშეტევა შესთავაზა.

-ჰმ! დაიწყო ნერვების გამოცდა?! ვერა, ვერ მიხილავ, რომ მე შენ ზურგი გიჩვენო - გაუელვა რევაზს და ორი თვითმფრინავი გაუსროლელად, გაცოფებული სიჩქარით გაექანა ერთმანეთისაკენ. აი, ისინი რამდენიმე წამის შემდეგ დაეჯახებიან ერთმანეთს, ერთს დაიგრგვინებს და ორი თვითმფრინავის ნაცვლად მტვერიღა დარჩება ჰაერში.

აქ გამარჯვებისათვის აუცილებელია დასძლიო ინსტიქტი, ინსტიქტი თავის გადარჩენისა, რომელიც ამ მომენტში დამღუპველია. აქ გვერდის ახვევა ნიშნავს მთელი პროექციით გამოაჩინო თვითმფრინავი მოწინააღმდეგის სამიზნოში. და რომ სძლიო ეს ინსტიქტი, უნდა იყო კლდეკაცი - საოცარი ნებისყოფის ადამიანი. უნდა შეგეძლოს შეაჩერო თავისთავად ამოძრავებული ხელები, უყურო სიკვდილს თვალებში...

რევაზისათვის ეს იყო პირველი ჯიქურშეტევა, იგი არც კი ხედავდა მოწინააღმდეგის თვითმფრინავს. ხედავდა მხოლოდ უზარმაზარ თვალს, რომელსაც ,,მესსერის“ პროპელერი შემოსწერდა ელვისებური ბრუნვით. რევაზი კუნთებად გადაქცეული, უცქეროდა ამ უზარმაზარ თვალს, რომლისგანაც სიკვდილი იმზირებოდა. ცერა თითით შეეხო გაშეტს, მას არ სურდა გაუსროლელად სიკვდილი. იმ საშინელი თვალის ცქერაც ცეცხლოვანი სხივებით შეიცვალა. რევაზი სულ უფრო ახლო და ახლო ხედავდა მას. იგი სწრაფად იზრდებოდა. მერე უცბათ შეამჩნია, როგორ ავარდა ზევითკენ ეს თვალი და მის ადგილას ,,მესსერის“ ცისფერმა მუცელმა გაიელვა.

ერთი წამის შემდეგ წინ მხოლოდ ტყვიისფერი ცა მოსჩანდა. ,,იაკმა“ მყისვე საბრძოლო მობრუნება გააკეთა. ,,მესსერი“ შტოპორით მიექანებოდა თოვლიანი მინდვრისაკენ.

რევაზმა თავისუფლად ამოისუნთქა და ყველა კუნთი ერთბაშად მოეშვა. მერე უცბათ თავბრუდამხვევი სისწრაფით იწყო ტრიალი ,,იაკმა“. მან ზედიზედ შეასრულა მკვდარი მარყუჟი, საბრძოლო მობრუნება, ფრთაზე გადაბრუნება და ბოლოს სპირალით იწყო დაშვება. ახლა მოიფიქრა, რომ ,,მესსერს“ ტყვიამფრქვევით გასროლის მხოლოდ ერთი მოკლე რიგი ერგო მუცელში და მიყენებული ზიანი მომაკვდინებელი ვერ იქნებოდა. რევაზისთვის ცნობილი იყო ასეთი ფანდები, როცა დაღუპულის მსგავსათ უწესრიგო ვარდნას აკეთებდნენ გერმანელები. შემდეგ კი, მიწასთან ახლოს, გამოიყვანდნენ ტვითმფრინავს პიკედან და გაიქცეოდნენ. ამიტომ რევაზი სწრაფად დაედევნა ,,მესსერს“, მან სწორედ ამ დროს იწყო გამოსვლა შტოპორიდან.

ახლა რევაზი იმაზე ფიქრობდა, რომელ მხარეზე გამოიყვანს ფაშისტი პიკედან მანქანასო, თუ გაქცევა უნდა, დასავლეთისაკენ უნდა გამოიყვანოს, - დაასკვნა მან.

მოულოდნელად სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით- აღმოსავლეთით გამოვიდა ,,მესსერი“ პიკედან, მაგრამ ,,იაკი“ მყისვე ფრთაზე გადაბრუნდა და მაშინვე ,,მესსერი“ სამიზნოში გამოჩნდა.

რევაზმა ცეცხლი გახსნა და მოტორისა და ბენზინავზების აფეთქება ერთბაშად მოხდა. ფაშისტი მფრინავი ცოცხალი აღმოჩნდა, მან დასტოვა თვითმფრინავი, რომელიც იწვოდა და ირიბად მიემართებოდა ქვევითკენ.

გერმანელმა პარაშუტი მხოლოდ მიწიდან ასიოდე მეტრის სიმაღლეზე გახსნა. იქამდე არ შეეძლო რევაზს მიყოლა, მერე სიმაღლე აღარ ეყოფოდა პიკედან თვითმფრინავის გამოსაყვანად. ამიტომ იგი ადრევე გადავიდა ირაოზე. ,,მერე მცელავი ფერნით ჩაუარა, სროლა აღარ იყო საჭირო; აღარც შეიძლებოდა-ფაშისტისათვის უკვე ალყა შემოერტყათ წითელ არმიელებს.

რევაზი ისევ სიმაღლის აღებას შეუდგა. კვლავ მთავარი საჰაერო ბრძოლის ადგილისაკენ აიღო კურსი.

უკვე ათასხუთასი მეტრის სიმაღლეზე იყო, როცა აეროდრომისაკენ დაბრუნებული თვითმფრინავები შეამჩნია. თითო თითოდ, ზოგიც წყვილებად მოფრინავდნენ; ცხადი იყო ბრძოლა დამთავრებულიყო. რევაზიც აეროდრომისაკენ გაემართა.

მაგრამ თვითმფრინავი საგრძნობლად დაიხარა მარცხენა ფრთაზე. რევაზმა საჭე მარჯვენა ქიმამდე მიიყვანა, მობრუნების საჭითაც სცადა დახმარებოდა, მაინც არაფერი გამოდიოდა, სწრაფად ჰკარგავდა სიმაღლეს. მერე უცბათ დაეშვა თვითმფრინავი, უწესრიგოდ იწყო ტრიალი. ამაოდ ცდილობდა რევაზი, საჭეებმა ეფექტურობა დაკარგეს. თეთრად გადაფთილული მინდორი გამალებით მოჰქროდა რევაზისაკენ. ცდა ზედმეტი იყო. სწრაფად გახსნა კაბინა, თასმებისაგან თავი გაინთავისუფლა, ხელებით კაბინის ქიმებს მოეჭიდა, ორივე ფეხი მოხარა, დასაჯდომზე მიაბჯინა, მერე ღონივრათ ჰკრა და შეკუმშული ბურთივით გამოვარდა კაბინიდან.

ჯერ პარაშუტის გახსნა არ შეიძლებოდა. უწესრიგოდ ვარდნილი თვითმფრინავი შესაძლო იყო გუმბათს მოჰხვედროდა. რევაზმა მიწასთან სულ ახლოს გახსნა პარაშუტი. მაშინვე ძლიერი დაჯახების ხმა შემოესმა, მიიხედა...

-ჰოჰ! - აღმოხდა რევაზს. ეს მისი ,,იაკი“ დაეჯახა მიწას. ჰაერში ასროლილი მიწანარევი თოვლი ახლა ძირს მოცვიოდა.

იმ წამსვე რევაზმა შეამჩნია, რომ იგი ლაქაშებისაკენ მიჰქონდა პირქარს. ზონრებს მოეჭიდა, ერთი მხრით მოქაჩა, უფრო სწრაფად დაეშვა. მაინ მიიტანა იგი ქარმა ლაქაშებამდე. ხელი უშვა ზონრებს, პარაშუტის თასმები შეიხსნა ლაჯებიდან, ხელებით ჩამოეკიდა მას. ლაქაშებში ჩაეშვა. თოვლში არეული ლაფი მუხლებამდე შემოადგა. ცოტახანს გაუნძრევლად იდგა, მერე შემჩნია, რომ თან და თან იძირებოდა. მიბრუნდა იქითკენ, საითკენაც მისი აზრით ახლო იყო ლაქაშების დასასრული.

ლაქაშები გადასწია ხელით და მხოლოდ ახლა იგრძნო ტკივილი მარცხენა მხარეზე. ყურადღება არ მიაქცია, წინ გასწია, თან ზონრებს ექაჩებოდა, პარაშუტს მიათრევდა. აბრეშუმის გუმბათი ლაქაშების ფუნჩულა ხაშრებზე მიცურავდა. მძიმე ბეწვისყელიანი ჩექმებით სვლა შეუძლებელი იყო, ძნელი ხდებოდა მისი ამოქაჩვა ტლაპოდან. ჩექმები გაიხადა, ხელში დაიჭირა წინდების ამარა განაგრძო სვლა.

არც ისე შორს აღმოჩნდა ნაპირი. მალე მიაღწია. ჩექმები გადააპირქვავა, გამოსწმინდა როგორც შეეძლო, და ჩაიცვა. მერე ხელები თოვლზე გაისუფთავა და იღლიებში შეიმშრალა. ხელზე აბრეშუმის სუფთა ცხვირსახოცი დაიხვია და ჭრილობის მოსინჯვას შეუდგა. ტყვია გაკვრით მოხვედროდა, მაინც გვარიანად გაეგლიჯა. მკერდზე სისველე იყო, სისხლს ედინა. ხალათის ჯიბიდან კომკავშირის ბილეთი და ოფიცრის წიგნაკი ამოიღო, მარჯვენა ჯიბეში გადაიტანა. თუმცა ჯერ კიდევ ვერ შეეჟონა სისხლს მაუდის ხალათის ჯიბეში. ჭრილობაზე თუთუნი დაიყარა, პარაშუტი დაახვია და მერე ნელი ნაბიჯით თვითმფრინავის დაცემის ადგილისაკენ გაემართა.

ათიოდე წუთის შემდეგ იგი დაფანტული უცქერდა თავის ,,იაკს“, რომელსაც თოვლი და მიწა გაეთხარა, მოტორით ღრმად შეჭრილიყო მიწაში, კუდი მაღლა ჰქონდა აშვერილი ირიბად. მარჯვენა ფრთა მოსტეხოდა, მარცხენა ქვედაჰხროდა. ერთხანს უცქირა. მერე ახლო მივიდა. დამსხვრეულ კაბინას მიეყრდნო, ხელები შემოხვია, ცრემლები ძლივს შეიკავა ვაჟკაცმა. მერე უცბათ მოტრიალდა, ,,თფუ! - გააფურთხა, ახლოს ფრთის ნაგლეჯზე ჩამოჯდა. სათუთუნე ამოიღო, თუთუნი შეახვია. ახლა კომბინიზონის ქვედა ჯიბისაკენ გასწია ხელი, სანთებელა უნდოდა ამოეღო. ვერ ჩააძვრინა ხელი. მუხლი გამართა და ახლა იგრძნო, რომ ფეხები გაშეშებოდა.

* * *

ბინდდებოდა, როცა ნახევრად გაყინული, გაბჟირებული რევაზი მიწურში-ნაჩქარევად მოწყობილ ლაზარეთში შეიყვანეს. კარებთანვე მფრინავები და მექანიკოსები შემოაცვივდნენ, შემდეგ პატარა მიწური ჩქარა გაივსო. გრიგოლ ხვადაგიანი დატრიალდა, სუყველა გარეთ გამორეკა, მხოლოდ ვასომ გაუჭირვა საქმე, ბოლოს ისიც გამოაგდო. მერე ნატაშა მოიშველა: ტანთ გახადეს რევაზს, ახალი საცვლები ჩააცვეს და ლოგინში დააწვინეს. გრიგოლმა ფეხები თოვლით დაუსრისა, მერე მალამო წაუსვა. ბოლოს არყიანი ბოთლიც ამოაძვრინა და არაყი გადააკვრევინა

რევაზს. ნატაშა ვახშმის მოსატანად გაგზავნა. რევაზი პირქვე ჩააბრუნა და ჭრილობის გაწმენდას მიჰყო ხელი.

დასცინოდა გრიგოლი რევაზს, თანაც ანუგეშებდა, ვითომ დიდი არაფერი გეგონოსო.

-ბიჭო! ამ კატის განაკაწრს როგორ შეშინაბიხარ, რომ ექიმბაშობაც დაგიწყია- ქირქილებდა იგი, თან გულმოდგინეთ აცლიდა თუთუნის ნამცეცებს ჭრილობიდან.

-ნელ, ნელა, კაცო! შენ ეგ ბეჭი მოხარშული ხომ არ გგონია- ხმა ამოიღო როგორც იყო რევაზმა.

-ვითომ რატომ? - შეეკითხა გრიგოლი.

-რაღაც ისე ყოჩაღად მუშაობ...

-მე მოხარშულზედაც მაგარი ბიჭი ვარ, მხოლოდ ყოველგვარი ხვადაგის ხორცს როდი მივირთმევ!

-ხვადაგიც ხარ და კიდევ მეტი- გაიცინა რევაზმა, თუმცა ეტყობოდა, ძლიერ ეწყინა, უკეთესი პასუხი რომ ვერ გამონახა. მერე უცბათ მოისაზრა.

-ხვადაგი ვინც არის, კარგად ვიცი. მაგას შენი გვარი გიმტკიცებს, ეგ კარგად ვიცი დიალექტოლოგიიდან - საჩქაროდ დაუმატა რევაზმა, იგი იცინოდა და თან ტკივილების გამო იმანჭებოდა.

თუმცა მართლაც კარგად იცოდა ხვადაგიანისა და მისთანა გვარების ეტიმოლოგია, რომ ,,იანი“ თვით გვარის მფლობელის ხვადაგობას როდი აღნიშნავდა, არამედ იმას, რომ იგი ხვადაგის მფლობელი იყო.

-ერთი ამას უყურე! - დაიწყო გრიგოლმა, ვითომ სხვას ელაპარაკებოდა, - ფეხები დაუზილე, ჭრილობა შეუხვიე- თანდათან აუწია ხმას - უკანასკნელი ასი გრამი არაყიც გადავაკვრევინე, ეს კიდევ მეცნიერულად დაგიმტკიცებს, რომ ხვადაგი ხარო. - ორივეს სიცილი აუტყდათ.

-ეგ შენი მოვალეობაცაა, გრიგოლ! - შეახსენა რევაზმა.

-ჰო, და მოვალეობა რომ არის, იმიტომ გეუბნები, მე, როგორც მედიცინის წარმომადგენელს, უფლება მაქვს, ამ შემთხვევაში როგორც საჭიროდ ვცნობ, ისე მოგექცე, და შენ ხმაც არ უნდა ამოიღო.

-მოიცა, მოიცა კაცო! შენი ლათაიები შორს წაგვიყვანს. შენ ის მითხარი, როგორია ბრძოლის შედეგი?

გრიგოლი როგორც ,,მედიცინის წარმომადგენელი“ ფსიქოლოგობასაც იჩემებდა და ამბობდა, რომ დაჭრილს ბრძოლის შესახებ არ უნდა ესაუბროო. ამიტომ ცდილობდა საუბარი თავიდანვე სხვა მიმართულებით წაეყვანა. ახლა კი ხედავდა, რომ რევაზი არ მოეშვებოდა, ამიტომ ჭრილობის შეხვევა დაამთავრა მიუგო:

-ჩვეულებრივია. ჩამოგდებულია ოთხი ,,იუნკერსი“ და სამი ,,მესსერი“, კარგი შედეგია!..

-სოკოლი ხომ დაბრუნდა? - მოუთმენლად გააწყვეტინა რევაზმა.

-არ დაგინახავს? შენ რომ მოგიყვანეს, ლაზარეთშიც შემოგყვა. ის ყველაზე ადრე მოფრინდა, მხოლოდ თვითმფრინავი ძლიერ დაზიანებულია.

-ვიცი, ჩემთან ერთად იბრძოდა. იგი მე სწორედ ბიკოვოსთან მივატოვე, იმ იმედით, რომ ახლო იყო აეროდრომთან.

-ჰო, შენ და ალექსეის გიმარჯვნიათ, დღეს. ერთი ,,იუნკერსი“ დაგიყუდებიათ. მერე შენ ,,მესსერისათვისაც“ მიგირთმევია ,,შოკოლადები“. ჯილდოზე წარვადგენო, უთქვამს ბოიკოს.

-მერე მეც ხომ ჩამოვარდი, ჩემი ,,იაკი“...

-აი, ნატაშაც მოვიდა! - შეაწყვეტინა გრიგოლმა. კარებში ნატაშა გამოჩნდა, იგი ფრთხილად მოაბიჯებდა კიბეებზე. ეტყობოდა ნამტირალევი იყო. რევაზმა კითხვის გამომხატველი თვალებით შეხედა გრიგოლს, მერე მოიხმო, ყურში უჩურჩულა:

-პავლიკას დაღუპვის ამბავი დანამდვილებით ხომ არ გაუგიათ?

-პავლიკას შესახებ არაფერია ახალი, დღეს გორბაჩი არ დაბრუნებულა.

-მიტკა?!

-ხო, არ დაბრუნებულა და მაგის როგორი მეგობარი იყო ხომ იცი? - მიუგო გრიგოლმა მერე დაუმატა: - ესეცაა, ეს ხომ პავლიკაზე დარდსაც უათკეცებს. წამდაუწუმ კითხულობს გორბაჩის შესახებ და იცრემლება პავლიკზეც, გორბაჩზეც...

-მაშ მიტკა, ა?

-მაშ, მაშ! - თავი გააქნია გრიგოლმა, მერე ნატაშას მიუბრუნდა.

-ნატაშენკა, გენაცვალე! - უკანასკნელი სიტყვა ქართულად უთხრა, ამით გამოხატა თანაგრძნობა ამ პატარა დამწუხრებული ქალისადმი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, ცდილობდა ავადმყოფისათვის თავი მხიარულად ეჩვენებინა. შემდეგ კი არაღ იცოდა გრიგოლმა, რა ეთქვა. შეჩერდა და რომ ვერაფერი მოიფიქრა, ,,რა გვაქვს ვახშმადო“ შეეკითხა.

-ფლავი ცხვრის ხორცით, პური კარაქით და ჩაი- მხიარულად უპასუხა ნატაშამ, რადგან შეამჩნია, რომ რევაზი კარგ გუნებაზე იყო. ვახშმის დანახვაზე რევაზმა წამოიწია, ადგომა მოინდომა. მაგრად მოშივებოდა ნაბრძოლსა და დაქანცულს.

-აბა, აბა! ადგომა არ სცადო ტყუილად! - მიეჭრა მას გრიგოლი - რატომ უნდა ადგე, აწი მაინც უნდა იძინო, ბიძიკო! ვახშამს მანდვე მოგიტანთ.

-რა მჭირს ისეთი, რომ დაწოლილმა ვივახშმო!- კვლავ სცადა რევაზმა ამდგარიყო, მაგრამ, როცა მას გრიგოლმა მკაცრად განუცხადა: ,,მე, როგორც მედიცინის წარმომადგენელი, ლეიტენანტი ხვადაგიანი ვუკრძალავ უმცროს ლეიტენანტ სირაძეს ადგომასო“, იმდენი იცინა, რომ ჭრილობიანი მხარიც ეტკინა.

-არის ამხანაგო სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტო! - ხითხითებდა რევაზი - არ უყურებთ ვინ გვიბრძანებს?! შენ რომ გენდვე და ჭრილობა შეგახვევინე ახლა ბრძანებაც დამიწყე?!

-შენ კი არა, ვინ არ მენდობა, ბიჭო, მე? გაცხარდა გრიგოლი. მე თუ ვარ ლაზარეთში, ექიმი სრულიად დამშვიდებულია. ახლაც ბარცევოში არ დარჩა გადაუდებელი საქმეების გამო? მაგრამ სრულიად დარწმუნებულია, რომ აქ საქმე მშვენივრად იქნება, რადგან მე გამომგზავნა.- ამბობდა გრიგოლი და თან საწოლისაკენ ფიჭვის ლამფების წანაჭრებისგან სახელდახელოდ შეკოწიწებული მაგიდა მოქონდა.

-კარგი, თუ ძმა ხარ! გეყოფა ტრაბახი, ახლა ვივახშმოთ!- ხუმრობით სთქვა რევაზმა.

-ვინ ტრაბახობს ბიჭო! მე?

-ნატაშკა!- რევაზმა ახლა ნატაშას მიმართა, რომელიც ვახშამს სალაშქრო ქვაბებიდან ალუმინის თეფშებზე არიგებდა. - ცოტა ჩქარა, ჩემო გოგონა! გადამარჩინე ამის ლათაიებს.

-ახლავე, ახლავე! საყვარელო! მიუგო ნატაშამ და გრძელი ოქროსფერი წამწამები ჩქარჩქარა აახამხამა, უფრო ფართოდ დააღო დიდრონი ცისფერი თვალები. იგი რევაზის წაუქეზებლადაც სწრაფად ამუშავებდა გრძელთითა ხელებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე ვახშმობდნენ, საუბრობდნენ დღევანდელ ბრძოლაზე და გულდაწყვეტით იგონებდნენ მიტკა გორბაჩსა და პავლიკ კულიკოვს.

ისევ მაგიდას უსხდნენ, როცა მიწურს მანქანა მოადგა. ნატაშა წამოიჭრა, მაგრამ ასასვლელთანაც არ იყო მისული, რომ განზე გადგა, გზა მისცა ბოიკოს. გრიგოლიც მყისვე წამოდგა.

-იჯექით, იჯექით! - მიმართა მათ ბოიკომ. რევაზს ხელი ჩამოართვა, გამარჯვება მიულოცა და ლოგინზე ჩამოჯდა.

-როგორ გრძნობ თავს?

-კარგად ამხანაგო მეთაურო! - მიუგო რევაზმა.

-ეს რა არის, დაიჭერი? - შეეკითხა ბოიკო რადგან შეხვეული მხარი შეამჩნია.

-მსუბუქად, ამხანაგო კაპიტანო!

-სამი ოთხი კილომეტრის გავლას შეძლებ მანქანით, არა?

-რატომაც არა, თუნდაც ეხლავე.

-სწორედ ახლავე! - სთქვა ბოიკომ.

-არა, ახლა როგორ შეიძლება, ამხანაგო კაპიტანო! - ჩაერია საუბარში გრიგოლი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა. - გაყინული იყო ძლივს მოვაბრუნეთ, ჭრილობაც აქვს... - გრიგოლი ისე გაერთო მტკიცებით, რომ არც კი შეუმჩნევია, როგორ აჩვენა რევაზმა, ხელით ნატაშას, ტანსაცმელი მომიტანეო.

-ამაღამ რა უნდა იყოს ისეთი სასწრაფო? - ეკითხებოდა გრიგოლი ბოიკოს.

-თუკი საჭიროა?.. ღიმილით შეედავა ბოიკო.

ხუთიოდე წუთის შემდეგ რევაზი იცვამდა, გრიგოლი კი კვლავ განაგრძობდა მტკიცებას: ,,ყოვლად შეუძლებელია ახლა რევაზის მგზავრობაო“.

-შეიძლება სიცივემ სიცხე აუწიოს...

-და მოკვდეს კიდეც!- სიცილით დააბოლოვა რევაზმა.

გრიგოლმა ხელი ჩაიქნია და გვერდზე მიდგა გაბრაზებული.

-ახლა, ამ მანქანით კოროტჩენკოსთან წახვალ, უკან კი ამაღამვე დაბრუნდები, ისევ ისინი მოგიყვანენ, - უთხრა ბოიკომ რევაზს, როცა მანქანაში ჩასხდნენ. მერე დაუმატა: - გენერალს შემოუთვლია: ის მფრინავი გამომიგზავნეთ, რომელმაც დღეს ბიკოვის დასავლეთით ,,მესერშმიდტი“ ჩამოაგდოო...

არც ისე ბნელი ღამე იყო. თეთრად გადაფერილ მინდორზე გზა და ნაკვალევი მშვენივრად მოსჩანდა. შოფერს უშუქოდ მიჰყავდა მანქანა, მაინც დიდ სიჩქარეს ანვითარებდა. ნაკვალევს მისდევდა, სოფელი სულ ახლოს მოსჩანდა, მაგრამ

ბუნდოვნად. იგიც თითქოს მოძრაობსო მანქანის წინსვლასთან ერთად, სტეპის თეთრ ფონზე იგი გარდამავალ რუხ ფერებში ჩასულიყო.

მოკლე მანძილი სწრაფად დაფარა ,,ვილისმა“, უკვე სოფლის დასაწყისში შედიოდნენ. სიჩუმეს მხოლოდ მოტორის გუგუნი არღვევდა.

-სდექ! ვინ მოდის? - გაისმა უეცრივ. არც წინ გზაზე, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არავინ მოსჩანდა. ისევ მდუმარებდა დათოვლილი სტეპი.

-სდექ! ვინ მოდის? - კვლავ უყივლა მათ უჩინარმა.

ხმა თითქოს მიწიდან ამოდიოდა.

შოფერმა შეანელა სვლა...

-ასს! - გასძახა მან.

-ეს შენ ხარ ნიკოლაშკა?

რევაზმა ახლა შეამჩნია, სულ ახლოს, მარჯვნივ, პატარა დათოვლილ ბორცვს ამოფარებული მებრძოლი თეთრი მოსასხამით, რომელსაც ხმაზე ეტყობოდა, გვარიანად შესცივნოდა. ხელში ავტომატი ეჭირა, ქანდაკებასავით იდგა. იგი ახლოს მოვიდა მანქანასთან და გენერალი რომ ვერ შეამჩნია, თამამად მიმართა ნიკოლოშკას:

-სად ყოფილხარ, ეშმაკი ფეხო?

-შევარდენი მინდოდა დამეჭირა, თვითონვე ჩამომიჯდა მანქანაში.

-ისე მამა გიცხონდა, როგორიც შევარდენის დამჭერი შენ ხარ! მიუგო გუშაგმა.

-შენ იცი? მაგ ავტომატი იქით გასწი, ახლა შენთვის არ მცალია, მეჩქარება.

-გასწი, გასწი - დაუძახა პასუხად გუშაგმა.

ნიკოლაშკამ ერთბაშად დაძრა მანქანა.

რევაზი აქამდე ჩუმად იჯდა, ფიქრობდა- რათ უნდა გამოვეძახებინე კოროჩენკოსო, უკვირდა. ახლა შეეკითხა შოფერს:

-ეს გენერალმაიორის მანქანაა, არა?

-დიაღ, მან გამომგზავნა თქვენს მოსაყვანად, ამბობენ, თქვენს ჩამოგდებულ მფრინავს უთქვამს, რომ არაფერს იტყვის სანამ არ აჩვენებენ იმ მფრინავს, რომელმაც იგი ჩამოაგდო. - მიუგო ნიკოლაშკამ და ლაპარაკი შესწყვიტა. მას შესახვევში შეჰყავდა მანქანა. გზა ოღრო- ჩოღრო იყო. მანქანა სრიალებდა გაყინულ თოვლზე, საჭეს არ ემორჩილებოდა. გზაჯვარედინზე კვლავ გაისმა:

-სდექ! ვინ მოდის?

-ასს! - კვლავ გასძახა შოფერმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პატარა მოედანთან აღმოჩნდნენ. მოედნის ერთ ბოლოში მოზრდილი შენობის სილუეტი მოსჩანდა სიბნელეში. შენობის წინ რაღაც მოძრაობა იყო.

-ეს უნდა იყო შტაბი! - გაიფიქრა რევაზმა. - მაგრამ ამდენი მებრძოლები რად უნდა იყოს აქ? ეკითხებოდა თავისთავს. მანქანა ნელნელა უახლოვდებოდა დივიზიის შტაბს. მებრძოლებმა იგი შენიშნეს და გარს შემოეხვივნენ.

-ნიკოლაშკა, შენა?

-მოიყვანე მფრინავი?

ეკითხებოდნენ და ცდილობდნენ როგორმე შეეხედათ კაბინაში. აქეთ- იქიდან საფეხურებზედაც შემოადგნენ მანქანას.

-ჩამოდით! ჩამოდით! -უყვიროდა მათ ნიკოლაშკა - მომეცით გასასვლელი! - მაგრამ არავინ ფიქრობდა გზის მიცემას, უფრო მჭიდროდ ეხვეოდნენ გარს.

შენობის კიბეზე შტაბის მორიგე გამოჩნდა.

-სმენა! - დაიყვირა, რაც ძალა შესწევდა. და ნიკოლაშკამ, როგორც იქნა, მანქანა შენობის კიბესთან მიიყვანა.

შტაბის მორიგემ რევაზი სამორიგეოში დასტოვა. თვითონ გენერალთან შევიდა.

გენერალმაიორი კოროტჩენკო თათბირს ატარებდა პოლკის უფროსებთან, ნიკოპოლზე ხვალინდელი შეტევის შესახებ. მას უკვე შებინდებისას დაეწყო დივიზიის გაყვანა ფრონტის ხაზისაკენ.

მორიგე წინ წადგა, მოახსენა:

-ამხანაგო გენერალმაიორო! თქვენი ბრძანების თანახმად უმცროსი ლეიტენანტი სირაძე გამოცხადდა!

-ძალიან კარგი! ახლავე - მიუგო გენერალმა და მოთათბირეთ მიუბრუნდა; - ვაცხადებ შესვენებას, დაახლოვებით ნახევარი საათით. ამ მფრინავის მოსვლამ შეიძლება რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიოს შეტევის გეგმაში!

რევაზი პატარა მაგიდას უჯდა. შტაბის მორიგის თანაშემწის პირდაპირ. მას ახლაც არ ესმოდა მისი აქ მოსვლის მიზანი, გრძნობდა კი რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ამასთან ძლიერ აინტერესებდა მის მიერ ჩამოგდებული მფრინავის ნახვა. ამიტომ ოდნავ აღელვებული ელოდებოდა, როდის დაუძახებდნენ.

უცბად კარები გაიღო და რევაზს გენერლის განმასხვავებელი ნიშნებიც არ დაენახა, რომ მაშინვე მიხვდა, - გამოსული გენერალმაიორი კოროტჩენკო იყო. თუმცა, წინასწარ ფანტაზიაში შექმნილ სახეს სრულიად არ გავდა იგი.

გენერალი ორმოც წელს მიღწეული, საშუალო ტანის, მკვრივი აღნაგობის შავგვრემანი კაცი იყო. დინჯი, მაგრამ, მკვეთრი გამოხედვით. იგი სწრაფად მივიდა უკვე ფეხზე მდგარ რევაზთან, მოხსენებაც კი არ დააცალა, ხელი ჩამოართვა.

-მომილოცავს, მომილოცავს ჩვენო შევარდენო; თქვენ იცით ვინ ჩამოაგდეთ დღეს? ახლავე გაჩვენებთ! - მერე შტაბის მორიგეს მიუბრუნდა:

-მიხმეთ მაიორი ვინოგრადოვი!

-მაიორი ვინოგრადოვი აქ არის, ამხანაგო გენერალმაიორო! ერთი მფრინავი მოიყვანეს; ამბობს, კაპიტან ბოიკოს ესკადრილიდან ვარო, აეროდრომზე გამგზავრების ნებართვას ითხოვს. მაიორი იმას ესაუბრება.

-ამათი ნაწილიდან ყოფილა არა? ჩვენ მას უმცროს ლეიტენანტთან ერთად გავგზავნით. ახლა მაიორიც და მფრინავიც აქ მოიყვანეთ! - უბრძანა გენერალმა. და რევაზთან ერთად დერეფნის ბოლოსკენ გაემართა.

რევაზი აღტაცებული იყო. ,,კულიკოვი იქნება, რა თქმა უნდა“ ფიქრობდა იგი და თან გენერალს უსმენდა.

-ყოყოჩა ფაშისტს არ სურს ისე ილაპარაკოს, თუ თქვენ არ გნახა - ამბობდა გენერალი. - ჩვენ მას ისედაც ავამღერებდით, მაგრამ ახლა საქმე დროზეა და ამიტომ მოგვიხდა მისი კაპრიზის შესრულება. ისედაც საინტერესოა, არა?

ამ სიტყვებით უკვე დერეფნის ბოლოს მიაღწიეს. გუშაგი მიესალმა მათ და გაზე გადგა. ამავე დროს შტაბის მორიგეც მოვიდა და მასთან ერთად მაიორი ვინოგრადოვი და პავლიკ კულიკოვი.

რევაზი და პავლიკი უსიტყვოდ მიესალმნენ ერთმანეთს, იღიმებოდნენ. რევაზი გადარჩენას ულოცავდა. კულიკოვის თვალები კი კითხვას გამოხატავდნენ ,,რას უნდა ნიშნავდესო ყველაფერი ეს“.

ამასობაში შტაბის მორიგემ კარები გააღო და მბჟუტავი ნათურის სინათლეზე, სკამზე მედიდურად მჯდომი გერმანელი გამოჩნდა. იგი ზურგით იყო მიქცეული კარებისაკენ. არც კი მიუქცევია ყურადღება შემომსვლელთათვის.

გენერალი მიუახლოვდა მას.

-უფალო მფრინავო! - მიმართა მას გენერალმა - შევასრულეთ თქვენი სურვილი, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ თქვენი მოპირდაპირე!

გერმანელმა რაკი გენერლის ხმა შეიცნო, მაშინვე წამოდგა, მხრებზე მოფარებული კომბინიზონი ჩამოუვარდა.

სანამ ვინოგრადოვი უთარგმნიდა, მორიგემ კართოფილის სანთელი აანთო, თუნუქის ფინჯანში მოათავსა და კულიკოვის გვერდით დადგა, რევაზს უკან.

რევაზმა სინათლის შუქზე ნათლად დაინახა მაღალი ქერა გერმანელი.

გერმანელმა რაკი მოისმინა, რომ შემოსულთ შორის დღევანდელი მისი დამმარცხებელიც იყო, მაშინვე მისკენ შემობრუნდა ხელგამოწვდილი. მაგრამ ხელი ისევ გამოწვდილი დარჩა, განცვიფრებული შედგა.

-რა გაგიკვირდათ?- შეეკითხა მას გენერალი. - გაიცანით გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი სირაძე!

მაგრამ ფაშისტი კვლავ იმ მდგომარეობაში იყო გაჩერებული. სამხარულებზე პოლკოვნიკის ნიშნები გაარჩია რევაზმა. მარჯვენა მხრიდან მარცხენამდე ლენტები და ჯვარ- მედლები ჰქონდა ჩამწკრივებული, მარჯვენა მხარეზე ნაცისტების სვასტიკიანი ემბლემა. მათი ანარეკლი უნათებდა სიამაყე დაკარგულ სახეს. ახლა იგი რაღაც შესაბრალისად გამოიყურებოდა.

-Jch mochte ihm zu diesem groben sieg gratyliren, aber er soll nicht der sein, der mich abgeschossen hat![1] წაილუღლუღა ბოლოს მან.

-რატომ გგონიათ? - კვლავ შეეკითხა გენერალი.

გერმანელმა სწრაფად დაუშვა ხელი, თვალებში სიბოროტემ გაუელვა.

- Jch bin Ass!! Der Meister des Luftkampfes, er ist nu rein kind![2]

გენერალი ვინოგრადოვს მუბრუნდა: - გადაუთარგმნე მას- მერე ისევ პოლკოვნიკს დააცქერდა თვალებში, გაკვეთი ცქერით.

-მათ ბრძოლის ოსტატობაც საკმარისი აქვთ და კიდევ ერთი თვისება აძლევთ ძალას, რომელიც თქვენ არ გაქვთ, პოლკოვნიკ! ისინი სამშობლოს იცავენ; მათ უყვართ სამშობლო, სამშობლოს უყვარს ისინი! აი, რატომ იბრძვიან ასე, რომ თქვენ გაკვირვებენ, პოლკოვნიკ!...

---

[1] მე მინდოდა მიმელოცა მისთვის ასეთი დიდი გამარჯვება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ჩემი ჩამომგდები!
[2] მე ასს-ი ვარ, ასს-ი!! საჰაერო ბრძოლის ოსტატი. ეს კი ბავშვია!

გერმანელი განაჩენსავით ისმენდა გენერლის სიტყვებს. იგი დიდი სამსჯავროს წინაშე იდგა. სრულებით დაჰკარგოდა მედიდურობა, შესაბრალისად გამოიყურებოდა. ფართოდ გაღებული თვალებიდან შიში იცქირებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გენერალმა მფრინავები სამორიგეომდე მიაცილა, თვით ისევ დერეფნის ბოლოსკენ გასწია. ხუთი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ უჩვეულო ხმაური შემოესმა, მობრუნდა.

-რა ამბავია? - იკითხა გენერალმა.

-მებრძოლებია, ამხანაგო გენერალმაიორო! მფრინავები კაბინიდან გამოიტაცეს, თავისთან იწვევენ, - მოახსენა მორიგის თანაშემწემ.

-მაშ, სტუმრად იწვევენ საჰაერო მეგობრებს? რა გაეწყობა! - გაიცინა გენერალმა - მაშ ასე, ამხანაგო ლეიტენანტო! გადეცით სურსათის საწყობის გამგეს ჩემი ბრძანება: მისცენ მათ ვახშამი და არყიც. გადაეცით აგრეთვე მეთაურებს, შეხვედრისათვის ვაძლევ ნახევარ საათს!

-არის ამხანაგო გენერალმაიორო!...

პავლიკი და რევაზი მიწურში იყვნენ უკვე, ირგვლივ მებრძოლები ეხვეოდნენ. ყოველ მათგანს სურდა პირადად მისულიყო მათთან, ხელი ჩამოერთვა. სხაპასხუპით აყრიდნენ კითხვებს აქეთ- იქიდან. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა ისინი სალდათურ მაგიდასთან მიიწვიეს, შესძლო კულიკოვმა დალაპარაკებოდა რევაზს.

-მაშ შენ ააყირავე, რეზო ეგ ასს-ი, ა?

-მერე როგორ იყო დამწვარი და დაფლეთილი მაგისი თვითმფრინავი! - ჩაერია საუბარში პირტიტველა ლეიტენანტი - მხოლოდ ერთი ფრთაღა დარჩენოდა მთელი, ზედ ,,Asch- 23" ი ეწერა. ერთი ჩვენი მებრძოლი სიცილით კინაღამ გაიგუდა: ,, ,,Asch- 23" კი არა ,,ახ-23" უნდა იყოს, ისეა დანიორწყლებულიო.

-როგორ ,,Asch- 23"? -რევაზს შეეკითხა კულიკოვი.

რევაზი გამოტყდა, რომ არ ახსოვდა ნომერი, თუმცა რამდენჯერმე მოეკრა თვალი ჰაერში. რევაზის მაგიერ ისევ ლეიტენანტმა დაადასტურა: - კი ,,Asch- 23"ი იყო ჩემი თვალით ვნახე.

-იცი, რევაზ, მე მაგან ჩამომაგდო, ნამდვილად, გუშინწინ. - მე ერთს დავედევნე- განაგრძობდა კულიკოვი - მიზანში ამოვიღე და ამ დროს მესმის ჩემი მეწყვილის ხმა ,,პავლიკ მარჯვნიდან!" მე გაშეტერს ცერი დავაჭირე მაინც და მერე მოვიხედე მარჯვნივ, სწორედ ამ დროს დამაყარა გვერდიდან იმ ძაღლის შვილმა და

თავზე გადამიქროლა. მაშინ მოვკარი თვალი ,,Asch- 23”ი ეწერა ფრთაზე. წინა ,,მესსერი“ ცეცხლის ალში გახვეული საიქიოს მიფრინავდა. მე კი ,,Asch- 23”ის გამოვუდექი მაშინვე, მაგრამ უეცრივ წითლად განათდა გარემო - ჩემი თვითმფრინავიც იწვოდა. მაშინვე ღრმად დავაცურე, მაგრამ არ იქნა, ალი ვერ მოვწყვიტე. კვლავ განვაგრძობდი ბრძოლას ცეცხლთან, სანამ ალი კაბინაში არ შემომივარდა. მერე კი იძულებელი გავხდი დამეტოვებინა თვითმფრინავი.

ამ დროს მათთან მებრძოლი მოვიდა, გარმონი ფართოდ გასწია და სიმღერა წამოიწყო, სხვებიც მიეშველნენ. მღეროდნენ მფრინავებისა და ფეხოსნების მეგობრობაზე. მღეროდნენ იმაზე, რომ ისინი მხოლოდ ახლა ისვენებდნენ, ხვალ კი ბრძოლა ელოდებოდათ. კულიკოვს რევაზის ხელი ეჭირა ხელში და მაგრად უჭერდა ხელს, აზარტში შესული ბიჭები უფრო და უფრო აძლიერებდნენ სიმღერას.

მებრძოლმა უცბად შეაჩერა გარმონი. მარჯვენა ხელი აღმართა, სრული სიწყნარე ჩამოვარდა.

ხელში სასმისი აიღო.

-ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! მფრინავებისა და ფეხოსანთა მეგობრობას!...

-გაუმარჯოს! - ერთხმად დასძახეს და კვლავ სიმღერა დააგუგუნეს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ რევაზი და პავლიკი გამოეთხოვნენ მათ. როცა მანქანაში სხდებოდნენ მათთან გენერალმაიორი კოროტჩენკო მივიდა.

-თქვენ დღეს დიდი საქმე გააკეთეთ! გერმანელმა პოლკოვნიკმა ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა დაამღერა, შეტევისათვის საჭირო. გადაეცით კაპიტან ბოიკოს ჩემი სალამი და მადლობა- სთქვა მან.

ახლა უკვე ღამის ათი საათი იყო. პავლიკსა და რევაზს მანქანა აეროდრომისაკენ მიაქანებდა. როცა მარტონი აღმოჩნდნენ, პავლიკი ძმურად გადაეხვია რევაზს. მადლობას ეუბნებოდა, რომ ჯავრი იყარა გერმანელზე. თანაც სამსართულიან გინებას უგზავნიდა იმ ყეყეჩ ასს-ს, რომელსაც არაფრით არ სურდა დაეჯერებინა, რომ იგი ,,აინ კინდ“ ლეიტენანტმა ჩამოაგდო.

სალამი თბილისო!

მატარებელი კიროვაბადს გამოსცდა, ნელნელა უმატა სვლას. ორთქმავალმა თეთრი ქულები ამოჰყარა, არშიად მოაყოლა ვაგონს მაღლით. არშია თეთრ, გრძელ ლენტად გაიშალა, ამომავალი მზის სხივები შეეთამაშნენ მას და უფრო თეთრად ააკიაფეს იგი. უფრო მძლავრად ამოისუნთქა ორთქლმავალმა, მთელი სიჩქარით გამოსწია, ახლა მზის სხივები ვაგონებსაც მისწვდნენ. ფანჯარაში შეიჭყიტეს, სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტს და მის მეგობარს მიესალმნენ. ფანჯრის ქვემოთ გაკრული აბრაც ააბრჭყვიალეს, რომელზედაც მსხვილი შრიფტით ,, მოსკოვი - თბილისი“ ეწერა.

მეგობრები უთენია წამოშლილიყვნენ. სამგზავრო ჩანთები და ყუთები წესრიგში მოეყვანათ, თუმცა რამდენიმე საათის სავალი გზა ჯერ კიდევ წინ იყო. მხოლოდ ალექსეი სოკოლი განაგრძობდა დილის ძილს. მას რევაზმა ნაშუაღამევს დაუთმო საწოლი ადგილი, რომელიც როსტოვს აქით ზიარი გახდა, მანამდე რევაზსაც ცალკე ჰქონდა საწოლი, მაგრამ როსტოვში კვლავ შეემატათ დემობილიზირებულების ჯგუფი. ერთი მებრძოლი ახალ გამოსული იყო ჰოსპიტალიდან, ცალფეხა იყო. რევაზმა იმას დაუთმო ადგილი, ასვლაზეც დაეხმარა. თუმცა მებრძოლი უარობდა: ,,ნუ წუხდები, ახლა ცხრა კილოგრამით მსუბუქი ვარ, უფრო იოლად ავალ ზევით“ - ქილიკობდა ქართლელი როსტიაშვილი, ნაღვლიან ღიმილსაც ვერ ფარავდა, ისე ხუმრობდა. მერე ალექსეის შეეზიარა რევაზი - ,,რიგრიგობით დავისვენოთო“.

არ უძინია ამღამით რევაზს, არც ეკიდებოდა ძილი. წარსულისა და მომავლის ფიქრში ჩაყურსულიყო. ერთი ღამე საუკუნედ ეჩვენებოდა, უნდოდა მალე გათენებულიყო. ეს იყო ხანგრძლივი მგზავრობის უკანასკნელი ღამე. დილით მშობლებთან, ახლობლებთან შეხვედრა მოელოდა, ვერ ისვენებდა. აზრები თავისებურად მდინარებდნენ, რევაზიც თან დაჰყავდათ. ხან შინ მიიყვანდნენ, დედის თვალებს დაანახვებდნენ სიხარულის ცრემლებით აბრწყინებულებს, ხან წარსულში სტყორცნიდნენ. იმ გზას მოჰყვებოდნენ, რომელიც რევაზმა ერთად გაიარა ამ მეგობრებთან ერთად, რომელთაც ეხლა სძინავთ და ძილშიაც კი ის ელანდებათ, რაც რევაზის მღვიძარ გონებას.

ალექსეი სოკოლთან ერთად საავიაციო სკოლა დაამთავრა. ისინი ერთად გაიწვიეს 41 წელს. მერე ერთად მოხვდნენ საავიაციო გამანადგურებელთან პოლკშიც. აქ შეხვდათ მათ გრიგოლი და ვასო.

ვასო იმ თვითმფრინავის მექანიკოსი იყო, რომლის მართვაც რევაზს ხვდა წილად. მათი ურთიერთობა ყოველთვის ნდობაზე, მეგობრობაზე იყო დამყარებული. სხვანაირად არც შეიძლებოდა: მექანიკოსი ექიმია იმ აპარატისა, რომელიც მფრინავის შედუღებული ნაწილია ჰაერში, სადაც მარტო თავგანწირვა არ შველის საქმეს. მთავარია თვითმფრინავის გამართულობა და ფრენის ოსტატობა. ამიტომ, და არა მხოლოდ ამიტომ, რევაზი და ვასო განუყრელი მეგობრები იყვნენ. გრიგოლიც მათ პოლკში იყო- ექიმის თანაშემწე. იყო შემთხვევები, როცა გრიგოლი ექიმის თანაშემწეც იყო და ექიმიც, ლაზარეთის გამგეც და სანიტარიც. ერთი სიტყვით ყველაფერს ის აკეთებდა, მას ზედმეტი სახელიც შეარქვეს- ,,პოლკის მედიცინა“.

ბრძოლით განვლილ გზას გაჰყვა რევაზის გონების თვალი. გონების თვალი... როგორ ჩქარა შეუძლია მას გაირბინოს დიდი მანძილი, წლობით განვლილი...

მძინარ მეგობრებს გადახედა, სხვა მეგობრებიც მოაგონდა, რომლებმაც სამშობლოს მსხვერპლად მიუტანეს სიცოცხლე... გმირულია, ლამაზია მათი სიკვდილი. რა არის იმაზე უმშვენიერესი, რომ სამშობლოს შესწირო სიცოცხლე, მაგრამ ,,მომხვდურს დამხვდური უნდაო“, უთქვამთ ძველთაგან... რა უნდოდათ ჩვენგან? განა მათ არ ჰქონდათ მიწა, წყალი, ტყეები, ქალაქები, სოფლები, რომლებიც ასე ფართო ასპარეზს იძლევიან ადამიანთა მოღვაწეობისთვის?

მატარებელი განაგრძობდა სვლას...

ვაგონი ზედმეტად იყო გადატვირთული. მიუხედავად დეკემბრის სუსხისა, რომელსაც ფანჯრები შეეთეთრებინა, საშინლად ცხელოდა.

წამოდგა რევაზი, გახურებული შუბლი მინას მიადო. ერთხანს ასე იდგა, მერე მისი ყურადღება მიიქცია ვასოს წყნარმა სუნთქვამ, რომელიც თითქმის ყურში ჩაესმოდა.

გულაღმა იწვა ვასო: ცალი ფეხი მუხლში მოეხარა, მარჯვენა მკლავი თავქვეშ ამოედო, სახეზე ოფლი მოსდებოდა. შავი, გრუზა თმა აშლოდა, შუბლზე გადმოსცვენოდა და მოსპილენძისფრო, ზღვაზე ნამყოფივით შეტრუსულ სახეს მოთეთრო ფერს აძლევდა. შავი, სქელი წარბები, ცხვირს ზემოთ ერთმანეთს უერთდებოდა. გრძელი წამწამები ერთმანეთს მიწებებოდნენ. ტუჩებზე ბავშვური

ღიმილის ანარეკლი უთამაშებდა, ბაგეები ოდნავ დასცილებოდნენ ერთმანეთს. ზედა ბაგე ოდნავ დახრილ შავ ულვაშებს დაეფარა. ღიმილმა მიიქცია რევაზის ყურადღება.

-ხვალინდელი შეხვედრა თუ ესიზმრა, ან და სატრფო- იფიქრა რევაზმა.

-სატრფო არა, გადაიფიქრა მერე, - ასეთი ბავშვური ღიმილი დედისათვის უნდა იყოს მიძღვნილი. - გადაფარებული ფარაჯის კალთა ჩამოწეულიყო, შემოუკეცა რევაზმა და დაჯდა.

ახლა რევაზის ბაგეებზე ათამაშდა ღიმილი.

ეღიმებოდა იმაზე, ამ ერთი წლის წინათ რომ საშინელი აზრი აეკვიატა: ,,დედა უთუოდ ცოცხალი აღარ არის, მე კი მიმალავენ, არ მატყობინებენ“. მაშინვე დას წერილი მისწერა, უსათუოდ დედაჩემის ხელით ნაწერი ბარათი გამომიგზავნეო.

ო! როგორ გაიხარა მაშინ რევაზმა, როცა ეს სურვილი აუსრულდა.

-,,საყვარელო შვილო! მე მოვხუცდი, თვალს აღარ მიჩანს კარგად, სათვალეს ვხმარობ, ისე ვწერ ამ ბარათს. ისე კი, კარგად ვარ, გენაცვალოს დედა. ვმუშაობ კიდეც, თუმცა იმაზე უკეთეს რას გააკეთებს ჩემი ხელები, რომ შენ წერილი მოგწერო, თუ ჩემი ნაწერი შენ მხნეობას და სიხარულს შეგმატებს...“

ასე იწყებოდა წერილი. რამდენჯერ გადაიკითხა იგი რევაზმა, რა სიხარული იგრძნო და მხნეობაც გაუორკეცდა. დიახ, მხნეობაც არ იყო საჭირო თუ? - დასვა რევაზმა კითხვა, რომელიც პასუხსაც გულისხმობდა.

მატარებელი განაგრძობდა სვლას...

რევაზი ყურს უგდებდა ვაგონის თვალთა თქარათქურს. სმენას იპყრობდა მკვეთრი დარტყმების კაკაფონია, თანდათან მონოტონური ხდებოდა იგი. გონების თვალი თანდათან შორდებოდა თვლებს და ლიანდაგს, უფრო შორს მიპყრობილიყო იგი, მინდვრებს, ტყეებს, მთებსა და ვაკეთ, მდინარეთ, ზღვებსა და ოკეანებს ევლებოდა. მატერიკიდან მატერიკზე ისწრაფვოდა. მერე ისინი უზარმაზარ გლობუსად შეჰკრა, ეთერით გარხვეულად. გლობუსი შემობრუნდა, რევაზმა ნათლად გაარჩია წითელი რკალით გარშემოვლილი ნაწილი ხმელეთის და წყლის... გლობუსი კვლავ განაგრძობდა ბრუნვას, მაგრამ გონების თვალი არ შორდებოდა წითელ რკალიან მიწას.

მატარებელი განაგრძობდა სვლას...

რევაზი კვლავ ყურს უგდებდა თვლების ხმაურს. ახლა მონოტონობა პოლიფონიად ქცეულიყო, წარმოსახავდა მძლე სიმფონიას, რომელიც თითქოს

შორიდან ისმოდა, მაინც ფარავდა ხმაურს. წყნარი, ძლიერი მელოდიით დაიწყო იგი. კარგახანს გაგრძელდა ასე... მერე ერთბაშად დისონანსი შეიჭრა ჭექა-ქუხილის მსგავსი. აფეთქებებმა შეარყია გარემო. ძლიერი ხმა გაისმა გულში ჩამწვდომი. ბანი მისცა თითქმის ყველა ხმამ, თანდათან ძლიერდებოდა მათი გუგუნი. არახანმოკლე, მედგარ ბრძოლას ასახავდა მეორე კარი სიმფონისაა. ბრძოლ- ჭიდილის სიმღერაში უდრეკი ძალით მოისმოდა გობოის ხმა, წითელ რკალიან მიწას დასტრიალებდა იგი, მილიონებს რაზმავდა დასავლეთიდან შემოჭრილი ჭექა- ქუხილის, ურჩხულის მსგავს ღრუბლებთან საბრძოლველად...

ორკესტრი უკვე მწყობრად გუგუნებდა, მთელი ძალების დაძაბვით, აღმოსავლეთით აღმართული დიადი მზე გამკვეთ სხივებს უგზავნიდა შავ ღრუბლებს, განაბნევდა მათ... ელვის რკალები... აფეთქებანი - მიიწევდნენ დასავლეთისაკენ... მედგარი შეძახილი გამარჯვების უძლეველ სიმღერაში გადაიზარდა. გამარჯვების ძლევამოსილი ჰიმნი გარკვევით ესმოდა რევაზს...

ახლა ორ ზღვას შორის შეიჭრა გონების ისარი, ნაზ მელოდია დაეთმო სმენა. ნანატრ ადგილებს, სახეებს ესალბუნებოდა იგი...

რევაზმა თავი ასწია. სახე შეწითლებოდა, საფეთქლები ძლიერად სცემდნენ. ორივე ხელით შეისრისა ისინი, მერე თვალებზე გადაისვა ხელი. ახლა გაერკვა: შორიდან არ მოისმოდა, როგორც მას წეღან ეგონა, სიმღერა. იმას გონებასა და გულს შორის გაბმული სიმი გამოსცემდა - მღეროდა ვაჟკაცის გული თვლების ხმაურის აკომპანიმენტზე.

ახლა მხოლოდ თვლების ხმაური-ღა ესმოდა, სიმფონია შეწყვეტილიყო, კი არ დამთავრებულა. მეოთხე კარს სიმფონიისა - შრომისა და ბედნიერების სიმღერას ხომ მილიონებთან ერთად იმღერებს რევაზი, შთამომავლობაც განაგრძობს ამ სიმღერებს...

წამოდგა, მძინარ ამხანაგებს გადახედა და გამოვიდა კუპედან. დერეფანში უნდოდა გასვლა, გაგრილება. ვაგონს გადახედა, დიდი სიფრთხილე და სიმარჯვე იყო საჭირო, რომ შესცილებოდა გასასვლელში მოთავსებულ მგზავრებს. მეორე რიგის დემობილზაციის ერთერთი ბოლო ჯგუფი მგზავრობდა ამ ვაგონით. მებრძოლები და სერჯანტები, აქაიქ ოფიცრებიც ერია მათში.

ზოგ თაროზე ორ-ორს ეძინათ, ზევით საბარგოზედაც მოთავსებულიყვნენ. ყველა ჩქარობდა, არავის არ სურდა დაეცადა შემდეგი მატარებლისათვის. დაბლა, ოთხი კაცის ადგილზე, ხუთი ექვსი, იყო მოთავსებული, ზოგნიც გასასვლელში

ისხდნენ. სამგზავრო ჩანთებზე და ჩემოდნებზე. თავები მუხლებზე დაეყრდნოთ, ისე ეძინათ.

რევაზმა ძლივს შეუარა მათ, როგორც იქნა, მოხვდა დერეფანში. დახურულ ფანჯარასთან დადგა, მაინც ცოტა გაგრილდა. თუმცა აქაც საკმაოდ თბილოდა. ვაგონის კარს ხშირად აღებდნენ და ცხელი ჰაერი გამოდიოდა. მოახლოვებულ დილის სუსხს მაინც შეეთეთრებინა ფანჯრის მინა. თითი აამოძრავა რევაზმა მინაზე, ასოები გამოიყვანა, სიტყვებად გადააქცია, შემდეგ ხმამაღლა წაიკითხა: ,,თბილისი... თბილისი... ვნახავ მალე“.

მატარებლის საგრძნობლად შენელებულმა სვლამ მიიქცია მისი ყურადღება, მერე ასოთ ნახაზში შენობათა კონტურებს მოჰკრა თვალი დილის ბინდბუნდში. ერთი წუთის შემდეგ ფერმკრთალი ნათურებიც გამოჩნდნენ. სადგურში აღმოჩნდნენ. ,,კიროვაბადი“ - წაიკითხა რევაზმა აზრაზე.

იგი კუპეს დაუბრუნდა, მეგობრების გაღვიძება უნდოდა. როცა მათთან მივიდა, ისინი უკვე ზეზე იყვნენ.

-კიროვაბადში ვართ ბიჭებო! - მიმართა მათ რევაზმა.

-მაშ, მაშ! წავიდეთ პირი დავიბანოთ! - გაეხმაურა ვასო.

მას პირსახოცი მხარზე გადაედო, ახლა ჩემოდანში ფათურობდა, საპონს ეძებდა.

- ჩემი ჩემოდანი ალიოშას უდევს თავქვეშ. - სთქვა რევაზმა.

-ალექსეიც გავაღვიძოთ! - ახმაურდა გრიგოლი და ალექსეისაკენ მიბრუნდა.

-არა, კაცო! სულ ორი-სამი საათის წინ დაიძინა, იძინოს კიდევ! - შეაჩერა რევაზმა.

-მაშ ეს დაიჭირე! - პირსახოცი მიაწოდა გრიგოლმა. მერე პარალელურ საწოლებს მოეჭიდა ორივე ხელით, მარჯვენა ჯანსაღ ხელს დააყრდნო მთელი ტანი და ძირს დაეშვა.

-კარგი! - მიმართა რევაზს- ჯერ ჩვენ წავალთ, მერე შენ. დღეს განსაკუთრებით უნდა ვიბანოთ პირი - მერე სახეზე დააკვირდა რევაზს- შენ წვერიც გაუპარსავი გაქვს ყმაწვილო!

-გუშინწინ არ მოვიპარსე როსტოვში? - არა უშავს, არც ისე გაზრდილა! - ამბობდა რევაზი და ლოყაზე და ნიკაპზე ხელს ისვამდა.

-უნდა გამოგეთვალა, მე სამი დღე გადავაცილე ჩვეულებრივზე, მაინც გუშინ საღამომდე არ გავიპარსე. ახლა გნახავ, როგორ შეხვდები შენს გულთამზეს! -იცინოდა გრიგოლი.

-ჩემი გულთამზე ქორწილში მპატიჟებდა ამ ერთი წლის წინათ; ვერ დავესწარი სიშორის გამო, მისალოცი დეპეშა გავუგზავნე, -უპასუხა სიცილითვე რევაზმა.

-მაგას თავისი გულთამზე აწუხებს, - ჩაერია საუბარში ვასო, რომელსაც ეპოვნა საპონი და დაბლა ჩამოსულიყო - მასზე ვერ ამბობს, შენ გეუბნება: მეც მითხარი რაიმე ჩემი გულთამზის შესახებო. - გააქილიკა გრიგოლი ვასომ, მერე გაუღიმა როგორც პატარას, - ,,წამო ახლა, წავიდეთო“.

ნახევარი საათის შემდეგ სამივენი მორჩნენ მოწესრიგებას. როცა ყველაფერი მზად იყო, არაფერი იყო გასაკეთებელი, შეწუხდნენ: ,,რატომ არ მიდის მატარებელიო“, ხოლო როცა გამოვიდნენ სადგურიდან, დაწყნარდნენ, დასხდნენ, თავთავიანთ ფიქრს მიეცენ. დიახ, ფიქრი მრავალი. სურათთა ცვალებადობა. გონების წიაღში ფიქრი ფიქრს ცვლიდა, სურათი- სურათს. ახლა, როცა ასე ახლო იყო თბილისი, დედა, მამა, ახლობლები, ნათესავები და კიდევ ვინ იცის რა არ აღელვებდა ჭაბუკთა გულებს.

ვერ შესძლებ გეპყრას მოზღვავებულ გრძნობად სადავე ახლა, როცა ოთხი წელი მშობლიურ ადგილთა დაშორების, მრავალი ჭირ-ვარამისა და გმირობის, პირველ მარცხთა და დიად გამარჯვებების - ოთხი წელი, რომელიც ასე ღრმად აღიბეჭდა მეხსიერებაში, არც ისე შორს იყო, მაგრამ მაინც განვლილია და უახლოვდები მხარეს, სადაც გაატარე ყმაწვილკაცობა. რომელსაც ღიმილით შეგიძლია შეხვდე. მან შენ თვალებში ამოიკითხოს: დიახ, შენ გამზარდე, მომეცი ძალა! ვიბრძოლე შენთვის, არ შეგარცხვინე!

ამხანაგები მონათესავე აზრთა დენას შეეპყრო. სდუმდნენ, თუმცა მათ ასე ბევრი ჰქონდათ სათქმელი.

ამ მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მეგობრები, როცა ამომავალი მზე მიესალმა მათ. გრიგოლი გამოიყვანა ჩაფიქრებიდან.

-ბიჭებო! მე როგორც მედიცინის წარმომადგენელს, შემომაქვს წინადადება: ვინაიდან თბილისში შესვლამდე საკმაო დრო რჩება და აგრეთვე იმ მოტივით, რომ ჩვენ არც კი გვექნება ამისი საშუალება შემდეგში, საჭიროა ახლა მივიღოთ ორგანისზმისათვის აუცილებელი კალორიები! - მიმართა მან მეგობრებს.

-ერთი ამას უყურეთ! ჯერ სამოქალაქო ცხოვრება არც კი დაუწყია, ასე მალე გრძელი ლათაიები გააბა. მოკლედ, ვისაუზმოთ არა? მე თანახმა ვარ - განაცხადა ვასომ.

გრიგოლი წამოდგა, მხედრულად გასწორდა.

-ისმინეთ ჩემი ბრძანება! სმენა! მოემზადეთ საუზმისათვის! - მერე ვასოს მისამართით დაუმატა: - ახლა მოგეწონა?

კუპეში ამან ძლიერი სიცილი გამოიწვია. თითქმის ყველას ეღვიძა, მათი ყურადღება გრიგოლისაკენ იყო მიპყრობილი. სიცილი საერთო მხიარულებაში გადაიზარდა, გაჩაღდა საუბარი.

ახლა რევაზს გაეცინა:

-ჩვენ ხომ ყველაფერი ჩავალაგეთ, მართლა არ ვაპირებდით გვესაუზმა, თუ როგორ მოგვივიდა? ერთმანეთს გადახედეს, გაეღიმათ.

-ფუ! დალახვროს ეშმაკმა! წამოიძახა გრიგოლმა, თანაც დამნაშავესავით იღიმებოდა.

-ჩვენ კარგი, თუ გინდა, ჩქარი ხალხი ვართ, ავიაციისა, თქვენ!? თქვენ როგორღა მოგივიდათ დარბაისელო ,,წარმომადგენელო მედიცინისა“, - აზრაზებდა გრიგოლს ვასო.

-ვერაფერი ავიატორი ყოფილხარ, შენ, ჩემო ძმაო! თუ სიჩქარის გამო, ფრენის წინ, ავზში ჩასასხმელ ბენზინს ანგარში სტოვებდი.

მიკვირს, როგორ გადარჩა შენი მფრინავი! - რევაზზე უჩვენა და გამარჯვებულის პოზა მიიღო, სახეზე ღიმილი უთამაშებდა.

აქ კი გაება ვასო, აღარ იცოდა რა ეპასუხნა. ამიტომ წამოდგა, თაროზე მდებარე ფუთას ხელი დაავლო - ,,ამის გახსნა რა ბერლინის აღება გახდაო“- თან დაატანა სიცილით. რევაზიც მიეშველა ფანჯარასთან თაროზე ქაღალდი გადააფარა. ზედ დაალაგეს პური, ძეხვი, კარაქი, ფხვნილი შაქარი ქაღალდში შეხვეული.

ახლა გრიგოლი შეუდგა ჩემოდნის გახსნას.

-რაღად გინდა? ჩემოდანში რაღას დაეძებ, აქაც ხომ საკმარისია! - მიმართა მას რევაზმა.

მე, როგორც მედიცინის წარმომადგენელი, მომხრე ვარ კალორიებს გრადუსებიც მიემატოს! - უპასუხა მას გრიგოლმა.

-საიდან გადარჩა?

-იქიდან, რომ შენი მსუნაგი ყნოსვა არ მიწვდენია! - გაეხუმრა ვასოს და ჩემოდნიდან ლიტრიანი ამოიღო. მერე ალუმინის ჭიქა გახსნა, საცობი ამოაცალა ბოთლს, ჭიქაში ჩაასხა არაყი.

წითელი არმიისა და მისი მხედარმთავრის სადღეგრძელო დალია, რევამა და ვასომაც შესვეს.

რევაზი ალექსეის მიუბრუნდა, რომელსაც ისევ სძინავდა - ალიოშა! ალიოშა! გაიღვიძე, ვისაუზმოთ!

-აა! - ფართოდ გაახილა თვალები ალექსეიმ.

-დალიე, დალიე! - ეუბნებოდა ვასო, მას არყიანი ჭიქა ალექსეისთვის ცხვირწინ მიეტანა.

წამოჯდა თაროზე, თავი წინ წამოსწია.

-გაუმარჯოს ბიჭებო! - და სულმოუთქმელად გადაჰკრა. მერე- უკმაყოფილოდ გადახედა გრიგოლს, რომელსაც ბოთლი ისევ ხელში ეჭირა.

-ფიქრე სავსეა, გრიგოლი მეოთხედიც არ ჩაასხა.

რევაზმა პური და ძეხვი მიაწოდა, ალექსეიმ უარი თქვა. ხელით აჩვენა, დამაცა, პირი დავიბანოო.

-დააცა, ჯერ ,,როჟა“ არ დაუსველებია - განმარტა გრიგოლმა.

-ფირი, ფირი კაცო! - უპასუხა ალექსეიმ და თაროდან ჩამოვიდა.

-ჩქარა, ჩქარა - უთხრა მას ვასომ - სანამ შენ პირს დაიბან, ჩვენ ლიტრას დავაცარიელებთ.

-მე ცოტა დატოვე, ნახევარი ლიტრა! - სთქვა ალექსეიმ და კუპედან გავიდა.

-გრიგოლმა ისევ აავსო ჭიქა.

-ეს, ბიჭებო, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! ერთმანეთი ნუ დაგვავიწყოს!

-ეგ ყველაზე უფრო მე მაწუხებს, - დაიწყო ვასომ, როცა ჭიქა მას მიაწოდა გრიგოლმა - თქვენ ისევ სწავლას განაგრძობთ, მე კი რაიონში უნდა წავიდე. დედა და მამა დამრჩნენ მოხუცებულები. როგორც იცით, ჩემი ძმა დაიღუპა. ახლა მათ არავინ ჰყავთ ჩემს მეტი. მოხუცებულობის ჟამს მათი მიტოვება უგულობა იქნებოდა. ესეცაა, არ მინდა ოჯახი გავაციო. გადავწყვიტე ისევ რაიონში დავიწყო მუშაობა.

-მერე რა გიჭირს, ავტოტექნიკოსობა მშვენიერი სპეციალობაა. შენზე უკეთესი სპეციალისტის შოვნა ახლა იშვიათად შეიძლება. უმაღლესი ტიპის საავიაციო

მოტორების შესწავლით შენ უფრო გაიღრმავე ცოდნა. შენი მდგომარეობა ამ მხრივ გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩემი- გაამხნევა რევაზმა.

-დიახ, დიახ! ვეჭვობ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფრენის თეორიას კითხულობდნენ, ან პრაქტიკას გადიოდნენ- გაიხუმრა გრიგოლმა.

-არა, განა მე იმას ვამბობ, რომ გამიჭირდება. მე ის მაწუხებს, რომ ჩვენ დავშორდებით, - სთქვა ვასომ.

-ეხ, ვასო! ცხოვრება თავისი ჩარხით ბრუნავს. მუშაობაში ჩაებმები. ახალ მდგომარეობაში ახალი ამხანაგებიც იქნებიან, - სთქვა გრიგოლმა.

-რაც უნდა იყოს ორ წელზე მეტი ბრძოლის გზაზე ერთად გვივლია, ერთმანეთის გაჭირვება- დალხინება გაგვიზიარებია. ყველა მეგობრობა ერთი ხომ არ არის, ხოლო ომი მეგობრობის ყველაზე უკეთესი გამომცდელია. ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი ბიჭებო! სულ სამოცდაათიოდე კილომეტრი დაგვაცილებს ერთი მეორეს. მე ხშირად გეწვევით თბილისში, თქვენც ნუ დაიზარებთ ბოლნისში ამოსვლას.

-არხეინად იყავი, ვასო! გულს არ დაგწყვეტთ, შენ მხოლოდ მსუქან - მსუქანი ცხვრები იყოლიე, ხშირად ამოვალთ - იცინოდა გრიგოლი.

-ამ კაცს არ შეიძლება სერიოზულად ელაპარაკო. შენ ცხვრის უფრო მეტი ხათრი გქონია, ვიდრე ადამიანის. სამედიცინო ინსტიტუტში რატომღაც აპირებ დაუბრუნდე სწავლას, შენ, ძმაო, ვეტერინარულზე უნდა შეხვიდე! - უპასუხა ვასომ.

-მაინც ,,მედიცინის წარმომადგენელი“ იქნები, -დაუმატა რევაზმა.

-ტყუილად ეხუმრებით თქვენ ვეტერინარებს, - დაიწყო გრიგოლმა.

-ჩვენ ეს სრულებით არ გვიფიქრია, - სთქვა რევაზმა.

გრიგოლს არ მიუქცევია ყურადღება რევაზის უკანასკნელი სიტყვებისათვის, ისევ განაგრძობდა: - ვეტერინარები ჩვენთვის ისეთივე საჭირონი არიან, როგორც ყველა სხვა სპეციალისტები. მხოლოდ თქვენ სცდებით ჩემი სპეციალობის განსაზღვრაში. მე სწორედ იმიტომ ვარჩევ მედიცინას, რომ იგი უშუალოდ ადამიანს ეხება. ხოლო ომმა კიდევ უფრო დამიმტკიცა, თუ რაოდენ საჭიროა მედიცინა ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ქირურგია.

რევაზმა ინსტიქტურად იმ მებრძოლს შეხედა, რომელსაც როსტოვში თარო დაუთმო. გრიგოლს ეს შეხედვა მისი სიტყვების პასუხად მოეჩვენა: ,,აი, ქირურგიის ნამუშევარიო“. დაიხარა, რევაზს ხმადაბლა უთხრა: - შენ რა გგონია, რომ ამპუტაცია

არა, იგი ცოცხალი აღარ იქნებოდა ახლა. რა ვუყოთ რომ ცალფეხაა, რაც მთავარია, ცოცხალი ადამიანია, მას კიდევ ბევრი რამ შეუძლიან გააკეთოს.

-რასაკვირველია, - უპასუხა რევაზმა, ისე, რომ მზერა არ მოუცილებია მებრძოლებისათვის. ახლა რევაზს უფრო ნათლად წარმოუდგა ამ მებრძოლის განწყობილების ცვალებადობა, რაც როსტოვიდანვე შეიმჩნეოდა. ხან მხიარული იყო, ხუმრობდა, იცინოდა, სხვებსაც აცინებდა, ხანაც ჭმუნვა ეუფლებოდა. რაც უახლოვდებოდნენ თბილისს, მისი სახე თანდათან ნაღვლიანი ხდებოდა, აღელვებაც მეტად ემჩნეოდა.

-აიღე რევაზ! - ახლა რევაზს მიაწოდა არყიანი ჭიქა გრიგოლმა, რევაზმა ჭიქა ჩამოართვა და იმ მებრძოლს გასძახა:

-მეგობარო, აქეთ მოიწი! ერთი ჩვენი სადღეგრძელო დალიე! მებრძოლმა მოიხედა, გაიღიმა, უნდოდა ,,გმადლობთო“ ეთქვა, მაგრამ რევაზის უბრალო, გულწრფელ გამოხედვას დააკვირდა და უარი აღარ თქვა. ნელა წამოდგა, ყავარჯენი დაიბიჯა და მათთან მივიდა. ჭიქა აიღო: - თქვენი გამარჯვებისა იყოს! - წარმოსთქვა მან.

-თქვენი სახელი, ამხანაგო? - უთხრა მას ვასომ, როცა მებრძოლმა ცარიელი ჭიქა თაროზე დადო.

-გოგია - იყო პასუხი.

-ჰო, გოგი, დაჯექი - უთხრა მას ვასომ და თითქმის ძალად მოისვა გვერდით - რატომღაც არ საუზმობდი, თუ შემოგელია საგზალი, უნდა გვითხრა, კაცო! ასე როგორ შეიძლება, აიღე რამე!

-გმადლობთ საგზალი საკმაო მაქვს, მაგრამ რატომღაც არ მინდა. აი, თქვენც არაფერი გიჭამიათ. რაც ამოალაგეთ ისევ წინ გიდევთ...

* * *

როცა მატარებელი რუსთავში შეჩერდა, ყველანი ფანჯრებთან შეგროვდნენ, დაკვირვებით შესცქეროდნენ ახალდაწყებულ მშენებლობას.

ხარაჩოებს უმზერდა რევაზი. - ,,ერთბაშად მოსკოვი არ აშენებულა“, - იმეორებდა იგი რუსულ სენტენციას და შენიშნავდა: ,,მოძველდა, მოძველდა ეს თქმულება. ახლა ქალაქებიც ერთბაშათ შენდებიან... რუსთავიც, რუსთავიცო“.

,,რუსთავი... რუსთავი... რუსთაველი... რუსთაველი...“ იმეორებდა რევაზი.

მატარებელი მტკვრის მარცხენა ნაპირს მიჰყვებოდა, მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა. მიისწრაფვოდა იქითკენ სადაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩამოიარეს ამ დარბაისლურად მოქანავე ტალღებმა. აგერ პატარა სადგურს ჩაუქროლა, არ შეჩერებულა, თითქოს თანაუგრძნობსო ასობით ამგერებულ გულებს.

შორით გამოჩნდა შავნაბადა. იგი თბილისს რკალავს სამხრეთ-აღმოსავლეთით. თითქმის მტკვრამდე მოსულა, თითქოს უნდაო თავის ზოლში მოაქციოს თბილისი. მაგრამ აღმოსავლეთით მაინც გამოჭრილა ქალაქი. მისი გარეუბნები, მტკვრის გაღმიდან, პირისპირ უდგანან შავნაბადას ქიმს: ,,მარცხენა ნაპირზე მაინც ვეღარ აგვკედლავ, აქედან მაინც გავიჭრებითო“.

,,დიახ, გაიჭრება ქალაქი აღმოსავლეთით, ალბათ, მოვესწრები, იგი რუსთავს შეუერთდეს“ - ფიქრობდა რევაზი. ფიქრი ალექსეი სოკოლმა შეაწყვეტინა.

-თბილისი, თბილისი ბიჭებო!! - აღრიალდა იგი.

-ვაშაა! - გაისმა შეძახილი. დეკემბერი იყო, მაინც თითქმის ყველა ვაგონის ფანჯარა ღია იყო. თავები გამოეყოთ, ქუდებს იქნევდნენ, ,,ვაშას“ გაიძახოდნენ.

-ვაშაა! - კვლავ დასძახეს გრიგოლმა, რევაზმა, ვასომ. ალექსეი სოკოლი მთელი ხმით ყვიროდა:

-ურააა!!

უ... უუუ... თითქოს პასუხობსო ორთქლმავალი.

მატარებელი მიჰყვა მტკვრის რკალს, მარცხნივ მოუხვია, თვალს მიეფარა ქალაქის გარე უბანი, შავნაბადას ქიმიც.

გრიგოლი ცმუკავდა, აღარ იცოდა რა ექნა. მერე ისევ ვასოს და ალექსეის მიუბრუნდა:

-მოდი, ბიჭებო! თბილისის სადღეგრძელო დავლიოთ!

-მოიცა, მოიცა! - პასუხობდა ვასო. იგი ისევ ფანჯარაში იყურებოდა, როდის მიუხვევს მარჯვნივ მატარებელიო. ისევ თბილისის გამოჩენას ელოდებოდა. გრიგოლი ვერ ისვენებდა, ახლა რევაზს მოეჭიდა მკლავზე ,,მოდი თუ ძმა ხარ, აღგზნებაც მოგვემატებაო“ - ახლა კი ცდები ,,მედიცინის წარმომადგენელო“! აღგზნება ისედაც საკმარისია. მე პირიქით ვცდილობ დავწყნარდე, თბილისი ნამდვილად დავინახო როგორიც არის. შენი არაყი კი ასასი გრამი მაინც მივირთვით, თუ მეტი არა. ახლა რომ კიდევ დავუმატოთ, მეშინია ერთის მაგიერ ორი არ მომეჩვენოს- უპასუხა რევაზმა.

-თბილისის სადღეგრძელო, ბიჭო! თბილისის!

-სულით და გულით!...

-მთაწმინდის პლატო! - დაიძახა ვასომ დეკლამატორივით. გრიგოლიც და რევაზიც იქით მიბრუნდნენ.

შავნაბადა აღარ ფარავდა მთაწმინდას, აღარც ქალაქს. იგი მთლიანად მოსჩანდა ორ მთას შორის მოქცეული, მტკვრით შუაზე გაყოფილი. თეთრი სახლები მუქყავისფერი სახურავებით, ქარხნების ცაში აშვერილი საკვამლე მილებით. მთაწმინდის პლატო ზევიდან დასცქეროდა, თითქოს თვალს ადევნებსო საყვარელი ქალაქის სუნთქვას.

თანდათან ახლოვდებოდა, საერთო გეგმა იფანტებოდა. თანდათან ცალკეული ობიექტები ინაწილებდნენ ყურადღებას: აი, თბილისის აეროდრომი, პურის ქარხანა და მატარებელმაც უკლო სვლას. უკვე შედიოდა ნავთლუღის სადგურში. ხუთი წუთის შემდეგ ნავთლუღიც დასტოვეს, ჩქარა თბილისის საზეიმოდ მორთული სადგურიც გამოჩნდა. იგი ალმებითა და პლაკატებით იყო მორთული. აუარებელი ხალხი გამოფენილიყო. ზეიმით ხვდებოდნენ ომგადახდილებს. გუგუნებდა ორკესტრი. იგი ქართულ მხედრულ მარშს ასრულებდა.

მატარებელი თბილისის სადგურში გაჩერდა.

ვახტანგ კეკელიძე

ღრუბლები მიდიან

პროლოგი

,,ჩემო მეგობარო ნოდარ"

,,ამ რამდენიმე ხნის წინათ, როცა განმარტოებით ვიჯექი ჩემს პატარა ოთახში, მომაგონდა შენი ნაამბობი და სურვილი დამებადა დამეწერა იგი. მოგონების თვალით ისევ დაგინახე შენ, ისეთივე, როგორიც იყავი ჩვენი გაცნობის პირველ დღეს, თვალწინ დამიდექი რბილი რონოდის კუპეში პატარა ფანჯარასთან მიმჯდარი, მხრებზე შემოტმასნილ საყელო- გახსნილ სამხედრო გიმნასტიურ ხალათში, ანთებული სახით და მოელვარე თვალებით, და ისევ მომესმა ბორბლების რიტმიულ ხნაურს აყოლილი შენი ხმა.

მწერლებმა იციან თქმა: ,,მე ის დავწერე სიტყვა - სიტყვით, რაც მიამბესო".

მე არ მინდა თავზე მოგახვიო ნაკლი, რომელიც შეიძლება ამ ნაწერს ჰქონდეს და პატიებას გთხოვ, რომ ჩემს გამოუცდელ კალამს ვანდე შენგან განცდილი. ვინ იცის, იქნებ ჩემი ფერადებით უფრო გავაფუჭე, დავსვარე შენი მღელვარე ხმით გადაშლილი სურათები, მაგრამ დე, ეს ნაწერი ერთი იმ პატარა აგურთაგანი იყვეს, რომლებიდანაც დაუსრულებლივ, მარადიულად შენდება გმირთა დიდების ძეგლები"..

....

....

,,ავტორები კი ჩვენ ვართ ორივე: შენ, შენი მღელვარე ხმით და მღელვარე განცდებით, მე კი ჩემი უძლური კალმით".

წერილიდან

თავი პირველი

დედა! - გაისმა კუპეში, რუსულ ენაზე, ნამძინარევი ბავშვის ჭირვეული ძახილი.

ჩემი თანამგზავრი შეკრთა და საუბარი შესწყვიტა. ერთხანს შეჩერდა, ფართედ გახელილი, სევდიანი თვალებით აწმყოს გადაღმა წარსულის რომელიღაც მოგონებას

გარინდებული შეაჩერდა. შემდეგ გამოერკვა, მწარე ღიმილმა შეუკეცა ტუჩის კუთხეები და თვალებში სითბოჩამდგარმა საჩქაროდ ბავშვის საწოლს მიაშურა.

სახელდახელოდ გაშლილ ლოგინზე პატარა ბიჭუნა წამოჯდა, გაოცებით მიიხედ - მოიხედა კუპეში, ეტყობოდა ვერ გარკვეულიყო სად იმყოფებოდა. როცა მე დამინახა, ოქროსფერ კულულებიანი, ლამაზი თავი ბავშვური სიმორცხვით დახარა და პატარა ვარდისფერი მუშტებით დაჟინებით დაიწყო თვალების სრესა. დროდადრო შემომხედავდა ხოლმე გვერდულად და ზღვისფერ თალებში გაოცებანარევი ცნობისმოყვარეობა ეხატებოდა. ექვსიოდე წლისა თუ იქნებოდა. მოგრძო სახე ჰქონდა და ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი. ნამძინარევს ფუნჩულა ლოყები წითლად უღვივოდა.

ცნობისმოყვარეობამ ამიტანა: ფრონტიდან დაბრუნებულ ქართველ ვაჟკაცს თან პატარა რუსი ბიჭუნა მოჰყავდა. ვიგრძენი აქ რაღაც საინტერესო ამბავი იფარებოდა და მოუთმენლად ველოდი ბავშვის ჩაძინებას, რომ უკან დაბრუნებულ ჩემი თანამგზავრისათვის გამომეკითხა...

მატარებელი კი მიჰქროდა ღამის ბინდში. დროდადრო შეჩერდებოდა და, როცა ისევ განაგრძობდა სვლას, გზადშეხვედრილი სადგურის შენობები ელნათურების ბრიალა თვალებით შემოიხედავდნენ ხოლმე კუპეში. ფრთხიალებდა ღია სარკმელთან დაკიდებული აბრეშუმის პატარა ფარდა კაკანათში გაბმულ თეთრმტრედივით, ფრთხიალებდა და გასაფრენად იწევდა, თითქოს უნდოდა ფანჯარასთან მომდგარ ღამის შავ საშინელ თვალებს გაქცეოდა. ტრიალებდნენ მინდვრები, რომლებზედაც ბორბლების ხმაურისაგან დამფრთხალ ჯოგივით გარბოდნენ ხეები და ბუჩქები. მსრბოლავ რონოდების გასწვრივ კი ცეცხლის რაშებივით ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ ფანჯრებიდან გატყორცნილი სინათლის ოთხკუთხედები: მოჰქროდნენ, ჩქარობდნენ, ეშინოდათ მატარებელს არ ჩამორჩენოდნენ.

-მე ისე ვიყავი გართული თქვენთან საუბარში, რომ კუპეში არც კი შემინიშნავს თუ თქვენ ბავშვი გახლდათ. - ღიმილით შევესიტყვე თანამგზავრს, როცა იგი ბავშვის ჩაძინების შემდეგ კვლავ ჩემს პირდაპირ მოთავსდა.

-ეს ალბათ იმის ბრალია, რომ კუპეში არც თუ ისე დიდი სინათლეა-საპასუხოდ გამიღიმა მან.

-კი, მაგრამ, თქვენ ხომ ფრონტიდან ბრუნდებით, როგორც მიამბობდით. ეს ბავშვი კი საიდან?

-ეჰ, ეს დიდი და თანაც სამწუხარო ამბავია, - სთქვა მან და გაჩუმდა.

-მიამბეთ, თუ თქვენთვის სამძიმო არ იქნება, ვთხოვე და ძილის ნისლი, რომელიც თვალებს მიბურავდა, ცნობისმოყვარეობის ტალღამ ჩამომრეცხა და შორს გარიყა.

-რა გაეწყობა, სიამოვნებით გიამბობთ... სიამოვნებით მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ადამიანს ხანდახან თურმე მწუხარების დათმობა ისევე ეძნელება, როგორც სიხარულის. არა, ეს პარადოქსი არ არის. მე მიმძიმს წარსულის მოგონება, მაგრამ უამისოდ არ შემიძლიან; მიმძიმს ამ ბავშვის ცქერა და მისგან წამოძახილი სიტყვის- ,,დედას" გაგონება, მაგრამ ვერც ბავშვს და ვერც მის წამოძახილს ვერ შეველევი; ჩემთვის ძნელია ამ ამბის მოყოლა, მიუხედავად ამისა, - გიამბობთ, და გიამბობთ მით უფრო სიამოვნებით, რადგან ამ კუპეში ჩვენ უკვე საკმაოდ დავუახლოვდით ერთმანეთს.

ის დაფიქრებით შეჩერდა და ასე სდუმდა რამდენიმე ხანს, თითქოს ჰკინძავდა, ერთად ჰკრეფდა წარსულის სურათებს, რომ ჩემს წინ მოგონებათა ალბომი გადაეშალა.

ჩემმა თანამგზავრმა მართალი სთქვა - ჩვენ მართლაც მოვასწარით დამეგობრება გზაში. ან კი რა უნდა ჰქმნას კაცმა მატარებელში გატარებულ დროს? რონოდის ერთფეროვნებითა და ბორბლების მონოტონური ხმაურით გამოწვეული მოწყენილობა მლაშე საგზალივით მოგაწყურებს ვინმესთან გამოსაუბრებას. ამიტომ ადვილია გაცნობა და დაახლოვება მგზავრობაში. ეს ნაცნობობა მეგობრობამდეც მოდის ხოლმე, თუმცა ხშირად ამ სამგზავრო მეგობრობას მატარებლის რონოდაშივე ვტოვებთ, როგორც გზაში ნაყიდ ლიმონადის დაცლილ ბოთლს წყურვილის მოკვლის შემდეგ. (მაგრამ ჩვენს შორის ასე არ მოხდა, ნოდარ, ჩვენი გულთბილი მიწერ-მოწერა თავდებია ჩვენი მეგობრობისა) ამრიგად შეხვედრიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მე უკვე ვიცოდი მისი სახელი, ვიცოდი რომ იგი სამედიცინო სამსახურის კაპიტანი იყო (თუმცა ამას მის სამხრეებზე დაკერებული ნიშნებიც ამტკიცებდა) გავიგე - ფრონტიდან მოდიოდა, ბათუმთან ახლოს, სოფელში პატარა კარ-მიდამო ჰქონდა, რომელსაც მოხუცი დედა გაფაციცებით უვლიდა თავისი ვაჟკაცის, თავის ერთას მოლოდინში. როცა კუპეში შევედი, მაშინვე მომეწონა ეს მხარბეჭიანი, ბავშვურ

გულუბრყვილობა ნარევი სერიოზული ახალგაზრდა, რომელსაც კუშტი სახე ჰქონდა, მაგრამ თაფლისფერ თვალებიდან გადმოღვრილი შუქი არბილებდა მის მკაცრ გარეგნობას.

-როგორც გითხარით, ეს დიდი და თანაც სამწუხარო ამბავია, - დაიწყო ჩემმა თანამგზავრმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - მაგრამ ვეცდები, რაც შეიძლება მოკლედ გიამბოთ. არ დავიწყებ დაწვრილებით მოყოლას ჩემი საფრონტო ცხოვრების შესახებ. თქვენ უთუოდ კარგად იცით, რა ხდებოდა იქ, როგორი დაძაბულობით იბრძოდა ყოველი ადამიანის ყოველი კუნთი საძულველი მტრის გასანადგურებლად, დიახ, თქვენ იცით, რა ხდებოდა იქ. არა ერთი ფრონტიდან დაბრუნებული მებრძოლი მოგიყვებოდათ თავის საბრძოლო თავგადასავალს: ყველა ეს თავგადასავალი ერთმანეთს ჰგავს, - ერთი სულითაა გაჟღენთილი, მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ახალს მე ვერაფერს გეტყვით, რადგან თქვენ კი არა, სოფლელი დედაკაცებიც მოხერხებულად ხმარობენ სიტყვებს: ,,ტაქტიკა“, ,,შეტევა“, ,,კონტრშეტევა“ და სხვა (სწადგურზე მოვკარი ყური იმათ საუბარს).

მძიმე დღეები გადავიატნეთ და მრავალი გაჭირვება გამოვცადეთ. ხელში ლანცეტით საოპერაციო მაგიდასთან ხშირად შემომთენებია. დღესასწაული იყო ჩემთვის, თუ ვისმეს ვიხსნიდი სიკვდილის ცივი კლანჭებისაგან, მაგრამ ამავე დროს, თუ რომელიმე ჩემი პაციენტი მოკვდებოდა, მთელი დღე ჭკუაზე არ ვიყავი, გაბრუებული დავდიოდი და ვწყევლიდი ჩემს უძლურებას. სიკვდილი კი არც თუ ისე იშვიათი სტუმარი იყო.

და აი, ხშირად მოუყვანიათ ჰოსპიტალში დაჭრილი. მძიმე ჭრილობის მუხედავად უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა ვაჟკაცი, გონწასული გამოიყვანეს ცეცხლის ხაზიდან, მოიყვანეს ჩემთან, რომ რამე ვუშველო, - მე კი მთელი ჩემი ცოდნით უძლური აღმოვჩნდი სიკვდილთან ბრძოლაში. საშინელი წუთები მქონდა ხოლმე ამ დროს და მე ხშირად დავფიქრებულვარ რომელიმე მომაკვდავის საწოლთან: აი, კვდება ჩემს წინ ვაჟკაცი, ჩემივე მსგავსი ადამიანი, ხელში მიჭირავს ისეთივე ხელი, როგორიც მე მაქვს და თანდათან მიქრება თითებიდან პულსის შეგრძნება. შეიძლება მეც ეს დღე მომელოდეს ხვალ, იმიტომ, რომ მეც ადამიანი ვარ, იმიტომ, რომ ჩემს ირგვლივ იღუპებიან ადამიანები, მაგრამ მე ეს არ მაშინებს. აქ პირადზე არავინ ფიქრობს, რადგან ყოველი ჩვენთაგანი ერთი ატომია იმ დიდი ორგანიზმისა, რომელსაც სამშობლოს დამცველი არმია ეწოდება.

დიახ, არც თუ ისე იშვიათი იყო იქ სიკვდილი. მაგრამ არ იყო ის გულისწამღები მოთქმა და ზარი, რომლითაც ჩვენი სოფლის დედაკაცები მიაცილებენ ხოლმე მიცვალებულს.

იყო მხოლოდ საფლავზე წარმოთქმული ფიცი, ჯიუტი და დაურღვეველი, - ფიცი სამაგიეროს გადახდევინებისა. თუმცა სიკვდილი იყო იქაც და აქაც, მაგრამ განსხვავება მათ შორის ერთია: იქ, ფრონტზე, სიკვდილი ხშირია, აქ კი იშვიათი. ყველაფერს შეჩვევა სცოდნია, - თვით სიკვდილსაც!

და აი, მე გიამბობთ ერთი ვაჟკაცის დაღუპვის ამბავს, რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა მაშინ რა ვიცოდი, რომ სწორედ ამ მომაკვდავის მთრთოლვარე ხელმა გადაშალა ჩემი ცხოვრების ერთი ფურცელი.

პატარა ქალაქს, სადაც ჩვენი ჰოსპიტალი იმყოფებოდა, გერმანელები უახლოვდებოდნენ. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მათი შემოჭრა ქალაქში. გასამაგრებლად ხელსაყრელი ადგილი არსად იყო და ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. მეც ბრძანება მივიღე ჩემი საველე ჰოსპიტალი სხვაგან გადამეტანა. დილიდანვე საქმეს შევუდექით: ვტვირთავდით დაჭრილებით მანქანებს და ვგზავნიდით ზურგში. პირველად მძიმედ დაჭრილები გავისტუმრეთ, შემდეგ უფრო მსუბუქი, მორჩენამდე მისული მებრძოლები და თანდათან დაცარიელდა პატარა სახლი, რომელზედაც ჯერ ისევ შემორჩენილიყო წარწერა ,,საბავშვო ბაღი №3“, როგორც მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრების საყვედური და მოწოდება ამ ბედნიერების აღსადგენად. შორიდან ბრძოლის ყრუ გუგუნი ისმოდა, თითქოს ვულკანური დარტყმა ატოკებდა მიწას...

უკანასკნელი მანქანა დაბინდებისას გავისტუმრე. საბარგულზე აზობღდნენ თითქმის მორჩენილი ჩემი პაციენტები. მათ შორის ერთი წითელარმიელი ერია, გვარად შიშოვი, რომელსაც მეტსახელად ,,საროკას“ ეძახდნენ. მართლაც კაჭკაჭივით ბევრი ლაპარაკი იცოდა და განუწყვეტლივ ხუმრობა. სიცილისათვის ყველას უყვარდა. მანქანაზე ასვლის წინ ცოტა ხანს შეჩერდა და გამომეჭიმა.

-ამხანაგო ჰოსპიტლის უფროსო, სამედიცინო სამსახურის კაპიტანო, პატივცემულო ექიმო, - ნოდარ დავიდოვიჩ! გთხოვთ გამწეროთ ჰოსპიტალიდან, რადგან თქვენი წყალობით, უკვე იმდენად მომირჩა ფეხი, რომ შევძლებ ერთ გერმანელს მაინც ამოვარტყა პანღური.

მანქანაზე სიცილი გაისმა. მინდოდა მკაცრი სახე მეჩვენებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე და გამეცინა.

-მე ვიცი, როდის უნდა გაგწეროთ! ეხლა კი ადით მანქანაზე, თუ თქვენ თვითონ არ მოგდომებიათ პანღური.

-ერთი პირობით ავალ მანქანაზე: თქვენმა ლამაზმა ექთანებმა შუაში უნდა ჩამისვან. დუსია, - მიუბრუნდა საოპერაციოში მომუშავე ექთანს, - ნება მომეცით, თქვენს გასტერილებულ ხელებს ვეამბორო.

მანქანა დაიძრა და კარგახანს მესმოდა შორიდან დუსიას კაპასი ხმა, „საროკას" როხროხი, ექთანების კისკისი და დაჭრილების ხარხარი.

ის იყო მეც გამგზავრებას ვაპირებდი, რომ ეზოში შემოსულმა, დაქანცულმა წითელარმიელმა ზურგზე აკიდებული, მძიმედ დაჭრილი ლეიტენანტი ხვნეშით შემოიტანა და ბალახზე ფრთხილად დააწვინა. წითელარმიელს შუბლიდან სისხლი მოჟონავდა და , როცა ეს შევნიშნე, მან ფართე ხელისგული შუბლზე მოისვა, მერე სისხლით შესვრილ ხელს დახედა და „არაფერია, გაკაწრულიაო", - გულგრილად სთქვა. შემდეგ მძიმედ ამოისუნთქა და დაუმატა:

-ძალიან გთხოვთ მეც და ყველა ჩვენი მებრძოლი, რომ როგორმე ეს გადაგვირჩინოთ. ძალიან კარგი ბიჭია, ცოდვაა მაგის დაღუპვა, - და მოღლილი ნაბიჯებით გაეშურა ეზოდან იქითკენ, სადაც სამშობლო ეძახდა, სადაც სიკვდილი ყეფდა ყუმბარების ხმით.

დაჭრილი მე და ჩემთან დარჩენილმა ერთადერთმა სანიტარმა გაჭირვებით შევიტანეთ დაცარიელებულ საოპერაციო ოთახში და მაგიდაზე დავაწვინეთ. ჭრილობის გასინჯვამ დამარწმუნა, რომ მდგომარეობა უნუგეშო იყო. ყუმბარის ნამსხვრევს მარცხენა გვერდი შეენგრია მისთვის. უამრავი სისხლი დაეკარგა, რომლის დენა ვერ შეეჩერებინა ვერც ინდივიდუალურ პაკეტს და ვერც დახეულ პერანგისაგან მომზადებულ სახელდახელო ნახვევს. გადამტვრეულ ფეხზე განგრენოზული მდგომარეობა დაწყებულიყო და ცეანოზი მოსდებოდა სხეულს. გზაში თრევას კიდევ უფრო დაესუსტებინა ისედაც უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი. მისთვის ოპერაცია ზედმეტი წამება იქნებოდა, თუმცა საამისოდ არც მედიკამენტები გამაჩნდა.

და წევს ჩემს წინ ახოვანი ვაჟკაცი. ვხედავ, როგორ იბუდებს ყვითელი სიკვდილი მის კუთხოვან, თავისებურად ლამაზ სახის ყოველ უჯრედში. ხანგამოშვებით უთრთის ფართე ცხვირის ნესტოები და კუნთები. მაგიდაზე

დაგდებული ხელი ძალუმად ჭმუჭნის საღამოს ბინდშერეულ ჰაერს. იბრძვის მის სხეულში სიცოცხლის უკანასკნელი ნამცეცი და მე კი უძლური ვარ, რომ მივეშველო ამ ახოვან მამაკაცს სიკვდილთან განწირულებით ბრძოლაში.

იძულებული ვარ გულისტკენით ვაღიარო ჩვენი დამარცხება, აღარ შემიძლია ვუცქირო ვაჟკაცის აგონიას და გამოღებულ ფანჯარასთან მივდივარ.

გარეთ გაზაფხულია, მაგრამ სადღა გავს იგი ჩემს მიერ ნახულ სხვა ოცდასამ გაზაფხულს. შორს, შეფოთლებაზე იმედდაკარგული, შერუჯული ხეები საცოდავად გამოიყურებიან. ზანტად დაბორიალებს ნიავი, რადგან მისი მსუბუქი ფრთები კვამლის და დენთის სუნითაა გაჟღენთილი და დამძიმებული. ყველას და ყველაფერს დავიწყებია წლის ეს ულამაზესი დრო. მხოლოდ ერთადერთი ნუში ყვავის ფანჯარასთან, თითქოს მას მაინც უნდა გაზაფხული ახაროს სისხლის- ღვრაში გართულ, მოუცლელ ადამიანებს. ანაზდად საქართველო მომაგონდა - ეს ულამაზესი კუთხე ჩვენი ქვეყნისა და ოცნებაში წასულმა გონებამ გადამიშალა თვალწინ აყვავებული ბაღ-მინდვრების მომხიბლავი სურათები.

უცებ დაისტვინა გზადაბნეულმა ტყვიამ და გამომაფხიზლა. ნუშს აყვავებული ტოტი დაჭრილ მკლავივით ტკაცანით ჩამოეკიდა. ბრაზმა ამიტანა. შემეცოდა ნუში... შემეცოდა ტყვიებისაგან დაცხრილული ლამაზი გაზაფხული... და... მაგიდაზე დაწოლილი ვაჟკაცი, რომლის გული სიცოცხლის უკანასკნელ წამებს სუსტი ართოლვით ითვლიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაჭრილმა უკანასკნელად გაახილა სიკვდილისაგან დანისლული თვალები და ირგვლივ მიმოიხედა. მისი თვალთა მზერა წყვილ, გზადაკარგულ მერცხალივით გაფრინდა ოთახში და ირგვლივ შემოუარა კედლებს. მერე დაჟინებით მიაშტერდა ერთ წერტილს... უმწეო ბავშვივით გაღიმებას ეცადა საყვარელ ადამიანთა ჩვენების დანახვისას და ხრიალშერეული ჩურჩულით წარმოთქვა:

-ლენა... ბორია... - და სამუდამოდ დადუმდა.

მე და ჩემი სანიტარი კარგა ხანს ვდუმდით დამწუხრებულები; შემდეგ მან ფრთხილად გაუხსნა ჯიბე მიცვალებულს და იქიდან ამოღებული საბუთები მომაწოდა. გარდაცვლილი სოფელ ვოროზიოვის მცხოვრები აღმოჩნდა. „ნიკოლაი კოზლოვ“, - წავიკითხე ხმამაღლა, რომ იქნებ საკუთარი ხმის ბგერებით დამეფრთხო მოწოლილი სევდა, რომელსაც საღამოს ბინდი და ახოვანი ლეიტენანტის გვამის

მეზობლობა ჰბადებდა, მაგრამ ჩემმა ხმამ სამგლოვიარო ზარივით ჩამორეკა და, მით უფრო, უხერხულობაში ჩამაგდო მისმა ნაძალადევობამ.

საბუთებში ფოტოსურათი ვიპოვნე, ხელში ავიღე და გულდასმით თვალიერება დავუწყე. სურათიდან ამაყი სახის მომხიბლავი ქალი და მშვენიერი პატარა ბიჭუნა ღიმილით მიცქეროდნენ (ბედნიერების დროს გადაღებულ სურათს ბედნიერების ღიმილი შემოენახა). „ესენი, ალბათ, გარდაცვლილის ცოლი და შვილია“ - გავიფიქრე და თითქოს ისევ მომესმა ხრიალ-შერეული ჩურჩულით წარმოთქმული ორი სახელი... და გამაოცა ამ ღიმილმა სურათზე. იგი სრულიად უადგილო იყო აქ, მათთვის უახლოესი ადამიანის გვამის გვერდით, და აღელვებულმა სურათი ჯიბეში ჩავიდე. წარმომიდგა ახლადშექმნილი ოჯახის დანგრეული სიტკბოება, შემებრალა ახლგაზრდა ცოლი, დაობლებული ბიჭუნა და დამებადა მათდამი გამოუცნობი გრძნობა, აუხსნელი სიმპატია, რომელსაც სხვისი მწუხარება ჰბადებს.

მაგრამ ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო, ღამდებოდა. არტილერიის ზალპი ატოკებდა მიწას ვულკანურ დარტყმასავით. ჩემმა სანიტარმა, გრიშუხამ, სადღაც ძველი ბარი გამოსძებნა და გაჭირვებით, რიგირიგობით ვთხრიდით საფლავს ჩემი საყვარელი ნუშის ძირას. საკმაოდ ბნელოდა, როცა გვამი მიწას მივაბარეთ და თითქო მოვალეობამოხდილები ჩემს ეტლიან მოტოციკლეტზე მოვთავსდით. კიდევ ერთხელ შევავლე თვალი ახლად დაყრილ მიწას, რომელიც შესაძლებლობისდაგვარად მოვასწორეთ, რომ შეუმჩნეველი ყოფილიყო. გამოთხოვების ნიშნად შევათვალიერე ეს ოდნავშესამჩნევი გორაკი, ტოტმოტეხილი ნუშის ხე, რომელიც დაცხრილულ გაზაფხულის სიმბოლოდ ირხეოდა და დაღუპულ მეომრის საფლავზე. წარწერა არ დაგვიტოვებია, რომ გერმანელებს საფლავიდან არ ამოეგდოთ მკვდარი. დარჩა მხოლოდ ხე, რომელიც სპეტაკ ყვავილთა ბაგეებით ჩურჩულით მოგვიწოდებდა შურისძიებისაკენ.

დილით უხიფათოდ მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. საბუთები შტაბში გადავგზავნე, ხოლო სურათი კი მე დავიტოვე, ან კი ვის რად უნდოდა იგი?! დავიტოვე განცდილის სამახსოვროდ.

ამ სურათზე ვნახე პირველად ეს ბავშვი, რომელმაც თქვენ ასე დაგაინტერესათ, - სთქვა მან და ღია კოლოფიდან ამოღებული პაპიროსი დაფიქრებულმა ზანტად ჩაიდო პირში.

თავი მეორე

მატარებელი შეტოკდა, თითქოს უჩინარმა ხელმა უკანიდან მძლავრად დასწიაო, შემდეგ სვლას უკლო და რომელიღაც სადგურში გაჩერდა. ფანჯარაში შემოიჭრა მომლოდინე მგზავრების ხმაური. დროდადრო გამოირჩეოდა ხმამაღლა დაძახილი, რომელიმე სახელი, რომელიც შემდეგ საერთო ღრიანცელს უერთდებოდა. პარალელურ ლიანდაგზე მძლავრად ხვნეშოდა გამურული ორთქლმავალი ბრძოლისაგან დაღლილ ურჩხულივით და ნესტიან მიწას უერთებდა თავის ორთქლიან ამონასუნთქს. რონოდის კიბეებისაკენ ფაციფუცით გარბოდნენ სოფლელი დედაკაცების სილუეტები. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. ელმავალმა დაიზმუვლა მოზვერივით და მატარებელი დაიძრა. ისევ შემოიხედა კუპეში სადგურის შენობამ ელნათურის ბრიალა თვალებით და გაშლილ ველზე გავედით.

ნოდარმა რამდენჯერმე ხარბათ შეისუნთქა თეთრი, ბამბის ქულასავით დახვეული თამბაქოს კვამლის ბოლქვები და განაგრძო:

-სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სურათი ვიპოვე. რამდენი რამ გადავიტანე ამ სამ თვეში. მხოლოდ ერთხელ დავიჭერი მსუბუქად და ერთი კვირით მოვწყდი ჩემს მოვალეობას. შემდეგ ისევ ჰოსპიტალი, საოპერაციო ოთახი, მუშაობა, გასისხლიანებული სხეულები, ხვეწნა, რომ იქნებ შევარჩინოთ დაჭრილს ხელი ან ფეხი და ამპუტაციას ავაშოროთ და სხვა. ერთი სიტყვით, - ვიბრძოდით. ვიბრძოდი თოფით და ლანცეტით. ვიბრძოდით მტერთან, ადამიანებთან, მათ მოსაკლავად და ვიბმოდი სიკვდითნ ადამიანების გადასარჩნად. დრო კი მიიპარებოდა ბრძოლის ხმაურისაგან დამფრთხალივით.

აგვისტოს პირველი რიცხვები იყო. სულ ახლოს ვიყავით ცეცხლის ხაზთან. იმდენად ახლოს, რომ მკაფიოდ ვარჩევდი ზარბაზნების დაღებულ ხახებს, რომლებიც შეტოკებით ახველებდნენ ცეცხლსა და კვამლის ბოლქვებს. ერთ საღამოს გერმანელებმა შემოგვიტიეს. მტრის არტილერია გამალებით ბომბავდა ქალაქსა და ჩვენს პოზიციებს. არტილერიას საჰაერო თავდასხმები მოჰყვა. სტვენით მოდიოდნენ ყუმბარები და გამაყრუებელი ხმაურით სკდებოდნენ. მტერი მარჯვენა ფლანგის გარღვევას ეცადა, მაგრამ უშედეგოდ. სარდლობისაგან ადგილის გამოცვლის სასწრაფო ბრძანება მივიღე. გადაადგილების თადარიგში გართული გულმოდგინედ ვადევნებდი თვალს ჩვენი ჯარის მოძრაობას. უკან დაიხია წითელი ჯარის ნაწილმა.

მხნედ მოდიოდნენ ჯარისკაცები. ეს, ეტყობა, უბრალო პოზიციის დატოვება არ იყო. გვერდით ჩამოგვიარეს მწყობრი ნაბიჯით არმიელებმა, რომელთაც ეტყობოდათ ბრძოლაში მონაწილეობა ჯერ კიდევ არ მიეღოთ.

ჰოსპიტლის უკან, გორაკზე, გამალებული მუშაობა იყო. ფერდობზე ცხენები რამდენიმე ზარბაზანს მიაგორებდნენ, რომელთა გარშემო ფუსფუსებდნენ ჯარისკაცები: ეტყობოდა საცეცხლე წერტს ამზადებდნენ.

ჩემი სანიტარი გრიშუხა თავის ფართე სახეზე ბრძნულ გამომეტყველებას ისახავდა, ბერავდა საოცრად მოძრავ ცხვირის ნესტოებს და თვალების პარპალით ამბობდა:

-აი, ნახეთ რა მოხდეს, ნოდარ დავიდოვიჩ! გერმანელები ალყას აპირებდნენ, მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა, როგორც სჩანს, გადაასწრეს და ახლა ზურგიდან დაარტყამენ მტერს. ნახეთ, თუ ფრიცები თვითონ არ მოექცნენ „ქვაბში“ - მე ყურს მოვიჭრი... - და ისე გულდაგულ შეიგინებოდა ხოლმე, რომ თითქოს ამით თვითონ აკეთებდა მნიშვნელოვან სამხედრო მანევრს.

-ლაყბობას თავი დაანებე, გრიშუხა! თორემ თუ დაგაგვიანდა გერმანელებს ჩავუვარდებით სადმე და მაშინ ყურების მოჭრაზე შენ არ შეწუხდები, ისინი თვითონ დაგაჭრიან, - ვუთხარი ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა.

პასუხად მან კიდევ შეუკურთხა გერმანელებს მადიანად. და მედიკამენტების უკანასკნელი ყუთი, დაძარღვული შიშველი მკლავების მოქნევით, მოხერხებულად შეაცურა საბარგულზე. გემის კაპიტანივით, უკანასკნელმა დავტოვე ჩემი საბრძოლო ვახტანგი. მთელი პერსონალი და დაჭრილები ორი საათით ადრე გავიდნენ ქალაქიდან. ჩემთან მხოლოდ გრიშუხა დარჩა, რომელიც არასოდეს არ მცილდებოდა და მუდამ თან მახლდა.

რამდენიმე ხანს ჩუმად მივდიოდით. მივდიოდით კი არა, თითქოს მივცურავდით მდორე, გარინდებულ ღამის სიბნელეში. სდუმდნენ ნიავთან დაუბრებული ხის ფოთლები; გაურკვევლი იდუმალება, დაგვეუფლა ჩვენც. იდუმალება, რომელიც ხმის ამოღების საშუალებას არ გვაძლევდა. ეძინა ღამეს მოდუნებულს, ველზე გაწოლილს, სიჩუმეს მხოლოდ ჩემი მოტოციკლეტის მექანიზირებული გულის ფეთქვა არღვევდა.

კარგახანს ვიარეთ ასე. მე არ ვიცი რამდენი გავიარეთ, მაგრამ უკვე მეშინოდა, - გზა ხომ არ ამერია - მეთქი. მოსახვევში გზა ორად იყოფოდა. გორაკზე გადმომდგარი

მთვარის შუქზე გზატკეცილი თასმასავით მოსჩანდა, რომელიც მინდორს გადაჭერილი ჰქონდა ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით. მარჯვნივ გზაჯვარედინზე ადამიანთა სილუეტები შევამჩნიე და სვლა შევანელე. „ნეტავ ვინ არიან, ჩვენები თუ გერმანელები“, - ვფიქრობ და თავს ვიკავებ, რომ ფარი არ მივანათო, რომელიც ამდენ ხანს სიფრთხილისათვის ჩამქრალი მქონდა.

Halt, wer kommt! - მომსმა თითქოს პასუხად. საჭე მაშინვე მარჯვნივ მივატრიალე და მანქანა მთელი სისწრაფით მივუშვი. ბორბლებთან ავტომატის ჯერმა მტვრიანი მრავალწერტილი გაავლო.

სტვენით გადაგვიფრინეს და გვერდით ჩაგვიქროლეს აკაპასებულმა ტყვიებმა. ალალბედზე გვესროდნენ, მაგრამ გზადაბნეულ ტყვიის რიდით მოტორს გავეკარი. გრიშუხასაც მოეკეცა ფართე ბეჭები და მსხვილი კისერი მხრებში ჩაეძვრინა. ასე მივქროდით კარგა ხანს ყუმბარებისგან დახნულ შარაზე. ბოლოს, მოსახვევში სოფელი გამოჩნდა.

„სად ვართ“? -გაბრუებამდე ძალას ვატან გონებას, რომ გამოვიცნო, მაგრამ ვერ შემიგნია. ვინ არის სოფელში? ვინ დაგვიხვდება, მტერი თუ მამულიშვილები? თათებგაშლილი ობობას მსგავსი სისხლმოწყურებული სვასტიკა თუ მანათობელი ვარსკვლავი?

ნელა ვუახლოვდებით სოფელს. მოტორი ბენზინის უკანასკნელ წვეთებს სვამს და ხროტინებს სულთმობრძავივით. ცის კიდეს განთადი ეპარება. ცვილივით დნება ჩვენს ირგვლივ ღამის სიშავე, ფერმკრთალდება. ვათვალიერებ სოფელს: კარგა მოზრდილი ჩანს. განთიადის ნისლში აქა იქ ნახშირის გროვაში დგანან დაფერდებული ბოძები, თითქოს სასიკვდილოდ განწირულებს გაქცევა უნდოდათ. სოფელი თავის ნასახლარებით დილის ნაცრისფერ ბურუსში სასაფლაოს ჰგავს, რომელსაც ძველი ეკლესიის სამრეკლოზე მიმაგრებული სვასტიკიანი დროშა ყორანივით დაჰფარფატებს.

ეხლა რა ვქნათ? შეიძლება ვინმეს შევაფაროთ თავი, მაგრამ ვის ენდობი? რომც შევაფაროთ ვინმეს, მოტოციკლეტს, ამ ჩემს საყვარელ მანქანას რა ვუყო? ხომ შეამჩნევენ? სად დავმალო? - ჩემს ფიქრებს გრიშუხას ვუზიარებ.

-რა ვქნათ? თუ სხვა გზა არ გვექნება, მოვკვდეთ, - გულგრილად ამბობს იგი, - მოვკვდეთ, მაგრამ არ დავნებდეთ...

გზაზე ფეხის ხმა ისმის. ხელი გავუშვით მანქანას, რომლის გადათრევას ვაპირებდით გზიდან. გრიშუხას ავტომატი აქვს და ორი ხელის ყუმბარა, მე რევოლვერი მეტი არაფერი გამაჩნდა.

-მაშ, მოვკვდეთ! - ვამბობ მტკიცედ და ორივე მოტოციკლეტს ვეფარებით მიწაზე გაწოლილები.

გერმანულად შეძახილი გაისმა. პატარა რაზმი, ხუთიოდე კაცის შემადგენლობით, შეჩერდა. სანამ გამოერკვეოდნენ, გრიშუხას ავოტომატის ჯერ სამი მათგანი ძირს დასცა. ორნი მიწაზე გაწვნენ და დაბნეულებმა უთავბოლო სროლა აგვიტეხეს. გრიშუხას ხელით ვანიშნე და მან სროლა შეაჩერა- მიზნის გარეშე ტყვიები უნდა დაგვეზოგა. გერმანელებმა შესწყვიტეს სროლა და ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ სოფლიდან ხმაური მოისმა: ეტყობა მიაქციეს სროლას ყურადღება. გზაზე მოტორის გუგუნი გავიგონეთ. გამოჩნდა სამხედრო სამხედრო მანქანა, რომელზედაც ორ წყებად ისხდნენ ჯარისკაცები.

გაშალა გრიშუხამ ღონიერი, კუნთმაგარი მკლავი და ხელის ყუმბარა მანქანის წინ ბორბლებს შორის დაეცა. იქუხა აფეთქების ხმამ, ელვასავით გამოკრთა ცეცხლი და მტვერმა და კვამლმა წუთით ყველაფერი დაფარა. როცა კვამლი გაიშალა, გვერდზე გადაწოლილი ავტომანქანა დავლანდე: წინა ბორბლები და კაბინა მოღრეცილი ჰქონდა. ირგვლივ რამოდენიმე კაცის გვამი ეგდო. გადარჩენილები ხტებოდნენ მანქანიდან და მიწაზე წვებოდნენ ხელახალი აფეთქების რიდით. პირველ ყუმბარას მეორე მიაყოლა სანიტარმა და ისევ გრუხუნი, ყვირილი და ლანძღვა გაისმა საპასუხოდ.

ჩვენი არტილერიული მარაგი უკვე ამოწურული იყო. სოფელში საგანგაშო საყვირის ხმა გაისმა. გერმანელებმა ავტომატები აამუშავეს. კაპასად წიოდნენ ტყვიები ჰაერში, ხვდებოდნენ ჩემს მოტოციკლეტს და მენანებოდა შტაბის მიერ ჩემთვის ნაჩუქარი მანქანა.

ჩემი დუმილით გათამამებულმა ერთმა გერმანელმა წამოსწია თავი და რევოლვერის ტყვიით სამუდამოდ დავაწვინე იქვე. მერე საიდანღაც სტვენა გაისმა და აფეთქებამ გამაყრუა. კვამლისა და ცეცხლის ტალღებში გავეხვიეთ. მხარში მძლავრი დაჯახება ვიგრძენი და მოთენთილობა აღოღდა მთელ სხეულში, რომელიც სუნთქვას მიკრავდა და გულს მირევდა. რომ გამოვფხიზლდი, ჩემი მოტოციკლეტის ადგილას ნამსხვრევები ეყარა. იქვე უმოძრაოდ ეგდო ადამიანის სხეულის უფორმო მასა: აი, რა

დარჩა ჩემი გმირი, მკლავმაგარი სანიტარისგან.ქავილისმაგვარ მტკივნეულ სისუსტეს ვგრძნობ ტანში, ტკივილი მაცოფებს და გონებას მიკარგავს... გაბოროტებამ შემიპყრო... ყიჟინა მომესმა გზიდან და დავინახე ჩვენსკენ გამოქცეული მძიმე ფეხსაცმლიანი ფეხთა წყვილები. ბორგავდა სიგიჟე ჩემს უძლურ სხეულში. მინდოდა წამომხტარვიყავი და კბილებით დამეგლიჯა ყველა, როგორც გააფთრებულ მხეცს. მოვიკრიფე უკანასკნელი ღონე, ავწიე რევოლვერი და ასახლეტს ზედიზედ დავაჭირე ძალუმად თითი, მერე ისევ დამეპატრონა ქავილის მაგვარი სისუსტე და ძირს დავეშვი... ვხედავდი მძიმე ფეხსაცმელების წყვილებს, რომლებიც ჩემსკენ მოისწრაფოდნენ, იზრდებოდნენ, სივდებოდნენ, ტვინზე მაჭერდნენ და განუზომელ ტკივილებს მაყენებდნენ... ვიგრძენი როგორ შეეხო ჩემი ლოყა მტვერს და მიწას... დავინახე სიკვდილი, ყვითელი სიკვდილი, რომელიც მძიმე გერმანული ფეხსაცმელების გამაყრუებელი ხმაურით მოაბიჯებდა... შემდეგ მის ფეხებზე ეს ფეხსაცმელები უზარმაზარ კუბოებად გადაიქცნენ და გასრესას მიქადდენ. გამოცურდა საიდანღაც შავი, ფორეჯებიანი ნისლი და მომეჩვენა თითქოს ამ ნისლის ზღვაში ვეშვებოდი სადღაც თვალმიუწვდომ სიღრმეზე, ვეშვებოდი უზარმაზარ ფეხსაცმელის კუბოში ჩაწოლილი მანამდე, სანამ ყველაფერი საბოლოოდ არ დაბნელდა...

ვერ შემეგნო, რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში. დრო კი თურმე მიდიოდა ჩემს გარშემო ისე, რომ მე არ შემხებია. ერთ თვემდე გასულიყო და რომ გამოვფხიზლდი, მეგონა ეს ყველაფერი რამდენიმე წუთის წინ მოხდა მეთქი. (უთუოდ, ადამიანი რომ გაიღვიძებდეს სიკვდილის შემდეგ, განვლილი საუკუნეები ერთ დღედ მოეჩვენება). პირველად დასუსტებულ ტვინში მტკივნეულად შემეპარა ოდნავი ცნობიერება. მომეჩვენა, თითქოს, ტვინი რაღაც სქელ, მღვრიე სითხეში დასცურავდა. თანდათან შემეპარა სინათლე გონებაში და თვალების გახელა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელ, - საშინლად მძიმე იყო ქუთუთოები, მე კი ღონე არ მყოფნიდა მათ ასაწევად. ვცადე ხლმეორედ და ოდნავ შეინძრენ მძიმე სარქველები ჩემს თვალებზე და ამჯერად ჩემს ცდას მხირული შეძახილი მოჰყვა, რომელიც სმენას მკაფიოდ მისწვდა. ამან თითქოს მიშველა; მომეცა ღონე და ერთმანეთს შეწებებული წამწამები ძალით გავგლიჯე. უაზროდ მიმოვიხედე, მაგრამ ჯერ ვერაფერი დავინახე. შემდეგ თანდათან დადნა ჩემს თვალებზე ფორეჯებიანი ნისლი. ამოცურდნენ საგნები,

გავარჩიე პატარა სუფთა ოთახი, რომელსაც ეტყობა საკუჭნაოდ ხმარობდნენ. დავინახე ჩემს საწოლთან დახრილი ამაყი სახის ქალი და ბიჭუნა, რომელიც პატარა თათებით ტაშს უკრავდა და მხიარულად „ვაშას" გაიძახოდა.

პირველად ვერ გავარკვიე ვინ იყვნენ ისინი, თუმცა ორივე სახე საოცრად ნაცნობი მეჩვენა. მერე თანდათან მომაგონდა. გაოცებით შევაჩერდი ქალს და ხელი ინსტიქტურად წავიღე იქითკენ, სადაც ჯიბეში ჩადებული სურათი მეგულებოდა, მაგრამ უძლური ხელის ოდნავ დაძვრა მოვახერხე მხოლოდ ადგილიდან.

-დამშვიდდით, ჩემო მეგობარო, - ტკბილად მითხრა ქალმა, როცა აღელვება შემატყო, - თქვენ სუსტად ხართ და ლაპარაკი გაწყენთ. მეც ბევრი რამე მინდა გკითხოთ, მაგრამ ახლა არ შეიძლება. უხმოდ დავემორჩილე პატარა ბავშვივით. თვალები დავხუჭე და ისევ ბურანმა წამიღო, მაგრამ ეს უკვე სხვა ბურანი იყო, - ეს ძილი იყო, რომელსაც დასუსტებული ორგანიზმი მოითხოვდა ძალღონის აღსადგენად.

თავი მესამე

ჩემი თანამგზავრი შეჩერდა და, დაფიქრებულმა, მზერა ფანჯრის ჩარჩოში ჩასმულ ცის ოთხკუთხედს მიაპყრო. ცაზე ღამურასფერი ღრუბლები გაწოლილიყო, რომელიც შემდეგ გაიშალა, თანდათან ზღაპრულ ურჩხულს დაემსგავსა და გაწვდილი თათით ნამგალა მთვარე ოქროს ყანწივით აიღო თითქოს. მატარებელი კი მიჰქროდა. ფრთხიალებდა სარკმელთან პატარა ფარდა თეთრ მტრედივით და მინდორზე ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ რონოდების ფანჯრებიდან გატყორცნილი სინათლის რაშები.

-ეს პერიოდი დიდი გარდატეხის პერიოდი იყო, -განაგრძო ნოდარმა, როცა თვალები ფანჯარას მოსწყვიტა, -ეს ის დრო იყო, როცა შესწყდა გერმანული ჯარების წინსვლა, როცა ჰიტლერის ავანგარდი ტყუილად იმტვრევდა კბილებს სტალინგრადის და კავკასიონის ბჭეებზე, - ამ დროს არიერგარდში თავს არხეინად გრძნობდნენ. დაპყრობილ რაიონებში დაპარპაშებდნენ გამარჯვებაში დარწმუნებული გერმანელები, ლოთობდნენ, გარყვნილებასა და სიკვდილს, ძალადობასა და სიმშილს სთესავდნენ. ამ დროს აღმოვჩნდი მე მათ შორის და შესაძლებლობა მქონდა საკუთარი თვალით მენახა ყოველივე, მაგრამ, ძალიანაც რომ

მოვინდომო, ვერც შევძლებ ყველა ის მოგითხროთ, რაც ვნახე.

როცა გამომეღვიძა და ყველაფერი მომაგონდა, გული მეტკინა. გამახსენდა გმირი გრიშუხა, წყნარი და გულმართალი ბიჭი, რომელიც ყველას ეხვეწებოდა მისთვის მოტოციკლეტის მართვა ესწავლებინათ. ბუნდოვნად მომაგონდა ბრძოლის ეპიზოდი, შემდეგ გამოფხიზლება, და ვერაფრით ვერ მომეფიქრებინა, როგორ გავჩნდი აქ.

„ცხადია ვორობიოვოში ვარ. ეს სოფელი, რომელსაც გზადაბნეულები მოვადექით, ვორობიოვო ყოფილა, მაგრამ ამ სახლში როგორ აღმოვჩნდი? როგორ მოვხვდი ამ ხალხთან? ეს ხომ ისინი არიან, ვისი სურათიც უმიზნოდ დამქონდა ამ სამი თავის განმავლობაში. ეს ხომ ის სახეებია, რომელთა ბედნიერმა ღიმილმა ასე ამაღელვა მათთვის უახლოესი ადამიანის სიკვდილის დროს!" - ვფიქრობ განუწყვეტივ, მაგრამ პასუხი ვერ მიპოვია საკუთარ კითხვებზე.

მოუთმენლად ველოდები ჩემი დიასახლისის ნახვას, მაგარმ ეს მოუთმენლობა არ იყო მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილით გამოწვეული. ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ მიზიდავდა ეს ქალი განუზომელად. მიზიდავდა დღიდან მისი სურათის ნახვისა. მაშინ ნაგრძნობი აუხსნელი სიმპატია, რომელსაც სხვისი მწუხარება იწვევს ჩვენში დამწუხრებულისადმი, მადლობის გრძნობაში გადაიზარდა, გაიშალა და მაგრძნობინა რაღაც ტკბილი, მშობლიური, ამ ადამიანისადმი.

მასზე ფიქრებით ვიყავი გართული, როცა ის ფრთხილად შემოვიდა ოთახში. გამოღვიძებული რომ მნახა, თამამად მომიახლოვდა და ტემპერატურის გასაგებად შუბლზე ხელი დამადო. ო, ეს ხელის შეხება... მან თითქოს კვლავ ჩაღვარა ჩემში სიცოცხლის ძალა. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემს საწოლთან ვხედავდი ამ მზრუნველ ადამიანს, ასეთ მომხიბლავს და ჰაეროვანს. მაპატიეთ, რომ ასეთი ნაზი ფერებით ვხატავ მას, ლირიკოს პოეტივით, მაგრამ მე მართლაც ასეთი მეჩვენა იგი-მომხიბავი და ჰაეროვანი. პატარა ოთახში საღამოს ნისლი თრთოდა. დღე უკვე ილეოდა. ფანჯრიდან შემოსულ სუსტ სინათლეს ღონე ეცლებოდა და მისი სახის ფერმკრთალ კანს თითქოს მოელვარე თვალთა გუგები აშუქებდნენ რაღაც იდუმალი, სევდიანი ციალით. შევცქეროდი რამდენიმე ხანს მის დაფიქრებულ სახეს, დიდხანს, დიდხანს მინდოდა მქონოდა შუბლზე ეს პატარა, მაგრამ ყოვლისშემძლე ხელი, ექსტაზში წასულს მეჩურჩულა რაღაც ტკბილი, სასიამოვნო და თავბრუდამხვევი. ან ლექსი

დამეწერა, შეყვარებულ მოწაფე ბიჭივით.

-თავს როგორ გრძნობთ, ჩემო მეგობარო? - შემეკითხა ის. მის ხმაში ნაღვლიანი სიმი ჟღერდა.

-გმადლობთ, უკეთესად ვარ, გაცილებით უკეთესად, - რატომღაც გატაცებით წამოვიძახე ეს უმნიშვნელო სიტყვები.

-მაშ, მითხარით, მიპასუხეთ იმ კითხვაზე, რომელიც მე თქვენი გამოჩენის დღიდან მაწუხებს: საიდან გაჩნდა თქვენთან ჩემი და ბორიას სურათი? ეს სურათი ხომ ჩემმა ქმარმა ამოიღო ჩარჩოდან ფრონტზე წასვლის წინ...

მე მოვუყევი, როგორც შემეძლო. ის გარინდული ყურს მიგდებდა და სახეზე მწუხარება, სულიერი ტკივილი გემოეხატა.

-მაშ, არაფერი უთქვამს მეტი სიკვდილის წინ? - უფრო თავის თავს შეეკითხა იგი და განაგრძო - ჩვენი სახელები ახსენა მხოლოდ... ათრთოლებული ხელები სახეზე მიიფარა.

-დამშვიდდით - შევეხვეწე მე - ის გმირი იყო და თავი გმირულად შესწირა სამშობლოს.

მაგრამ ქალი არ მისმენდა და ქვითინით ამბობდა:

-ო, ღმერთო ჩემო, ნეტავ არასდროს არ მოეყვანეთ უცნაურ ბედისწერას ამ სოფელში. მე ნიკოლაშას დაღუპვას უკვე შევურიგდი, მაშინ, როცა მისი დაღუპვის ცნობა მივიღე შტაბიდან, შემდეგ სოფელში გერმანელები შემოიჭრნენ და ყველას დარდი და ნაღველი გაუჩნდა. მე აღარ შემეძლო, უფლება არ მქონდა მეგლოვა ბრძოლაში გმირულად დაღუპული სწორი. ეხლა კი თქვენ გამოჩნდით... თუმცა არა, თქვენზე ადრე ეს სურათი ვნახე და ისევ გამეხსნა იარა... სურათის დანახვაზე ვიფიქრე, - ალბათ ნიკოლაშა ცოცხალია-მეთქი და ამან უფრო ძლიერ იმოქმედა, ვიდრე პირველად გაგებულმა მისმა სიკვდილის ამბავმა.

- მაინც რად გინდოდათ, რატომ დაგქონდათ ეს სურათი ჯიბით? - ამოიკვნესა მან და კაბის სახელოდან გამოღებული ცხვირსახოცით სველი სახე მოიწმინდა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი... მისმა აღელვებამ მეც ამაღელვა. ვგრძნობდი - ტკივილი მივაყენე ამ ქალს. მზად ვიყავი მუხლებზე დავცემულიყავი და პატიება მეთხოვა მის წინაშე ჩემი დანაშაულისთვის, თუმცა კი არ ვიცოდი, ვერ შემეგნო, რაში იყო ჩემი შეცდომა.

- მაპატიეთ, გემუდარებით!... - ვლუღლუღებდი მე, - მე არ მინდიდა

თქვენთვის ასეთი მწუხარების მოყენება. სურათი კი თვითონაც არ ვიცი რისთვის შევინახე... მე არ ვიცოდი, ვერც კი წარმომედგინა, თუ ოდესმე გნახავდით...

ჩემი შეწუხება რომ ნახა, გაღიმებას ეცადა.

-არა, რასაკვირველია, თქვენ არაფერში არ ხართ დამნაშავე, ხოლო რაც შეეხება სურათს, ის რომ არ გქონოდათ ჯიბეში, ვერც აქ მოხვიდოდით და არც ცოცხალი იქნებოდით... თქვენ ხომ იმ სურათმა გიხსნათ ფაქტიურად...

-როგორ? სურათმა? - წამოვიძახე და მეტისმეტად დაინტერესებულმა ვთხოვე ეამბნა. მომიყვა...

ბედისწერისა რომ მწამდეს რამე, ეს შემთხვევა ერთერთი დამადასტურებელი საბუთი იქნებიდა ფატუმის არსებობისა.

მართლაც საოცარმა შემთხვევითობამ დიდი როლი ითამაშა ჩემს გადარჩენაში, მაგრამ უბრალოდ, მოკლედ მოგიყვებით იმას რაც ქალმა მიამბო:

-იმ ღამით, განთიადისას, სროლის ხმას აეწრიალებინა სოფელი, გერმანელები პირველად დაბნეულიყვნენ შემდეგ კი მომზადებულიყვნენ დიდი შეტევის მოსაგერიებლად, მაგრამ, როცა გაეგოთ, რომ მხოლოდ ორი კაცია ამ აურზაურის შემოქმედი, გულადათ გასწიეს თურმე შემთხვევის ადგილისკენ, სადაც ბრძოლისა და წინააღმდეგობის დამთავრების შემდეგ პოლკოვნიკი ვოლფიც გამოცხადებული ეფრეიტორ შულლერისა და კიდევ ვიღაცეების თანხლებით. დახედა თურმე მან მიწაზე დაყრილ დასახიჩრებულ სხეულებს და ბრძანა ჩვენი ვინაობის შესამოწმებლად ჯიბეების გაჩხრეკა და მერე ხევში გადაყრა.

-ერთი ჯერ კიდევ ცოცხალია, ოდნავ სუნთქავს, - მოახსენეს თურმე მას.

-ტყვიის დახარჯვა არც ღირს, პირდაპირ მასევე გადააგდეთ, თან რომ წავიყვანოთ, მაგის მორჩენა უფრო ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე მისგან მიღებული ცნობები ეღირება. ამას გარდა, ვინ იცის, იტყვის რამეს, თუ არა. ეს ველურები სულ სხვა ჯიშისანი არიან... გადააგდეთ!

ხოლო როცა ჩემი საბუთები მიაწოდეს, სურათი ეპოვნათ, ჩემი დატოვება ებრძანებინა გაოცებულს. გრიშუხას გვამი კი ხევში გადაეგდოთ.

-მერე, სურათი რა შუაში იყო, მე რატომ არ გადამაგდეს - მეთქი? - შევეკითხე ქალს.

-იმიტომ, რომ პოლკოვნიკი ამ სახლში ცხოვრობს და, ამას გარდა... - აქ ცოტა შეყოყმანდა და ენა შეუბორძიკდა, - უთუოდ აინტერესებდა, ვინ იყავით ჩემთვის... ან,

ყოველ შემთხვევაში, სურდა ალბათ ჩემი ჩაჭერა რამეში, - დასძინა ბოლოს მან. სრულიად სამართლიანი მეჩვენა ასეთი დასკვნა და აღარ ჩავციებივარ.

პოლკოვნიკ ვოლფს ჩემი საბუთები და სურათი სახლში მოეტანა, ჯერ სურათი ეჩვენებინა მისთვის და, "თუ იცნობთო" - ეკითხა. ქალს გული კინაღამ წასვლოდა. ჯერ ეგონა თურმე, რომ მისი ქმარი ცოცხალია, რომ შეცდომით იყო გამოგზავნილი შტაბიდან ცნობა მისი სიკვდილის შესახებ, მაგარმ როცა გერმანელმა ჩემი საბუთებიც დაულაგა წინ, როდესაც ხელის კანკალით გაუხსნია ისინი და უცნობი ადამიანი შევრჩენილვარ ხელში, გაოცებულა.

-არ ვიცოდი რა მეფიქრა: უნდა მეპასუხნა საჩქაროდ პოლკოვნიკისათვის, რომელიც კითხვით შემომცქეროდა სახეში და " ჩემი ძმა - მეთქი" წამოვიძახე. თქვენ მართლაც ძმა იყავით მაშინ ჩემთვის, - უცნობი და ძლიერ მახლობელი, თქვენ უნდა გცოდნოდათ რამე ნიკოლაშაზე და, ამას გარდა, თქვენ ჩვენი იყავით... - სთქვა ქალმა და თვალებში გაურკვეველი ნაპერწკლები აენთო, რომელიც მაშინვე ჩაქრა.

-განა თქვენ ქართველი ძმა გყავთ? - შეეჭვებულა პოლკოვნიკი.

-სინამდვილეში იგი ჩემი სიძეა, მაგრამ მე მას მუდამ ძმას ვეძახდი. მე ძმა არ მყავს და იგი მე ისე ძლიერ მიყვარს, ის ისეთი კარგია, რომ არც შემეძლო ძმის გარდა სხვა სახელი დამეძახნა მისთვის - მეთქი ვუთხარი. არ ვიცი დაიჯერა ვოლფმა თუ არა, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ დასთანხმდა დაეთმო თქვენი თავი ჩემთვის და მას შემდეგ აქა ხარ.

ერთი თვის განმავლობაში მივლიდა ეს ქალი, ერთი თვე მოუთმენლად ელოდა ჩემს გონზე მოსვლას. ძალით მისხამდა თურმე პირში წვენს და მდარაჯობდა, რომ სიცხიანი ბოდვის დროს არსად გავქცეულიყავი. ო, როგორ მადლობელი ვიყავი ამ ქალის, როგორ მახლობელი იყო იგი ჩემთვის...

-მე ვერასოდეს დავივიწყებ თქვენს ამაგს, ელენა ნიკოლაევნა, თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ, - ვამბობდი მღელვარებისგან ათრთოლებული ხმით და მე მინდოდა ხელში ამეღო მისი გრძელთითებიანი სათუთი ხელები და მეკოცნა დაუსრულებლივ. მკერდში სიხარული, უმიზეზო სიხარული ბორგავდა ქარაფებში მომწყვდეული ზღვის ტალღასავით და მზად ვიყავი მემღერასიცოცხლის უმშვენიერესი ჰიმნი, მემღერა ველურ ჭაბუკურ გრძნობით, ჰიმნი, რომელსაც ყველა თავისებურად მღერის, რომლის მუსიკას გული, თბილი გრძნობით გამთბარი გული, თხზავს. აქ არ იყო მხოლოდ მადლობის გრძნობა, მხოლოდ მისი სილამაზით

აღტაცება, იყო ერთიც და მეორეც, და კიდევ რაღაც, უფრო დიდი, ენით გამოუთქმელი, მაგრამ მაინც ტკბილად სასიმღერო...

და შემრცხვა, როცა სახეზე ხელი მოვისვი და აბურძგვნილი, გაუპარსავი წვერები შევიგრძენი; მრცხვენოდა, რომ ვიწექი ამ ქალის წინ ასეთი სუსტი, უღონო და უშნო არსება.

იგი კარგახანს იჯდა ჩემს ოთახში და მესაუბრებოდა. არ მახსოვს, რაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ სიტყვებს ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა: განა ტკბილ მუსიკას სიტყვები სჭირდება სმენის დამტკბობად? - მე ვისმენდი მის ხმას და ვტკბებოდი; განა სიტყვები სჭირდება მშვენიერ ნახატს, რომ თვალთახედვას ასიამოვნოს? - მე ვუცქეროდი მას და ვნეტარებდი.

ბოლოს იგი წამოდგა და გამოთხოვების ხანს მითხრა.

-ამრიგად, თქვენ ჩემი სიძე ბრძანდებით, ნოდარ დავიდოვიჩ, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის თქვენთვის, რომ ჩემი და, ე. ი. თქვენი მეუღლე, ორი წლისა იყო, როცა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მონაწილე ვარ თქვენი ოჯახური მწუხარებისა, - და ღიმილით ტკბილი ძილი მისურვა.

თავი მეოთხე

ნოდარი ეტყობა, მოგონებებმა ააღელვა.ღრმად ამოიოხრა და შეჩერდა. თითქოს საპასუხოდ ბავშვმა ძილში დაიკვნესა და გვერდი იცვალა. მან ფრთხილად გაუსწორა საბანი მძინარეს და ხუჭუჭა თავზე ნაზად გადაუსვა ხელი. მგრძნობიარე ადამიანი უნდა ყოფილიყო ჩემი თანამგზავრი, თუმცა ამასთან მეტად ვაჟკაცური გულიც უნდა ჰქონოდა. ეს ორი თვისება კი იშვიათად გვხვდება ერთ ადამიანში და, თუ გვხვდება, სასიამოვნო, მომხიბლავ შენაერთს წარმოადგენს. ის ლაპარაკში ხშირად ჩერდებოდა. ამ დროს მეც ჩუმად ვიყავი. არ ვაჩქარებდი მას, რადგან ზოგჯერ, როცა ის ლაპარაკობდა, ვამჩნევდი, რომ მე მისთვის სრულიად არ ვარსებობდი და ამბავს კი არ მიყვებოდა, არამედ ხმამაღლა ეძლეოდა მოგონებებს.

მე იგი მხოლოდ ერთ დღეს მიყვარდა, - განაგრძო მან ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს და მზერა წარსულზე ჰქონდა მიბჯენილი. -დიახ, იგი მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მიყვარდა, მაგრამ ამ ერთი დღის ტკბილ გრძნობას ერთი თვის მძაფრი სიძულვილი მოჰყვა, სიძულვილი შავი და საშინელი, ცოფის მომგვრელი და ბოროტმოქმედების ჩასადენად მზად მყოფი. თურმე რა მოკლე მანძილია

სიყვარულიდან სიძულვილამდე და პირიქით...

-თქვენ გინახავთ ოდესმე, როგორ უჩვენებენ კინო ეკრანზე კიბოს განვითარებას ორგანიზმში? - მომიბრუნდა უცებ მე, - ავადმყოფობა შავი ფერით არის აღნიშნული და სინდიყივით იღვრება მთელ სხეულში. ასევე ჩაიღვარა ჩემში სიძულვილი ამ ქალისადმი. ეს მოხდა მეორე დღეს, დილით. თვალებ- დახუჭული ვიწექი ჩემს პატარა ოთახში და ისევ მასზე ვოცნებობდი. ვხატავდი მრავაფეროვან სურათებს, ვხედავდი ჩემს თავს ჯანსაღ, მკლავღონიერს. აი, თითქოს გერმანელები ძალადობას აპირებდნენ ამ ქალზე. ქალი ჰკივის საშინელი ხმით და საშველად მიხმობს. წამოვიჭერი ფეხზე, მძლავრი დარტყმით წავაქციე ჯერ ერთი ჯალათი, მერე მეორე და მესამე. წაქცეულებს ტყვიები დავახალე, გავიტაცე გადარჩენილი ელენა ნიკოლაევნა და გავრბივარ...

ალბათ კიდევ ბევრ სურათს დახატავდა ჩემი ფანტაზია, მაგრამ ეზოში გერმანული მისალმება გაისმა და ოცნება შემაწყვეტინა. შემდეგ მძიმე ნაბიჯების ხმა ამოჰყვა კიბეს და გვერდით ოთახშ იატაკი ფიცრები ააჭრიალა.

ვიღაც ეძახის ჩემს დიასახლისს. ოთახიდან ქალის ნაბიჯების ხმა ისმის. მე თითქოს ვხედავ, როგორ სდგას ჩემი ღვთაება გერმანელი ჯალათის წინაშე, რომელიც ორი დღე- ღამის განმავლობაში სახლში არ იყო და, ალბათ, საბჭოთა ადამიანების წამებაში იყო გართული. ვხედავ ქალის ამაყ სახეს, ზიზღით და სიძულვილით ავსებულ თვალებს. მაგრამ არა... ოთახიდან გერმანული ლაპარაკი მესმის. კაცის ხმა რაღაცას ამბობს. შემდეგ კი:

-Danke schon, mein Bruder fuhlt sich besser[1]- პატარა ჩაქუჩის დარტყმის სიმკვეთრით სვამს მახვილებს სიტყვებზე ქალის ხმა. ამ ხმაში ვერ შევამჩნიე ჩემთვის ნანატრი ზიზღი და სიძულვილი მტარვალისადმი.

შემდეგ კაცის ხმა რაღაცას ამბობს თითქოს ჩურჩულით. ქალიც ხმადაბლა პასუხობს და სიტყვებს ვეღარ ვარჩევ. სმენას ვძაბავ - ძალიან მინდა გავიგო, რას ამბობს ქალი, მაგრამ იგი აღარ ლაპარაკობს. იგი იცინის... იცინის კი არა, თითქოს ფრჩხილებით უხეშად ხევს ჩემს გულს და ამ გახევის ხმა მესმის, მესმის ხმა სმენისათვის უსამოვნო და გულისათვის მტკივნეული.

ოთახიდან თეფშების და დანა- ჩანგლის ხმაური გავიგონე. შემდეგ აწკრიალდა ჩიქები. ისევ ნაბიჯების ხმა და სუფრას ვიღაც შემოემატა. მერე სიმღერა. -მღეროდა

---

[1]. გმადლობთ, ჩემი ძმა უკეთ გრძნობს თავს.

ქალი ტკბილ, მშობლიურ მელოდიას გერმანელი ბატონების საამებლად. ეს ჰანგი, რომელიც მე ასე მიყვარდა ოდესღაც, ეხლა მწვავდა მთელ სხეულს, მტკენდა ბრძოლაში მიღებულ იარებს...

არ ვიცი შევძლებ თუ არა გადმოგცეთ, რა ხდებოდა მაშინ ჩემს გულში. პირველად წყენა და ტკივილი ვიგრძენი, - თავმოყვარეობაშელახული მამაკაცის ტკივილი. თავს გაქურდულად ვგრძნობდი და გამქურდა იმან ვინც ჩემს ქვეყანას ძარცვავდა. შემდეგ ზიზღი ვიგრძენი ამ ქალისადმი და შემდეგ კი ჩაიღვარა ჩემში სინდიყივით შავი სიძულვილი, დაიწყო სადღაც მკერდიდან და გაიშალა მთელ სხეულში, როგორც კიბოს განვითარება კინო-ეკრანზე ნაჩვენები... გაიზარდა, გასივდა და დაბუდდა საშინელ მხეცივით... მზად ვიყავი შური მეძია ყველაფრისათვის. ჩემი სამშობლოსათვის, დაღუპულ ვაჟკაც ლეიტენანტისათვის, გრიშუხასათვის, ათასობით ნაწამებ საბჭოთა ადამიანებისათვის... და იმ ლამაზ, ტკვილ გრძნობისათვის, რომელიც გუშინ მთელი დღე მატკბობდა.

„სიცრუე... სიყალბე... გარყვნილება..“ ვიმეორებდი გულში უმიზეზოდ ერთსა და იმავეს.

აღელვებამ მიმასუსტა და თვალები დავხუჭე. რა კარგი იქნებოდა ასე თვალდახუჭული ყოფნა დიდხანს... დიდხანს... რა კარგი იქნებოდა, რომ არ მეფიქრა არაფერზე... თუმცა არა, კარგი იქნებოდა მქონოდა ძალა, ღონე, დამბრუნებოდა ჭრილობების დაკარგული სისხლი და გოლიათ სამსონის მსგავსად დამენგრია მათთვის თავზე ეს პატარა სახლი, დიდი ბოროტებისა და მდაბალ გარყვნილების ბუდე... დამენგრია და მეც ამ ნანგრევებში მოვყოლილიყავი, - ვფიქრობდი მისუსტებული და მღელვარებისაგან მოთენთილი.

დრომ სიჩქარე დაჰკარგა... ნელა მიბობჰღავდნენ საათები. მე კი მინდოდა ეს ხანი ისევე ჩქარა გასულიყო, როგორც მაშინ, როცა გონდაკარგული ვიყავი. წასულიყვნენ დღეები ჩემს გარშემო და ჩემს შემეცნებას არ შეჰხებოდნენ.

როგორც იქნა მოსაღამოვდა. სახლში ისევ სიწყნარე დამკვიდრდა. ეტყობა, მოქეიფენი დაიშალნენ. ჩემს ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა ელენა ნიკოლაევა და ყური დამიგდო - მეძინა თუ არა. არა, არ მეძინა. და ცალ იდაყვზე დაყრდნობილმა წამოვიწიე, რომ მის თვალებში ჩამეხედა. მან ლამფა, რომელიც ხელში ეჭირა, პატარა მაგიდაზე დასდგა და შეწუხებული სახით, გაოცებით შემომაცქერდა, - უთუოდ შეშლილის გამომეტყველება მქონდა ამ წუთში.

-როგორ მოდიხარ ჩემთან! - შევძახე მე და ჩემივე ხმა ვეღარ ვიცანი. ხმის ნაცვლად ხრიალი ისმოდა, რადგან ბოღმამ წამავლო ხელში ჩონჩხის ხელი და მახრჩობდა. - წაბრძანდით და უმღერეთ ბატონ გერმანელებს. თუ მოგწყინდათ მათი წასვლის შემდეგ და მოხვედით, რომ დამცინოთ მე, ჩემს ქვეყანას და თავი გაირთოთ ამით?! თქვენ... თქვენ... მინდოდა რაღაც საშინელი და გაუგონარი მეთქვა მის დასამცირებლად, მაგრამ სიტყვა ვერ ვიპოვნე.

-თუმცა რომელი სიტყვა დაგამცირებთ ისე, როგორც თქვენმა საქციელმა დაგამცირათ.

-ო, მე მეგონა, რომ თქვენ სიცხემ აგიწიათ და შევწუხდი, - რაღაც გულგრილი დამცინავი ტონით მითხრა მან და იმავე ტონზე განაგრძო: - მე შვილი მყავს, ერთადერთი ბავშვი მყავს, მეტი არავინ. ამას გარდა, განა თქვენ მადლობელი არ უნდა იყვეთ ჩემი? სიცოცხლე შეგრჩათ ჩემი წყალობით და თქვენ კი ლანძღვას მიბედავთ. მე რომ არა, ყვავები იგემებდნენ თქვენს კავკასიურ ხორცს და, ვინ იცის, იქნებ მადლიერიც დამრჩენოდნენ. თქვენ კი ასეთი უმადური ხართ.

მისი გულგრილი დაცინვა კიდევ უფრო გამაცოფებდა, რომ უაღრესად არ ვყოფილიყავი ბოღმით ავსებული.

-თქვენ შვილი გყავთ? - წამოვიძახე მე - იცით თუ არა თქვენ, რომ თქვენი შვილი დაგწყევლით თქვენ, ისევე, როგორც დაგწყევლიან ასობით და ათასობით ობლად დარჩენილი ბავშვები, შვილებმოკლებული დედები და ყველა პატიოსანი მოქალაქე. რად უნდა ტქვენს შვილს მონური სიცოცხლე. რად უნდა თქვენი გარყვნილებით ნაყიდი ტყვეობა ლაღად დაბადებულ ბავშვს! ან მე რად მაჩუქეთ სიცოცხლე, რად მინდოდა მოწყალება თქვენი ბინძური ხელიდან მიღებული? - გწყევლით მეც ისე, როგორც სხვა დაგწყევლით, - თითქმის ვყვიროდი ჩახლეჩილი ხმით.

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ჩემს სიტყვებს იგი სრულებით არ აუღელვებია. მას თითქოს სიამოვნებდა კიდეც... ყოველ შემთხვევაში იგი კმაყოფილი ღიმილით მიცქერდა და მე ვერ გავარკვიე მისი კმაყოფილება ნამდვილი იყო, თუ მე მხოლოდ მეჩვენებოდა იგი. მისმა უდარდელმა გამომეტყველებამ კიდევ უფრო გამამძაფრა და, რადგან უკიდურესობამდე ვიყავი მისული, ჩემი აღელვების ძაფი გაწყდა, როგორც გაწყდება ხოლმე წვრილი მავთული, რომელშიაც მძლავრი ძაბვის დენი გაივლის და აპატიაში გადავვარდი, მოვწყდი, მოვითენთე და მისუსტებული ბალიშზე დავეშვი.

-ყოველ შემთხვევაში მე მრცხვენია თქვენს მაგივრად, - განვაგრძე უკვე წყნარი ხმით, - მრცხვენია და არ მინდა თქვენი უსინდისობა გავინაწილო. მე რომ თქვენი ნამდვილი ძმა ან ნათესავი ვყოფილიყავი, უარს ვიტყოდი თქვენისთანა დაზე და მახლობელზე. ეხლა მე კი ვეტყვი გერმანელებს, რომ თქვენ იცრუეთ, რომ თქვენ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი ხართ და ვეცდები პატიოსნად მოვკვდე... იქნებ ჩემთვისაც უკეთესი იყო, რომ ჩემი ხორცი ყვავაებს ეძიძგნათ და არა გერმანელებს, მაგრამ რა გაეწყობა!...

აქ კი შეიშალა მშვიდი გამომეტყველება მის სახეზე და ტუჩები აუთრთოლდა.

-თქვენ მაგას არ იზამთ! არა. თქვენ არ იზამთ მაგას!... განა შეშლილის გარდა სხვა ვინ მოიქცევა ასე? ვიყვე მე ცუდი... რაც გინდათ, ის მიწოდეთ, იფიქრეთ ჩემზე, როგორც გსურდეთ, გამლანძღეთ, ოღონდ მაგას ნუ ჩაიდენთ. იფიქრეთ თქვენ თვითონ: გერმანელები წამებით მოგკლავენ და განა ეს იქნება თქვენი გმირობა? განა გმირობა ის არის, რომ მტერს მისცე თავი მოსაკლავად? არა, არა მგონია ეს ვინმემ გმირობაში ჩაგითვალოს. ნუთუ თქვენ ფიქრობთ რომ შეასრულეთ თქვენი ვალი? განა თქვენ საჭირო აღარა ხართ თუნდაც...

აქ მან აკანკალებული ხელები თვალზე მიიფარა.

-თქვენ გეშინიათ, რომ თქვენი სიცრუეც გამომჟღავნდება ჩემს ვინაობასთან ერთად? მაშინ ხომ ტყუილად დაიღუპება თქვენი გულმოდგინება?... რაში მენაღვლებით მე თქვენ? განა თქვენ გებრალებათ ადამიანები, რომლებიც სახრჩობელაზე ადიან. განა თქვენ გებრალებათ სამშობლო, რომელიც სისხლის ღვარით მორწყეს თქვენმა ბატონებმა?

-როგორც გსურდეთ, იფიქრეთ, - სთქვა მან უკვე თავშეკავებულად და მშვიდი, გულცივი სახის გამომეტყველებით, რომელიც, ეტყობა, ნებისყოფის დიდი დაძაბვით დაიბრუნა, - თუნდაც მასე იყვეს, მაგრამ მოიგონეთ, რომ ერთი ადამიანი მაინც შემებრალა და ეს ადამიანი თქვენ იყავით. მერე როგორ ვღელავდი თქვენს გადარჩენაზე, რამდენი ღამე გავათენე თქვენს საწოლთან და როგორ ფიქრობთ, თქვენ ჩემთვის უკვე მახლობელი გახდით... განა შემძლია ასე უბრალოდ გაგამეტებინოთ თავი?

-იქნებ გინდათ სთქვათ, რომ შეგიყვარდით! მე რომ გერმანელი ვიყვე, უსათუოდ დაგიჯერებდით, - ვთქვი და თავი მოვიბრუნე მეორე მხარეს.

-კმარა! თქვენ ძალიან დარწმუნებული ყოფილხართ თქვენს ღირსებაში.

რატომღაც დარწმუნებული ყოფილხართ, რომ თქვენ უმშვენიერესი მამაკაცი ხართ. მე კი სრულიად არ ვფიქრობ ამას, - წამოიძახა ამაყად და ჩემი მამაკაცური ღირსების შეურაცხყოფა სილასავით გამაწნა, - როცა გამოჯანსაღდებით, მე შემიძლია გზა დაგილოცოთ, საითკენაც გნებავთ. თუ მაშინ თქვენ გერმანელები დაგიჭერენ, ეს მე აღარ მეხება, - ჯანსაღი იქნებით და შესძელით თავის დაცვა. ეხლა კი მე არ მინდა უძლური ადამიანი გაწამონ... იფიქრეთ ამაზე და დააფასეთ ჩემი გულკეთილობა. თუ თქვენ გსურთ- გაეცით თქვენივე თავი, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ვერაფერი ვაჟკაცობა იქნება...

აჩქარებით გასულმა კარი ხმაურით გაიხურა.

თავი მეხუთე

მარტოდ დარჩენილს საკმაო დრო მქონდა ფიქრისათვის. ეს ქალი მართალს ამბობდა. რატომ არ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით? მოვირჩენ იარებს და ისევ ვიბრძოლებ სამშობლოსათვის. გერმანელები კი ვერასოდეს ვერ ეღირსებიან ჩემგან ჩემი ქვეყნის ღალატს, ისევ ვიბრძოლებ თოფით და ლანცეტით... ვიბრძოლებ მტერთან, მათ მოსაკლავად და სამშობლოს სახსნელად, ვიბრძოლებ სიკვდილთან ადამიანების გადასარჩენად. და მე, ექიმი, მსახიობად ვიქცევი. მაგრამ როგორ უნდა ამეთვისებინა ეს რთული დარგი ხელოვნებისა? როგორ დამეფარა ჩემი სიძულვილი?

მაინც რატომ გადამარჩინა ამ ქალმა? იქნებ ეს მართლაც შემთხვევა იყო საოცარი? იქნებ მართლა ქმარი ვეგონე მისი, ან მართლაც ქმრის ამბის გაგება სურდა? მაგრამ რათ უნდოდა ქმარი მას, ის პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი, თუკი შეეძლო მეგობარი ყოველ გამვლელ ჯალათში ეპოვნა?... არ მასვენებდნენ ეს ფიქრები მთელი ღამე. არ მასვენებდნენ ისინი შემდგომშიაც... მაწამებდნენ მთელი თვის განმავლობაში.

თანდათან მოვმჯობინდი. ძალღონე იმდენად მომემატა, რომ ჩემს პატარა ოთახში სიარულიც შევძელი. ჩემი დიასახლისი არ გამირბოდა, მაგრამ მე ვერიდებოდი მას. იგი ხედავდა, რომ მისი დანახვა არ მსიამოვნებდა და ბრაზს მგვრიდა. ბოლო დროს იშვიათად შემოვიდოდა, რომელიმე ნივთს შემოიტანდა ან წაიღებდა და გავიდოდა უჩუმრად. ჩემს მომვლელად საიდანღაც სოფლელი მოხუცი დედაკაცი გაჩნდა. ანისიას ეძახდნენ მას. ოდესღაც მსხვილი აგებულების იქნებოდა

ეს ქალი, ეხლა კი სიბერისაგან დალეული იყო და ლოყებზე ფაფუკი, დამჭკნარი კანი პარკებივით ეკიდა, რომლებიც თითქმის ფარავდნენ მათ შუაში მომწყვდეულ პატარა, მრგვალ ნიკაპს. დღეში სამჯერ ცხელ საჭმელს შემომიტანდა ხოლმე, თითო ნაჭერს, სახლში გამომცხვარ ჭვავის სურნელოვან პურს მოაყოლებდა, შემდეგ ჩამოჯდებოდა საწოლზე და გააბამდა ლაპარაკს.

-წინათაც იყვნენ აქ გერმანელები, განა არა! - კვნესით ამბობდა იგი და გაძვალტყავებულ გრძელი თითებით თავსაფრიდან გამოცვენილ ჭაღარა თმებს უკანვე იტენიდა. - იყვნენ 1918 წელში, მაგრამ ასეთი მხეცები არა ყოფილან. რა შეუბრალებელი, რა ურჯულოები არიან, ქალებსა და ბავშვებსაც რომ ხოცავენ?!.. უხ, მაგათი სინსილა გაწყდეს. სოფელში კაცის ჭაჭანება არ არის. ვისაც თოფის ზიდვა შეეძლო, ყველამ აიღო ხელში. ჩემი სიდორიჩიც ტყეში წავიდა პარტიზანებთან. ვეუბნები, - სად მიდიხარ, ბებერო, შენ ნიავიც კი წაგაქცევს... - არაო, - ამბობს, - უნდა ვიბრძოლო, ერთ გერმანელს მაინც მოვკლავო, - და წავიდა. ხო და ეხლა სახლში სულ მარტო ვარ. ჩემი შვილი შარშან მოჰკლეს... წითელ ჯარში იყო. მითხრეს: ბევრი გერმანელი დაუხოცნია. ნეტავი ცოცხალი მყავდეს, კიდევ ბევრს გაისტუმრებდა ჯოჯოხეთში.

შვილის ხსენებაზე შემჭკნარ ქუთუთოებთან მსხვილ თვალებს იწმენდდა თავსაფრის ყურით. საოცრად ბევრი ლაპარაკი იცოდა ამ მოხუცმა. როცა ჩემს მოსავლელად მოვიდა, მაშინვე მიხვდა, რომ დიასახლისთან უკმაყოფილება მქონდა, რადგან მას დაუძახეს; მიხვდა, რომ მე გერმანელების მხარეზე არ ვიყავი, და ჩემთან არაფერს ფარავდა. ხშირად გამომკითხავდა ჩემს ქვეყანაზე, დედაჩემზე. მრავალჯერ მქონდა ყველაფერი ეს მისთვის მოთხრობილი, მაგრამ მაინც აინტერესებდა და ყოველთვის, ლაპარაკის ბოლოს დასძენდა:

-ეხ, ელენა ნიკოლაევნა, ელენა ნიკოლაევნა!.. ვის ეგონა, თუ ის ასეთი ცუდი გამოდგებოდა. სოფელში ყველას უყვარდა, ყველასათვის დედასავით იყო. ბავშვები ხომ სულს ლევდნენ მაგისათვის. ამბობდნენ, ასეთი კარგი მასწავლებელი ქალი არსად არ არისო. ამათ ენას ასწავლიდა სკოლაში, - გერმანელების ენას. ეხლა კი ყველას სძულს... თქვენზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ. ჯერ ფიქრობდნენ- სიკვდილით დაგსჯიდნენ, როგორც წითელ ოფიცერს, მერე როცა აქ მოგიყვანეს, გადასწყვიტეს ესეც ალბათ მაგათი ძაღლიაო. ეხლახანს მე დავარწმუნე ყველანი, რომ თქვენ პატიოსანი ადამიანი ხართ... არ ვიცი, დამიჯერეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში,

მათთვის სულერთია. ყველას თავისი დარდი და მწუხარება აქვს... ო, ღმერთო, შენ გვიშველე და გვიხსენი ამ უბდურებისაგან!.. -ფართედ პირჯვარს გამოისახავდა, მერე ცალ ხელს კვნესით შემოიდებდა წელზე, წამოდგებოდა და მოხრილი, თითქოს მიწაზე რაღაცას ეძებსო, ოთახიდან გადიოდა.

როცა ბებია ანისია წავიდოდა, ჩემთან პატარა ბორია შემოირბენდა ხოლმე. განუზომლად მახარებდა მისი სტუმრობა. შემიყვარდა ეს ბავშვი იმდენად, რამდენადაც მისი ლამაზი დედა შემძულდა. მინდოდა სულ ჩემთან ყოფილიყო და განუსაზღვრელად ეტიკტიკა. ათასგვარ უცნაურ რამეს მეკითხებოდა ხოლემე. მკითხავდა რატომ მოვიდნენ ეს ბრაზიანი ძიები. მე ვუხსნიდი, რომ მათი ქვეყნის სათავეში ძალიან ცუდი, ბოროტი და ვერაგი, კაცთმოძულე ძია სდგას, რომ ამ ცუდმა კაცმა გამოგზავნა ისინი.

-მერე, რომ წამოვიდნენ საბრძოლველად რას უზამს მაგათ ის ცუდი კაცი? ეგენი ბევრი არიან. ის კი ერთი. ხომ შეუძლია, რომ მოერიონ? ეგენიც ხომ კვდებიან აქ? - ,მოჰკლავენ, მაშ რას იზამენ, ვინ დაანებებს რომ ეგენი ჩემი ქვეყნის პატრონები გახდნენ? მამიკო მეუბნებოდა - მაგათ უნდათ ჩვენი ქვეყანა ხელში ჩაიგდონო...

-ჩემო ბიჭიკო, შენ მართალი ხარ. ყოველმა მაგათმა ჯარისკაცმა რომ შენდენი იცოდეს, რომ უბრალო მანქანა არ იყვნენ მაშინ ომი და ეს სისხლის ღვრაც არ იქნებოდა. ის სიამაყით იღიმებოდა ჩემს სიტყვებზე და მე ვკოცნიდი მის აბრეშუმივით რბილ თმებს, ფუნჩულა ხელებს და განუზომლად შევეთვისე მას. როცა ჩემთან არ იყო, ვნატრობდი მის სიახლოვეს.

ხანდახან მეკითხებოდა გბრწყინებული თვალებით:

-პირველი მაისი როდის იქნება, ძია? უკვე ბევრი ხანია არ ყოფილა პირველი მაისი. იმის შემდეგ არ ყოფილა, რაც ის გერმანელი ვოლფი მოვიდა... იცი, რა ფინთია ის ვოლფი? ერთხელ წითელი დროშა და ჩაქუჩ-ნამგალი დავხატე. ისე მაგრად ამიწია ყური, რომ ძალიან მეტკინა და ყვირილი მოვრთე. ისიც რაღაცას მიყვიროდა. მერე დედა შემოვიდა და იმანაც თავი დამანება. დედას არ ეშინიან მისი, მე კი მეშინია. ჩქარა იქნება, ძია, პირველი მაისის დღესასწაული? მე დედა პატარა დროშას მიყიდის და ახალ ტანსაცმელს ჩამაცმევს, არაა?..

მე ვეთანხმებოდი და დედა მისზე არაფერს ვეუბნებოდი. ბავშვი ბევრს ვერც მიმიხვდებოდა და რომც ყველაფერი გაეგო, არც დამიჯერებდა, ისე თავდავიწყებით უყვარდა დედა. ამას გარდა, მე არ შემეძლო გამებზარა ეს პატარა, მშვენიერი გული.

ასე მიდიოდნენ დღეები. მოვჯობინდი, მაგრამ საშინლად გამხდარი ვიყავი. სახეზე წვერები მომერია და ამ ჯაგარმა თითქოს მთელი ცხიმი ამომწოვა ლოყებიდან. ოცნებად გადამექცა წვერის მოპარსვა, ვნატრობდი როგორმე ჩემი სახიდან ამ სარეველების მოშორებას, მაგრამ არ მინდოდა „ფრაუ ელლენისათვის“ მეთხოვა რაიმე, ერთ დილას კი უცბად ყველაფერი აღმოვაჩინე ჩემს ოთახში, რაც საჭირო იყო წვერის გასაპარსად. არც დავფიქრებულვარ მოულოდნელობისაგან გახარებული. ისე ვისარგებლე შემთხვევით და გაჭირვებით გავისუფთავე დიდიხნის გაუპარსავი სახე. განუზომელი შვება ვიგრძენი, სიმსუბუქე, კმაყოფილება, რომელიც მიგრძვნია ხოლმე სადალაქოდან გამოსულს და ღიმილით გამოვხატე ჩემი სიამოვნება.

-ოჰო, თქვენ ლამაზიც ყოფილხართ! - წამოიძახა ოთახში შემოსულმა ელენა ნიკოლაევნამ, - მერე თქვენს გაპარსულ სახეს როგორ უხდება ღიმილი. თუ თქვენ ჭკვიანი ბიჭი იქნებით იქნებ მომეწონოთ კიდეც.

აშკარად დამცინოდა. რას არ მივცემდი, რომ კატასავით მიმეღრჩო ეს თავგასული დედაკაცი!! მან ალბათ ჩემს სახეზე ამოიკითხა ეს სურვილი და უკვე სხვა ტონით განაგრძო:

-თქვენ ახალგაზრდაც ხართ, ლამაზიც, და განა თქვენთვის სიცოცხლე მშვენიერი არ უნდა იყვეს? მე რომ შემოვედი, თქვენ იღიმებოდით სიამოვნებისაგან, ეს ღიმილი კი გამოიწვია თქვენმა წვერის გაპარსვამ. მე კი რა დამიჯდა თქვენი სიამოვნება? - თითქმის არაფერი! აი, თურმე, რა პატარა რამეს შეუძლია ადამიანს აგრძნობინოს ბედნიერება! მე ვიცი, რას განიცდიდით ამ ღიმილი დროს: თქვენ გრძნობდით, რომ ახალგაზრდა ხართ, რომ ცოცხალი ხართ, რომ მომავალში ბედნიერება გელით ახალგაზრდა სხეულისა და სულის პატრონს. და ეს ყველაფერი განიცადეთ იმის გამო, რომ წვერი გაიპარსეთ... ხომ ხედავ, თურმე შეიძლება ირგვლივ გერმანელები იყვნენ და თქვენ ბედნიერად იგრძნოთ თავი. ახლოს რომ გაიცნოთ ეს ხალხი, ნახავთ, რომ ისინი არც ისე ცუდები არიან. მათ იციან გაწეულ სამსახურის დაფასება... ამიტომ თქვენ შეგიძლიათ წვერივით გაიპარსოთ თქვენი სისულელეები და ნამდვილი ბედნიერება მოიპოვოთ. შესაძლოა ბოლოს ბერლინის უნივერსიტეტის აპირანტურაში...

- როგორ?! - ისე დავიყვირე, მეგონა ყელი გამეხა მეთქი, - თქვენ მირჩევთ მეძაობით და მდაბალი ღალატით ვიყიდო სიცოცხლე და ბედნიერება? მაგრამ განა შეიძლება ბედნიერი იყვეს ადამიანი, რომელიც ყოველ წუთში თავის სიმდაბლეს იგრძნობს? იცით თუ არა, რომ პატიოსნება ყველაზე დიდი განძია ბედნიერებისათვის? სიმდაბლე და უპატიოსნება მისათვის არის ბედნიერება, ვისთანაც იგი პატიოსნების ადგილს იჭერს! რასაც თქვენ სისულელეს უწოდებთ - სინდისია, და თქვენ მეუბნებით წვერივით ჩამოვიპარსო იგი? თქვენ რომ ოდესმე გცოდნოდათ, რა არის პატიოსნება, არასოდეს არ მეტყოდით იმას, რაც მითხარით.

ნერვები ლარივით დამეჭიმა და გულში ბორგავდა შავი სიძულვილი ბუნაგში მომწყვდეული მხეცივით. ის კი მისმენდა დამშვიდებული, უცნაური ღიმილით ისევე, როგორც უსმენდა ალბათ თავის პატარა ბორიას ჭირვეულობას.

თავი მეექვსე

მან ისევ პაპიროსს მოუკიდა და ისე მძლავრად შეისუნთქა კვამლი, თითქოს უნდოდა მის კვამლში ჩაეღრჩო მტკივნეული განცდები. მატარებელი კი ისევ მიჰქროდა. შემდეგ ბორბლებმა მომეტებულად გაიხმაურეს და რკინის ხიდზე გავედით. ელვის სისწრაფით სწყდებოდნენ სიბნელეს, სადღაც ქვესკნელიდან სდგებოდნენ X-ის მსგავსი ჯებირები და ისევე ჩქარა იკეცებოდნენ მატარებლის სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით. შემდეგ ხმაური მისწყდა და გაშლილ ველზე გავყევით მდინარის ნაპირს. წყალი ფოლადის ზოლივით ელვარებდა მთვარის შუქზე და მიემართებოდა შორს, თითქოს ქვეყნის დასასრულამდე. შეუმჩნეველი იყო მისი მდინარება და მყარ სხეულს უფრო ჰგავდა იგი. მხოლოდ ერთ ადგილას შუა კალაპოტში ჩაწოლილმა ლოდმა ვეშაპივით გასცურა შხუილით მდინარების წინააღმდეგ, ტოკავდნენ რონოდების რესორები და ფანჯრებს ისევ სწრაფად მოდევდნენ სინათლის ორეულები ბედისწერის ცეცხლოვან რაშებივით.

რას არ მივცემდი, რომ შემძლებოდა ამ ერთი თავის ამოხევა ჩემი ცხოვრებიდან, ისევე როგორც ამომიხევია ხოლმე ბავშვობაში რვეულიდან შეცდომებით დაწერილი საშინაო დავალების ფურცელი...

როცა კუნთებში ღონე მომემატა - გაპარვაზე დავიწყე ფიქრი. ათასნაირ გეგმებს ვაწყობდი. გადაწყვეტილი მქონდა, რადაც უნდა დამჯდომოდა, გადამეჭრა ცეცხლის

ხაზი და ჩვენებს შევერთებოდი. აუტანელი გახდა ჩემთვის აქ ყოფნა და გერმანელების ცქერა. ბრძოლა მოუნდა სულს. გაათკეცებული ძალით აღსდგა შურისძიების გრძნობა, რადგან ყოველდღე ვხედავდი ჩემი პატარა სარკმელიდან, როგორ მიათრევდნენ მწვანე ტანსაცმლიანი ჯარისკაცები ცემისაგან დამახინჯებულ ადამიანებს.

ერთ დღეს „პატივი მქონდა“ პირადად გამეცნო ბატონი ვოლფი. მთვრალმა პოლკოვნიკმა ჩემი ნახვა დაიჟინა. ორმა გერმანელმა, - პოლკოვნიკის ადიუტანტმა შულლერმა და დარაჯმა ჯარისკაცმა, ძალათ გამათრიეს მეორე ოთახში. მაგიდაზე დაცლილი ბოთლები და უწესრიგოთ დაყრილი პაიროსის ნამწვავთა სიმრავლე მჭერმეტყველურად ორატორობდნენ პოლკოვნიკის ხასიათზე. ჰერ ვოლფი მაგიდასთან იჯდა და დაკვირვებით მომჩერებოდა ალკოგოლისაგან გამოხუნებულ ცისფერ თვალებით, რომლებიც მოხარშულ თევზისას უგავდა. ერთხანს მზომავდა დაჟინებული მზერით და მერე - setzen sie sich[1]- მიბრძანა დაჟღრეული ხმით, თითქოს ძველმა ჟანგიანმა კედლის საათმა ჟღრიალით ჩამორეკაო. გერმანული ენა საკმაოდ კარგად ვიცოდი. გავიგე, რაც მითხრა, მაგრამ ისევ ფეხზე ვიდექი.

-მაგან გერმანული არ იცის, ჰერ, - წარმოსთქვა ოთახში შემოსულმა ჩემმა დიასახლისმა ისეტი ხმით, თითქოს მისთვის შემეჩივლოს ჩემი უცოდინარობა.

-მაშ გადაუთარგმნეთ, - არ ცხრებოდა პოლკოვნიკი.

-გემუდარებით, დაჯექით!..- მითხრა ქალმა, - სისულელეა ჯიუტობა და ასეთი უნიჭო ვაჟკაცობის გამოჩენა. გმირობა სხვა დროს გამოიჩინეთ.

-გმადლობთ, მაგრამ ასეთ კეთილშობილურ მოპატიჟებას ჩვეული არ ვარ, არ შემიძლიან თანამესუფრეობა გავუწიო მის უმხეცესობას. მისი სიამოვნება და მოხიბვლა თქვენთვის დამითმია.

-რაო?

-იგი ამბობს, რომ აწყენს ჭრილობების შემდეგ მაგარი სასმელების მიღება და, ამას გარდა, სწუხს, რომ არ შეუძლიან რითიმე გასიამოვნოთ, ნება მიეცით, ჰერ, თავის ოთახში წავიდეს.

-იქნებ არ გვკადრულობს? - დაცინვით იკითხა მან.

-არა, სრულიადაც არა, მაგრამ იგი ძლიერ სუსტადაა.

---

[1]. დაბრძანდით.

-მაშ, იგი ურჩობს!- დაიღრიალა პოლკოვნიკმა, - მე მას მორჩილების გაკვეთილს მივცემ, - და ხელი რევოლვერისკენ წაიღო.

-ჰერრ! შესძახა ქალმა და ცეცხლოვანი თვალები მუქარით მიანათა. ვოლფმა ხელი ჩამოიღო და უხერხულად გაიღიმა. მივხვდი, რა ძალაც ჰქონდა ამ უცხოელზე მის ამაყ გამოხედვას, მაგრამ მე რისთვის მიფრთხილდებოდა ასე, ეს კი ჩემთვის გაუგებარი იყო.

-თქვენ მაინც დაბრძანდით, ფრაუ ელლენ, სთქვა ბოლოს მან და ფეხზე ამდგარი სკამი მოხერხებულად მიაწოდა. ქალი დაჯდა გულგრილი გამომეტყველებით.

აი, ხომ ხედავთ, როგორ გიჯერებთ, - განაგრძობდა ლაპარაკი მადაზე მყოფი პოლკოვნიკი, - თქვენ კი არ გსურთ ჩემი ალერსის მიღება. მე ძალა მაქვს და, რომ მოვინდომო, ძალით წავიღებ იმას, რაც ნებით არ გსურთ მომცეთ, მაგრამ მე გერმანელი ვარ, ჩვენ კი კეთილშობილება და ზრდილობა სისხლში გვაქვს. რად არ გსურთ ჩემი ალერსი? განა მოფერება ცუდია? ხომ არ გეჩხუბებით - მინდა მოგეფეროთ. განა რომელი ქალი არ მიიღებს ჩემს ალერსს? რომ იცოდეთ, რამდენ ქალს უნდა ჩემთან დაახლოვება!..

-თქვენ გინდათ მაეჭვიანოთ, ჰერრ!- გადაიხარხარა ქალმა- გარწმუნებთ, სრულიად არა მაქვს მაგის ტალანტი. მე უფრო სიბრალულის ნიჭი მაქვს და მეცოდებიან თქვენთვის დატანჯული სხვა ქალები. ამიტომ სიამოვნებით ვუთმობ მათ თქვენს თავს.

-ჩემმა თარჯიმანმა გადმომითარგმნა თქვენი გვარი კოზლიკა, - თურმე იგი თხას ნიშნავს. ჩემი გვარი ვოლფი კი - მგელს. უფრთხილდით, რომ გერმანელმა მგელმა თქვენი თხა არ შეჭამოს, - იფეთქა უცებ პოლკოვნიკმა, - მაშინ, იქნებ, თქვენ დანახვაზე გაეღვიძოს ვისმე სიბრალული.

-ჩემს რუსულ ბეკეკას კავკასიურ ჯიხვზე უფრო მაგარი რქები აქვს, - ისე მხიარულად გადაიხარხარა ქალმა, რომ ვოლფი მაშინვე დაცხრა და ღიმილით ხელი გადაისვა ქერა თმაზე, რომელიც მელოტ თავზე დაწებებულს უგავდა.

შეიძლება, ეს სიტყვები მე სრულიადაც არ მეხებოდა, მაგრამ გულზე მომხვდა. „ნახავთ, რანაირი რქები აქვს კავკასიურ ჯიხვს - მეთქი“, გავიფიქრე და ოთახიდან გასვლა დავაპირე. პოლკოვნიკმა სუფთად გაპარსული, სწორ ნაკვთებიანი სახე ჩემსკენ მოაბრუნა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

საღამოს ჩემთან ანისია შემოძვრა და მოჰყვა ქოთქოთს დამფრთხალ კრუხივით:

-ოი, მაგათი რჯული გაწყდეს... დღეს დილით ნიკიტა ხლეშჩოვი ჩამოახრჩობინა მაგან, - რა ჰქვია? -ვოფია თუ რაღაც სატანა. დასაღრჩობად რომ გამოიყვანეს, ვეღარ იცნობდით, ისე იყო ნაცემი. ცალი თვალი ამოთხრილი ჰქონდა, სახე კი დალურჯებული და გასიებული. ბებერი იყო და მაინც ჩამოაღრჩეს...

ბებია ანასია ყოველთვის მიამბობდა, რა ხდებოდა სოფელში. ვიცოდი, რომ ნიკიტა ხელშჩოვი, 72 წლის კაცი, პარტიზანებთან კავშირის თაობაზე იყო დაჭერილი. ისიც ვიცოდი, რომ პარტიზანები მოსვენებას არ აძლევდნენ გერმანელებს და შიგ სოფელშიც ვიღაცის უჩინარი ხელი მოქმედებდა. და აი, გერმანელები ეძებდნენ ამ ხელს, ეძებდნენ ყველას, ვისაც მასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, რადგან იცოდნენ, მარტო ერთი კაცი, სხვისი დახმარების გარეშე, ამდენს ვერ შეასრულებდა. პარტიზანები ყოველთვის მაშინ ესხმოდნენ თავს სოფელს, როცა უხიფათოდ წასვლა შეეძლოთ. ხან საწყობი აფეთქდებოდა, ხან რომელიმე მათთვის ერთგულ ჯაშუშს პოულობდნენ გერმანელები მიკვდარს, რომელსაგ გულზე ქაღალდი ებნია წარწერით: „მოღალატე“.

და ვოლფი მძვინვარებდა: მართავდა საღრჩობელებს, ხვრეტდა, ცოცხლად მარხავდა ათეულ წამებისაგან დასახიჩრებულ ადამიანთა სხეულებს.

როდესაც ანისია წავიდა და მარტო დავრჩი, დავფიქრდი ვოლფის დღევანდელ საქციელზე. „ნუთუ მართლა ასეთი ზრდილობიანია პოლკოვნიკი? ნუთუ მართლა თავისი კეთილშობილება არ აძლევს უფლებას ქალთან უხეშად მოიქცეს?“ - ამ კითხვებზე გული უარით მიპასუხებდა. მაშ რა უშლიდა ხელს ამ გამხეცებულ ადამიანს, რომლის სისხლში ვინმეს წამების, მოკვლის სადისტური ჟინი ბორგავდა, ძალით დაემორჩილებინა ეს ქალი, ყოველგვარი დამცირება მიეყენებინა და აეძულებინა თავის ქალურ პატიოსნებაზედაც ისევე აეღო ხელი, როგორც სამშობლო დათმო? კარგა ხანს არ ვიცოდი რით ამეხსნა პოლკოვნიკის თავშეკავება, მაგრამ შემდეგ თითქოს გავიგე: მე გადმოგცემთ ერთ დიალოგს, რომელიც, ჩემი აზრით, ამ კითხვებზე პასუხობს.

ორიოდე დღის შემდეგ მეზობელი ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა და ყური დავუგდე.

თქვენ გეღიმებათ?... არა, ტყუილად გგონიათ, რომ იქ, სადაც სისხლის ღვრაა და სიკვდილი, ასეთი საქციელი უზრდელობა იყვეს, ძალიან ხშირად აუცილებელია

და საჭიროც სხვისი ლაპარაკის მალულად მოსმენა. ეს უსინდისობა კი არა, ასეთ რამეს ხშირად სინდისიც გვავალებს და მეც, როგორც შემდეგ დაინახავთ, შესაძლებლობისდაგავარად ვსარგებლობდი ჩემი მახვილი სმენით. ოჰ, იმას გეუბნებოდით, ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა - მეთქი. პოლკოვნიკი ღრიალებდა ჩახლეჩილი ხმით და ისე სწრაფად ისვროდა გერმანულ სიტყვებს, რომ მე გონებაში ძლივს ვასწრებდი მათ თარგმნას.

-თქვენ ძალიან გაგივიდათ თავს, - ყვიროდა ვოლფი, - როგორ გაბედეთ და მთელი ორი საათი ბაღში ეტრფიალეთ ჩემს ადიუტანტს შულევს (ეს სიტყვა, რა ვიცი, მართლა ადუტანტის გვარი იყო, თუ მისი საქციელის შესაფერისად შერქმეული ზედმეტი სახელი), ის მე სასწრაფო დავალების შესასრულებლად გავგზავნე და არა თქვენთან საარშიყოდ. დროზე ვერ მივიდა დანიშნულ ადგილას და პარტიზანებმა სამი იარაღით დატვირთული საზარგო მანქანა მომიწყვიტეს კოლონას. ამისათვის შულერი დაიხვრიტება, ხოლო თქვენ კი ხეზე ჩამოგკიდებთ ყვავების გასახარებლად.

-თქვენ კარგად იცით, რომ მაგას ვერ იზამთ და ტყუილად ნუ ცხარობთ. თქვენ ადუტანტს, როგორც გსურთ, ისე მოექეცით - ეს თქვენი საქმეა, მე კი საკმაოდ კარგად მიცნობს გენერალი და ადვილი შესაძლებელია, იკითხოს ჩემი ჯანმრთელობის ამბავი. ამას გარდა, ბურგომისტრი ზასკოვი ხომ ჩემი ნათესავია და გენერალთან დიდ მეგობრობაშია. მან შეიძლება ერთ მშვენიერ საღამოს ვახშმობის დროს უამბოს ბატონ გენერალს, თუ როგორ მოხდა, რომ უგზო უკვალოდ გაქრა პოლკოვნიკი ფონ-რეიზენი, რომლის ადგილზე ამჟამად თქვენ იმყოფებით. შემდეგ გენერლის უფრო უკეთ გასართობათ იგი მოუყვება იმაზე, თუ როგორ დახვრიტეს ასე ჩუმად „გერმანიის ღალატისათვის“ ეფრეიტორი შტაინი, რომელსაც ამ სასჯელის შემდეგ აღარ აქვს საშუალება ფონ რეიზენის ადგილსამყოფელი ვინმეს აჩვენოს. ამიტომ არის, რომ აღელვებას არ გირჩევთ ჰერრ. აღელვებამ შეიძლება ნერვები დაგისუსტოთ, ხოლო დასუსტებულმა ნერვებმა დაუფიქრებელი ნაბიჯი გადაგადგმევინოთ.

-რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი, ფრაუ ელლენ?! (აქ ვოლფის ხმა დარბილდა და მასში სასოწარკვეთილი ბგერები გაისმა) მე მაინც, როგორ მიყვარხართ და ამიტომ ნება მიეცით ჩემს ეჭვიანობას, შური იძიოს ჩემი სიყვარულისათვის, ნება მომეცით დავსაჯო ჩემი მეტოქე ხელქვეითი.

ეს უკვე თქვენი ნებაა, - გულგრილად სთქვა ქალმა და დაუმატა: - მე მჯერა ჩემდამი თქვენი სიყვარული, პატივს ვცემ ამ კეთილშობილურ გრძნობას და თქვენს თავშეკავებას...

ამ დღიდან პოლკოვნიკის ადიუტანტი ავგუსტ შულლერი იმ სახლში აღარ მინახავს...

კიდევ გავიდა ორიოდე დღე გაპარვსითვის ხელსაყრელი მომენტის ძებნაში. ჩემი თავი პატიმარი მეგონა და დარაჯი, რომელიც სახლის წინ დადიოდა პოლკოვნიკ ვოლფის უშიშრობის დასაცავად, სულს მიხუთავდა. ჯერ გაპარვისათვის არავითარი გეგმა არ მქონდა... მქონდა მხოლოდ სურვილი, უტეხი სურვილი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა. მინდოდა გავცლოდი აქაურობას, მინდოდა ჩვენებთან ყოფნა, რომ შემძლებოდა ბრძოლა, შემძლებოდა დაუფარავად ამომენთხია გულიდან ბოღმა და სიძულვილი და დამესაჯა ეს თავგასული ჯალათები, მათთან ერთად ჩემი თავგასული დიასახლისიც, ათასობით წამებულ საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩემი სამშობლოსათვის.

სახლში სული შემეხუთა და გარეთ გამოვედი. ჯერ ისევ დილა იყო, თრთოდა გამჭვირვალე ნისლი სახლების სახურავებზე. გამაოცა პატარა ქუჩაზე გერმანელთა ჯარისკაცების სიმრავლემ. მოედინებოდნენ აღმოსავლეთის მხარეს გაშლილი მინდვრების მხრიდან მოშლილი ნაბიჯებით და ნაწამები სახით მოდიოდნენ. შიგადაშიგ დაჭრილებით დატვირთული მანქანები ბღაოდნენ და გზის დაცლას ჯიუტად მოითხოვდნენ. ყველა სასოწარკვეთილებას და შიშს გამოხტავდა. მათ მოპირდაპირე მხრიდან ჯანსაღი ხალხით დატვირთული ავტომობილები გამოჩნდენ. შიგ მსხდომთ გაოცება და თანაც შეშფოთება ესახებოდა სახეზე. მერე ქუჩა თითქმის დაცარიელდა. არტილერიის შორეულმა ხმამ შეატოკა მიწა. ბოლოს კი ყველაფერი მიწყნარდა.

ვიდექი ჭიშკრის წინ და ყურადღებას არავინ მაქცევდა. აი, ხელსაყრელი მომენტი! - ვფიქრობდი მე, - ჩვენები იბრძვიან, ისინი სადღაც აქვე არიან ახლოს... ამაღამვე გავიპარები... მეც ვიბრძოლებ...

სახელოზე ხელის შეხება ვიგრძენი და დაჭიმული ფიქრების ძაფი გამიწყდა ამ მიკარებისაგან. ჩემს გვერდით ბებია ანისია იდგა.

-ჩვენები შემოტევას ხომ არ იწყებენ? თქვენ, როგორც გამოცდილს, გეცოდინებათ... მე თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად. - მადლი უფალს, - ჩურჩულებს დანაოჭებული ტუჩები და პირჯვარს იწერს, - მადლი უფალს, იქნება გვეშველოს!

გზაზე გერმანელ ოფიცრის ფორმაში ჩაცმული კაცი მოდის, მაღალი ტანისაა, მხარბეჭიანი. მტკიცედ ადგამს ნაბიჯებს და მაკვირვებს მისი არელვებული გამომეტყველება ჩემგან ნახულ შეშფოთებულ სახეებს შემდეგ.

-აი, ის აქაური მამასახლისია, - განაგრძობს ზებია ანისია, - თავის - თავს ბურგომისტერს ეძახის და გერმანელებიც ასე უწოდებენ. ვოლფს ძალიან უყვარს და სხვებს ეშინიათ მისი. ამბობენ გერმანელების დიდ ხალხთან აქვსო მეგობრობა, თურმე სულ მუდამ ძღვენს უგზავნის და ისინიც ძალიან აფასებენ. გვარად ბასკოვია, მაგრამ არავინ იცის, ვინ არის და აქ საიდან მოვიდა, ეს კია, მოვიდა, მოსახლეობამ ცოტათი ამოისუნთქა, ეხმარება ცოტას ხალხს. ბევრს კი არაფერს, მაგრამ მაინც... ცხადია, კარგი კაცია; საწყენია, რომ გერმანელებს ემსახურება. ამას წინათ ტასია სიტნიკოვას ბავშვები შიმშილით ეხოცებოდა და მაგან ფქვილი მისცა. სამი შვილი ჰყავს ტასიას...

მე ყურს აღარ ვუგდებ მოხუცის ლაპარაკს და ბასკოვს ვათვალიერებ. ბურბომისტრი ათიოდე მეტრის დაშორებით სდგას ჩვენგან და გარინდებული იცქირება იქით, საიდანაც ეს- ეს არის ზარბაზნების ხმა მოისმოდა. შუახნის კაცია, საფეთქლებზე ოდნავი ჭაღარა შეჰპარვია. მსუქანი, სუფთად გაპარსული სახე აქვს და მოჭუტულ ცბიერ თვალებში გაურკვეველი ცეცხლის ნაპერწკლები უბზინავს. უცებ სახეზე ოფიციალური ღიმილი გამოეხატა, სახუმარო ჟესტით ფეხიფეხს მიარტყა, სამხედრო სალამით მიიტანა ორი თითი ქუდთან და რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა წინ. მეორე მხრიდან ჩემი დიასახლისი, ელლენა ნიკოლაევნა მოდიოდა. ბურგომისტრმა მკლავი გაუწოდა მას და ნელი ნაბიჯით გაემართნენ პატარა ქუჩაზე. ერთ წუთს შეჩერდნენ. ბასკოვმა სერიოზული სახით რაღაც უთხრა, მერე ღიმილით განაგრძო ლაპარაკი და უკან დაბრუნებულები ჩვენსკენ გამოემართნენ. ქალი თავდახრით, გულმოდგინეთ უსმენდა, როცა თავი ასწია და დამინახა, ერთხანს მიცქირა, მერე ბასკოვს რაღაც უთხრა. ბურგომისტრმა გამოიხედა და დაკვირვებით შეათვალიერა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუცილებია.

-აქ ნუ დგეხართ, სახლში შედით, - მიჩურჩულა ანისიამ და სახლში შევბრუნდი.

-გადაწყდა: მივდივარ, ამაღამვე მივდივარ!... უნდა ვისარგებლო შემთხვევით... ნათლად მესმოდა არტილერიის გრიალი და ჩემი თვალით ვნახე დაღლილი, უკან დახეული გერმანელი ჯარის ნაწილები, შემდეგ დამხამრე რაზმები მანქანებში. აქ ახლოს ბრძოლაა, ცხარე ბრძოლა, მე კი გულხერდაკრებით ვიჯდე? არა არავითარ შემთხვევაში! აი, თურმე რა იყო უკანასკნელ დღეებში ვოლფის დაფიქრების მიზეზი! თურმე რატომ უკლო კონიაკის სმას და საღრჩობელის გამართვას. თუ ვისმეს ჰკლავდნენ სოფელში, ტყვიით ხვრეტდნენ, - ვოლფს აღარ სცალიან, ეჩქარება. მაშ მივდივარ... გაუმარჯოს ბრძოლას და თავისუფლებას... მივდივარ! ეს დღე ჩემი ტყევობაში ყოფნის უკანასკნელი დღე იყო. მაგრამ საქმე უცნაურად შეტრიალდა: - ჩემს გაპარვის სურვილს ბრძანებაც დაერთო, გაპარვის ბრძანება, და ვალდებულიც გავხდი გავქცეულიყავი.

თავი მეშვიდე

გამოღვიძებულმა ბავშვმა ისევ შეაწყვეტინა თხრობა. გაჭირვეულდა ბიჭი, როცა ისევ დაუპირეს დაძინება და ნოდარი იძულებული გახდა აეყენებინა იგი. ვუყურებდი მამაკაცის ნაომარ ხელებს, როგორის უხერხულობით აცმევდა ბავშვს პატარა ლამაზ ფეხსაცმელებს და გული სითბოთი მევსებოდა. გარეთ თანდათან თენდებოდა. განთიადი თითქოს რძე იყო, რომელიც ღამის ბინდში მოჟონავდა.

ნოდარმა ბავშვი ფანჯრის პატარა მაგიდაზე ჩამოსვა, ჩანთიდან ამოღებული ტკბილი ნამცხვარი მიაწოდა და ისევ მე მომიბრუნდა: - იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ, ისევ განმეორდა არტილერიის ზალპი. ვოლფი მთელი დღე არ გამოჩენილა, მხოლოდ ნაშუადღევს დაბრუნდა შტაბიდან ერთი საათით. როგორც თეფშებისა და დანა- ჩანგლის ხმაურზე შევატყე, სადილობდა. მე ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი, ხან გარეთ გამოვდიოდი, ხან ოთახში შევბრუნდებოდი, ხან კი ლოგინზე ვიყავი წამოწოლილი. დრო მტანჯველი სიზანტით მიიზლაზნებოდა და შებინდების მოუთმენელ მოლოდინში, ბალიშებზე დაყრდნობილმა, პატარა ფანჯარაში დავიწყე ცქერა. ამ მხრიდან სახლს ბოსტანი აკრავდა, რომელშიაც არყის ახლად დარგული ხე იზრდებოდა. ამ ხესთან საშუალო ტანის მამაკაცი შევნიშნე. მას გახუნებული პალტოს

საყელო აწეული ჰქონდა და ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა. შემპარავი ნაბიჯით მოდიოდა, თან გაფაციცებით იცქირებოდა ირგვლივ. „ვოლფის მოკვლა ხომ არ უნდათ?" გამიელვა თავში კითხვამ, რომელიც სისულელედ მეჩვენა, როცა დარაჯმა ჯარისკაცმა, რამდენიმე სიტყვის გაცვლა- გამოცვლის შემდეგ თავისუფლად გაატარა.

-შემოვიდეს! - მომესმა მეორე ოთახიდან პოლკოვნიკის ბრძანება და შემდეგ რამდენიმე კაცის არეული ნაბიჯების ხმა. ბოლოს ქალის ლაპარაკი გავიგონე:

-თუ მე თქვენთან ამდენი ნდობა არ დამიმსახურებია, მაშინ მე წავალ, - ამბობდა ჩემი დიასახლისი.

-არა, დარჩით, ფრაუ ელლენ, ოღონდ თქვენი პატიოსანი სიტყვა!

-გაძლევთ! - საზეიმო კილოზე სთქვა ელენა ნიკოლაევნამ, - დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე ჩემს პატიოსნებას ყველაზე მაღლა ვაყენებ.

ლაპარაკი ჩურჩულით განაგრძეს. სული მიწუხდა, მაინტერესებდა რაზე ლაპარაკობდნენ. ცხადია ამ საუბარს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც შეიძლებოდა ჩვენებისთვის მეტად ძვირფასი ყოფილიყო. მომინდა წასვლისას გამეტაცებია ეს საიდუმლო, როგორც სამხედრო ნადავლი, და კარებს მივადექი, მაგრამ მეტად ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მხოლოდ რამდენჯერმე გავიგონჰე სიტყვა ,,Brucke" -ხიდი და ,,Munitionslager"-სამხედრო საწყობი- მეტი ვერაფერი გავარჩიე.

ასე მუსაიფობდნენ თითქმის ნახევარ საათს. შემდეგ სკამებმა გაიხმაურეს, - ეტყობოდა ფეხზე ადგნენ. ჩემთვის უცნობი ხმა, რომელიც უსათუოდ ჩემს მიერ ბაღჩაში შენიშნულ სუბიექტს ეკუთვნოდა, რაღაცას თითქმის ჩურჩულით უხსნიდა ოთახში მყოფთ.

-შესანიშნავია! - გადაიხარხარა ვოლფმა, - კარგი, გავისვრი და დარაჯსაც ვუბრძანებ, -გესროლოს და არ მოგარტყას, ოღონდ უკან დაბრუნდით და მიუტანეთ ჩვენი ნაწილების განლაგების ეს სქემა და ჭკვიანად იყავით, თორემ სროლა მერე ჩვენზე იყვეს. მაშინ თქვენ თხოვნა არ დაგჭირდებათ ამისათვის... ამ მასკარადს კი მოგიწყობთ: გესვრიან და არ მოგარტყამენ.

-დიახ, ეს ჩემი პრესტიჟის ასამაღლებლად მჭირდება, ჰერრ! - სთქვა დამტვრეული გერმანულიტ უცნობმა ხმამ პირფერულ მხიარულებით.

-თქვენი პრესტიჟისათვის იქნება სჯობდეს, რომ ტყვია მოგხვდეთ თავში ან... ისევ გადაიხარხარა პოლკოვნიკმა.

პასუხად რაღაც ლუღლუღი გაისმა.

-ნუ გეშინიათ! ჩვენ ვიცით გაწეული სამსახურის დაფასება.

ვიღაც გარეთ გავიდა. შემდეგ ოთახში სროლა გაისმა. ფანჯარაში ვიღაც გადახტა. უცნობმა ჩემი ფანჯრის წინ გაირბინა და ბაღჩის ღობეზე გადევლო. უკან დადევნებულმა ჯარისკაცმა ავტომატი ასწია და ტყვიების ჯერი ცაზე მობედუინე ღრუბლების ქარავანს მიაყოლა, შემდეგ პაპიროსი ამოიღო და მშვიდად გააბოლა. ვოლფი მაშინვე სადღაც გაემგზავრა და პატარა სახლში ისევ დუმილი ჩამოწვა, მხოლოდ ელენა ნიკოლაევნას ხმა მესმოდა, რომელიც შეშინებულ ბავშვს აწყნარებდა.

ცნობისმოყვარეობა მაწამებდა. მინდოდა გამეგო, - ვინ იყო ეს კაცი? არა, ვინ იყო კი არა, რატომ მოვიდა აქ იგი? რაზე ელაპარაკა ვოლფს? მისი ვინაობა კი ჩემთვის გასაგები იყო: მას მოღალატე, ჯაშუში ჰქვიოდა, სხვა სახელი არც იყო საჭირო მისთვის. ნეტავ ჩქარა დაბნელდეს, ნეტავ ჩქარა მოვშორდე აქაურობას! დრო კი ისევ მიიზლაზნებოდა მტანჯველი სიზანტით. ჯერ მხოლოდ ექვსი საათია. კიდევ ორი სამი საათის ლოდინი... როდის გავლენ ეს გრძელი საათები?

მე რომ მწერალი ვიყვე და კალამი მიჭრიდეს, დავწერდი დიდ წიგნს, რომლის ნახევარს ამ დღის აღწერას დავუთმობდი და მას „განცდების დღეს“ დავარქმევდი. მაინც, რამდენი რამ მოცდა ამ ერთი დღის განმავლობაში?! რა სწრაფად შეიცვალა ჩემი შეხდეულება ამ ქალზე! პირველად მიყვარდა, შემდეგ სიძულვილის შხამმა მოსწამლა ჩემი სისხლი და ამ დღეს ისევ დამიბრუნდა გრძნობა, წმინდა და ხალასი, ენით გამოუთქმელი, მაგრამ მაინც ტკბილად სასიმღერო. ო, ელენა ნიკოლაევნა, ძვირფასო ელენა! მე იგი დაკარგული მეგონა და ისევ ვიპოვნე, საზიზრს ვუწოდებდი და შემდეგ საალერსო სიტყვები ვეღარ მეპოვნა, მის დახრჩობას ვნატრობდი და ეს ნატვრა ამ ქალის გულში ჩაკვრაზე ოცნებამ შეცვალა... და ეხლა მგონია, რომ მე იგი ყოველთვის მიყვარდა: მიყვარდა მაშინაც კი, როდესაც მძულდა... მიყვარდა მაშინაც, როცა კვდეობდა... და მიყვარს ეხლაც, როდესაც აღარ არის არც ის და არც მისი ნახვის იმედი...

სოფელში რამდენიმე გასროლა გაისმა. „ალბათ, კიდევ დახვრიტეს ვინმე“, - გავიფიქრე გულგრილად და გარეთ გამოვედი. ეხლა აღარაფერი მოქმედებდა ჩემზე. მთლად სიბნელის მოლოდინით, გაქცევის სურვილით ვიყავი შეპყრობილი. რამდენიმე ხანს დავბორიალობდი ეზოში და ყურადღებას არ ვაქცევდი დარაჯ ჯარისკაცს, რომელიც სახლის წინ იდგა, ზანტად პაპიროსს ეწეოდა და შემომცქეროდა. ეზოში ჩემი დიასახლისი შემოვიდა, სახლიდან ბავშვის პერანგი

გამოიტანა და ვარცლზე წყალი დაასხა -ეტყობა გარეცხვას აპირებდა. შემდეგ ვარცლიდან სუფთა წყალი გადაღვარა და ისევ გაავსო, პერანგი კი ისევ მშრალი ეჭირა ხელში უმიზნოდ. „ეტყობა ღელავს, - გავივლე გულში, - ალბათ დიდი ბოროტმოქმედება მზადდება“. უკვე ბნელდება. ცოტაც, და სიბნელე დაეუფლა ქვეყანას. ვღელავ... ვნერვიულობ... გავალ თუ ვერა? შეიძლება გერმანელმა პატრულმა მომკლას, მაგრამ დე ასე იყოს!... აქ ყოფნა უკვე აღარ შემიძლია. ისევ ჩემს გალიაში შევდივარ და ლოგინზე გაუხდელი ვწვები. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან ბებია ანისია შემოძვრა და ცხელი საჭმელი შემომიტანა. ამ საჭმელს უპუროდ შევჭამ, პურს კი შევინახავ... ვინ იცის რამდენ ხანს დამჭირდება ხეტიალი.

-ბავშვი მოჰკლეს მაგ წყეულებმა, - კვნესის ანისია და შემჭკნარ ქუთუთოებს იწმენდს, - რა კარგი ბიჭი იყო პეტრუშა. თორმეტი წლის შესრულდა. დასაჭერად მოვიდნენ, დედა მისი სახლში არ იყო. ბიჭი გაიქცა და მოჰკლეს. პარტიზანებთან კავშირი გაქვსო. და უნდა დაეჭირათ. ეს რა ხალხია; ეს რა მხეცებია!...

ვბორგავ... ვერ ვისვენებ... ნეტავ მალე წავიდეს!! მაინც რამდენი ლაპარაკი უყვარს ამ ბებერს... ვითომ ახალ ამბავს ამბობდეს: მოჰკლეს! განა აქ რამე არის გასაკვირი? ბავშვების და ქალების ხოცვა ხომ მაგათი ხელობაა. ეს ქალი, ეს მოხუცი კი, რომელიც მე ასე მიყვარს, ეხლა ნერვებზე მოქმედობს...

მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, წავიდა. თანდათან ბნელდება. კიბეზე ნაბიჯების ხმა ისმის. ვოლფი ხომ არ დაბრუნდა? მითრთის ნერვები. არა, ეს ჩემი დისახლისია, - ფეხის ხმაზე ვიცანი. ნაბიჯების ხმა ახლოვდება და... ქალი ჩემს ოთახში შემოდის. რა უნდა? რას შემოეხეტება, - იქნებ შემატყო რამე? იქნებ... რაც არ უნდა იყვეს, მე მეშინია, განზრახვაში ხელი არ შემიშალოს. ბორგავს ჩემში სიძულვილი ბუნაგში დაბუდებული მხეცივით და მიჩურჩულებს გამოვღადრო ლამაზი შველის კისერი და გონებაც მზად არის დაემორჩილოს მას...

მას ხელში სანთელი უჭირავს, მას პატარა მაგიდაზე დგამს და მიახლოვდება.

-იცით, ვინ იყო ის კაცი?

სახე დამშვიდეული აქვს, ხმა კი უთრთის.

-ნუ სწუხდებით, მე ვიცი მისი სახელი; მას არამზადა ჰქვია. ამის გარდა, თქვენ პოლკოვნიკს პატიოსანი სიტყვა მიეცით!... - მახრჩობენ მე საკუთარი სიტყვები.

-მე ჩემს პატიოსნებას ყველაფერზე მაღლა ვაყენებ, ჰერრ! - გაიმეორა მან ვოლფისათვის თქმული სიტყვა-სიტყვით, - თქვენ კი იცით, რომ ასეთი პატიოსანი

სიტყვის შესრულება უპატიოსნებაა? იცით თუ არა ეს! - სახე შეეშალა, თითქოს ჭუჭყიანი ჩვარით, რომელმაც სახეზე მხოლოდ სიბრაზის ლაქები დასტოვა, ლამაზი ნაკვთები ჩამოსწმინდესო.

გავოცდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ მჯეროდა მისი.

-იქნებ წითელი არტილერიის ხმამ შეგაშფოთათ და ეხლა გინდათ გერმანელებიც ისევე გაჰყიდოთ, როგორც სამშობლო გაჰყიდეთ. იქნებ...

-მარჩიელობას თავი დაანებეთ. მაგას შემდეგ გაიგებთ. დღეს მე უკანასკნელი მეკავშირე მომიკლეს... ჯაშუშმა გასცა საწყალი ბიჭი... მის გარდა აღარავინ მყავდა და იძულებული გავხდი გამომეყენებინა. ახლა კი კავშირი გაწყდა და თქვენი იმედი მაქვს... მაქვს კი არა, - გვაქვს. გენდობით. ვიცით, მოღალატე არა ხართ... გამოგცადეთ კიდეც, - წინადადება მოგეცით, გერმანელებთან გემუშავნათ და აღშფოდდით. გაიქეცით, ჩემო მეგობარო, მიდით დანიშნულ ადგილას და გადაარჩინეთ ათობით ადამიანთა სიცოცხლე! გახსოვდეთ, თუ თქვენ დაიღუპებით, იღუპება მრავალი სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი. ლაპარაკი ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო, შემდეგ თანდათან დამშვიდდა, სახე დაუწყნარდა, მხოლოდ ხმა ისევ მუდარიანი მღელვარებით უთრთოდა.

-ელენა ნიკოლაევნა! - წამოვიძახე გაოცებითა და აღტაცებით.

-ეხლა აღტაცების დრო არ არის. მომისმინეთ, რასაც გეტყვით და გახსოვდეთ, რომ ეს საიდუმლოება, რომელიც მე კი არა, თქვენ კი არა, - სამშობლოს ეკუთვნის და უნდა შევინახოთ ისე, როგორც შეეფერება კეთილშობილ პატრიოტს. ხვალ დილით წითელი არმია შემოტევას დაიწყებს სოფელზე - ეს გერმანელებმა არ იციან. ამაღამ პარტიზანებს უნდათ ხიდის და სამხედრო იარაღის საწყობის აფეთქება, მაგრამ ისინი ჯაშუშმა გასცა. მიდით პარტიზანთა რაზმის უფროსთან და ჩემი სახელი მხოლოდ მას უხსენეთ. გადაეცით, რომ გერმანელებმა საფარი მოაწყვეს საწყობთან და ხიდთან. არ წამოვიდნენ, თორემ მახეში გაებმებიან. ამას გარდა, გადაეცით ბრძანება: შეატყობინონ სხვა პარტიზანთა რაზმებსაც და ხვალ დილით ჩრდილო დასავლეთიდან შემოიჭრან სოფელში. იმოქმედონ შეთანხმებულად და ერთდროულად. მოქმედების დაწყების ნიშანი წითელი არტილერიის ზალპია, - საზეიმო ხმით სთქვა და მერე დაუმატა. - საწყობი დარჩეს, შიგ ბევრი არაფერი აქვთ გერმანელებს, მხოლოდ სახელი ჰქვია, ხიდს კი ჩვენ მოვუვლით.

-ელენა, ჩემო კარგო, - თავს ვეღარ ვიკავებ მე. ის კი ყურადღებას არ მაქცევს და წყნარი ხმით განაგრძობს:

-მოგცემთ ავტომატურ რევოლვერს და დანას - აი, მთელი არსენალი, რომელიც მე გამაჩნია. ეცადეთ ისინი უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენოთ. გიმეორებთ: თქვენს სიფრთხილესა და მოხერხებაზე დამოკიდებულია ათობით ადამიანთა სიცოცხლე და ჩვენი საქმის წარმატება. აქედან ჩუმად გახვალთ თქვენი ოთახის კიბეებით. ბოსტანში ღობეზე გადაიპარებით, ივლით სულ მარცხნივ. ერიდეთ გაშლილ ადგილებს, გაყევით ეზოებს და გადადით ისევ ღობეზე. იარეთ, სანამ პატარა ხევი არ შეგხვდებათ. იქ თუმცა სდგანან დარაჯები, მაგრამ მეთვალყურეობა ნაკლებია ამასგარდა ხეები და ხევი დაგეხმარებათ გაპარვაში. როცა ღელეს გადახვალთ, სამხედრო გზა შეგხვდებათ, გადასჭრით მას და ტყეში შეხვალთ. იქ მეტყევის ქოხს მოსძებნით და კარებზე დაუკაკუნებთ. მეტყევედ ჩვენი ანისიას ქმარია დაყენებული. ბაბუა სიდორიჩს ეძახიან. ის გკითხავთ: „წვიმა ხომ არ მოდის, ჩემს ღარიბ ქოხს რომ უკაკაუნებთ?" თქვენ უპასუხებთ: „არა, ღრუბლები დასავლეთისკენ მიდიან". ის მიგიყვანთ თქვენ პარტიზანთა რაზმის უფროსთან. მას გადასცემთ ყოველივეს და თანაც ეტყვით, რომ სტუდენტი ჩერკასოვი გამცემია.

-მაპატიეთ, ძვირფასო, ჩემი სიძულვილი თქვენდამი, - ვეუბნები მე ათრთოლებული ხმით, - მაპატიეთ ჩემი შეცოდება.

-პირიქით, მე მოხარული ვარ მაგ სიძულვილისა და ზიზღისა: ის ხომ მოღალატეს ეკუთვნოდა. თქვენ მეტად კეთილშობილი ხართ იმისათვის, რომ მაშინ გყვარებოდით.

-სამაგიეროდ ეხლა, ეხლა მიყვარხართ გაათკეცებით და ვერასოდეს ვერ დაგივიწყებთ...

მან თითქოს უხერხულად იგრძნო თავი. ღიმილით შემაწყვეტინა ლაპარაკი და ბოდიშის მოხდით, ერთი წუთით გარეთ გავიდა. მარტოდ დავრჩი ამ ერთ წუთს და გულში იმდენი გრძნობა აფორიაქდა რომ მთელ სიცოცხლეში მეყოფოდა განსაცდელად. საოცარია, მაინც როგორ ეტევა დროის ასეთ მონაკვეთზე განცდათა მთები.

ქალი დაბრუნდა, აღთქმული იარაღი მომიტანა, როცა დანა და რევოლვერი ჯიბეში ჩავიდე, ორივე ხელი გამომიწოდა და მღელვარებით მითხრა:

-წადით, ქართველო ჭაბუკო, წადით და თავს გაუფრთხილდით. დაგუბებულმა გრძნობამ იფეთქა: ორივე ხელი მოვკიდე ხელებზე და ჩურჩულით, რომელსაც თითქოს ნაპერწკლები სცვიოდა, ვუთხარი:

-ნუ დამივიწყებ, ჩემო ძვირფასო, თუ უსახელოდ მოვკვდი, შენგან მოგონება მეყოფა ძეგლად.

– წადით, ნუ აგვიანებთ, - წამოიძახა მან ალერსით. შემდეგ ცალი ხელი გაინთავისუფლა, ნიდაყვი მხარზე დამაყრდნო, გრძელი თითები თმებში გამიხლართა ისე, რომ მისი ხელისგული შუბლზე მქონდა შემოჭდობილი და თავი გადამიწია. რამდენიმე ხანს მდუმარედ შემომყურებდა სახეზე, თითქოს უნდოდა ჩემს თვალებში ჩებეჭდა თავისი სახე და აკი მოახერხა კიდეც. მე ეხლაც ვხედავ მას, ჩემი შუბლი ეხლაც გრძნობს მისი მთრთოლვარე ხელისგულს და თმები განიცდიან ნაზ თითების შეხებას. ასე ვიყავით გარინდებული რამდენიმე წუთს და მე უდიდეს ნეტარებას განვიცდიდი. შემდეგ ნელა დაიხარა, შუბლზე ნაზად მეამბორა, ისე ფრთხილად, თითქოს ნიავი შეეხო ჩემს გახურებულ სახეს. მერე ცალი მკლავი ბეჭებზე მომხვია, მეორე ხელით კარი გააღო, გარეთ გამომისტუმრა და ჩურჩულით მომაძახა:

-ჩვენ ისევ შევხვდებით!

ო, ნეტავ არასოდეს არ შევხვედროდი მას, ნეტავ არასდროს არ მენახა იგი... არასოდეს არ ეგრძნობინებინა ბედნიერება ჩემთვის მის დანახვას, თუ ეს ბედნიერება ასე ხანმოკლე იქნებოდა... - წამოიძახა მან და თავი დახარა.

თავი მერვე

გარეთ უკვე დღეა. მატარებელი მიჰყვება ზღვის ლურჯ ნაპირს. დელფინების ურიცხვ ლაშქარივით მოსცურავენ ტალღები თვალუწვდენელ სიშორიდან, შრიალით იშლებიან ქვიშიან ნაპირზე და შემდეგ უკან დახევით უბრუნდებიან ზღვას. მეორენი კი მოიწევენ დაუდეგრად, ერთმანეთს ახტებიან, თითქოს ხმელზე ამოსვლას ლამობენ. დინჯად მოშრიალე პალმები გასცქერიან ონავარ ტალღების თამაშს და, თითქოს მას დასაოკებლად, ნიავის ენით აღმოსავლურ ტკბილ ზღაპარს ჰყვებიან...

თვალი არ მომიხუჭავს მთელი ღამე, ჩემი თანამგზავრის ნაამბობით გატაცებულს. და ეხლა კი რაღა დამაძინებს?! მაინტერესებს, რითი დასრულდა ეს

ამბავი, და ამას გარდა, გარეთაც მომხიბლავად იშლება ზღვის სანაპიროს ტროპიკული პეიზაჟი. ამომავალ მზეს ოქროს ბილიკი დაუფენია ატალღებულ ზურმუხტოვან უდაბნოზე. ცა ზღვისფერია, ზღვა კი - ცისფერი...

ჩემი თანამგზავრი რამდენიმე ხანს იყო თავდახრილი. იგი წარსულში ცხოვრობდა, მოგონებებს ხედავდა და ამ ლამაზ ბუნებისათვის არც კი შეუხედავს.

-ეხლა მივედი ჩემი თხრობის ყველაზე მძიმე ადგილამდე და ჩემს ამბავს დავასრულებ, - სთქვა ნოდარმა და თავი ასწია... როცა ელენას დავშორდი, გული თითქო მღეროდა. ვერ ვგრძნობდი ჩემს სახიფათო მდგომარეობას და გრძნობებით გატაცებული გაუფრთხილებლად მივაბიჯებდი ბნელში. როცა ღობეზე გადავედი, ძველმა სარებმა მოღალატური ჭრიჭინი ასტეხეს და გამოვფხიზლდი. ისევ მოვკრიფე სიფრთხილის ნამცეცები, რომელიც სიხარულმა და გატაცებამ დამიფანტა და ირგვლივ მიმოვიხედე. მადლობა ღმერთს, არავის გაუგონია ეს პატარა ხმაური ღობისა და დამშვიდებით გავწიე ნაჩვენები გზით. გავიარე სოფელი უხიფათოდ, მხოლოდ ერთხელ ნაბიჯების ხმას მოვკარი ყური და მახლობლად მაშინვე კომბოსტოს მწკრივში ჩავწექი. გერმანელმა პატრულებმა ხმადაბალი ლაპარაკით ჩამიარეს გვერდზე, მაგრამ ვერ შემამჩნიეს.

სოფლის განაპირას მართლაც პატარა ხევი ჩამოდიოდა, როგორც ელენემ მითხრა, და რადგან ვიცოდი, აქ დარაჯი იქნებოდა, ბალახებში ჩავწექი და მუცელზე ხოხვით განვაგრძე გზა. ჩემს წინ პირდაპირ, ცაცხვისა დარყის ხეები შრიალებდნენ და ხევიდან წყლს რაკრაკი მესმოდა. მიამა აქ ყოფნა, ამ ბალახების შეხება. ბუნების მელოდიური ხმები ყურს სიამოვნებდნენ. ჩურჩულებდნენ ხეებზე ფოთლები ელენას ხმით და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ჩვენ ისევ შევხვდებით“! ეს ჩემთვის მხოლოდ ბალახი, მხოლოდ ხეები, ან წყლის უთავბოლო ხმაური კი არ იყო, არამედ თავისუფლება, სამშობლო, სიყვარული და ბუნების უმშვენიერესი ჰიმნი.

ლირიულ გატაცებას, რომელიც თანდათან ჩემს დამორჩილებას აპირებდა, ძალად წავგლიჯე თავი მაცდურ ხელებიდან. მომაგონდა ჩემი მდგომარეობა, მომაგონდა დავალება და წინ გავწიე. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით გერმანელი ჯარისკაცის აჩრდილს მოვკარი თვალი, რომელიც ბოლთას სცემდა. მვხვდი, რამდენიმე ნაბიჯის იქით კიდევ იდგებოდა ჯარისკაცი და დავფიქრდი: იქნებ შევძლო შეუმჩნევლად გაპარვა?! ბრძოლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ხოლო თუ მან შემამჩნია, დავიღუპები, მაგრამ განა მარტო მე? ეხლა მე ერთი კაცი კი არა ვარ,

რამდენიმე ათეულ და ასეულ ადამიანებისაგან შევდგები. თუ მე დავიღუპე, დაიღუპებიან ისინიც, ჩემს სიკვდილთან ერთად შეჩერდება მათი გულის ფეთქვაც. მახეში გააბამენ, ბადეში გააბამენ მთიდან დაშვებულ ჯიხვების ჯელგასავით. უნდა გავიდე, შეუძლებელი უნდა შევძლო და ფრთხილად ვიმოქმედო. ასეთ დროს გამბედავ ბრიყვს ფრთხილი ლაჩარიც სჯობია - სიფრთხილე კი სილაჩრე არაა. ხეებიდან სცვივა ყვითელი, შემოდგომის ფოთლები. შრიალებენ ცაცხვისა და არყის ხეები და მეც ვიმეორებ მათ ჩურჩულს: „ჩვენ ისევ შევხვდებით!“.

ხელმარჯვნივ ვიღებ გეზს, მინდა გვერდი ავუქციო ჯარისკაცს. ხვლიკივით მივხოხავ ბალახებში უხმაუროდ, მაგრამ ჩემი მკლავის ქვეშ ხმელი ტოტი ტკაცანით გატყდა. გავჩერდი და გავინაბე. ვხედავ როგორ შეჩერდა გერმანელი და ყურები დაცქვიტა. და სიბნელეს მიაჩერდა. ალბათ თავისთავს არწმუნებდა რომ საფრთხე არსაიდან იყო და უფრო სინდისის დასამშვიდებლად ფრთხილი, შემკრთალი ნაბიჯით ჩემსკენ გამოსწია, თან გარემოს დაკვირვებით ათვალიერებდა. „ბედისწერამ თუ აიტანა“- ვიფიქრე მე და მარჯვენა ხელით დანის ტარი ისე მაგრად ჩავბღუჯე, რომ თითები მხურვალებამ ამიწვა. უფრო ძლიერ მივეკარი მიწას და გულა ბაგა-ბუგი დამიწყო. სხვა გზა არ იყო, უნდა მომეკლა ყველა კუნთი შემეკრა ნახტომისათვის გამზადებული მხეცივით და, როცა მან გვერდით ჩამიარა, ფეხზე წმოვიჭერი, მარცხენა მკლავი უკანიდან კისერზე შემოვხვიე, გაშლილი ხელისგული პირზე დავაფარე და, სანამ დაყვირებას მოასწრებდა, მოქნეული დანა მძლავრად დავეცი კისერში სადღაც ხორხსა და საძილე არტერიას შორის. ღონიერი ვაჟკაცი იყო, ძლიერად გაიბრძოლა. ჩემმა დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ახალგაზრდა, ჯანსაღ სხეულთან სასოწარკვეთილ შებმას. დანის ტარი ხელიდან გამისხლტა და მოქნეული ბალახებში დავეცი ცოტა მოშორებით. ის ისევ ფეხზე იდგა. ვხედავდი როგორ ტოკავდა მისი სილუეტი ერთ წუთს, როგორ მიიტანა ორივე ხელი კისერთან, მოჰკიდა დანის ტარს და ამოძრობას ეცადა, მაგრამ ტკივილებისგან შეტორტმანდა, დაყვირების ნაცვლად ყელიდან რაღაც ხავილის მსგავსი ბგერა ამოუვიდა და მიწაზე დაეშვა. მივცოცდი მასთან და გულზე ყური დავადე. მკერდში სიჩუმე შევიცანი; მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გაიბრძოლებდა სამუდამოდ დასადუმებლად იყო განწირული და ჩემმა ხელებმა იგრძნეს ელექტრო დენის მსგავსი სასიკვდილო ჟრუანტელი, რომელიც მის მკვრივკუნთებს ატოკებდა. ავაცალე იარაღი და დავლად წავიღე, ყელიდან კი ამოვაძრე დანა, რომ მისთვის თავისუფალი სიკვდილის

საშუალება მიმეცა. ერთხანს გარინდებული ვიდექი და თითქოს მიკვირდა, რომ ამ გერმანელსაც ანატომიური სხეული ჰქონდა, რომ იგი კვდებოდა ისე, როგორც ყველა ადამიანი; ვიდექი და ვწუხდი, მაგრამ არა იმას, რომ მე კაცი მოვკალი, არამედ იმას, რომ ამ სხეულში ადამიანი ჩემზე ადრე მოჰკლეს, გული ამოაცალეს და მის ნაცვლად მანქანა ჩაუდგეს, შემდეგ ავტომატით მომართეს და სხვისი ქვეყნის დასაპყრობად გამოგზავნეს. ეს კაცი, რომელსაც მე ეხლა დანა დავეცი, კარგა ხანია მკვდარი იყო და მე მხოლოდ გავაჩერე მასში გადანერგული ავტომატური მექანიზმი.

ამ ადგილას დიდხანს გაჩერება არ შეიძლებოდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ჩაკეტილიყო ჩემთვის დროებით გახსნილი გზა. ფრთხილად გავწიე წინ. მიკანკალებდა შეჭიდებისა და აღელვებისაგან ჭრილობებით დასუსტებული სხეული. ჩავედი ხევში და ნელა ჩავდგი წყალში ფეხი. მეამა სიგრილის შეგრძნება წვივებზე. ხელი დავასველე ანკარა ზვირთებში და სახეზე მოვისვი. ამან თითქოს ღონე შემმატა და ოდნავ შვება ვიგრძენი. დახრილი გავძვერი წყალზე გამოწეულ ხის ტოტებსა და ბუჩქებს შორის, გზატკეცილი გადავჭერი და ტყეს შევერიე.

რამდენსამე ხანს ვიხეტიალე უგზოდ ტყეში და ბოლოს ხის ტოტებს შორის ჩამოღვრილ მთვარის შუქზე ბილიკის მსგავსი რაღაც შევნიშნე, გავყევი მას და პატარა ქოხთან მიმიყვანა. ეს უნდა იყოს მეტყევის ქოხი. ალბათ აქ არის სიდორიჩი, - ვფიქრობ და კარებზე ვაკაკუნებ. ქოხიდან ხვნეშა და ჩახველება მესმის. ბრაზიანმა ხმამ გამომძახა:

-ვინ ეშმაკი დაეხეტება ამ შუაღამისას. გარეთ ხომ არ წვიმს, ქოხს რომ უკაკუნებთ?!

გამახარა ამ ხმამ... როგორც ნუგეში, როგორც მამის ალერსი, ისე მომესმა იგი ამ უსიერ ტყეში. რამდენი ვიხეტიალე, რამდენი ვეწამე და აი, უკვე სამშვიდობოს კარებთან ვარ. სიხარულის ტალღამ ელენას სახე მომიტანა და წამოვიძახე:

-ელენა, ზვირფასო ჩვენ ისევ შევხვდებით!

-რაო? - მესმის ბრაზიანი ხმა, - რას მიედ- მოედები! ელენა სხვაგან მონახე, ამ ტყეში კი ტურების მეტი არავინაა!

დასწყევლოს ღმერთმა, საკმაოდ ხმამაღლა წამომიძახებია.

-თქვენ არ გეუბნებით, ბაბუა, გარეთ არ წვიმს, ღრუბლები დასავლეთისკენ მიდიან.

-მაშ, კარგი დარია? - ყოყმანით მკითხა ხმამ.

-ხომ გეუბნებით: ღრუბლები დასავლეთისკენ მიდიან. მოხუცმა საქმიანათ ჩაახველა და ურდულს გასწია. პატარა ქოხში შევედი, რომელშიც ძელებისაგან გაკეთებული სახელდახელო ლოგინის გარდა სხვა არაფერი იყო. ქოხის შუაგულში მიწის იატაკზე, სადაც სიდორიჩს კერა გაემართა, ცეცხლი ჩამქრალი იყო და ალმოდებული ნაკვერჩხლები თვლემით თვალებს ლულავდნენ. მოხუცმა ზედ ფიჩხი დააყარა და, როცა სულს უბერავდა გასაღვივებლად, შემოუბრუნებლად მკითხა:

-შვილო, შენზე ჭკვიანი ვერავინ იპოვეს გამოსაგზავნად? - და ავარდნილ ბუღისაგან ხრიწიანი ხველა აუტყდა.

-რა დროს ეგ არის, ბაბუა სიდორიჩ! მიანებეთ მაგ ცეცხლს თავი და პარტიზანებთან წამიყვანეთ. საჩქარო საქმე მაქვს უფროსთან.

მან დაკვირვებით შემომხედა. მერე ადგა, თოფი აიღო და თავის გადაქნევით, გამომყევიო, - მანიშნა. გარეთ გავედით. იგი ჩემს წინ ფართე ნაბიჯებით მიდის და უკან მივსდევ. მე არაფერს მეკითხება და თავისთვის კი სულ ბუზღუნებს.

-აფსუს, რა დრო დაგიდგა სიდორიჩ?! ესეც შენი ბრძოლა... ეს რა ხალხია. მე ბრძოლა მინდა და ამათ კი ქოხში დამაგდეს, რომ ყოველი გამვლელ- გამომვლელი ვაცილო. მერე სულის მოთქმასაც რომ არ მაცლიან? ეს კიდევ ყველაზე უარესი, ამას აბოდებს კიდეც... ზოგჯერ კაცი ბოდვაშიც ჭკვიანურს გამოურევს, ეს კი ქალის სახელებს გაიძახის, - ეტყობა დიდი წუწკი ვინმე უნდა იყვეს... გადამავიწყდა ჩემი მღელვარება და გულში მეცინება. „ნეტავ როგორ შეხვდა ასეთი შესაფერისი ცოლ-ქმარი ერთმანეთს? ვორობივოში ანისიას წუწუნისაგან ყურები მტკიოდა, აქ კი ტყეში მისი ქმარი არ მასვენებს“, - ვფიქრობ და ვცდილობ არ ჩამოვრჩე. ის კი ისევ ბუზღუნებს. შუა ტანისაა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფართე ბეჭებიანი. ტყავის ქურქი აცვია და მკერდზე წვერები ცოცხის ბოლოსავით აქვს დაფენილი. ფართე სახე და, ამ სიბნელეში თვალი თუ არ მატყუებს, მსუქანი და მოწითალო ცხვირი უნდა ჰქონდეს. თოვლი რომ იყვეს, უთუოდ ბავშვებისაკენ გამგზავრებული საახალწლო თოვლის ბაბუა მეგონებოდა.

ამრიგად ვიარეთ ნახევარ საათს. მეჩქარებოდა, მაგრამ სიდორიჩს დაჩქარება არ სჭირდება, ისედაც სწრაფად ადგამს თავის ბებერ, მაგრან ჯერ კიდევ მძლავრ ფეხებს. უგზო - უკვლოდ მიაბოტებს და, გზა ხომ არ დაჰკარგა მეთქი, გამირბენს ხანდახან გულში ეჭვი. თვალებით ვეკითხები, მაგრამ ის სრულებით არ მაქცევს ყურადღებას და მეც მამშვიდებს მისი აუღელვებელი გამომეტყველება.

ბოლოს პატარა გორაკს მივადექით და ფეროზს შევყევით. დამყურებენ ზევიდან რომელიღაც მცენარის დაბურული ბუჩქები ისეთი სიველურით, თითქოს ადამიანი არასოდეს არ ენახოთ.

-ვინ მოდის? - მოისმა ზემოდან მოკლედ და მკაფიოდ.

-ადამიანი, - ბუზღუნებს ჩემი მძღოლი.

-როგორი დარია?

-ღრუბლები მიდიან.

-ესე იგი კარგი ამინდია, არა?

-ღრუბლები მიდიან - მეთქი, არ გესმის?! კარგი ამინდია, - გაბრაზდა მოხუცი, - ეს კი ვინ ქაჯია, ამდენს რომ მაქაქანებს, თითქოს ვერა მცნობდეს.

-ო, ბაბუა სიდორიჩ, მიყვარს შენი ხმატკბილი საუბარი და მტრედივით ღუღუნი. ამიტომაც გემუსაიფები.

საოცრად ნაცნობი მეჩვენა ეს ხმა, მაგრამ ვერ მომიგონებია -ვისია.

ბუჩქებს მაღალი ლანდი გამოეყო და ჩვენსკენ გამოსწია. როცა ორნი დაგვინახა, სვლა შეანელა და ჩემს მძღოლს ეუბნება:

-ეს რა ამბავია, ბაბუა სიდორიჩ; კავალერების გარეშე აღარ დადიხარ? ხომ არ გეშინია გერმანელებმა ნამუსი აგხადონ? - შენ თვითონ ხარ ნამუსახდილი...

რასაკვირველია, ის არის, ვიცანი. „საროკა“, ჩვენი კაჭკაჭი. აქ საიდან მოფრენილა ნეტავი? „საროკა“ მომიახლოვდა და მაკვირდება.

-ექიმო, ამხანაგო უფროსო, ნოდარ დავიდოვიჩ! ყვირის თითქმის და გაშლილი მკლავებით მეხვევა - აქ საიდან გაჩნდით, ჩემს საძებრად ხომ არ წამოხვედით? მაინც ხომ გამოგეპარეთ, მაინც!.. - ეს ქაჯი ღრეჭას არ მოიშლის?!- ვფიქრობ და გუნებაში მეცინება.

-როგორც არ უნდა მეალერსოთ, მე პატაკს მაინც დავწერ თქვენზე და გაყურებზინებთ სეირს.

-ნუ გამიწყრებით, ამხანაგო უფროსო, თუ გნებავთ დღესვე დავბრუნდები ჰოსპიტალში, ოღონდ მითხარით, სად იმყოფება ეხლა თქვენი ძვირფასი დაწესებულება, - ჭიხვინებს იგი და განვაგრძობთ გზას.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ სანიშნო სტვენა მოგვესმა და რამოდენიმე შეიარაღებული კაცი შემოგვეხვია.

-სად არის რაზმის უფროსი?- ვკითხულობ მე.

-ეხლავე - მპასუხობს „საროკა“ მოკლედ.

ბანაკში არავის სძინავს. ორ-სამ ადგილას ცეცხლი ანთია. ალი დროდადრო მუგუზლებიდან თავს გარეთ ჰყოფს და მაღლა იწევს, თითქოს სიცელქე- მორეულს უნდა წვრილი, წითელი ენა დაბლა დახრილ ხის ტოტებს მოუსვას, მაგრამ დატუქსულივით ისევ იმალება მუგუზლებში. კოცონს გარს უსხედან ვაჟკაცები, თოფებს სწმენდენ და ღიღინებენ. დინჯია მათი სიმღერა, თითქოს მდინარე მოაღელვებს თავის მდორე, მაგრამ მძლავრ ტალღებს და მე განუზომლად მომწონს ეს მელოდიური ღელვა ხმისა.

-აი, რაზმის უფროსი, ამხანაგო ჰოსპიტლის უფროსო. უჰ, ეშმაკმა წაიღოს, ეს რამდენი უფროსია! არა, ბაბუა სიდორიჩ?

-როცა ქარი ჩადგება, წისქვილის ფრთებიც ჩერდებიან, - დინჯად პასუხობს სიდორიჩი, - შენი ენა კი სულ ტრიალებს, ეს იმიტომ, რომ შენს თავში მუდამ ქარი ქრის, - სთქვა სიდორიჩმა და წელში ამაყად გამართულმა გადახედა გვერდით მდგომთ. ირგვლივ სიცილი ატყდა.

-გამომყევით, - ამბობს რაზმის უფროსი და მისმა ხმამ დოლივით ჩაიბუბუნა. მიწურში შემიყვანა, ხის ნამორზე დამსვა და თვითონაც ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა.

-მე მარტო თქვენთან მინდა ლაპარაკი - ვუთხარი მას, როცა მიწურში ახლგაზრდა პარტიზანი შევნიშნე, რომელიც მუხლზე გადახეულ შარვალს შეუჩვეველი ხელით იკერავდა და მოუხეშავ თითებიდან წამდაუწუმ უძვრებოდა ნემსი.

-მიტკა, გადი! - ჭაბუკმა ნაყვავილარი სახე ჩემსკენ მოაბრუნა, ქალწულის ფართე, ცისფერი თვალებით შემომხედა და უხმოდ გარეთ გავიდა.

რამდენჯერმე შევათვალიერე რაზმის უფროსი. ტანდაბალი, მკვრივად აგებული მამაკაცი იყო, რომლის ბეჭებზე ტყაპუჭი თითქოს შემოსკდომას ლამობდა. თავზე მოწითალო თმები ლომის ფაფარივით ეყარა, მსხვილ ტუჩებს ზემოდან ფართე ულვაში ფარავდა, რომელსაც თითქოს ფესვები გაედგა გაპარსვამიტოვებულ სახეზე და უხეშ ჯაგრად გამრავლებულიყო. ფართე ცხვირი და ხშირ წარბებს ქვემოდან მუქათ მომზირალი, ღრმად ჩამჯდარი თვალები უტეხ ვაჟკაცურ ძალას ამჟღავნებდნენ მასში. ისიც მიცქერდა რამდენიმე ხანს, დამათვალიერა თავიდან ფეხებამდე, შემდეგ გაზეთის ქაღალდში გახვეულ თამბაქოს მოუკიდა.

-მერე? - შემეკითხა თავის ბოხი, მკერდის ხმით, თითქოს შეწყვეტილი ამბის გაგრძელებას მთხოვდა.

-უპირველესად ყოვლისა, სოფელში ნურავის გაგზავნით -ხელი აიღეთ საწყობისა და ხიდის აფეთქებაზე, - იქ მახე მოაწყეს გერმანელებმა... მე ელენე ნიკოლაევნამ გამომგზავნა. დამაბარა, რომ ხიდს თვითონ ისინი მოუვლიან ამას გარდა, სტუდენტი... სტუდენტი...

-ვანია ჩერკასოვი?

-დიახ, გამცემია.

იგი შიშმუშნა უსიამოვნოდ, თითქოს რაღაც საზიზღარს მოჰკრა თვალიო. მერე ფართე ხელისგულით შუბლი მოისრისა და რამდენჯერმე ჩუმათ გაიმეორა: „გამცემი... გამცემი...“ შემდეგ ფეხზე წამოდგა, კართან მივიდა და მიტკას გასძახა. როცა ახალგაზრდა პარტიზანი მიწურში შემოვიდა, მოკლედ უთხრა:

-შეაჩერეთ მედვეჟევის ბრიგადა, ფეხი არ დასძრან ადგილიდან. - და შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა, - ჩერკასოვთან მოლაპარაკებას შემდეგაც მოვასწრებთ. თქვენ კი ეს მითხარით: კიდევ სხვა ბრძანება ხომ არ გადმოუციათ ელენა ნიკოლაევნასათვის?

სხაპა - სხუპით გადავეცი დანარჩენიც და მასთან ერთად ახალი ბრძანებაც. დინჯად მომისმინა, დაფიქრდა და სთქვა: - ყველაფერს გავაკეთებთ. ეხლავე შევატყობინებ სხვა რაზმებსაც. მაშ, ხვალ შეტევას ვიწყებთ, ხვალ ნამდვილი ბრძოლა გვექნება სოფლისათვის, არა? შემეკითხა და პასუხს არც კი დაუცადა, ისე განაგრძო: - ეს კარგი საქმეა, მნიშვნელოვანი. მობეზრდათ ბიჭებს წვრილ - წვრილი თარეშები, დიდ ბრძოლას ნატრულობდნენ. თქვენ იარაღი გაქვთ?

-დიახ, რევოლვერი და ავტომატი, რომელიც ჩემს მიერ მოკლულ გერმანელს ავაცალე.

-გადაეცით „საროკას“ - რამდენიმე ხელყუმბარა მოგცეთ. თქვენ კარგი ვაჟკაცი სჩანხართ და დილით ვნახოთ, როგორ გმირობას გამოიჩენთ. ამას გარდა, გამოგვადგებით როგორც ექიმი. გარეთ გავიდა და მიწურში მჯდომს მესმოდა მისი ძახილი:

ანდრეი, ბაბუა სიდორიჩი აქ დარჩეს. მთელი რაზმი საბრძოლო მდგომარეობაში იყვეს, - დილას ვორობიოვზე მივდივართ. პეტკა დაუყონებლივ მოემზადოს ჟარკინის პარტიზანულ რაზმში გასამგზავრებლად...

პასუხად მოკლე „მესმის“ გაისმა და ამუშავდა არაჩვეულებრივი სისწრაფით ეს პატარა საომარი მანქანა. გამოვედი მიწურიდან და კოცონთან მივჯექი. ბანაკში არავის არ სძინავს. ფაციფუცია: ემზადებიან შეტევისათვის. გული გამალებით მიძგერდა, მინდოდა ჩქარა მოსულიყო განთიადი და ცას შევცქეროდი, რომ გამომეცნო რა დრო იყო, როგორც მოხუცებულებმა იციან ჩვენს სოფელში, მაგრამ ამაოდ. განთიადი კი თითქოს ანგარიშს არ უწევდა ჩემს მოუთმენლობას და იგვიანებდა. ვზივარ მოლოდინით მოღლილი და ზურგი ხეზე მაქვს მიყრდნობილი. „ჩვენ ისევ შევხვდებით“, - შრიალებენ ხის ფოთლები და ჩემი ფიქრი ისევ იმ ქალს უბრუნდება.

უცებ იქუხა. შეტოკდა მიწა და ჩემს ზურგს უკან ხე, რომელზედაც მიყრდნობილი ვიყავი, თითქოს, მოულოდნელობისაგან შეხტა. ცაზე ჟანგიანმა შუქმა გადაირბინა და წუთით ტყე გაანათა. „ხიდი... ხიდი...“ - მომესმა და გაოგნებული ფეხზე წამოვიჭერი. ხიდიააფეთქეს! ნუთუ ელენამ... ხომ არ დაიღუპა?.. ვფიქრობ და არ მჯერა, გულს არ სჯერა მისი დაღუპვა. „როგორ შეიძლება, რომ მან არ შეასრულოს დანაპირები, რომ არ შემხვდეს ხვალ მომღიმარი თავისი სახლის კარებთან?“ - ფართქალებს გული. დავბორიალობ უმიზნოთ ერთხანს, შემდეგ ისევ ძველ ადგილას ვჯდები და თვლემა მერევა, - ვერ აიტანა მოღლილმა, ნაჭრილობებმა ორგანიზმმა ამდენი ხეტიალი და სულის მღელვარება. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ძილ-ღვიძილის საზღვარზე, რომ ხმადაბალ ლაპარაკს და სიცილს გამოვყევარ ამ მდგომარეობიდან.

-მაშ, აქ არის? - კითხულობს ხმა.

-არა, - პასუხობს მეორე, - რაზმის უფროსთან იყო წეღან, რაღაც უბრძანა და მერე სხვაგან წავიდა, ალბათ სხვა რაზმთან.

-მისი ნამდვილი გვარი არ იცი?

-არა, მარტო ის ვიცი, რომ გვარად ბასკოვს ატარებს და გერმანელებმა „ბურგომისტრი“ დაარქვეს. გაოცებისაგან პირს ვაღებ და სმენას ვამახვილებ.

-ფედია, ა, ფედია! მომიყევი, როგორ ააფეთქა ხიდი. მე არ გამიგონია, - სთხოვს ვიღაც ახლად შემოსწრებული.

-ჭკუის კოლოფო, მან კი არ ააფეთქა, თვითონ გერმანელებს ააფეთქებინა. პირდაპირ ანეგდოტია, - არ იზარებს ლაპარაკს ფედია - აი, მოხერხებაც ამას ჰქვია! მისულა ხიდის მცველ რაზმთან გერმანული ფორმით, როგორც ბურგომისტრი და

სასწრაფოდ, ვითომ ვოლფის ბრძანება გადაუცია: ამა და ამ დროს ხიდი ააფეთქეთ, ბოლშევიკები ზურგიდან იწყებენ შემოტევას, შტაბიდან ცნობა მოვიდაო. ხიდი ააფეთქეთ და მათი სვლა შეაჩერეთო. იმათაც დაუჯერებიათ, ჭკუის კოლოფებს, გერმანული სიზუსტით აუფეთქებიათ ხიდი. ბასკოვი კი ამ დროს უკვე ჩვენთან მოვიდა. რაზმის უფროსს რომ უყვებოდა, მეც იქ ვიყავი და სიცილისაგან კინაღამ გული შემიღონდა. ეხლა მიირთვას ვოლფმა რეზერვები წყალს გაღმიდან.

აი, თურმე ვინ ყოფილა უფროსი. ვის ჰქონია უფლება ებრძანებინა ლაღი პარტიზანებისათვის პარტიისა და სარდლობის სახელით. აი თურმე ვისი ბრძანება წამოვიღე. მაშ, ელენა ცოცხალია და უვნებელი- ვფიქრობ გახარებული და ცას შევცქერი განთიადის მოლოდინში. ცაზე მთვარე აღარ სჩანდა, მხოლოდ აქა- იქ ეკიდა ვარსკვლავთა ღილით გადაბნეული ღრუბლის ძონძები. თენდებოდა...

თავი მეცხრე

თქვენ გაკვირვებით მიყურებთ, გეტყობათ გიკვირთ ბასკოვის ამბავი. არ იფიქროთ, რომ ყველა ბურგომისტრი ასეთი იყო. არა, ჩემო, ისინი ჯალათები და გერმანიის გესტაპოს აგენტები იყვნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხალხი დაბეზღებაში, სახრჩობელების გამართვაში, მოსახლეობის შევიწროვებაში, იმისათვის, რომ ჯილდო და წარმატება მიეღოთ. ბასკოვი კი თავგანწირული, ნიჭიერი საბჭოთა მებრძოლი იყო, რომელმაც თავისი თავის ბურგომისტრად არჩევინება მოახერხა და ამ თანამდებობას საფუძვლად ხმარობდა, რომ სამშობლოს საქმეები ეკეთებინა. საერთოდ კი ბურგომისტრები რას წარმოადგენდნენ, თქვენც კარგად გეცოდინებათ გაზეთებიდან, სადაც გამოქვეყნებული იყო სასამართლო პროცესის შესახებ, რომელზედაც ისინი ხალხმა გაასამართლა. მე კი მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების მოყოლა რომ დავიწყო, საბოლოოდ ავცდები ჩემი თავგადასავლის თხრობას.

როდესაც ოდნავ ინათა, სანიშნო სტვენა გაისმა და მთელი ბანაკი ფეხზე დადგა. რაზმის უფროსმა მკაცრი ბრძანება გასცა სიჩუმის დაცვისა, და დაბლა უხმაუროდ დავეშვით საცალფეხო ბილიკებით. წინ სიდორიჩი მიაბიჯებს და გზას მიიკვლევს. გაამაყებულია მოხუცი, უხარია რომ ნამდვილ ბრძლაში იღებს მონაწილეობას, ამიტომაც აღარ ბუძღუნებს ჩვეულებრივად. ჩემს გვერდით „საროკაა“.

-ჩუმად იარეთ, ძილი არ დაუფრთხოთ ბატონ გერმანელებს, თორემ სუსტი ნერვები აქვთ და ეწყინებთ, - ჩურჩულებს იგი და იკრიჭება.

შევამჩნიე, რომ სულ სხვა გზით მივდივართ. ვეღარ ვცნობ იმ ადგილებს, რომლებიც გამოვიარე, მაგრამ არავის ვეკითხები. რამდენიმე ხნის შემდეგ მივაღწიეთ გზატკეცილს და ფეხის წვერებზე გადავირბინეთ იგი. მეორე მხარეს ოციოდე ხე სდგას და პატარა გორაკი მიჰყვება გზას. ამ ადგილს შევაფარეთ თავი. პარტიზანებისათვის ყველაზე მძლავრი იარაღი მოულოდნელობაა და დაძაბული ვსხედვართ საფარში ნიშნის მოლოდინში, რომ მოულოდნელად დავცეთ მტერს ზარი. თანდათან სინათლე ეპარება ზეცას და სამყარო იღვიძებს. ბინდში სოფელი მოსჩანს. ალაგ- ალაგ თეთრი სახლების საკვამურებზე კვამლის ლეჩაქი ირხევა, თითქოს ბუხრების ჩიბუხებს ეწევიან დაფიქრებული ქოხები. ველზე კი წევს დუმილი, სმენად გადაქცეული.

უცებ არტილერიამ დაიგრიალა და ეს ხმა გადაგორდა გორებზე, თითქოს გრიგალმა უზარმაზარი იალქნის კალთა დაბერტყაო. რამდენიმე უმბარა გრუხუნით ჩაწვა სოფელში და ალი ავარდა. ზალპი რამდენჯერმე განმეორდა ერთმანეთის მიყოლებით, მერე არტილერიამ სოფლის გარეთა მინდვრებზე გადაიტანა ცეცხლი. ყუმბარებმა სტვენით გადაუფრინეს სოფელს და მის სანახებში წამდაუწუმ იზრდებოდნენ ცეცხლისა და კვამლის შადრევნები უზარმაზარ სოკოებივით.

უფროსის ნიშანზე ფეხზე წამოვიჭერით, იქუხა ოთხმოცი კაცის მკერდიდან ომახიანმა „ურამ“ და თოფ - მომარჯვებულები წინ გავექანეთ. ელვის სისწრაფით გაფრინდა დრო. ისე ჩქარა სცვლიდა ერთი სურათი მეორეს, რომ აღქმას ვერ ვასწრებდი. რაზმის უფროსმა რაღაც ანიშნა ქალწულისთვალებიან, ნაყვავილარ მიტკას და ისევ რაზმს გაუძღვა სირბილით. მიტკა მიეჭრა საშუალო ტანის მებრძოლს, ვანია ჩერკასოვს, როგორც შემდეგ გავიგე, და ავტომატი ჩამოგლიჯა. გაქცეულს უკანიდან კენტი გასროლა მომესმა, მაგრამ აღარ მომიხედავს, - ეს იყო ჩვენი რაზმის მიერ ნასროლი პირველი ტყვია და მან გამცემი დასცა ძირს. ჩემს გვერდით „საროკა“ გარბის, მოშორებით კი სიდორიჩი ხვნეშით მიექანება წინ. ისევ გრიალებს წითელი არტილერია და ზარდამცემი ომახიანი „ურა“.

შევიჭერით სოფელში. დაბნეული გერმანელები გამორბოდნენ სახლებიდან და უწესრიგოდ, კანტიკუნტად ისროდნენ: არ იცოდნენ ვინ უტევდა და რიცხვით რამდენი იყო თავდამსხმელი. ჩვენ კი შესანიშნავად ვისარგებლეთ ამ დაბნევით:

ვცელავდით ტყვიებით მტერს და სირბილით წინ მივიწევდით. ამ სოფლის დაკარგვამ ორმაგი როლი ითამაშა გერმანელების სამწუხაროდ, - მათი ისედაც დაცემული ფსიხიკა კიდევ უფრო დასცა, - და, აგრეთვე, როცა სოფელში სოლივით შემოჭრილი წითელი არმია შემოგვიერთდა, მტრის ჯარის ნაწილები „ქვაბში“ მოექცა.

სწრაფი და მოულოდნელი იყო ჩვენი იერიში. პანიკის ბრჭყალებში ჩავარდნილი, ნამძინარევი მტერი წინააღმდეგობას ვერ გვიწევდა. მივრბივართ და დაღლას ვერ ვგრძნობთ. მოსახვევში, სახლის კუთხიდან ტყვიების სეტყვა წამოვიდა. მსროლელი არ ჩანდა, ტყვიებმა კი ორი პარტიზანი დასცა წინ. „საროკამ“ შეამჩნია სახლის კუთხიდან გამოშვერილი ხელის ტყვიამფრქვევის ლულა, რომელიც გამალებით იფურთხებოდა ცეცხლსა და სიკვდილს. წელიდან ყუმბარა გაიძრო, ესროლა და იმავე წუთში დაიკვნესა და ძირს დაეცა. იფეთქა ხელის ყუმბარამ და ტყვიამფრქვევი დადუმდა. „საროკასთნ“ მივიჭერი, ხალათი გავუხიე და ჭრილობა ვუნახე. სამი ტყვია ჰქონდა ჩამჯდარი მკერდში. და სიკვდილის ყვითელი ფერი გადაჰკრავდა სახეს. მან თვალები გაახილა, შემომხედა და სუსტი ხმით მითხრა:

-წადით, ნუ აგვიანებთ ნოდარ დავიდოვიჩ! აქ რა გინდათ, მე, სულ ერთია, მოვკვდები... ერთი მებრძოლი უკვე გამოვაკლდი ბრძოლას და თუ თქვენც აქ დარჩით, ორი დააკლდება, - ყოველი კაცი კი ძვირფასია... წადით... და როცა... ისევ გახსნით თქვენს ძვირფას... ჰოსპიტალს... მაშინ მომ... ზებ... ნეთ... წადით... მე მაინც... ვერ მიშველით... და თვალები დახუჭა. საწყალი „საროკა“, ჩვენი კაჭკაჭი! სიკვდილის დროსაც ვერ მოიშალა ხუმრობა... შენ მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, მე დაგტოვებ და საბრძოლველად წავალ. ვიბრძოლებ შენსავით წყურვილითა და თავგანწირვით. მე მოვკლავ იმდენ გერმანელს, რამდენსაც კი მოვახერხებ...

...და ისევ გავრბივარ... მინდა ყველას გავსწრო. უცებ ნაცნობ ღობეს შევასწარი თვალი და გავარკვიე, რომ ეს ის გზა იყო, რომლითაც წინა ღამით მღელვარებისაგან ათრთოლებული გული მომქონდა. „ჩვენ ისევ შევხვდებით!...“ გავიფიქრე და ღობეს გადავევლე. იმავე წუთში ჩემს თავს ზემოთ ტყვიამ გაიზუზუნა. გაქცეულ გერმანელს შევასწარი თვალი. როგორც ეტყობა, თავში დამიმიზნა და ოდნავ რომ შევჩერებულიყავი ღობეზე, თქვენ ვერასოდეს ვერ მოისმენდით ჩემი პირიდან ამ ამბავს. გაქცეულს ავტომატის ჯერი მივაყოლე და დავტოვე სახით შემჭკნარ ბალახებში ჩაფლული.

გავრბივარ წინ, ნაცნობ სახლს ვეძებ... სროლა და ყიჟინა უკნიდან მესმის - ეტყობა, ჩამომრჩნენ ბრძოლაში გართული ბიჭები. აი, ნაცნობი ეზოც! გადავახტი ბოსტნის დაბალ მესერს და გავშეშდი: ერთ წუთში ჩემმა თვალებმა გაუგონარი სურათი დალანდა: სახლის წინ პატარა შავი მანქანა იდგა, რომელსაც ციებიანივით არყევდა ამუშავებული მოტორის ძრავი. წამყვანი საჭესთან იჯდა და შემობრუნებული მოუთმენლად იცქირებოდა სახლის ღია კარებისაკენ. სახლიდან პოლკოვნიკი გამოიჭრა, ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა, ხოლო მეორეთი ზინელს მოათრევდა. ავწიე ავტომატი სასროლად, მაგრამ უეცრად კიბეებზე ელენამ ჩამოირბინა.

თქვენ ჩემი ხართ, ჰერრ, მე ვერავის დავუთმობ თქვენს თავს, - დაიძახა ქალმა, ცალი ხელით რევოლვერს წაეტანა და ვოლფის ხელიდან გამოგლეჯას ეცადა, მეორე მკლავით კი გველივით შემოეხვია კისერზე გააფთრებულ გერმანელს და გასაქცევი შეუკრა. არ ვიცოდი რა მექნა: სროლა არ შეიძლებოდა, - მოსალოდნელი იყო, ტყვია ქალს მოხვედროდა... სახლის კარებთან მოფარებული ბავშვი შევნიშნე, რომელიც გაფართოებული თვალებით, გაფითრებული, შესცქეროდა ამ ორთა ჭიდილს. უცებ სულ ახლოს მოისმა მედგარი ბრძოლის ყიჟინა. თვალის დახამხამების უმალ მოხდა ყველაფერი, ეს... და როცა გამოვერკვიე, როცა მისაშველებლად ნაბიჯი წინ გადავდგი, გამოერკვა გაოგნებული ვოლფიც - მან მძლავრი მოქნევით მოიშორა ქალი, წაბარბაცებულს ესროლა ორჯერ ზედიზედ და ჩემმა დანისლულმა თვალებმა შენიშნა მის შუბლზე ორი პატარა ხალი, რომლებიდანაც მუქი ფერის სისხის ზოლმა გზა გაიკვლია ფერწასული ლოყისაკენ. ქალმა გაფართოებული თვალები თითქოს გაოცებით მოავლო გარემოს და ნელა მიწაზე დაეშვა.

ნერვიული სიმძლავრით დავაჭირე ავტომატის სახლეტს ხელი და მანქანის კარებთან მისულ ვოლფს ტყვიების სეტყვა დავაწიე. პოლკოვნიკი მოცელილივით დაეცა მანქანის საფეხურთან. წკრიალით ჩამოცვივდა შუშის ნამსხვრევები და დაცხრილული შოფერი გადაეკიდა საჭეზე, ქალთან მივიჭერი... ამავე დროს დაცემულ დედასთან ბავშვი მოვარდა და მკლავზე წაეტანა ასაყენებლად. ელენამ თვალები გაახილა და როცა დამინახა, გალურჯებული ტუჩებით გაღიმებას ეცადა.

-აი, ისევ შევხვდით... თქვენ ნამდვილი... ვაჟკაცი ხართ. შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ... ცუდად... მიყვარდით... ნუ დამივიწყებთ... ბორიას თქვენ გაზა... რებთ... მას... უკვე... აღარავინ... არა...

თვალები ცრემლებით აევსო. ასწია მოდუნებული მკლავი და ბავშვს ნაზად გადაუსვა ხუჭუჭა თავზე. შემდეგ თვალები მიებნიდა... ხელი უძლურად ჩამოუცურდა ბავშვის თავიდან და მოჭრილივით ძირს დაეცა. დავწვდი ამ ხელს და უკვე შეციებულ თითებს გრძნობით დავეწაფე. ელექტრონის დენივით უვლიდა სასიკვდილო ჟრუანტელი ამ ნაზ ხელს და ჩემთვის სანუკვარ სახეს ნელნელა შეეპარა ყვითელი სიკვდილი, ქვეწარმავალივით ცივი და შემპარავი, გაიშალა მთელ სახეზე და ყოველ ნაკვთში დაბუდდა. მან კიდევ ერთხელ შემოგვხედა მე და ბორიას ცრემლიანი თვალებით, მერე ქუთუთოები ნელნელა დახუჭა... მოსწყდა მის თვალის უპეებს დაგუბებული კურცხალი და წანწკარით დაეშვა უკვე გაციებულ საფეთქლებზე.

ატირდა ჭირვეულად პატარა ბიჭი დედის უმოძრაობით გაოცებული, ამაოდ ემუდარებოდა დედიკოს ადგომას...გარინდებული ვიდექი და გული ცრემლებით მევსებოდა, ცრემლები მომებჯინა ყელში და უცნაურ, სქელ მასად იქცა, რომელიც სუნთქვას მიშლიდა... მთელი მკერდი მტკიოდა მოწოლილი მწუხარებისაგან და დანისლული თვალებით მხოლოდ მიწაზე დაგდებულ ძვირფას სხეულს და მტირალა ბავშვის ხუჭუჭა თავს ვხედავდი, ჩემს ყურებს მხოლოდ მისი ნერვიული ტირილი ესმოდა და მომეჩვენა. თითქოს შავით მოსილი ქართველი ქალები დასტიროდნენ ჩემთვის ძვირფას ცხედარს... ამ ხმებში თითქოს გარკვევით მომესმა თმა- გაშლილი მოხუცი დედაჩემის მწუხარე მოთქმა... ცრემლებმა იწვიმა ჩემი გამშრალი თვალებიდან და ავტირდი ვაჟკაცი ისე გულმხურვალედ, როგორადაც ბავშვობაში თუ მიტირია მხოლოდ... რამდენსამე ხანს ვიყავი ასე გარინდებული და ჩემს უმოძრაო, გაშეშებულ სახეზე მხოლო ცრემლების ღვართქაფი მოძრაობდა...

გვარდიული სიმღერის ტალღამ გამომაფხიზლა. სოფელში წითელი ჯვრის ნაწილები შემოდიოდნენ. გაშლილ სახეებით, მწყობრად მოაბიჯებდნენ გმირები და მე თითქოს შემრცხვა ჩემი სისუსტის. ტირილით დაოსებულ ბავშვთნ მივიჭერი, მოვგლიჯე გაციებულ დედის მკერდს და ხელში ავიატაცე. მან შემომხედა, მიცნო და მომენდო, მკლავები შემომხვია და თავი სლუკუნით ჩემს კისერში ჩამალა. როცა ახალის ძალით იქუხა ძლევამოსილმა წითელარმიულმა სიმღერამ, ბიჭმა თავი ასწია და გაოცებით შემეკითხა:

-ძია ნოდარ, განა დღესასწაულია?

-დღესასწაულია, ჩემო კარგო, დღესასწაული, - ვპასუხობ მე გულაჩუყებული და მკერდში ვიკრავ მის პატარა ტანს. მან ირგვლივ მიმოიხედა და უცებ მის მწუხარებით ნაწვიმარ თვალებში ღიმილის ცისარტყელა აციაგდა, ჩემს მკლავზე წამოჯდა, ორივე ხელი აღტაცებით გაიშვირა წინ და სიხარულით იყვირა:

-ძია სტალინ!

მხარბეჭიან, სახე- ნაჭრილობევ წითელარმიელს დივიზიის დროშა მოჰქონდა; ირხეოდა ქარის ფრთებზე წითელი ალამი და ზედ გამოსახული ბელადის სახე თითქოს სხივებს აფრქვევდა. ბავშვი აღტაცებით შესცქეროდა მონატრებულ საყვარელი ძიას სურათს, რომელიც გერმანელების მოსვლის შემდეგ არ ენახა. ამ დღიდან პატარა ბორია კიდევ უფრო მახლობელი გახდა ჩემთვის. გადავწყვიტე, თუ ცოცხალი დავბრუნდებოდი, საქართველოში ჩამომეყვანა ეს ბავშვი - შვილი ჩემთვის ძვირფასი გმირი ქალისა, რომლის სიცოცხლის ლეგენდა ტყვიის წერტილით დასრულდა... თუმცა არა, ტყვიის წერტილით მხოლოდ სიცოცხლე დასრულდა და ლეგენდად, გმირულ ლეგენდად იქცა, ერთ მათგანად რომელიც ხალხის ხსოვნაში მუდამ ცოცხლობს.

თოფების სალიუტმა შეარყია ჰაერი და, „ვაშა“ ძახილში შავი, სვასტიკიანი დროშა მოკლულ ყორანივით გადმოეშვა ძველი ეკლესიის სამრეკლოდან.

-ღრუბლები მიდიან, ეხლა დასავლეთში იქუხებს, - სთქვა დინჯად შუშებ ჩალეწილი მანქანის საფეხურზე ვოლფის გვამის გვერდით ჩამომჯდარმა სიდორიჩმა და აბურძგნულ ულვაშებს ქვემოდან გამოყოფილი წვრილი ენა გაზეთის ქაღალდში გახვეული პაპიროსის ნაწიბურს მნიშვნელოვნად გაუსვა.

-ვეღარ შეველიე ამ ბავშვს, - დაამთავრა ბოლოს ნოდარმა, - როცა ჩვენი ჯარები დასავლეთისკენ დაიძრნენ, სიდორიჩს და ბებია ანისიას დავუტოვე ცოტა ხნით, მე კი ისევ დივიზიას დავუბრუნდი, შემდეგ კვლავ დავიწყე ჰოსპიტალში მუშაობა, მრავალი ბრძოლა გადავიტანე: ვიბრძოდი თოფითა და ლანცეტით; ბოლოს სხვებთან ერთად მეც შევედი ბერლინში და, როცა დემობილიზაცია მომიწია, ვორობიოვოში დავბრუნდი ბორიას წამოსაყვანად. მაგრამ მოხუცები აღარ მანებებდნენ, ისე შესჩვეოდნენ ბავშვს. თითქმის ძალით გამოვტაცე და ეხლა მიმყავს ჩემს დედასთან, რომ მისგან გაიზარდოს მისი მშობლების მსგავსი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი.

მოვეალერსე ამ მშვენიერ ბიჭუნას. მან ერთი გადმომხედა, მაგრამ ისევ მიიბრუნა სახე ფანჯრისკენ, საქართველოს ბუნებისა და ზღვის სილამაზით განცვიფრებულმა. დიდხანს გასცქეროდა პატარა, აქოჩრილ ტალღებს, რომლებიც დელფინების ურიცხვ ლაშქარივით მოედინებოდნენ ნაპირისკენ თვალუწვდენელ სიშორიდან. გარეთ მართლაც მშვენიერი ამინდი კიდევ უფრო თვალის მოჭრელს ხდიდა ბუნების ლაღ სილამაზეს. ზურმუხტისფერ უდაბნოზე ირწეოდა მზის მიერ დაგებული ოქროს ბილიკი. ზღვა ცისფერი იყო, ცა კი - ზღვისფერი.

ელექტრონული ვერსია მოამზადეს: **ელენე იასეშვილმა, ნინო სუარიშვილმა და ნანი დარჩიამ**